1953

მამული

კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა

იანვარი, 1953 წ. № 6 რვეული მეექვსე

TARIFA REDUCIDA
Concesión Nr. 4564
Sucursal 31. (B).

MAMULI —— "LA PATRIA"
REVISTA GEORGIANA DE HISTORIA Y LITERATURA
Director Dr. VICTOR NOSADSE
Calle Blanco Encalada 5196, BUENOS AIRES

Reg. Nac. de la Propiedad
Intelectual Nr. 352438

ჩვენი პრეზიდენტი

დიდი ხანია, რაც მტერი მოგვერია და სამშობლო დავკარგეთ, მაგრამ იგი მტერი ჩვენს სულს ვერ მოერია და ქართველობა ვერ დაგვაკარგვინა.

ჩვენ დღემდე დავრჩით მრევლად იმ დიდებულ ტაძრისა, სადაც, ილიას თქმით, „უწირავს ერთიანს სულსა ერისას და სადაც აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ - ბუნებოვან კაცთა უწმიდაესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი".

ეს დიდი ტაძარი ჩვენის ქართულ სულისა ისევ საქართველოში დაშთა, მაგრამ მისი მრევლის ნაწილი უცხოეთში გამოიხიზნა... მას სწადდა დევნილ და გალახულ ქართველობის „ერთიანი სულის წირვა, თავის დიდ-ბუნებოვან კაცთა და საქმეთა ამბავი" უცხო ქვეყნებში მაინც შეენახა და განეგრძო....

ამ მრევლს თავისი პატრიარქიც თან გამოჰყვა, რომელიც „არ დაუვარდა, არ დაუძაბუნდა არავითარ ზედ მოსეულ უბედურებასა და განსაცდელსა" ... იგი განაგრძობდა ეროვნულ წირვას, თავს გვიყრიდა, და „გამხნევებული თავის მამა - პაპის მაგალითითა და ანდერძითა" იღწვოდა და იბრძოდა და მოუწოდებდა თავის მრევლს.

ეს მოხუცი გამართული და ამაყი ადიოდა ჩვენს ეროვნულ სამრეკლოზე და გვაგონებდა თავისუფალ საქართველოს ზარების ხმას, მუდამ, როცა უცხო ქვეყნებში გაბნეულ ქართველობას 26 მაისი უთენდებოდა.

ეს იყო ჩვენი აღდგომის დღე და ყოველი ქართველი მოწიწებით და იმედით მუხლს იყრიდა ამ ზარის ხმაზე და იმეორებდა მოკლე ლოცვას: „უფალო, კვლავ მაღირსე ჩვენ ხილვა თავისუფალ საქართველოსი"...

დღეს ამ უცხოეთში გადმოტანილ



† ნოე ჟორდანია
(1868 — 1953)

ქართულ სამრეკლოზე გლოვის ზარი გაისმა: ჩვენი პატრიარქი აღსრულებულა...

ეს გლოვა საერთოა მთელ ქართველობისათვის...

პატრიარქის მიძინებამ მწუხარებაში შეადუღა ქართული მრევლი. ყველას დაავიწყდა გუშინდელი დავა, მიწევ - მოწევა, თვისის სიკვდილით ამ კაცმა კვლავ გადაბა საერთო ძარღვი. ეს იმას მეტყველებს, რომ ჩვენ დიდი ერის შვილები ვართ, დიდი წარსულის მემკვიდრენი. განა სხვაფრივ კიდევ შეიძლებოდა ჩვენი სიცოცხლე და მომავალის იმედი?... „ვაი იმ ხალხს", გვეტყოდა იგივ ილია, „რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა... სადაც „მე" ხშირია და „ჩვენ" იშვიათი"...

ჩვენ გვჯერა, რომ ამ გლოვის დღეს, ამ ზარის ხმაზე თვითეული ქართველი — საქართველოში და უცხოეთში — შეირხევა და სიმწარით აღმოიოხრებს; ყოველი იგრძნობს, — რა გვარ მძიმეა ეროვნულ ტაძრის პატრიარქის დაკარგვა ამ ურთულესსა და უმწვავეს დროში.

ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია ღრმა მოხუცებულობის საზღვარს გადასცდა. ამ ხანს, და ისიც ჩვენს პირობებში, იშვიათად თუ მიაღწევს ვინმე, მაგრამ ჩვენ როგორღაც მივეჩვიეთ მას, ვიცოდით — რომ ის „იყო და სწირავდა" და გვჯეროდა, რომ იმდენ ხანს მაინც არ შესწყვეტდა იმ წმიდა შრომას, ვიდრე ჩვენს ეროვნულ დიდ ტაძარში არ შეგვიყვანდა და იქ ახალ პატრიარქს არ მიგვიჩენდა.

ის წამოვიდა საქართველოდან ძლიერი მტრისაგან დამარცხებული, მაგრამ ამაყი... მოჰქონდა ქართული წმიდა დროშა ამ გამართულს და თეთრ - წვერა მოხუცს და დღემდე ის ამ დრო

შასთან იდგა, ისევ ისე, ამაყი და გამართული. ეს დიდი კაცი არ შეიძლებოდა დროშას მოშორებოდა და წასულიყო. ჩვენ ეს გვწამდა... რატომ? იმიტომ, რომ ის იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი და ასეთს მხოლოდ საქართველოში თუ შეეძლო აღსრულება. ასე გვეგონა და გვჯეროდა...

მაგრამ დღეს ზარებმა გლოვის ხმით გვამცნეს, რომ ის დაიღალა და მიიძინა

***

ნოე ჟორდანიამ თვისი სამწერლო მოღვაწეობა სწორედ სამოცი წლის წინად დაიწყო (1893 წ.) და ის როგორც მწერალი, პუბლიცისტი და ს. დ. პარტიის ბელადი უეჭველად შესანიშნავი პიროვნება იყო.

ნორმალურ პირობებში ქართული პუბლიცისტური მწერლობა და მისი პარტია, ალბათ დიდის ამბით გარდუხდიდა მოხუც ნოეს ამ იუბილეს...

და არა მარტო მისი პარტია, არამედ ჩვენც და ძრავალი მისი მოწინააღმდეგეხი, რომელნიც სხვა მიმართულებებსა და პარტიებს ვეკუთვნოდით და მარქსიზმს გააფთრებით ვებრძოდით, — ყველა ჩვენ არა ნაკლების პატივისცემით გადაუხდიდით ბ-ნ ჟორდანიას 50 და 60 წლის თავს სამწერლო ღვაწლისას.

ეხლა, როცა ათეულმა წლებმა გადაიარეს და დიდ ცეცხლში განვვლეთ, როცა ძველი ამბები უფრო მოძველდნენ, როცა ახალი და უმძიმესი სატკივარი გაჩნდა, უკვე შორეულის „საზომით" ვუდგებით მაშინდელ ამბებს და დავას; ძველი ვნება დღეს უსაგნო და მცხრალია.

„მესამე ხანა", სწერს ნ. ჟორდანია თვისი წიგნის წინასიტყვაობაში, „იწყება რევოლუციის დამარცხებით 1906 წლიდან და თავდება მსოფლიო ომით... ამ ხანაში სოც. - დემ. იბრძვის მწერლობაში სოც. - ფედერალისტებს და პოლიტიკაში გამეფებულ რეაქციას"...

ეს იყო გაგრძელება იმ ბრძოლისა, რომელსაც ნ. ჟორდანია აწარმოებდა სამოციან წლების მოღვაწეებთან და კერძოდ ილიასთან.

და ეხლა, როცა მიუდგომელი ისტორიკოსი იმ ბრძოლების არქივს ჩაიბარებს, იტყვის, და განსჯის, რომ „უფსკრული" არც ისეთი დიდი ყოფილა, რომ „ჩატეხილ ხიდის" გამრთელება მაშინაც შესაძლო იყო. ამისათვის საჭირო იყო დიდი პრობლემის პრაქტიკულად დაყენება, ვიწრო პერსპეკტივებიდან განთავისუფლება, და აქ ქართული ბუნება ეროვნულ კალაპოტით გაიშლებოდა...

26 მაისსა ძართლაც გაარღვია ეს ზღუდეები და საქართველო და ქართველობა ერთობილად ჰყო.

ჯერ ამ არქივთა განქექა ნაადრევია, ძაგრამ შეიძლება ერთის თვალის გადავლებით მაინც ითქვას, რომ მაშინ ხშირად ვნებათა ღელვაც ლაპარაკობდა.

ჩვენ ხანდისხან ურთი - ერთს ბრალს ვდებდით ისეთ რამეში, რაც სინამდვილეში არ იყო. რით იყვნენ ამ ბრძოლაში სოც. ფედ. ნაკლები დემოკრატები, ან სოციალისტები?

ევროპის სოციალისტურ მოძრაობასთან ახლოს მიკარება გვარწმუნებს, რომ მათ ძალიან ცოტა ჰქონდათ საერთო რუსულ სოციალისტებთან, რასაც ნიღილიზმის გზით ბოლშევიზმისაკენ მიჰყავდა ეს მოძრაობა.

მეორეს მხრივ უნდა აღვიაროთ, რომ ნ. ჟორდანია არასდროს არ ყოფილა ტიპიური რუსული სოციალისტი. როცა მის ძველ წერილებს ჰკითხულობთ, რწმუნდებით, რომ ეს კაცი მხნედ და განუხრელად იკაფავდა გზას ევროპისაკენ. მისი ბუნება რუსულს და ბუნტარულს ვერ ეგუებოდა, მისთვის ნეჩაევი ისე შორს იყო, ვით ბაკუნინი.

ამ კაცის ბუნება, თუმცა მარქსიზმს უხვად ნაზიარები იყო, მაგრამ სულიერად და კულტურულად „მაინც ქართული" რჩებოდა. ამით აიხსნება მისი კეთილშობილი მიდგომა მესამოცე წლების მოღვაწეთადმი.

„სიყვარული გლეხ - კაცობის და სიყვარული სამშობლო ენის შეიქმნა იმ ღერძად, რასაც უნდა გადაეტრიალებია ჩვენი ცხოვრება. ეს სავსებით შეიგნეს მესამოცე წლების მოღვაწეებმა და ამ მხრით მიმართეს თავიანთი ძალ-ღონე..." (იხ. ტ. 2).

უფრო ქვევით, ეხება რა რუსეთის ტლანქ პოლიტიკას ჩვენი ერისადმი, ის სწერს: „ამ საუკუნეში ჩვენ სხვანაირ გარემოებაში ჩავდექით. მართალია, ომს აღარავინ გვიშვრება, მაგრამ მაგიერში უომროდ, უიარაღოდ, ტკბილის სიტყვებით გვიძვრებიან ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში... გვიჩხრეკენ გულს, სულს, ყველაფერს და რად იხარჯება ამდენი შრომა? ეგების ქართველობა უარჰყოსო"... (იხ. ნ. ჟორდანიას ნაწერები, ტ. 2, გვ. 168).

ამ ძალადობას, რუსეთის ასეთ დაწოლას ებრძოდა მესამოცე წლების შემდეგ გამოსული ახალი ქართული მწერლობა. ეს „მწერლობა ეხება ორ კითხვას", ამბობს ნ. ჟორდანია: „პოლიტიკურ - სოციალურს და ეროვნულს. ქართველის გაევროპიელება და ქართველის გაქართველება, აი დედაბოძი ამ მიმართულებისა... ამ საძირკველზე შენდება კედელი; პირველი წყება ამოშენდა მესამოცე წლებში, ხოლო მთლად აშენება კი ჩვენი წარმატებისაგან არის დამოკიდებული" (იქვე). აქედან სჩანს, რომ ნ. ჟორდანია ფსიქოლოგიურად თვის გზებს მაინც ქართულ წინა თაობის ბილიკებს უკავშირებდა. ის სწუხდა, რომ ქართულმა მწერლობამ და პოლიტიკამ ისევ რუსეთის ჭოგრიტით დაუწყო მომავალს ცქერა და ევროპა მას განზე დარჩა...

„მწერლობა იმიტომ დაიბნა" სწერს ნ. ჟორდანია, „რომ ცხოვრება შეიცვალა, ეს მან ვერ ახსნა, ვერ შეიგნო და ფანტაზიას, უტოპიას მიეცა. ასეთ მდგომარეობიდან მას გამოიყვანდა ხოლოდ დასავლეთი ევროპის განვითარების გაცნობა, რომელმაც ის ხანა, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, ერი ხანია განვლო და საკუთარი გზა გაიკვლია. შესწავლა ამ გზის, მისი მიდრეკილების გამორკვევა, ნიშნავს ჩვენი ცხოვრების გარკვევას და მერმისის გათვალისწინებას"... და ავტორს სავალალოდ მიაჩნია, რომ ქართველობა და მისი მწერლობა ასცდენია ამ გაევროპიელების გზას ე. ი. წინსვლას და — ჩამორჩენილ რუსეთის უკან მიჩანჩალებს... ეს კარგს არას გვიქადისო! „სამწუხაროდ, ჩვენი მწერლობა ამ მიმართულებას არ ადგია. ის ერთიანად რუსული მწერლობის გავლენის ქვეშ არის, იმ ქვეყნის, რომელიც მოქალაქობრივად ჩვენსავით უკან ჩამორჩენილია და, მაშასადამე, გზას მერმისისას ვერ გვიჩვენებს"... (ტ. 2. გვერდი 174).

აქ უკვე მოცემულია ჩანასახი იმ გამიჯვნისა, რომელიც შემდეგ მან რეალურად გაატარა და რამაც ქართული სათავეებისაკენ მიმართა ნოე ჟორდანიას გეზი: — „დასავლეთის ცივილიზაცია მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიზმს-"ო, განაცხადა მან საჯაროდ.

ეს ცივილიზაცია მარტო ტექნიკას და კაპიტალს კი არ ნიშნავდა, არამედ მაღალ კულტურას, საკაცობრიო ჰუმანიტარულ იდეალს, საითკენაც იწევდა ძველი საქართველო. ამ ევროპის გზის ძიებამ წარმოშვა ხომ ერეკლეს 1783 წლის ქრაქტატი...

და ვისაც სამართლიანი მსჯავრის დადება სწადია, მან უნდა აღიაროს,

რომ ნ. ჟორდანია თავიდანვე ქართველი კაცი ყოფილა და მას ამოძრავებდა ქართული ატავიზმი — ევროპის კარების შეღების ცდა. ამ კაცს კარგად ესმოდა, რომ გაევროპიელება ეკონომიურ გაღონიერებას და გაკულტურებასნებას ნიშნავდა.

ჩვენი ვაჭრობა - მრეწველობა იმ ხანებში უცხო ტომთა ხელში იყო, რაიც მას სავალალოდ მიაჩნდა. აბა, რომელი ნაციონალისტი არ მოაწერდა დღესაც ხელს იმ მთავარ აზრს, რაიც ჩანერგილია ავტორის სიტყვებში, რომელიც მას ჯერ კიდევ 1896 წელს უთქვამს:

„დღეს რომ ქართველობას საკუთარი პოლიტიკური ძალა ჰქონდეს, უეჭველია, ისეთ ზომებს იხმარდა სომხების წინააღმდეგ, რომ მით თვითონ გამაგრებულიყო ეკონომიურ ნიადაგზე“-ო. (იხილეთ ტ. 2. გვ. 181).

ეს არის პროტექციონიზმის გზა, რასაც დღესაც ყოველი ფხიზელი სახელმწიფო მოჭარბებით იყენებს...

„ეროვნება და სახელმწიფო“ უნდა ყოფილიყო ნ. ჟორდანიას შემდეგი ზრახვები, რომლებიც მხოლოდ შესაფერ მომენტს უცდიდნენ.

და ეს მომენტი რუსეთის იმპერიის დაშლამ მოიტანა.

დიდი რუსეთი და მისი ხალხი გაჰყვა ნაცად ნიღილიზმის და ანარქიის გზას...

და ნოე ჟარდანიამ, დაინახა რა, რომ ფიზიკური საფრთხე ერისათვის აცილებული იყო, ქართველობას ევროპის გზებისაკენ — თავისუფლებისაკენ — მოუწოდა.

ნ. ჟორდანია უყოყმანოდ გაეთიშა რუსობას და ძველებურ, ქართულ სიამაყით განაცხადა: („ჩვენ ვყოფილვართ თავისუფალნი მრავალ საუკუნეთა მანძილზე და ჩვენ დღეიდან კვლავ ვუბრუნდებით ძველ ისტორიულ გზას; ჩვენ ვხდებით დამოუკიდებელნი და ვით თავისუფალი ერი შევდივართ საერთაშორისო ოჯახში. და თუ ჩვენ აქ გვკითხავენ — რომ მოდიხართ, რა მოგაქვთ? ქართველი ერი მათ მიუგებს. „მოგვაქვს ორი მთმსი წლის კულტურა“-ო...

ეს ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა ნ. ჟორდანიამ 26 მაისს 1918 წელს და ქართულ მატიანეში „გაგრძელება“ ამით ჩასწერა.

და ეს კაცი ამ დღიდან გახდა არა მწერალი, პოლიტიკოსი და პარტიის ლიდერი, არამედ ის შეიქმნა თავისუფალ საქართველოს პირველი პრეზიდენტი. სამი ბრწყინვალე წლის ისტორია ჩასწერა მან ძველ ქრონიკებში... მსოფლიოს ამცნო ჩვენი ერის აღდგომა და მშენებლობა, და ეს იმ რღვევისა და ქარ - ცეცხლის ჟამს, რაიც რუსეთის ტერიტორიაზე მძვინვარებდა...

მაგრამ რუსეთმა ეს ვერ გვაპატივა, და მოპარვით მახვილი ჩაგვცა, — ქართული სახელმწიფო სისხლში ჩაახრჩო. მაგრამ ერის თავისუფალი სული მან ვეღარ დაიმონა: საქართველოს მთავრობა და ნოე ჟორდანია ხელთ ვერ იგდო... ეს კაცი, ვით მეთაური და დესპანი განახლებული საქართველოსა ქართულის სიტყვითა და დროშით თვის საყვარელ ევროპისაკენ გაეშურა. აქ მან მთელ კულტურულ ქვეყანას უმხილა რუსეთის ვერაგობა, საქართველოს წმიდა უფლება და საქმე...

ამ მოხუცმა დაშლილ, დაღლილ ძალებს კვლავ თავი მოუყარა და გული გაუმაგრა. ყოველ წლის თავზე ჩვენის დაპყრობისა ის გვამხნევებდა; ახალ ძალებს ჰკრებდა და რწმენას გვიკაუებდა: —

... „დავკარგეთ თავის - თავის ბატონობა, მარა მივიღეთ თავის - თავის შეგნება; მოგვკლეს, მარა არ მოვკვდით; დაგვაძინეს, მარა არ გვძინავს. ჩვენთვის მომზადებული სასაფლაო, მათთვის ითხრება“..... მეტყველებდა ქართულ მრევლის წინაშე ეს უდავო პატრიარქი და დასძენდა: —

... ეს წელიც, „მსხვერპლით და თავისდადებით აღსავსე წელი, არის წელი ჩვენი სულიერი აღორძინების, ხალხის ერად გადაქცევის. აყღერდა ძველი სიმები, ათასი წლობით დაწნული და ჩვენი ჭირ - ვარამის საკრავზე ჩამწკრივებული. გამოჩნდა განვლილ სევდათა ნაქსოვი, მტკიცე ნაჭედივით და სათუთი გრძნობებივით. ხალხმა მას მიაგნო, მას ხელი ჩასჭიდა და ხსნის ბერკეტად გამოაცხადა ერმა მონახა თავის თავი და უძლეველი შეიქმნა...

„ამ წელმა გამოჭკვეთა ახალი ქართველი, აღადგინა ძველი მებრძოლი, უშიშარი და თავის დამდები.

„გადასახლება, წამება, ხვრეტა მას ამამაცებს. მან გააწბილა მოციქული: შიშმა ვერ შექმნა სიყვარული.

„აქ გადაწყდა ბედი ქართლისა. აქ ჩაიყარა მისი არსებობის ღრმა საძირკველი, მას ვერ გაარღვევს მრისხანე მტერი... მას არღვევდა დიდი სპარსეთი, დიდი ოსმალეთი, დიდი ურდოები... ჩვენი დამრღვევი თვითონ ირღვევა, ამას ვერ აცდება მოსკოვიც...

„ხალხი იღუპება, როცა მისი სული და მორალი ტყდება, მაშინ ის ბრბოდ იქცევა, სარეკ ჯოგს ემსგავსება. ქარ თველი ერის თესლი ამ გზით არ მიემართება. ის მუდამ წარმოადგენდა დაწყობილ, დარაზმულ ერს, ორგანიზაციულად დაკავშირებულს. ამით გამოიტანა მან თავი ბნელი საუკუნეებიდან...

... „აქ იჭედება ქართველი ხალხის თავისუფლება, მას ეძლევა საფუძველი მძლეთა - მძლეველი. მას აართვეს ბატონობა, მარა ვერ აართვეს ნამუსი, — მოსტაცეს თავისუფლება, მარა ვერ მოსტაცეს პატიოსნება...

„გარდაგვხდენია ბრძოლა მრავალი; ტანჯულმა სულმა არ იცის დაღლა...“

აი, სიტყვები მოხუც პრეზიდენტისა. და ეს სიტყვა — საქმე იყო, რამაც აღზარდა ემიგრაციაში მთელი თაობა. მისმა ტანჯულმა სულმა მართლაც არ იცოდა დაღლა; მას საამისოდ არ ეცალა; ის წლებს არ ითვლიდა, მაგრამ წლები ითვლიდნენ და სწონიდნენ მის მილეულ ძალებს.

და დღეს ემიგრაციის წმიდა სარეკლოზე გლოვის ზარმა ჩამოჰკრა: — მოხუცი, ჩვენი პატივცემული პრეზიდენტი და ემიგრაციის პატრიარქი წაბრძანდა...

ქართულ საგუშაგოზე ის აღარ სდგას, მაგრამ მისი საქმე გრძელდება, — საქართველოს დროშა იქ ისევ ფრიალებს და ზედ აღბეჭდილია ამ პრეზიდენტის ანდერძი:

„დაგვმარხეს, მარა ავდექით და სიცოცხლის ველზე დავდექით. რით? მხოლოდ ერთი იარაღით: ამაყი სულით და ძლიერი ნებისყოფით. . . ჩვენ გვსურს — თავისი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს და გვეკუთვნება. . . გაქრა ის დრო, როცა ქართველი ხალხი ჩრდილოე-

Telegrama 79425 — 27. 7. 52.
Señor Presidente de la Nación
General Juan Perón
En nombre de la Sociedad Georgiana San Jorge en la Argentina permitome expresarle nuestro más sentido pésame por la irreparable pérdida de su Esposa y Jefa Espiritual de la Nación.

Tamara Papava , Presidenta
Las Piedras 135,
Lomas de Zamora

REUNION EXTRAORDINARIA DE LOS GEORGIANOS EN LA ARGENTINA REALIZADA EN MEMORIA DE LA SEÑORA EVA PERON.

El 2 de Agosto a las 18hs se realizó una reunión extraordinaria de la sociedad de las georgianos en la Argentina "San Jorge", para honrar la memoria de la señora Eva Peron. La presidenta de la sociedad georgiana, señora Tamara Papawa, exaltó la grandeza de la personalidad de la señora Eva Perón con las siguientes palabras:

"Queridos compatriotas: El mayor dolor agobia a la República Argentina y a su pueblo.

..El 26 de Julio nos abandonó la señora Eva Perón, esposa del Primer Magistrado de la Nación, General Juan D. Perón.

Sabe todo el mundo que Eva Perón no solo fué esposa, amiga y colaboradora del líder de los argentinos, sino también una personalidad extraordinaria e incansable, enamorada de su pueblo, protectora de ancianos y huérfanos, bienhechora infatigable y abanderada de los trabajadores de la Nueva Argentina.

En el camino de su corta vida, prematuramente tronchada, pero resplandesciente de mágnificas obras, Eva Perón dejó una huella imborrable. Reveló en ella una incomparable capacidad de trabajo, y un inagotable caudal de energías, enaltecidos por la abnegación y el olvido de si misma. Sacrificó su salud y su vida en el altar de su patria.

No solo Argentina ha experimentado el doloroso sacudimiento de su temprana muerte, todo el mundo culto llora su partida. El duelo de este día lo llevan sin embargo con especial recogimiento las mujeres, aquellas mujeres que perdieron a quien llevo la dignidad, el respeto y los derechos femeninos a alturas al parecer inalcanzables, a quien demostró lo que puede alcanzar un corazón de mujer y un gran amor a su pueblo.

El nombre de Eva Perón perma-

თიდან სინათლეს მოელოდა — იქედან მოდის სიბნელე და მან ზურგი შეაქცია მას; იქიდან მოდის გათახსირება საზოგადოებრივი, ოჯახური, მეგობრულ - ნათესაური, და მას კარი გამოუკეტა; იქედან აფურთხებენ და ფეხ ქვეშ სთელავენ წმიდათა წმიდას; მას ჩვენი ერი არ აქვა: საქართველომ მოსკოვი არ მიიღო არც პოლიტიკურად, არც მორალურად. საქართველოს აქვს თავისი საკუთარი პოლიტიკა, საკუთარი კულტურა და ზნეობა. ამ სიმაგრეში ის ჩაჯდა"...

ეხლაც ასე იტყოდა ეს მოხუცი, რომელიც 60 წლით ადრე ემიჯნებოდა ბარბაროსულ ძალებს და ევროპის ჰუმანიზმისაკენ მიგვიწოდებდა.

ეს მოხუცი გახლდათ ჩვენი პრეზიდენტი და ჩვენ გვევალება მისი ანდერძის წმიდად შენახვა.

კახაბერი

necerá por largo tiempo como modelo refulgente para las generaciones venideras. Nosotros, los georgianos, conocemos en nuestro pasado histórico luminosas ejemplos de mujeres mártires en el cumplimiento de sus deberes; sus nombres y sus legendarias acciones llenan hoy las más nítidas páginas de nuestra historia. Constituyó por eso un nuevo eslabón de unión entre nuestras almas, el hecho de que el nombre de una mujer, el nombre de Eva Perón, quede grabado con letras de fuego en la historia argentina.

Ella nunca se olvidó, entre tantos otros, de los refugiados políticos, y nosotros, los georgianos, debemos darle las gracias por habernos abierto generosamente las puertas de la Argentina. Una vez más se lo agredecemos. A nuestro presidente y su Nación quisiéramos expresarles que el sincero sentimiento de los georgianos en la Argentina se une a su pesar, y que junto a ellos conservaremos con honra y amor el recuerdo del más extraordinario espíritu y corazón femenino de ésta época: Eva Perón."

სიტყვა

თქმული არგენტინის ქართული საზოგადოების თავჯდომარის ქალბატონ თამარ პაპავას მიერ განსვენებულ ევა პერონის საპატივცემლოდ გამართულ საგანგებო სამგლოვიარო სხდომაზე, 2 აგვისტოს 1952 წ.

ძვირფასო თანამემამულენო,

უდიდესი მწუხარება ეწვია არგენტინის ხალხს და მის რესპუბლიკას: 26 ივლისს გარდაიცვალა პრეზიდენტის გენერალ ხუან პერონის მეუღლე, ქალბატონი ევა პერონი. მთელმა ქვეყანამ უწყის, რომ ეს ქალი იყო არა მარტო მეუღლე, ამხანაგი და მეგობარი ამ სახელმწიფოს ბელადისა, არამედ იყო თვით არაჩვეულებრივი მომქმედი, ერის მოყვარულ, მოხუცთა, ობოლთა და დავდრომილთა გამკითხავი, მუშათა მფარველი და დამცველი. თავის ხანმოკლე, მაგრამ შემოქმედებით სავსე სიცოცხლის გზაზე ამ ქალმა დასტოვა წარუშლელი კვალი, გამოიჩინა თავგანწირული შრომისა და ენერგიის უნარი და ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით შეეწირა თავის საყვარელ სამშობლოს, დაიწვა მის სამსხვერპლოზე.

არა მარტო არგენტინა, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობა მოიცვა მძიმე მწუხარებით მისი უდროვო სიკვდილის გამო. განსკუთრებით მთელი ქვეყნის ქალები იგლოვენ ამ დღეს, როცა მათ დაჰკარგეს პიროვნება, რომელმაც ქალის პატივი და ღირსება მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა; რომელმაც დაამტკიცა თუ რის მიღწევა შეუძლია დედაკაცის გულს და მის დიდ სიყვარულს საკუთარი ხალხისადმი. ამ ქალის სახელი კიდევ დიდხანს დარჩება ნათელი და საბაძ მაგალითად ისტორიაში.

ჩვენ, ქართველები ჩვეულნი ვართ ჩვენს გრძელ ისტორიულ წარსულში დედაკაცთა სამაგალითო ღვაწლმოსილებას, და მათი საარაკო მოქმედება, სახელი დღესაც ყველაზე ნათელ ფურცლებს ავსებენ ჩვენი მატეანესას. და სწორედ ამის გამო ჩვენს სულს განსაკუთრებით ენათესავება ის მოვლენა, რომ ამ ეპოქაში არგენტინის ისტორიაში შესანიშნავი პიროვნება — დედაკაცი — ევა პერონის სახელს ატარებს და მას დაუვიწყარად ხდის...

ეს ქალი, სხვათა შორის, არც პოლიტიკურ დევნილთა და გადმოხვეწილთ ივიწყებდა და მას ვუმადლოთ, რომ არგენტინამ სხვებთან ერთად ქართველებსაც კარი გაუღო და თავშესაფარი მისცა. ერთხელ კიდევ ჩვენი უდიდესი მადლობა მას, ხოლო არგენტინის პრეზიდენტს და მის ხალხს გვინდა უმდაბლესად ვაუწყოთ, რომ აქაურ ქართველობის გულწრფელი მწუხარება უერთდება მათ მწუხარებას და რომ მათთან ერთად ისიც წმიდად შეინახავს ამ დიდი ადამიანის და დიდი გულის პატრონი ქალის ევა პერონის ხსოვნას.

საახალწლოდ

ემიგრანტი ეწოდება ისეთ პირს, რომელი თავის სამშობლოს სტოვებს და სხვაგან საცხოვრებელად მიდის.

ემიგრანტი ორგვარი სახისაა: 1) წასვლის თვითმსურველი, რომელი თავის სამშობლოს თავისი ნებით მიატოვებს და სხვაგან გაიხიზნება. 2) რომელი იძულებული ხდება თავისი სურვილის მიუხედავად თავისი სამშობლო დასტოვოს. ამ იძულების მიზეზი სხვა და სხვა შეიძლება იყოს: — მოარული სენი, სიყმილი, ომიანობა, მუდმივი შფოთი და აღრევა, ქვეყნის დაპყრობა, პოლიტიკური გადაყირავება და სხვა.

ჩვეულებრივად დღეს ემიგრანტი იმ პირს ეწოდება, რომელი იძულებულია თავისი ქვეყანა მიატოვოს.

ქართული ემიგრაცია იძულებითია და ეს იძულება საქართველოს დაპყრობითაა გამოწვეული. მაშასადამე, ქართველი ემიგრანტი არის ეროვნული ემიგრანტი, — იგი უწინარეს ყოვლისა ეროვნული ემიგრანტია, შეურიგებელია დამპყრობელისადმი, — ამ უკანასკნელის მიერ დამყარებული წესწყობილების მიუხედავად, — ხოლო შემდეგ პოლიტიკური ბრძოლაცაა, თვით ტეიმის წინააღმდეგ.

იძულებითი გარდახვეწა კაცში განსაკუთრებულ მწვავე სულიერ ვითარებასა ჰქმნის, — ლტოლვილი თავის თავს მჭიდრო გადაბმულად გრძნობს თავის ქვეყანასთან და მისგან მოწყვეტას ტკივილებრ განიცდის; უცხოეთს იგი ვერ ეთვისება: მას აქაური არაფერი მოსწონს, და თავისი ქვეყნისას ყველაფერში უპირატესობას ანიჭებს. თავისი სამშობლოს ზნეჩვეულება, მისი ბუნება და ყველაფერი, ყველაფერი მისთვის უმაღლესია, — და ამიტომ მას ნატვრად აქვს თავისი საშობლო და ესეც მას სულიერ ტკივილთ აყენებს...

უცხოეთში ცხოვრება, ამ ცხოვრების მოწესრიგება და მოწყობა იოლი საქმე არაა, — ლუკმა-პურის მოპოვება ბეჭმეა და ძნელი, — და ეს მოვლენაც მას ცუდ სულიერ განწყობილებას უქმნის.

უცხოეთში იგი რჩება უცხო, ხან „ბინძური უცხოელი" (სალ ეტრანჟერ), ხან მომაბეზრებელი და შემაწუხებელი (ლესტიგერ აუსლენდერ), „ხან, თუმცა იშვიათად — „კარგი უცხოელი", მაგრამ მაინც უცხო, — და ეს ვითარებაც მას აშფოთებს. — ეს ამბავი ძველთა ძველია:

კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის არსებობდა და არსებობს ემიგრანტობა, — უკანასკნელ აღრევათა ხანაში მან ფართო გასაქანი მიიღო და საერთაშორისოდაც გადა-

იქცა, — დიდ ძვრათა და ნგევათა შედეგად, — იგი დიდად გაიზარდა, — ოღონდ ემიგრანტობას ისევე განიცდიდიან ვითარცა ყოველთვის ძველადაც.

ძველ ელლინთა ანუ ბერძენთა უდიდესი კაცი ევრიპიდეს (484 — 406 წ.წ. ქრისტეს წინ) თავის ერთ შესანიშნავ თხუზულებაში — ფოენისსაე — (391,392) ამბობს: —

რა არს იმაზე მეტი ჭირი, მოწყვეტილ იყო თავის სამშობლოს? — უუდიდესი; მართლაც უუდიდესი, რომლის აღწერა შეუძლებელ არს...

და ამბობს ისო ზირაქი თავის წიგნში სიბრძნისა: —

დასაბამი ცხოვრებისა კაცისა პური და წყალი, და სამოსელი, და სახლი დამფარველ სირცხვილისა. უმჯობეს არს ცხოვრება გლახაკისა ქვეშე საფარველსა ძელთათა, ვიდრეღა საჭმელსა კეთილსა უცხოთა შორის... (29:24-25)

და დიდი იტალიელი დანტე (1265 — 1321 წ.წ.) თავის უშესანიშნავეს თხუზულებაში — სამოთხე — ამბობს: (პარადისო, 27: 50 - 6) —

და შენ ნახავ, თუ რა მძიმე ხვედრია, სჭამო პური სხვისა, და რა მძიმეა ასვლა და ჩამოსვლა სხვის კიბეზე...

და ჩვენი დიდი მეცნიერი, კანონმდებელი და პოეტი, მეფე ვახტანგ მეექვსე (1675 — 1737 წწ.) რუსეთში ემიგრანტობის დროს სწერდა: —

სჯობს უჭმელობით სიკვდილი
საყვედურითა ჭამასა...

ასეთი არის ემიგრანტის მძიმე და უსასო ხვედრი უცხო მხარეში და ამიტომ ეროვნული და პოლიტიკური ემიგრაცია ყოველთვის თავდადებულად იბრძოდა თავისი სამშობლოს განსათავისუფლებლად და თავის ქვეყანაში მისაბრუნებლად. — ბევრ სხვა და სხვა ემიგრაციას ეს წილი არა ჰრგებია, — ნატრიონი სამშობლოს შესახებ არ აღსრულებია, — და იგი ან დაღუპულა, ან გადაგვარებულა!

ემიგრაციის სიცოცხლე ხანგრძლივი არ არის, მას არა სოდეს მზეგრძელობა არ შეხვედრია, — მეორე ან მესამე თაობა თავის ეროვნულ სახეს უკვე აღარ ატარებს — და შემდეგ უკვე მკრთალი მოგონებით-ღა რჩება...

ქართული ეროვნული ემიგრაცია ჯერ კიდევ ცოცხალია, — და ამ ახალი წელიწადის დამდეგს მას ვუსურვებთ გამარჯვებას, — გამარჯვება მისი არის სამშობლოს განთავისუფლება და მისი იქ მიბრუნება!

ბაბილონელთა ღმერთი ნაბო ანუ ნებო თავის ციურ წიგნში ახალი წელიწადის დღეს ყველას მომავალს უწერდა, ყველას თავის ბედს მიანიჭებდა...

ეგვიპტური ღმერთი თოტ იყო აგრეთვე მომავალისა და ბედის მწერალი.

ებრაელთ (კერძოდ: ფარისეველთ) რწამდათ, რომ იაჰვე (იეგოვა) ახალი წლის დღეს ყველას და ყველა ქვეყანას მომავალს გადაუწყვეტავს და ეს ციურ წიგნში იწერებაო!

ქრისტიანებმაც აღიარეს ეს ციური წიგნი და ქრისტიანულ უდიდეს გონებას, ორიგენეს რწამდა, რომ არსებობს წინასწარმეტყველური წიგნი, რომელში ადამიანთა და ხალხთა მომავალი აღინიშნებაო.

მაჰმადიანურ რწმენასაც აქვს ეს ციური წიგნი: —

„არ არსებობს არც ერთი ხორბალის მარცვალი, არც ერთი მწვანე და დაგვალული ბალახის ღერო, რომელიც სამარადისო წიგნში შეტანილი არ იყოს“ (ყურანი 6:59). ამ წიგნში სწერია ყველაფერი, რაც იყო, არის და იქნება!

ინდოეთში, სპარსეთში, სომხეთში, მცირე აზიაში, ყველგან და ევროპაშიც, — და საქართველოშიც სჯერათ ეს ციური წიგნი და ეს ბედისწერა!

რა უწერია საქართველოსა და ქართულ ემიგრაციას 1953 წლისათვის?

კაცმა ეს არ იცის; მხოლოდ ღმერთმა უწყის იგი, რომელი ხედავს დაფარულთა (მათე 6:6; 6:18), ჩვენ კი კაცთ დაგვრჩენია მარტოოდენ სურვილი და მისწრაფება...

საერთო რწმენა იყო, — სიტყვას აქვს თავისი შინაგანი ძალა, გამოუცნობი, ოღონდ გასანამდვილებელი მაგიური ძალაო, — ამიტომ დალოცვაც და დაწყევლაც, კარგი სურვილი და ავი სურვილიც, ამ წარმოთქმული სიტყვის ძალით უნდა განხორციელებულიყო; აქედან არის წარმოშობილი საახალწლო მილოცვაც; ამაზეა დამყარებული დალოცვა და დაკრულვაც...

ჩვენ აღვასრულებთ ამ კარგსა და ლამაზ ჩვეულებას, — და ქართულ ეროვნულ ემიგრაციას მივულოცავთ ახალ წელს და ვუსურვებთ მას ჯანმრთელად, ბედნიერად ცხოვრებას, მომავალ წელში გამარჯვებას და შინ, განთავისუფლებულ სამშობლოში მიბრუნებას.

ყოველ ახალ წელს მორწმუნე ურიანი ერთმანეთს მიულოცავდნენ და ეტყოდნენ: „გაისათ იერუსალიმში“!

ორი ათას წელიწადზე მეტი გაგრძელდა ასეთი მილოცვა ყოველ ახალ წელს, — და ბოლოს მაინც ისრაელნი იერუსალიმს მივიდნენ ...

ჩვენ კი ქართულ ეროვნულ ემიგრაციას ვუსურვებთ — ორი ათასი დღეც უცხო კარზე აღარ დარჩენილიყოს, — გარდახვეწილობაში და დევნილობაში, — მალე თავის კოპწია და მომხიბლავ „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“-ოვან სამშობლოს, — განთავისუფლებულ საქართველოს — სიყვარულით ჩაჰკონებოდეს, — და ქართული სისხლითა და ცრემლით გამაძღარი მიწის მიერ ნაჭირნახულევი საკუთარი ლუკმა-პურით მრავალჟამიერ ეცოცხლოს...

რიტონი

ვ. ნოზაძე

რა ხანია შენი მღერა
არ მსმენია, მენატრება!
შენთან დარჩა ჩემი ლხინა,
სიყრმის დრო და ნეტარება!
სხვა მდინარე ტბა მგონია,
როს ვიგონებ შენს გიჟს დენას,
უსაყვარლეს სახსოვარად
დაჭყვეი ჩემს წარმოდგენას.
ვით პატარას დედის ნანა
მასვენებდა შენ რომ გალობ,
ეს სიამე დამეკარგა
რაც შენგან შორს ვხეტიალობ!
ნეტავი შენ, მედიდურათ
ათამაშებ შუდამ ტალღებს,
ვერც ვერავინ მოგერევა,
ვერც ვერავინ დაგამარცხებს...

რალფი

საქართველოს სოციალ - ფედერალისტ. პარტიის ისტორიის ერთი მიმოხილვა

ეს პარტია ორგანიზაციულად 2 - 3 წლით უფრო გვიან ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი პირველი ჩასახვა მოხდა 1901 წ., როცა რუსეთი და ოფიციალური წრეები ქართული თავად - აზნაურობიდან საქართველოს ვითომდა „შეერთების“ 100 წლის თავს ზეიმობდა რუსეთის იმპერიასთან.

სოც. - ფედ. პარტიის მფუძემდებელებმა: არჩილ ჯორჯაძემ, გ. ლასხიშვილმა, გ. დეკანოზიშვილმა, ვლ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა გადასწყვიტეს შებრძოლებოდნენ ამ თავზე მოხვეულ სამარცვინო ზეიმს, საგანგებო დეკლარაციით მიემართათ მოწინავე ქართველებისათვის და საქართველოს ეროვნული უფლებები საქვეყნოდ დაეცვათ...

ამ საგანგებო ფურცლებმა საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამ ჯგუფის ირგვლივ მაშინვე ქართული ინტელიგენციის ნაწილი დაირაზმა და მან თავისი პარტიული და ეროვნული პროგრამა გაშალა „ცნობის ფურცელ“-ში და ჟურნალ „მოამბე“-ში, რომელსაც ჯერ ვალ. გუნია და შემდეგ ალ. ჯაბადარი აქვეყნებდნენ.

იმავე 1901 წელს, შემოდგომაზე, საინიციატივო ჯგუფმა მოიწვია ყრილობა თანამგრძნობთა თბილისიდან და მხარეებიდან. კრება, მიუხედავად არა - ლეგალური ხასიათისა, ბევრი წარმომადგენელი დაესწრო, რომელთაც პირველი კომიტეტი აირჩიეს.

კომიტეტმა შეაგროვა საჭირო თანხა და 1902 წელს გაისტუმრა საზღვარგარეთ არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი და სხვ., რომელთაც იქ საჭირო კავშირები გააბეს საფრანგეთის მოწინავე წრეებთან და შეუდგნენ საქართველოს საკითხზე ქადაგებას და ევროპისათვის გაცნობას. ამავე დროს მათ თავი მოუყარეს იქ მყოფ ქართველთაც და ამ რიგად 1903 წელს პარიზში გამოსცეს პირველი თავისუფალი ქართული ორგანო „საქართველო“, რომელმაც აშკარად წარმოადგინა **საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის საკითხი.** ჟურნალი დაადგა რადიკალური სოციალური განახლების გზას.

მალე ეს ორგანო ფრანგულ ენაზეც გამოსცეს, რათა საქართველოს საკითხი ევროპისათვის გაეცნოთ და რუსეთის მიერ მომხდარი ოკუპაცია და ტერორი საქვეყნოდ ემხილათ.

ერთგულთა დახმარებით, სოც. - ფედერალისტური პარტიის დიდი ორგანიზატორი, გიორგი დეკანოზიშვილი ამ ჟურნალებს საქართველოშიც განსაკუთრებულის მოხერხებით გზავნიდა და ავრცელებდა.

მალე ჟენევაში მოწვეულ იქმნენ ამ ჟურნალის რედაქციის ხელმძღვანელობით ქართულ მოწინავე ინტელიგენციის წრეები და ყრილობაზე მოხსნებებით გამოვიდნენ არჩ. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი, გაბუნია, გოგელია და სხვ.

ჟენევის ყრილობაზე ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული და სოციალისტური პარტია, რომლის პროგრამა საბოლოოდ შემუშავდა და დამტკიცდა ჯერ უცხოეთში და შემდეგ საქართველოში პარტიის ორგანიზაციების მიერ. პარტიას ეწოდა — „საქართველოს სოციალისტ - ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია“.

მალე მისი დროშის ირგვლივ დაირაზმა მოწინავე ქართველობა და კერძოდ ქართული რადიკალური ინტელიგენცია. ესენი ჩქარა დაეუფლნენ თითქმის ყველა ეროვნულ - საკულტურო საქმეებს; მათ მასსაში შეჰქონდათ ეროვნული დარაზმულობის და სახელმწიფო უფლებათა მოპოვების იდეები.

ეს ეროვნული და საკულტურო მოღვაწეობა იყო პარტიის ლეგალური მუშაობის ასპარეზი, რომელიც არა - ლეგალურ , ორგანიზაციულ მუშაობის გვერდით მიდიოდა.

ყველა ამან ითამაშა დიდი როლი საქართველოს აღდგენის და დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში.

ამიერკავკასიის მთავრობა, რომლის წევრი იყო სოც.-ფედერ. კიტა აბაშიძე, მალე შესცვალა უდღეურმა და გარდამავალმა ამიერკავკასიის ფედერატიულმა რესპუბლიკამ, რასაც მოჰყვა 26 მაისის ისტორიული აქტი.

26 მაისს შესდგა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობა, რომელშიაც მინისტრებად შედიოდა ორი სოც., - ფედერ. გიორგი ლასხიშვილი და შალვა მესხიშვილი.

ქართულ პირველ პარლამენტში ამ პარტიამ უდავოდ მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, სოც. - ფედერ. პარტიაც სხვა პარტიებთან ერთად, არა - ლეგალურ მდგომარეობაში გადავიდა; ყოველის დევნისა და საშინელ წამების მიუხედავად, ის მაინც განუხრელად იბრძოდა ქართული პატრიოტული საქმისათვის

1924 წლის აჯანყებისას და მას შემდეგ სოც. - ფედერ. პარტიის წევრებს ეროვნული მაღალი მცნებისათვის თავი დაუდვიათ. და დანარჩენთ კი არ დაუკარგავთ იმედი, რომ საქართველო დაბოლოს გამარჯვებული გამოვა...

აი, ეს პარტია ეხლა ნახევარ საუკუნეს ითვლის და, ვინაიდან დღის საქართველოში ამ თარიღის ხსენების საშუალებაც არაა, — საქართველოს სოც. - ფედერ. პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ აღნიშნა ეს ისტორიული დატა და გამოსცა საგანგებო რვეული: „სახალხო საქმე“.

კრებული „მამული“ მიულოცავს ქართველ სოც. - ფედერ. 50 წლის თავს და ამ დატის აღსანიშნავად ათავსებს ზოგ მასალას, რომელიც არა მარტო პარტიული მნიშვნელობისაა, არამედ საზოგადოებრივი განვითარებისათვისაც მნიშვნელოვანია. ამას გარდა ვბეჭდავთ ზოგ სოც. - ფედერ. მოღვაწეთა სურათს, — ამ პირთა კეთილ მოსაგონარად.

ნახევარი საუკუნის წინ

სადღეისო ამბები სოციალისტ - ფედერალისტური პარტიის ძველ დოკუმენტებში.-

ჩვენი უდიდესი ძვრებისა და ქარტეხილების ეპოქაში რომელი მოძრაობა, ან პარტია დაიჩემებდა, რომ მისი პროგრამა დღესაც იგივეა, რაც ნახევარ საუკუნის წინ ყოფილა! ასეთი კონსერვატორობა უდიდესი სიბეცის მომასწავებელია.

ყოველი ცოცხალი მოძრაობა უნდა ვითარდებოდეს და არსებულ მდგომარეობას ეგუებოდეს. ეს წინსვლის კანონია!

ურყევი რჩება მხოლოდ შორეული, საბოლოო იდეალები, რომლებიც ყველა ეპოქაში და პირობებში უნდა მართავდენ ჩვენს სასიცოცხლო ძალებსა და წინსვლას.

თუ საკითხს ასე დავაყენებთ, მიუხედავად იმისა, რომ სოც.-ფედ. პროგრამაში ბევრი რამ დღეისათვის უადგილოა და შესაცვლელი, უნდა აღვიაროთ რომ მთავარი სახელმძღვანელო პრინციპები და შორეული იდეალები ისევ ისე მაღალი და უცვლელი დარჩენილან, როგორიც ამ ნახევარი საუკუნის წინ ყოფილან.

ეს უმაღლესი, ურყევი იდეალი, რაიც სოც.-ფედერ. ბელადებმა ამ მოძრაობას ქვაკუთხედად დაუდეს, არის პიროვნების სრული განთავისუფლება ყოველგვარ ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრისაგან... მხოლოდ აბსოლუტურად განთავისუფლებული პიროვნება შეიძლება ჰარმონიულად განვითარდეს, პოტენცია სავსებით გაშალოს და მაქსიმალურ ქმედობას მიაღწიოს. ასეთი ადამიანი გარდაიქმნება იმ ძალად, რომელიც საიდუმლოებათა სამყაროს დაეუფლება და მის ფენომენს ან მეცნიერებით გახსნის, ან უმაღლესი ხელოვნებითი ქმედობით გამოაჩენს. ამნაირად, ადამიანი გახდება ბატონი ქვეყნის სულიერ და მატერიალურ სიმდიდრეთა.

მაგრამ სინამდვილის „გახსნის" პროცესის დროს თავისუფალ, ჰარმონიულ ადამიანში წარმოიშობა უმაღლესი, ეთიკური მოწოდება, რაც გამოვლინებას ითხოვს და რაიც ადამიანს დანარჩენ ცოცხალ არსებათაგან ასხვავებს. ის არის მოთხოვნილება: ანალიზით მიღწეულ სიმართლის — ცხოვრების სინამდვილის **სამართლიანობის სფეროში გადატანისა.**

მარტო სინამდვილის გახსნა, მისი ტენდენციის შესწავლა ცივი, ანალიტიკური გონების საქმეა მხოლოდ.

ადამიანს კი პოტენციალურად ჩანერგილი აქვს მოთხოვნილება (სტიმული) — მიღწეულ სინამდვილეთა ეთიკური და ესთეტიური გაშლისაკენ; ე. ი. მას „აწვალებს" ზნეობრივი ათვისების იდეა, რაც ადამიანს ამაღლებს და მის სიცოცხლეს აზრს აძლევს.

ეს არის წადილი „სამართლიანობის ძიებისა" სინამდვილის სამყაროში.

ასეთი ჰარმონიული პიროვნება, რა საკვირველია, სინამდვილეში მიუღწეველია და მისი იდეალებიც მუდამ „შორეულნი" იქმნებიან. ამიტომაც რჩება ეს ჩვენი სიცოცხლის მიზნად, ცხოვრების გამამდიდრებლად და გამამშვენებლად. ჩვენ არ ვიცით, ვინ და როდის მიაღწევს მას, მაგრამ ვიცით, რომ ესაა ჩვენი არსების შინაგანი სტიმული, ამით მივდივართ წინ, ეს გვამაღლებს და გვაკეთილშობილებს — ჩვენი შორეული იდეალი მუდამ უნდა მართავდეს ცხოვრების გზას.

ამ წინსვლაში ჩვენ მრავალი დაბრკოლება გვხვდება, ხშირად ბილიკებს ვუხვევთ, სინამდვილეს დიდ კომპრომისებზეც მივყევართ. მაგრამ ყველა ეს საშიში არაა, ვიდრე ის, შორეული იდეალი არ დაგვკარგვია — ის ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება იდეალად გაგვიხდია.

ასეთსავე სრულ განთავისუფლებას მოითხოვს უფრო რთული, შემკრებელობითი ინდივიდუალობა — ერი.

ამიტომაა ეს უმაღლესი პიროვნება — ერი — კაცობრიობისათვის უდიდესი ფასეულობა.

ჩვენ მის თავისუფლებას ვეწირებით, რადგან ვიცით, რომ მხოლოდ თავისუფალ ერს და მის დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუძლია წარმოშვას ინდივიდუალური შემოქმედება, ლაღი გამოვლინება მისი სულიერი და ნივთიერი რაობისა.

ერის განთავისუფლებამ კი მრავალი საფეხური უნდა განვლოს, ვიდრე ის სრული გახდება. როცა ის უდიდეს მონობაშია და მას გადაშენების საშიშროება უდგას, როცა ტერიტორია იცვლება, ენა ეკარგება, ტრადიციები ჰქრება, — ამ დროს მისთვის ოდნავი გასაქანი, ინდივიდუალურ შემოქმედების მცირედი საშუალებაც კი უდიდესი მიღწევაა. ეს არის პირველი პოზიციების დაპყრობა, საშინელ მორევში ფეხის მომაგრება. და აქ ძალამოკრებილი ის უფრო ადვილად იპყრობს მეორის, უფრო მაღალ საფეხურს და მოხერხებულ დროს უცდის მესამეს დასაუფლებლად.

გადავიდეთ ამ ზოგადიდან კონკრეტულ ფაქტებზე სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ცხოვრებიდან.

თუ გუშინ სოც. - ფედერ. პარტიის დროშაზე ავტონომია ეწერა, განა ეს იმ პირობებში „მორევში ფეხის მომაგრება" არ იყო? განა მას მეორე და მესამე საფეხური არ უნდა მოჰყოლოდა (რაიც 26 მაისმა მოგვცა). მაშ რას ნიშნავდა ინდივიდუმის და ერის ჰარმონიული თავისუფლება, რაიც იდეალად დაგვესახა?

მხოლოდ ბრიყვი იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძე თუ ერობას იცავდა და არჯილ ჯორჯაძე ტერიტორიალურ ავტონომიას, მათ ერის სრული დამოუკიდებლობა არა სწამდათო!

ისინი რეალისტები იყვნენ და ერის „ფეხის მომაგრებისათვის" იბრძოდნენ. ნახტომები მხოლოდ რევოლუციამ იცის და აქ სინამდვილე ხშირად ფანტასტიურ საფეხურებსაც კი უსწრებს.

ასე მოხდა 26 მაისს; სინამდვილემ ყველა პარტიების პროგრამები გადალახა და ჩვენ ამით ვამაყობთ.

მაგრამ ჩვენი იდეალი მაინც წინ, ძალიან შორს იყო და დღეს ხომ ბევრად უფრო შორსაა და ეს გამხდარა ჩვენთვის სავალალოდ...

ყველა ამის შემდეგ ჩვენთვის უფრო ნათელი გახდება ამბები ჩვენი ს.-ფედერალისტ. პარტიის ძველი სტრიქონებიდან, რომლებიც დღესაც ბევრ რასმეში სახელმძღვანელოდ უნდა მივიმჩნიოთ.

„ჩვენთვის ავტონომია ფეტიში არ ყოფილა" — ვკითხულობთ გაზ. „სახალხო საქმე"-ში, — „მთავარი იყო ქართველ ერში ეროვნული მეობის აღდგენა, აუცილებლობა მისი სახელმწიფოებრიობის და მაშინ ამისკენ გზა იყო ავტონომია, რაიც უკეთეს პირობებში უნდა დამთავრებულიყო ერის სრული სუვერენობით-ო. („სახალხო საქმე"). „საქართველოს სახელმწიფო იყო გამომსახველი, გამამტკიცებელი და დამცველი დარაჯი ქართველი ეროვნებისა. ამის შემდეგ იყო არა თუ დაძაბუნება და შესუსტება ქართული ეროვნებისა, არამედ შემუშავება პირობებისა ეროვნების სრული მოსპობისა და ქართველი ხალხის დედამიწის ზურგიდან აღგვისა"... (არჩილ ჯორჯაძე, წ. 1). და ამ „აღგვის" ხანაში გამოდის სოც. - ფედერ. პარტია საქარ. ავტონომიის, მისი ტერიტორიალ გამიჯვნის დროშით.

ამით სოც.-ფედერ. „პარტიამ ჩვენი ერის წინაშე დასვა ეროვნების პრობლემა, და დავა იმის გარშემო კი არ ტრიალებდა — ავტონომია, თუ არა...

გიორგი დეკანოზიშვილი
(1868 — 1910)

გიორგი ზდანევიჩი (1855 — 1917)

გიორგი ლასხიშვილი
საქართველოს პირველი მთავრობის
წევრი

არჩილ ჯორჯაძე
(1872 — 1913)



შალვა მესხიშვილი
საქართველოს პირველი მთავრობის
წევრი

გრიგოლ რცხილაძე

საქართველოს დესპანი ოსმალეთში



სვიმონ მდივანი 1876 — 1937)
საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავჯდომარის მოადგილე, საქართ.
წარმომადგენელი ანგორაში

ბრძოლა არსებითად იყო ერის უზენაესობის და პირველობის გამო. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ არავითარი განვითარება, არც პოლიტიკური, არც კულტურული და სოციალური არ შეიძლება გარეშე ეროვნული თავისუფლებისა... რომ ეროვნება უმაღლესი ფაქტორია ცივილიზაციისა, რომ ერი ერთი მთლიანი სხეულია, რომ არიან კლასები და კლასთა ბრძოლა, რომ სოციალური სამართლიანობის დამყარება აუცილებელია... მაგრამ **კლასთა და კლასობრივ მოთხოვნილებათა მაღლა დგას ერის ინტერესები, მისი ინტეგრალობა, მისი თვითმყოფობის და ცვა, რომელიც განსაკუთრებით საქართველოს პირობებში მოითხოვს ყველა კლასის და წოდების საერთო გამოსვლებს და ბრძოლას ქართულ ეროვნულ საქმისათვის**" („სახალხო საქმე"). ... „ვიმეორებთ, ავტონომია იყო ერთ - ერთი გზა ქართველი ერის ეროვნულ სახელმწიფოებრივ მისწრაფებათა რეალიზაციისათვის" (იქვე).

„ასევე მცდარია, როცა ჩვენს სახელწოდებას ფედერალისტებისას მარტავენ ისე, თითქოს ეს ნიშნავდა რუსეთთან ფედერაციას... ჩვენთვის ფედერალისტობა ნიშნავდა საერთოდ დეცენტრალიზაციას და **კავშირს თვითმმქმედ და თვითმართველ ორგანოებისას საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ დარგში** (ეკონომიკაშიც), და კერძოთ საერთაშორისო უფლებაში ჰგულისხმობდა **თავისუფალ ერებს თავისუფალ კავშირს.** ჩვენ, როგორც ფედერალიზმის პრინციპის დამცველებმა წამოვაყენეთ მაშინ კავკასიის ფედერაციის იდეა"... („სახალხო საქმე", ნომერი 8).

„სოც. ფედ. პარტიის მოღვაწეობა ეროვნულ საქმეში იყო საქართველოს სახელმწიფოებრივობის დროშის მაღლა აწევა და ეროვნების პირველ ადგილზე დამკვიდრება... სამშობლოს სიყვარული, სიყვარული მისი ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, ენის, და შემოქმედების, საკუთარი ეროვნული მეობის ღირსება, ეროვნული სახეობის გამოჩენა, დაცვა სამშობლოს ტერიტორიის, ეროვნების მაღალი შეგნება — აი, რის გარშემო ტრიალებდა პარტიის მოქმედება"... („სახ. საქმე", იქვე).

ეს გახლდათ მაშინ უდიდესი საქმე, რასაც იმ საშინელ ხიფათის ჟამს ჩვენი რაობა უნდა გადაერჩინა. მაშინ ხომ რუსეთი ერთბაშად წალეკას უქადდა ქართველობას....

„საქართველოს ხსენება აღკრძალული ჰქონდათ გაზეთებსაც კი, ქართული ენა ძაღლის ენად მონათლეს და განდევნეს ყოველ დაწესებულებიდან, სკოლიდან, ეკლესიებიდანაც ქალაქებში. ქართველისათვის გზა შეიკრა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურში. ქართველთა სამემკვიდრო მიწა - წყალს ყოველ მხრივ შემოესია უცხოელი და **ჩვენი ტერიტორია აივსო გარეშეებით.** ჩვენი დედაქალაქი სრულებით ჰკარგავს ეროვნულ ელფერს და სხვ.". („სახ. საქმე", ნომ 8).

ასეთ რთულ და უძნელეს პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება ამ ახალ მოძრაობას, როცა მას ეღობებოდა „გარედან უდიდესი საფრთხე და ყოველგვარი დაბრკოლებანი, შიგნით კი — ძველი ნაციონალური მოღვაწეების სრული დაუძლურება და შეუგნებლობა ცხოვრების ახალ ვითარებისა, ერთის მხრივ; და მეორეს მხრივ, — ახალი ძალები საუცხოოდ დარაზმულნი და დიდი აქტივობის მქონენი, რომელნიც ებრძოდნენ ეროვნულ მისწრაფებათა ყოველს გამოჟღავნებას"". (იქვე).

მიუდგომელ ისტორიკოსს არ შეუძლია განცვიფრება არ გამოსთქვას იმ წინდახედულების, ქართულ ვითარების სწორად ათვისების და მომავლის გზის დასახვის გამო, რაც დღესაც ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტისათვის მისაღებია და რაც ნახევარ საუკუნის წინ სოც. ფედ. პარტიის ხელმძღვანელებმა გამოამჟღავნეს.

თქვენ გაოცებთ ასეთი შორსმჭვრეტელობით დაგმობა რუსულ ცენტრალისტურ, არსებითად იმპერიალისტურ, თუნდაც დემოკრატიულ სისტემისა, რაც დღეს ასე მკაფიოდ გამოისახა და ერებისათვის აქტუალური გახდა. ამ სკეპსისს პარტია იმ თავითვე უპირდაპირებდა **დაჩაგრულ ერთა კავშირს და კერძოდ კავკასიის ერების ფედერაციას.** მეორეს მხრივ,, ერთა განთავისუფლება რუსთა ბატონობიდან პარტიას შესაძლებლად მიაჩნდა არა რაიმე რეფორმების გზით, არამედ **მხოლოდ ბრძოლით,** ძალთა შეკავშირებით და რევოლუციონური და რაზმვით. ისტორიამ ეს დებულება გამართლა... ეს იდეა დღესაც საპროგრამო და აქტუალურია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა გავეცნოთ ამ ნახევარი საუკუნის წინ სოც. - ფედერ. პარტიის პირველ ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციებს; ამასთან ერთად როგორც ისტორიული დოკუმენტი, ასევე საინტერესოა „მემუარი", რომელიც ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, სოც. ფედერ. დავალებით, მის წარმომადგენელს ბ-ნ მიხეილ წერეთელს ივნისში, 1917 წელს — სტოკჰოლმის სოციალისტურ კონფერენციისათვის წარუდგენია.

ეს დოკუმენტი სწორი ლოგიკური განვითარებაა პარტიის იმ ნაზისა, რაც მას დღიდან ჩასახვისა ახასიათებდა და რაც მან თვისი პირველი კონფერენციის რეზოლუციებში გამოსახა. ამ ორივე დაკომენტში ნათლად გამოსჭვივის ქართველი ერის მისწრაფება **დაკარგული სახელმწიფოს აღსადგენად** და რომ ამ მიზნის მიღწევა **მხოლოდ რევოლუციონურის აქტით და ბრძოლით შეუძლია** ქართველ ერს და **მტკიცე ფრონტი უნდა შეიქმნას რუსეთის მიერ დამონებულ ერებთან ერთად იმპერიის დასაშლელად და ერთა განსათავისუფლებლად.**

ამავე დროს საქართველომ არავითარ ილუზიებს არ უნდა მისცეს თავი და კარგად უნდა იცოდეს, რომ არც დემოკრატიული რუსეთი და რუსობა უბრძოლელად არ დაუთმობს ქართველობას მის ეროვნულ უფლებებს...

გ. ა. უტეხელი

1.

საქართველოს სოციალისტ - ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის პირველი ყრილობის დადგენილებანი.

5. რეზოლუცია სარევოლუციო ტაქტიკის შესახებ.

აღვიარებთ რა:

რომ ქართველმა ხალხმა უნდა იბრძოლოს: 1) სოციალურ სამართლიანობისა და ეკონომიური თანასწორობისათვის და 2) ეროვნულ უფლებათა აღდგენისა და კავკასიის სხვა ერებთან ფედერატიულის კავშირით შეკავშირებისათვის;

რომ მშვიდობიანის გზით და კანონიერის ზომებით ქართველი ხალხი ვერ განახორციელებს თვისთა მისწრაფებათა, არამედ მხოლოდ რევოლუციონურ გზით, იარაღით ხელში, შეიძლება ამ მისწრაფებათა განხორციელება;

რომ საჭიროა ბრძოლა არა მარტო თანამედროვე თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ, არამედ მომავალ ცენტრალისტურ რესპუბლიკასთანაც კი, რომელიც შესაძლებელია რუსეთში დაარსდეს და გადეღობოს წინ ქართველ ხალხის სოციალურ, ეკონომიურ და ეროვნულ განთავისუფლებას;

ვაცხადებთ,

რომ ამ ბრძოლის დაგვირგვინებისათვის საჭიროა:
არალეგალურ ლიტერატურის გავრცელებისა და სიტყვიერ პროპაგანდის გარდა, ორგანიზაცია ხალხისა პოლიციასა და ჯართან შეტაკებისათვის გაფიცვებისა და დემონსტრაციების დროს, ორგანიზაცია სარევოლუციო რაზმთა ბუროკრატულ, სამხედრო და სხვა ამგვარ დაწესებულებათა დასამხობად და აღმოსაფხვრელად.

6. რეზოლუცია შესახებ იმ განწყობილობისა, რომელიც ქართველ რევოლუციონერებმა უნდა იქონიონ რუსეთში მცხოვრებ სხვა - და სხვა პარტიებთან.

კონფერენცია ქართველ სარევოლუციო ჯგუფთა უცხადებს თანაგრძნობას და მზად არის დახმარება აღმოუჩინოს ყველა ოპოზიციონურ და სარევოლუციო პარტიებს, რომელნიც იბრძვიან რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რუსის ხალხისა და რუსეთის მთავრობის მიერ ყველა დაჩაგრულ ერთა პოლიტიკურ განთავისუფლებისათვის.

8. — **რეზოლუცია გაზეთ „საქართველოს“ შესახებ.**

რადგან კონფერენციის წევრებმა დიდის ხმის უმრავლესობით სრული სოლიდარობა და თანხმობა გაუცხადეს მუშათა, აგრარულ, ეროვნულ და სარევოლუციო ტაქტიკის კითხვათა გამორკვევის დროს (იხ. რეზ.);

რადგან „საქართველოს“ რედაქციის წარმომადგენლებმაც აღნიშნულ კითხვათა განმარტების დროს სრული თანხმობა გამოუცხადეს კონფერენციას,

კონფერენცია აცხადებს სურვილს, რომ „საქართველო“ აღიარებულ იქმნას კონფერენციის აზრთა გამომსახველ ორგანოდ და, თანახმად რედაქციის წინადადებისა, დაერქვას: „ქართველ სოციალისტ - ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო“.

2.

მემუარი

წარდგენილი სტოკჰოლმის სოციალისტური საერთაშორისო კომისიისადმი სოციალისტ - ფედერალისტთა პარტიის წევრის მ. წერეთლისა და ქართველ ნაციონალ - დემოკრატიულ პარტიის წევრის გიორგი მაჩაბელის მიერ: (ზოგი ადგილი)

(ამოღებულია „ქართული გაზეთი“-დან, ნომერი 31, 1 — 9 — 1917ელი, ბერლინი).

„საქართველო არ არის რუსთაგან დაპყრობილი ქვეყანა. აღმოსავლეთ საქართველომ აღიარა რუსეთის პროტექტორატი 1783 წ. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორე და რუსეთის ხელმწიფის ეკატერინე მეორეს შორის დადებულ ხელშეკრულების ძალით. ხოლო დასავლეთი საქართველო შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ 1804 წ. ხელშეკრულების ძალით, რომელიც დასდვა იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველთან გენერალ ციციანოვის შუამავლობით.

ამ ხელშეკრულებათა ძალით ორივე ნაწილი საქართველოისა სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო შინაგან საქმეებში, ხოლო ხელს იღებდა იმ უფლებაზე, რომ უცხო სახელმწიფოებთან დამოუკიდებლად ეწარმოებინა საქმეები.

ქართველებმა რუსები მიიღეს ამ ხელშეკრულებათა დადებისა და რატიფიკაციის შემდეგ, როგორც მოკავშირენი და მფარველნი, მაგრამ რუსებმა დაარღვიეს ხელშეკრულებანი იმპერატორ პავლე პირველის მანიფესტით და აგრეთვე მანიფესტით იმპერატორ ალექსანდრე პირველისა (12 — 9 — 1801 წ.) და დაიჭირეს რა საქართველო სამხედრო ძალებით, გარდაქმნეს იგი რუსეთის გუბერნიებად და თანდათან ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა მაგივრად შექმნეს რუსულნი. 115 წლის განმავლობაში განიცდიდა საქართველო მხეცურ გამარუსებელ პოლიტიკას. რუსეთის მთავრობა სდევნიდა ქართულ ენას, მიწებს ართმევდა გლეხობას, ასახლებდა საქართველოში რუსებს, რომ ქვეყანა გაერუსებინა, მან მოსპო დამოუკიდებლობა უძველეს იბერიის ეკლესიისა, განძარცვა იგი და დაამდაბლა... მან აიძულა ქართველი კაცი წინააღმდეგ ხელშეკრულებათა, რუსეთში მოეხადა სამხედრო ბეგარა, ხოლო რუსეთში ქართველი ან ვერა სძლებდა, და სულსა ლევდა იქვე, ან და შინ დაავადმყოფებული ბრუნდებოდა... რუსეთმა სისხლში ჩაახრჩო ის აჯანყებანი, რომელნიც ქართველებმა 1804, 1812 წ. და შემდეგ მოაწყვეს, რომ გაენთავისუფლებინათ სამშობლო ფიცის გამტეხ ბატონებისაგან...

... სოც. - ფედერ. პარტიამ შეჰქმნა ქართულ ენაზე საკუთარი სოციალისტური მწერლობა და პრესა. ხოლო მის პროგრამას განსაკუთრებით ახასიათებს მათი (სოც. ფედერ.) უმთავრესი პოლიტიკური მოთხოვნა, რომ აღდგენილ იყოს ტერიტორიალური ავტონომია საქართველოისა, რომელიც რუსეთმა მოსპო წინააღმდეგ 1783 წლის და 1804 წლის ხელშეკრულებათა. აგრეთვე მათის პოლიტიკურის პროგრამის მიხედვით მთელი კავკასია უნდა შესდგეს ერთ კონფედერაციად...

... რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელთ ჯერ არ უჩვენებიათ ჩვენთვის, რომ იგინი მართლაც მიისწრაფიან ერთა სწორუფლებიანობის განხორციელებისაკენ. პირიქით, იგინი აცხადებენ, რომ მოძრაობას შედეგად არ უნდა მოჰყვეს დეცენტრალიზაცია სახელმწიფოისაო. დამოუკიდებელი რევოლუციონური მოქმედება რუსეთის ერთა საზოგადოდ რევოლუციისათვის მავნებელიაო. ამ შემცდარი რწმენით ხელმძღვანელობდნენ ისინი, როცა გადასდვეს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის გადაწყვეტა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, როდესაც მათ მოსპეს ქართული ეროვნულნი და სამხედრო ორგანიზაციები, შექმნილნი ამ რევოლუციის დროს იმ მიზეზით, რომ იგინი ჯარის ერთობას ხელს უშლიდენ. მათ არ სწამთ აგრეთვე ავტონომია არც საქართველოისა, არც უკრაინისა და არც სხვა ერთა, თუ ძალად არ აწამებინეს იგი თავისუფლებისათვის მებრძოლმა ერებმა, და არ აღიარებენ რუსეთის ერთა მიერ საკუთარ დამფუძნებელ კრებათა მოწვევის უფლებას...

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქართველ ერს, რომელსაც უჭირავს ტერიტორია 40.000 ინგლისურ ოთხკუთხედ მილისა, სადაც ცხოვრობს სამი მილიონი წმინდა ქართველი და ნახევარი მილიონი არა ქართველი, უფლება აქვს და შეუძლია კიდეც შეჰქმნას ავტონომიური პოლიტიკური სხეული და იცხოვროს დამოუკიდებლად, რადგან სამეურნეო ცხოვრება მისი საკმაოდ განვითარებულია და რადგანაც მას აქვს ძველი კულტურა და ორიათასი წლის პოლიტიკური ისტორია.

ყველა ამის გამო ჩვენ მოვითხოვთ — მიეცეს უფლება საქართველოს, რომლის ტერიტორია შეიცავს გუბერნიებს თბილისას და ქუთაისისას, ოლ-

ქებს ბათომისას და სოხუმისას, ზაქა-თალისა და ყარსის ოლქთა ნახევარს და სადაც მცხოვრებთა 85 პროცენტი წმინდა ქართველია (მართლმადიდებელი, მაჰმადიანი და კათოლიკე) მოიწვიოს საკუთარი დამფუძნებელი კრება.... და სხვა...

ეს მემორანდუმი წარადგინეს სტოკჰოლმში 25 ივნისს 1917 წ.

„ერთი ისტორიული თარიღის გამო“

(პასუხი ბ-ნ გ. კერესელიძეს)

როგორც მკითხველს ეხსომება, 1951 წლის აგვისტოში საგანგებო ფურცლებით მივმართე ქართულ ემიგრაციის ზოგ წევრთ და ვსთხოვე რაიმე მოგონება, ან სხვა მასალა მოეწოდებინა ჩემ მიერ განზრახულ გამოცემისათვის: „სახალხო საქმე“.

ეს კრებული უნდა მიძღვნილიყო საქართველოს სოციალისტ - ფედერალისტური პარტიის დაარსებიდან 50 წლის თავის შესრულებას.

სხვათა შორის ბ-ნ გ. კერესელიძესაც გაეგზავნა ამგვარი მოწოდება.

მრავალთაგან, რომელთაც ეს მოძრაობა არც წარსულში და არც შემდეგ არ ენათესავებოდა, სრული თანაგრძნობის პასუხი და თბილი მოგონებანი მიიღო რედაქციამ, რომელთა დიდი ნაწილი უკვე დაიბეჭდა „სახალხო საქმე“-ში.

ამ მრავალ პასუხთა შორის იყო მხოლოდ ერთი, რომელსაც დისონანსი შეჰქონდა ერთსულოვან გამოხმაურებაში. ეს გახლდათ ბ. გ. კერესელიძის პასუხი, რომელმაც მეტად გამაოცა. „ბევრი მოგონებები მაქვს, ხოლო ეშიშობ თქვენ არ დასტამბავთ, რადგან ბევრ კარგთან, ზოგიერთი არა კარგი მოგონებაცა მაქვს“-ო, მწერდა ის. როცა ვისმეს, ან რომელსამე ორგანოს იუბილეის უხდიან, ცოტა უხერხულია „არა კარგი მოგონებების“ ჩამოთვლა, ეს ბ-ნ კერესელიძესაც უნდა მოეხსენებოდეს. მაგრამ ვერც ამ „ჩამოთვლი“-ს შეეშინდებოდა რედაქციას, რადგან პოლიტიკური პარტიის ავ - კარგი მთელი ერის თვალწინ ჩატარდა, პრესაში და საჯაროდ გამომჟღავნდა და ამ მოძრაობას, რომელსაც მთელი მოწინავე და იდეური ქართველები მხარში უდგა, რად უნდა შეშინებოდა ბ-ნ კერესელიძის „ზოგიერთ მოგონებათა“.

მართალი მოგახსენოთ, გული მატკინა ამ კაცის პასუხმა, რომელიც ერთ დროს თვითონ ამ პარტიის წევრი იყო და რომლისგანაც უფრო ნაკლებ მოველოდით ასეთ გამოხმაურებას. ვამჯობინე „პასუხი“ უპასუხოდ დამეტოვებინა, მით უმეტეს, რომ ბ-ნ კერესელიძის წერილში ერთი **დიდი გაუგებრობა იყო,** რის გამო ახსნა - განმარტება უხერხულადაც მიმაჩნდა.

საკითხი შეეხებოდა 1901 წ. ჩვენი თავადაზნაურობის, **როგორც ბრწყინვალე წოდების** მიერ გადახდილ ზეიმს საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ 100 წლის თავზე.

ყველამ, გარდა ბ-ნ კერესელიძისა სწორად გაიგო ეს ისტორიული ფაქტი და არვის უსაყვედურია ჯორჯაძისთვის, არც ლასხიშვილ-რცხილაძისთვის და არც დანარჩენთათვის, რომელნიც ამ სამარცხვინო ზეიმს ჩვენი ბრწყინვალე წოდებისას ჰკიცხავდნენ... სწორედ ამან გამოიწვია ის არალეგალური ფურცლები, რაიც მაშინ სოც.-ფედ. გამოსცეს.

მე კარგად ვიცი, რომ არჩილ ჯორჯაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, ლორთქიფანიძე და სხვ. თავადები იყვნენ. მერმეთ ეს რამეს სცვლის? სწორედ ეს **თავადები** ამბობენ, რომ ბრწყინვალე წოდებამ, **როგორც წოდებამ,** ამ 50 წლ. წინად სამარცხვინო ნაბიჯი გადადგა და რუსებთან ერთად საქართველოს სამეფოს გაუქმება იდღესასწაულა. რასაკვირველია, ამ თავადებში იყო წარჩინებული და სასახელო ჯგუფი, მებრძოლი პატრიოტები და აი, სწორედ ესენი დაირაზმნენ არჩილ ჯორჯაძის ირგვლივ და მარშლებს და მათ ოფიციალურ ნაბიჯს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. ეს ფაქტიური მასალაა და ბ-ნ კერესელიძეს ამის გასაბათილებელი „მოგონებანი“ არ უნდა ჰქონდეს.

მე ბ-ნ კერესელიძესთან ერთად მოწმე ვარ იმ დიდ ისტორიულ და ბრწყინვალე ნაბიჯისა, რაიც თავადაზნაურობამ და მისმა ღირსეულმა მარშალმა ბ. კოტე აბხაზმა გადადგეს ნოემბერში 1917 წელს ეროვნულ საბჭოს წინაშე. ეს იყო მისი უკვდავი ნაბიჯი და უკანასკნელი აქტი, **როგორც წოდებისა.**

მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენი ბრწყინვალე წოდების და მარშალ მელიქიშვილის მიერ ამ 50 წლის წინ გადახდილი ზეიმი, სამარცხვინო ფურცელად დარჩება ჩვენს მატიანეში...

და მაშინდელი თავადები, როგორც კარგი ქართველები, ჰგმობდნენ საკუთარ წოდების ამ ოფიციალურ ნაბიჯს.

ეს სიტყვები: „რათა გვჭირდება სამარეშიაც კი არ მივსცეთ მოსვენება ამ წარჩინებულ წოდებას“-ო, რასაც ბ- კერესელიძე ცოტა დემაგოგიურის, მაგრამ უადგილო დემაგოგიურის ხერხით ხმარობს, მე არ შემეხება... **ის შეეხება ბრწყინვალე თავადებს,** რომელთაც დაჰგმეს მარშლების და წოდების ოფიციალურ წარმომადგენელთა ნაბიჯი და მათგან გაიმიჯნეს. ამით ისინი ერის ღირსების დამცველებად გამოვიდნენ და **ჰეშმარიტ თავადებათ იქცნენ** ჩვენი ერის მებრძოლ ნაწილისა.

კიდევ ბევრი რასმეს თქმა შემეძლო მაშინვე ბ. კერესელიძისათვის, მაგრამ სიჩუმე ვამჯობინე...

მაგრამ ბ-ნმა კერესელიძემ ამ სიჩუმედან სხვა დასკვნები გააკეთა და თვისი „პასუხი“ საქვეყნოდ გამოიტანა. „ბ. ა. პაპავას ფურცლებს **არავინ** გამოეხმაურა“-ო, სწერს ის, „და არც მე გამცა მან პასუხი“-ო...

ბ. კერესელიძეს რომ ცოტა კიდევ დაეცადა, დაინახავდა, რომ ამ ისტორიულ თარიღს **ჩინებული გამოხმაურება ჰქონდა** და ჩვენი ემიგრაცია ღირსეულად შეეგება ამ იუბილეის; „სახალხო საქმე“ ამას საკმაოდ ამტკიცებს. ხოლო რად არ გავეც მას კერძოდ პასუხი, ეს ამ წერილიდანა სჩანს...

უნდა გამოვტყდე, ბ. კერესელიძის წერილის გამოქვეყნებამ „ბედი ქართლისა“-ში კიდევ უფრო მატკინა გული; სჯობდა კიდევ დაეცადა ავტორს და თვით **იმავ ნომერში** („ბედი ქართ

ლისა“ ნომერი 12) წაეკითხა ზოგი ადგილები, რაიც მას თვის წერილზე ჩააფიქრებდა. „ირაკლის დიდი ხანია გადაეწყვიტა ბედი ქართლისა“, ვკითხულობთ იქ, „და არა მარტო ირაკლის, არამედ **მთელ მაშინდელ თავად აზნაურობას, რომელიც განაგებდა ს ქართველოს ბედიღბალს.** და საქართველომ თავისი ხელით გამოიჭრა ყელი რუსეთის ტახტის წინაშე“... ან კიდევ ქვევით: მაშინ არავინ იბრძოდა „გარდა თავგანწირულ ბატონიშვილთა, რომელთაც **ჩვენი უპირველესი თავადები მგლებივით დასდევდნენ დასაჭერად**“, ან კიდევ ქვევით: „მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში... **ჩვენი დალაჩრება უმწვერვალესი ხარისხისა იყო** — ჩინ - მენდლებით შეიმოსა **მთელი ბრწყინვალე წოდება**“... და სხვა. ჟურნალის იმავე რვეულში ეს ანალიზი ეკუთვნის ბ-ნ კერესელიძის ძველ მეგობარს ბ-ნ მიხ. წერეთელს; უნდა დავუმატოთ, რომ ბ. მიხ. წერეთელმა ძალიან კარგად იცის, რომ ჭავჭავაძე, წერეთელი, ორბელიანი, ჯორჯაძე, აბაშიძე, ლორთქიფანიძე და სხვანი თავადები იყვნენ, მაგრამ ისინი თავად თათქარიძეს და **მის წოდებას** კი არ იცავდნენ, არამედ ქართველობას და მის ღირსებას. მე არ ვეტყვი ბ-ნ მიხეილს: „სამარეში მაინც მიეცით მოსვენება ამ „წარჩინებულ წოდებასა“-თქო...

და მე იმედი მაქვს — დღეს არც ბ. კერესელიძე ჰკადრებს მას ამგვარ რასმეს...

აკ. პაპავა

მადლობის გამოცხადება

დ. პ. ბ-ნო რედაქტორო,

ნება მიბოძეთ „მამული“-ს საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კრებულ „სახალხო საქმის“ ფონდს შემოსწირეს განსაზღვრული თანხა, რათა კრებულის შემდეგი რვეულის გამოცემა შესაძლებელ ჰყონ.

ამ ჟამად ვაქვეყნებთ ჩრდილოეთ ამერიკიდან მიღებულ შემომწირველთა სიას: ჰოლივუდში ბ-ნმა სანდრო ნებლომ შეჰკრიბა 495 პესო.

შემომწირველები:

	პესო
ბ-ნი კოლია ქვარიანი	150
ქბ-ბ ლიდა და ალ. პაპუაშვილი	150
თენგიზ დადეშკელიანი	75
შალვა მარგველაშვილი	75
შ. მახათაძე	15
შ. დუმბაძე	15
ა. ფუტკარაძე	15
ნიუიორკში ქ-ნ კორზონისამ შეჰკრიბა	90
უცნობისაგან	75

ჩვენი რედაქცია გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

პატივისცემით **აკ. პაპავა**
რედაქტორი „სახალხო საქმისა“.

ქართული ოქროქანდლობა და წმიდა გიორგის ტაძარი იურიევო პოლოცკოიში

ქართული ხელოვნების გავლენა სამხრეთი რუსეთის ძეგლებზე, თავის დროზე ზოგადად აღნიშნეს—ნ. კონდაკოვმა, თ. შმიდტმა, ვიოლეტ ლე დუკმა, სტრიგოვსკიმ და მისმა მოწაფემ, ჰ. გლუკმა.

სამწუხაროდ, მათი აზრი ამ მხრივ მხოლოდ ზოგადი ხასიათისა არის და ღრმა მეცნიერულ ანალიზს მოკლებული. კონდაკოვი, შმიდტი და ვიოლეტ ლე დუკი ფიქრობენ, რომ სამხრეთი რუსეთისა და უკრაინის პროვინციებში, საქართველოდან მოწვეულ ოსტატებს: ხუროებსა და მხატვრებს უნდა ემუშავნათო. საამისოდ მოაქვთ შესატყვისი მაგალითებიც, როგორც ხუროთმოძღვრული, ისე ფრესკული ხელოვნების ძეგლებისა. გამონაკლისს შეადგენს ამ მხრივ ვენის უნივერსიტეტის პროფესორ სტრიგოვსკის მოსაზრება, რომელმაც სომხეთში დაჰყო, მისი ხელოვნების ძეგლებიც სხვებზე უკეთესად შეისწავლა და ამის შედეგად ოცდა ათი წლის წინად, ორი სქელ - ტანიანი შრომაც გამოსცა Baukunst der Armenien und Europa. I und II Bd. Wien, 1918. ..

ამ შრომაში სტრიგოვსკი შეეცადა, ევროპიული ხუროთმოძღვრების საწყისი, მისი პირველადი აღნაგობის ფორმებისა და ელემენტების ძირი სომხეთში მოეძია. (მისმა გაყალბებულმა ტენდენციურმა და ნაწილობრივ უსაფუძვლო თეორიამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ხელოვნების მცოდნეებში. ამის შესახებ ბევრჯერ ითქვა და დაიწერა. აქ ჩვენს მიზანს არ შეადგენს მისი შრომა განვიხილოთ).

ჩვენთვის საინტერესო არის მხოლოდ ის, რომ სტრიგოვსკი ამ შრომაში ეხება ქართული ხელოვნების გავლენას რუსეთზე, მაგრამ დასძენს, რომ ეს გავლენა უშუალო არ არის, არამედ სომხეთიდან მომდინარეობსო (საქართველოზე გავლით). ამ მოსაზრების გასამტკიცებლად იხსენიებს წმ. გიორგის ტაძრის (იურიევო - პოლოცკოიში) და ახტამარის (სომხეთში), გარე პლასტიურ სამკაულს, რომელიც მცენარეული ორნამენტისა და ცალკე პლასტიური გამოსახულებებისაგან შესდგება. ეს ორი ძეგლი გარეგნული აღნაგობით მართლაც საოცარ მსგავსებას გვიჩვენებს, მაგრამ თუ მის ცალკეულ დეტალებს დავუკვირდებით და საფუძვლიანად შევისწავლით სინამდვილეში დიდ განსხვავებას დავინახავთ.

ახტამარის გარეთა კედლების ზემოთა ორი მესამედი რელიეფითა და ორნამენტებით არის შემკული, რომელიც განსაკუთრებულ კანონზომიერებას ექვემდებარება. კედლის ზემოთა ნაწილს გარს უვლის ყურძენ - მოსხმული ვაზის წრიული ორნამენტი, რომელშიც ადამიანებისა და ზღაპრული ცხოველების გამოსახულებებია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ არა გვაქვს ორნამენტის მრავალფეროობა, არამედ ერთი და იგივე მოტივი გადაჯაჭვული მეორდება დაუსრულებლად. ამ ქვედა სარტყელზე კი, ისტორიული, ბიბლიური და ლეგენდარული—როგორც ცალკეული, ისე ჯგუფური — კომპოზიციებია. ოდნავ ზემოდ, აგრეთვე სწორხაზობრივად ასიმეტრიულად განლაგებული, წრიული ჩარჩოთი შემოზღუდული, წმიდანების მკერდული გამოსახულებები.

როგორც ორნამენტი, აგრეთვე სხვა პლასტიური გამოსახულებანი ამჟღავნებენ მოუქნელ, მოუხეშავ ფორმებს. აქ არა გვაქვს ხაზის მოქნილი მდინარება და მისი ორგანიული გადასვლა. ფიგურები მოუქნელი, მოდელირებას მოკლებული და უპროპორციო. სამო-

ილორის წმიდა გიორგი

იურიევო - პალოცკოის ხატი

სი გახევებული.

იურიევო - პოლოცკოიში სულ სხვა სურათსა ვხედავთ: სამკაულის დეტალები და მისი აგებულების პრინციპი ფორმალური თვალსაზრისით, ახტამარისაგან განირჩევა. აქ კედლის მთელი სიბრტყეებია სამკაულით შემოსილი. არა გვაქვს „მკვდარი“ ანუ ყრუ ადგილები. უწინარეს სხვათა, განსხვავებას ნათლად ვხედავთ თვით ორნამენტალურ მოტივში. იურიევო-პოლოცკოიში ეს უფრო პლასტიურია, დინამიური, ურთიერთზე გადაწნული განშტოებებით. ტექნიკური დამუშავების მხრივ გაცილებით წინ წასული, ფაქიზი და მოხდენილი, ვიდრე ახტამარ. აქ ვერ ვამჩნევთ იმ მესოპოტამურ ხასიათს, რასაც სტრიგოვსკი სომხურ ძეგლებში ხედავს. განსხვავება უფრო დამაჯერებელი იქნება თუ იურიევო - პოლოცკოის წმიდა გიორგის რელიეფს ახტამარის რომელიმე გამოსახულებას ამოვუყენებთ გვერდით. წმიდა გიორგი „რეალური“ ფიგურაა, მისი სხეული პროპორციულად აგებული, კიდურები ერთი მეორესთან შეთანხმებული, დგომა მყარი, სამოსელის ცალკეული ნაწილები შეცნობილი და ნამდვილად გააზრებული, რაც მას ცხოვრებისეულობას ჰმატებს და ახტამარის მონოტონურ ფიგურებს აშორებს. იმისდა მიუხედავად, რომ წ. გიორგი სიბრტყის გამოსახულებაა, — ოსტატი მაინც სივრცის სიღრმეს გვიჩვენებს, — მაგალითად, ტანისამოსი დანაოჭებულია. ზოგი ჩაზნექილი, და ჩრდილული, ზოგი კი ამობერილი — ნათელი— მარჯვენა ხელი შემოვლებული აქვს შუბზე, ფეხის ტერფები -- ცერად გადგმული. მასში ვხედავთ სხეულის მოდელირების მისწრაფებას, ფორმების მომრგვალებას, „განსხეულებას“. ეს სივრცის მიცემის კანონები ახტამარის ოსტატისათვის — უცნობია. იგი გაცილებით ჩამორჩება წმ. გიორგის ოსტატს ტექნიკური დამუშავებითაც. წმ. გიორგი ახტამარისათვის უცხო გონით არის შთაბერვილი.

ამ რიგად, ეს შედარებები ნაყოფს ვერ მოგვცემს და თუ მოვიგონებთ იმ ამბავს, რომ ამ ორ ძეგლს ერთი მეორესაგან სამასი წელიწადი აშორებს (ახტამარი 915/21 —; იურიევო - პოლოცკოი 1230/34), მაშინ ჩვენი მოსაზრება უფრო განმტკიცდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ სომხური ტაძრების ორნამენტი მეტად ნაირფერია. თვით პრ. სტრიგოვსკი აქ ხედავს მესოპოტამურ, სპარსულ და სხვა აღმოსავლურ განშტოებების მძლავრ გავლენას. გარნიში ჩვენ ვხვდებით თვით ჰელლინისტური და რომაული ორნამენტების მთელ რიგს, რომელიც გადაუმუშავებლად და შეუცვლელად პირწმინდად გადმოღებული არის სხვათა მონაპოვარიდან.

ერთი რამ მაინც უდავო არის, — რომ სომხურ ორნამენტში ნაციონალური მოტივები ისე მკვეთრად არ გამოკვეთილა, როგორც საქართველოში; სომხეთში უცხო ნაკადი მძლე გამოდგა და წმინდა ნაციონალური ფორმების ჩამოსხმა შეაფერხა.

მეორე მხრივ აღნიშნული ძეგლი არც რუსული ნაციონალური შემოქმედების ნაყოფია, მაგგვარი მისი არ მოგვეპოვება და უჩვეულოა რუსულ ქრისტიანულ ხელოვნებაში. მკვლევარმა ალპატოვმა შენიშნა ამ უცხო სტილის შექმნა[1]) და იტყოდა, რომ ამ ტაძრის მდიდარი სამკაული ოქრომჭედლობის ნიმუშებს მოგვაგონებსო. ამავე თვალსაზრისს იზიარებს აგრეთვე ფანინა, როდესაც ამბობს: „იურიევო - პალოცკოის სამკაული მთლიანად აღძრავს მეტად ზუსტი, ფაქიზი ნამუშევარის შთაბეჭდილებას და მცი

---

[1]) Alpatow - Brunow — "Geschichte der Altrussischen Kunst". Wien, 1941. p. 268. ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ხელოვნების ძეგლის, და არა მონუმენტალური, ქვის სკულპტურის შთაბეჭდილებას სტოვებს“-ო.[2]).

მეორე ადგილას დასძენს ავტორი, რომ ზღაპრული არსებანი, ცხოველნი და მცენარენი უმთავრესად მცირე ხელოვნების საფუძველზე უნდა იყოს დამყარებულიო.[3]). ფანინა იქვე ამასთანავე გაკვრით აღნიშნავს იურიევ-პოლოცკოიზე კავკასიურ გავლენას, თუმცა, სამწუხაროდ, შესატყვისსა და მონათესავე ნიმუშებს არ ასახელებს.

ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ წმ. გიორგის ტაძრის სამკაულს ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებს შევადარებთ. მცენარეული ორნამენტისათვის დავასახელოთ წყაროსთავის სახარების მოჭედილი ყდა, ან ხახულის ხატი, რომელიც რუსული ტაძრის ორნამენტს ერთი საუკუნით წინ უსწრებს და შესადარებლად ერთ ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. მათ მსგავსებას ვხედავთ: ხაზების მდინარებაში, მის მცხოველმყოფელ მოძრაობაში (რაც რუსულ ძეგლში უფრო მკრთალად მოსჩანს, მასალის სიმყიფის გამო), ხლართვაში, აგრეთვე ყლორტების და ფოთლების სიმეტრიულობაში და დახვეწილობაში, უფრო კი აღნაგობის მსგავსებაში — დამოკიდებულება სახესა და ფონს შორის — ამის გამო კი ჩრდილისა და სინათლის ცვალებადი შთაბეჭდილება, რაც ნაწარმოებს მაღალ მხატვრულ ხარისხს ანიჭებს.

მსგავსი პარალელების გავლება შეიძლება აგრეთვე იურიევ - პოლოცკოისა და ქართული ოქრომჭედლობის შორის. წმ. გიორგის რელიეფი თავის წინასახეს ჰპოვებს ილორის (ან სუფის) წმ. გიორგის ხატში. აქ ჩვენ ვხედავთ სრული სახის ხუჭუჭ თმიან, შუბითა და ფარით აღჭურვილ წმინდანს, რომაული წამოსასხამით და ჯაჭვის პერანგით შემოსილ ჭაბუკს, რომლის ტიპიც ჩვენში მტკიცედ ჩამოყალიბებული და საუკუნეთა მანძილზე დაცულია.

ვ. ციციშვილი

მადრიდი. 1952.

---

[2]) Fanina, w. Halle — “Die Bauplastik von Wladimir susdalija”. Berlin, 1929. S. 321.

---

[3]) Ib. S. 44.

მეც ხომ მეღირსა გაზაფხულზე ვარდებში ძილი,
სადღაც მდინარე იმღეროდა მყუდრო ნანინას,
ზედ დამცქეროდა მზიანი ცა ლურჯად გაშლილი,
ბაღში ვარდები თავს უქნევდნენ პატარა ნინას.
მეც ხომ მეღირსა საყვარელი გადამეკოცნა,
და ის ამბორი ჩემს ბაგეზე წარუშლელია;
ტრფობის ალერსი გარინდებულ გულს დაეტყორცნა,
და ნორჩი გრძნობის დაღი მასზედ დაუჩენია.
ეხლა დაქანკულს სალოცავი ვერ უპოვია,
ხატის წინაშე მუხლები და ნოხი ნაფარი;
ჭაბუკის თავზე ნაადრევად დაუთოვია,
რადგან უბედომ ვერ იპოვა თავშესაფარი.
ეხლა ძლივს მახსოვს შორეული მისი სახელი,
როგორც ლეგენდა დარჩენილა მოგონებაში;
ვითარცა მესხი, იმერელი, გარე კახელი,
გამოწყობილი საღდგომოდ დაღონებაში.
რაღაც ზღაპრული, ბუმბერაზი და ბუნდოვანი,
დიდი ტალღებით ძველ მიწაზე მაგრად დარგული;
მხარე მამაცი, მხარე ლაღი, გულით კლდოვანი,
მოდის და მოაქვს მოგონება პატრიარქული.
და მეც ვიმღერი, დასასრული აქ არ სწერია, —
საქართველოში საკმეველი ჯიდევ ანთია;
დიდ წინაპართა სახელები შემოგვიკრეფიან
და ის ქვეყანა მოქარგული ანდამანტია.
„მოვალთ შორიდან, დაჭრილ გულზე დაგეკონებით,
მოგიტანთ გრძნობას, რადგან იგი მარტო შენია;
შენთან ვიქმნებით მთელი ჩვენი ქართულ გონებით, —
გეტყვი: წაიღე, რაც ამ ქვეყნად გადამრჩენია“.
გთხოვ შეინახო ეგ სიტყვები გულის სიღრმეში,
რადგან, ვინ იცის, ხვალ რა გველის , რა დაგვეწევა,
თუ დავიოხპო საიდუმლო უცნაურ ხმებში,
ეგ ჩემი ნატვრა საანდერძოდ გადაიქცევა.
იქ, სადაც ჩემი წინაპრები შეგინახია,
სადაც ამირანს მოუპარავს ციცხლი ზეციდან, —
სად ქართველს მიწა წმიდა სისხლით დაუდაღია, —
მეც იქ მიმღეს, — გვეიდრები უცხოეთიდან.

სიმონიკა გოგიბერიძეს ხსოვნას

უხილავ ძალით მიწამ გიზიდა,
დედის შეხვედრა შვილს იამება;
წვალებით მოსულს შორეულ გზიდან,
იქვე გელოდა თურმე წამება.
როცა ჩავარდი, ამბობდი ასე:
დეე, ასრულდეს, რაც მიწერია,
ამ უკანასკნელ ზიარებაზე
სამშობლო ჩემთვის ყველაფერია!
მარტო იყავი და ერთმა კაცმა
ვაჟკაცობაში აჯობე ათასს, —
აჩვენე მკერდი, ვით ქრისტეს ჯვარცმა
და ეამბორი მშობლიურ ჯალთას.
დღეს მარტოდ სძინავს ნატყვიარ სხეულს...
დაბადებული შენ მისთვის იყავ,
რომ გაძღოლოდი მრავალ ასეულს, —
დროშით საზღვარზე გადასულიყავ.
შენ მიწა მაინც ქართული გერგო,
და შენს სათლავზე ლოცვით მივლიან;
მხოლოდ აქ მაინც დაღონდა სერგო
და თეთრილაც მოწყენილია.
სხვა მეგობრებიც ატირიბულან,
გულში გაიხსნა ძველი იარა;
ჩვენ საქართველოს რა უნდა მივსცეთ,
თუ მასზე რისხვამ გადაიარა?!

ევ. აბულაძე

2. არისტოტელის თხზულებანი

გარე - სახის მიხედვით არისტოტელის თხზულებანი ორმაგად განიყოფებიან: დიალოგიურად და აკრო - ამატიკურად ე. ი. მოსასმენად. ჩვენამდის მოაღწია მეორე ჯგუფის უმრავლესობამ და პირველი რიგის რამდენიმე ნაწყვეტმა. დიალოგიური დარგის თხზულებანი ხალხოსნურად, ცოტა არ იყოს, ხალვათად არიან დაწერილნი, როგორც ეს სასაუბრო კილოს შეშვენის. ამით ისინი სრულიად სხვაობენ აკრომატიკულ ნაწერებისაგან, რომელნიც ყველაფერში წმიდა - მკაცრ მეცნიერულ პირობებს ემორჩილებიან. სხვა სახელწოდება დიალოგებისა არის აგრეთვე „ექსოთერიკული", მეორეებისა - კი „ეზოთერიკული". ეს სიტყვები მათ „გარეგნულ" და „შინაგან,, თვისება - ღირსებას აღნიშვნენ. ისინი სავსებით შეესაბამებიან მერმინდელ ფილოსოფიაში ფრიად მოდებულ შესატყვისებს: ენდიათეტოს ლოგოს და პროფერიკოს ლოგოს — „შინაგანმდებარე" სიტყვას (აზრს) და „წარმოჩენილ" სიტყვას (გამოთქმას). (საბას ლექსიკონი).

შინა - სახის მიხედვით არისტოტელის თხზულებანი ნაწილდებიან **ლოგიკურ, მეტაფიზიკურ, საბუნებისმეტყველო და საეთიკო** ნაწარმოებად.

კატეგორიაი — კატეგორია *), „რომელი გზა და ეზო (წინაეზო) არს ყოვლთა ხედვათა და საფილოსოფოთა მიმართ" (საბას ლექს. „კატეგორია"), ე. ი. რომელიც იკვლევს არსების და აზროვნების მთავარ და ძირითად ცნებებს, მაგალითად, ესრედ წოდებულ „ათხმათა" (კატეგორიებს): არსებას, რაოდენობას, რაისამიმართს, ვითარს, სადაის, ოდესს, მდებარეობას, ქმნას, ქონებას ანუ ჯიმრს**), ვნებას. ამ ჩინებული, მთელ მსოფლიოზე მოდებული წიგნის თანავრობა საეჭვოდ არის მიჩნეული. შეიძლება ითქვას, რომ მისი ძირითადი ნაწილი არისტოტელის კალამს ეკუთვნის, დანარჩენი კი შემდეგი დროის ზედნართად არის ჩასათვლელი.

2. პერი ერმენეიას, დე ინტერპრეტაციონე, — განმარტებისათვის, წინადადებასა და მის ნაწილებზე.

3. ანალიტიკა პროტერა და ისტერა, — პირველი და მეორე აღლევა - ანალიტიკა, სადაც ფილოსოფოსი წინადადებას, განსაზღვრას, დასკვნას, დასაბუთებას, აღნაგობას — ინდუქციას, განწვალებას — დაყოფას, შემეცნებას არკვევს.

4. ტოპიკა, — პაექრობის ზოგადი ადგილები, ე. ი. წყაროები — ლოცი კომმუნეს , — დიალექტიკურ ანუ ეგეგბისობის საბუთებზე.

5. პერი სოფისტიკონ ელენხონ, — სოფისტების ცრუ დასკვნებზე, სადაც არისტოტელი სოფისტების ცრუმსჯელობას არღვევს და აბათილებს.

2. მეტაფიზიკა. მეტაფიზიკას არისტოტელი „პირველ ფილოსოფიას" (პროტე ფილოსოფია) უწოდებს, რადგან ამ „არსთა - მეტყველებაში" განხილული მოძღვრება „ყოველთა მყოფთა" უპირველეს და უზისთაეს საწყისებს ანუ დასაბამ - მიზეზებს არჩევს. ეს დასაბამ - მიზეზნი არისტოტელით ოთხნი არიან: **ნივთი, სახე, მოძრავი** (ღმერთი როგორც პირველი უძრავი მძვრელი) და **მიზანი.** ხოლო სიტყვა „მეტაფიზიკა" შემდეგ ნაირად წარმოიშვა: ანდრონიკე როდელმა რომ არისტოტელის ნაწერები გააწყო და დაალაგა, ამ შინაარსის ნაწერები თოთხმეტ წიგნად შეაერთა და გამოცემის დროს **ფიზიკის შემდეგ მოათავსა.** ასე გაჩნდა ეს ჩინებული სახელწოდება. ამ ნაწარმოებში თავანკარა და რიოში (ყალბი) ისე უფეროდაა არეული, რომ მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა თითქმის შეუძლებელია.

3. ბუნებისმეტყველება. საბუნების-მეტყველო თხზულებათა შორის მოსახსენებელია: —

1. ფიზიკე აკროასის, დე ნატურალის აუსკულტაციონე, — საბუნებისმეტყველო სმენა ე. ი. მასწავლებელის მოსმენა მოწაფის მიერ, აგრეთვე „ფიზიკად" წოდებული. აქ განხილულია ფილოსოფიური საწყისები (პრინციპები), რომელსაც მოძრავი ბუნება ემორჩილება.

2. პერი ურანუ, ცაზე, — ფილოსოფიური ვარსკლავთ - მრიცხველობა.

3. პერი გენესეოს კაი ფთორას, — წარმოშობასა და გახრწნაზე.

4. მეტეოროგიკა, — ცისფერთ - მეტყველება.

საბუნების - მეტყველო დარგს ეკუთვნიან აგრეთვე არისტოტელის რამდენიმე ნაწერნი ცხოველებზე. მათ ანატომიასა და ფიზიოლოგიაზე, წარმოშობასა, ზრდასა და საზრდოზე. იგივე რიგის ნაშრომთა ქვეგანყოფილებად ითვლებიან სხვა და სხვა ფსიქოლოგიური თხზულებანი, რომელთა შორის პირველობს სამ წიგნად გაწყობილი ნაღვაწი „სულისათვის". ამას მისდევს ესრედ წოდებული „პარვა ნატურალია", რვა ნარკვევისაგან შემდგარი კრებული, სადაც ადამიანის ნაირნაირი ფსიქიური და ფსიქოლოგიური მოვლენანი არიან განხილულნი: გრძნობა და გრძნობიარე, ხსოვნა და გახსენება, ძილი და ღვიძილი, უძილობა, მზმანებლობა, დროეგრძელობა და დღემოკლეობა, სიცოცხლე და სიკვდილი, სუნთქვა.

4. ეთიკა და პოლიტიკა.

1. არისტოტელის სახელით ეთიკის სამ ნაწარმოებს ვიცნობთ:

ეთიკა ნიკომახეია, — ნიკომაქური ზნეთ - სწავლება ათ წიგნად;

*) კალმასობა (ტფილ. გვ. 261) „კატეგორიას", „ქვეთქმულებად" სთარგმნის, რაც ასე თუ ისე ბერძნულს ეფდგება. ეტიმოლოგიურად თუ არა, შინაარსით მაინც. სხვებს ის „შესმენილად" ესმისთ, ამ სიტყვის ფილოსოფიური გაგებით.

) ბერძნულად ექსის (ექსინ — ქონება). ს. ს. ორბილიანი „ექსის" შემდეგ ნაირად მარტავს: „ესე ფუძე არს, ვითარ ოდეს ვიტყვით: ქუეყნისმზომელსა ექსი აქუს საქვეყნისმზომელოთა (მიმართ) ხედვათა; ექსი არს სიბრძნე სწრაფად მომგონებელი ექსი არს გონიერებათა და სიბრძნეთა მიერ გაგება. კალმასობა „ექსის" ქონებად გადმოგვცემს. ექსის ლათინური შესატყვისია ჰაბიტუს. რადგან ექსი **მყარი და ძნელად შესაცვლელი სულიერი დგომა, ყოფა, განწყობილება, მიდრეკილება, ჩვეულებაა, ამიტომ მისი საუკეთესო ქართული შესატყვისი, ჩემის აზრით, „ჯიმრი" იქნება. საბას ლექსიკონით „ჯიმრი" არის, რა კაცი „ერთის ჩვეულებიდამ **ვეღარ** გაეშოროს და **ხშირად** იქმოდეს **შეუზარებლად".** ამის გამო ჩვენ ყველგან, როგორც ამ შესავალში, ისე თარგმანში, ბერძნული სიტყვის მარტივ გადმოღებას ქართული „ჯიმრის" ხმარება ვარჩიეთ, თუმცა ი. პეტრიწი „ექსის" ქართულ შესატყვისად „ბუნებას" ხმარობს. იხილეთ იოანე პეტრიწის შრომები, 1.. პროკლე დიადოხოსისა. პლატონურისა ფილოსოფოსის კავშირნი. თბილისი, 1940 წ. გვ. 72, 147. გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა.

ეთიკა ევდემია, — ევდიმონული ეთიკა, შვიდ წიგნად; და

ეთიკა მეგალა, — დიდი ეთიკა ორ წიგნად.

პირველი ეთიკის ავტორი თვით არისტოტელია, მისი გამომცემელი კი არისტოტელის შვილი — ნიკომაქი. აქედან სახელწოდებაც. მეორე ეთიკის შემთხზველი არისტოტელის მოწაფე ევდემოსი უნდა იყოს, რომელმაც მოძღვარის ნააზრევი თავისებურად დაიმუშავა და გამოაქვეყნა. დიდი ეთიკა-კი ორი პირველიდან მოკლე ამონაკრეფს წარმოადგენს. ხოლო სახელწოდება, ალბერტი დიდის († 1280) თქმით, იქიდან კი არ მიეცა, რომ „მეტს შეიცავს, არამედ იქიდან, რომ **მეტზე** ლაპარაკობს".

2. პოლიტიკა, — პოლიტიკა — სახელმწიფო, რომელსაც ეთიკა უდევს საფუძვლად.

3. პერი პოიეტიკეს, — პოეტიკა, სიტყვა-კაზმული მწერლობა, ფრიად შესანიშნავი ნაწყვეტი ტრაგედიასა და ეპოსზე, მათ ღირსება - უპირატესობაზე.

4. რეტორიკა, — მჭერმეტყველება, რომლის თანაკრობა, მისი ღირსების მხრივ მაინც, ზოგიერთ მკვლევარს საეჭვოდ მიაჩნია.

აი ესენი არიან არისტოტელის უმთავრესი, (კოტად თუ ბევრად, თავანკარა თხზულებანი, გზა-გრძელმა ისტორიამ რომ შეინახა და კაცობრიობას უანდერძა.

ქართული წყაროების მიხედვით, არისტოტელის სამი-ოთხი ნაწარმოები ქართულადაც ყოფილა თარგმნილი: იოანე პეტრიწონელს ანუ ჭიმჭიმელს *) გადმოულია „ტოპიკა" და „პერი ერმენია", ი .ტარიჭისძეს-კი ამონიოსის „მოსახსენებელი ათთა კატეგორიათადმი არისტოტელისათა". წყაროები იხსენიებენ ასევე ერთ სხვა წიგნს — „დიალექტიკას". კორ. კეკელიძეს ასეთი ნაწარმოების თარგმნა შეცდომად მიაჩნია: დიალექტიკად ცნობილი თხზულება, რაც არსებობს, სომხურიდან არის ნათარგმნი მე - 18 საუკუნეშიო. **). შეიძლება ეს „დიალექტიკა" ნაწილი იყოს იოანე დამასკელის თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „გარდმოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა", ქართულად გადმოლებული ეფრემ მცირის მიერ. ქართველები სთარგმნიდნენ ამ ფილოსოფიურ ნაწერებს არა წიგნთსაცავების ზარაფურთად (სამკაულად), არამედ მათი გონების გასაჯაგავად და გასამახვილებლად, ცოდნის გასაღრმავებლად და ცხოვრებაში გამოსაყენებლად. ამ მაღალ მიზანს ემსახურებოდნენ მამაკაცებთან ერთად დედაკაცებიც, რომლებსაც არისტოტელის **ლოლიკა** მზითევშიც-კი მიჰქონდათ. ასე, მოიქცა, მაგალითად, საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგის ასული ნინო, რომელიც 1789 — 1791 წლებში სასხვათა შორის, **დიალექტიკა** და **ლოლიკა** წაიღო.***).

---

*) იოანე ჭიმჭიმელის სამშობლო, ძველად საერისთავო და ეხლანდელ სოფელი **ჭიმჭიმი,** მდებარეობს ჯლარჯეთში, სახელგანთქმულ და ჩინებულ იშხანის მახლობლად (ნახე ექვთ. თაყაიშვილის წერილი კრებულში: — „ქართლოსი", პარიზი, 1938, გვ. 300 — 301). კ. კეკელიძე კი სხვა აზრისაა. ის არჩევს ერთმანეთისაგან იოანე პეტრიწს, ი. ტარიჭაძეს და ი. ჭიმჭიმელს (ნახე მისი ქართ. ლიტერ. ისტორია, I. თბილისი, 1929. გვ. 304—315).

**) ნახე მისივე — ქართული ლიტერატ. ისტორია, იქვე, გვერდი 313.

***) იხ. თამარ პაპავასი — დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. პარიზი, 1937. გვ. 222.

3. არისტოტელის ეთიკის შინაარსი

ა. სვე-ბედნიერება, სათნოებანი.

ვინაიდან ჩემგან მიზნად დასახულ ვიწრო ფარგლებში არისტოტელის მთელი სწავლა - მოძღვრების თუნდ მონახაზვაც შეუძლებლად მიმაჩნია, ამიტომ უშუალოდ ეთიკაზე გადავალ, მის დედააზრს მოკლედ მოვხაზავ და უფრო ფართოდ მასში მოცემულ „მეგობრობას" ანუ — „მოყვრობას" შევეხები.

არისტოტელი ეთიკას პოლიტიკასთან აკავშირებს და ამ უკანასკნელის დარგად აცხადებს. ხოლო პოლიტიკას წინაუკმოდ ზნეობას უქვემდებარებს და ესრეთ, ღირებულებათა ხარისხზე, პირველობას ისევ საყოფაქცეო ფილოსოფიას, ე. ი. ეთიკას უთმობს.

არისტოტელს თავისი ეთიკის შენობაში მკითხველი ამ სიტყვებით შეჰყავს: — „ყოველი ხელოვნება, ყოველი ძიება, საქმიანობა და წინაარჩევა, როგორც ეტყობა, რომელიმე კეთილისაკენ მიისწრაფის. ამიტომ კეთილს სამართლიანად მას უწოდებენ, რისკენაც ყოველივე მიილტვის" (I. 1). ხოლო არა ამა თუ იმ კეთილისკენ, არამედ უზენაესი კეთილისკენ. უზენაეს კეთილად-კი ის ითქმის, რაც არა სხვა-რამისათვის გვინდა, არამედ მხოლოდ თავისი თავისათვის და რაც მარტოოდენ კმარა, რომ ჩვენ ყოფა-ცხოვრებას უაღრესი ღირებულება მიანიჭოს. აი რა არის ადამიანის შეუნელებელი ნატვრის საგანი და საბოლოო მიზანი.

უაღრეს კეთილად ჩვენ ფილოსოფოსს ესმის არა პლატონის თვალ - შეუდგამი იდეა - კეთილი, ზეარსთა სამყაროში რომ დაუწეველად მოლივლივებს, არამედ ის კეთილი, რომელსაც კაცი თავის საკუთარ ძალთა ამოქმედებით შესწვდება შეითვისებს. ეს კეთილია **სვე-ბედნიერება** (ევდაიმონია), რადგან გამოცდილებით ვიცით, რომ ყოველი ჩვენი მოქმედებისა და ყოფა - ცხოვრების საბოლოო მიზანს ეს ბედნიერება წარმოადგენს. ეს თუ ცხადია და ყველასათვის დასაჯერებელი, სამაგიეროდ წყვდიადშია გახვეული და საკამათოდ არის გამხდარი სვე-ბედნიერების რაობა და მისი შინაბუნება. მის შინაარსს ერთნი შვება - გურობით საზღვრავენ, მეორენი — გამოყენებითი საქმიანობით, მესამენი — სამეცნიერო მოღვაწეობით. პირველი ჯგუფის შეხედულებას არისტოტელი „ბალახის მძოველთა ცხოვრებად" ასირცხვილებს და სარდანაპალურ გემოვნებად ამათრახებს. არც პატივისა და სიმდიდრის მომხვეჭთა მწყალობელია ჩვენი ფილოსოფოსი. მისი აზრით, ყველა ეს უფრო საშუალება და ღონისძიებაა მიზნის მისაღწევად, ვიდრე თვით მიზანი.

მაშ რა არის სვე-ბედნიერება? და რით ამოიწურება მისი შინა-ბუნება? სვებედნიერება მდგომარეობს ადამინის **თვისებითი მოქმედებაში** ე. ი. იმ მოქმედებაში, რომელიც მისთვის, როგორც ადამიანისათვის, არის ბუნებით განკუთვნილი და, სხვა ცხოველებთან შედარებით, მარტოდ მარტო მას ახასიათებს, მის მეობის მიუღებელ თვისებად ითქმის და მართლაც ითვლება: **ადამიანის გონებრივ მოქმედებაში, აზროვნებაში** ხოლო არა ამა თუ იმ აზროვნებაში, არამედ იმ გონებრივ მოქმედებაში, „რომელიც არის კარგი კაცის მოქმედება სწორედ ამ დამატებით": კარგი კაცის „**წრფელი და კეთილ-შვენიერი მოქმედება.** მაშასადამე, ადამიანის **კეთილი არის სულის სათნოებრივი მოქმედება,** და თუ სათნოებანი მრავალნი არიან, **უკეთესი და უსრულესი სათნოების დაგვარი მოქმედება**" (I. 6). ეს სულის სათნოებრივი მოქმედება არის **თეორეტიული,** ე. ი. განცდით - განჭვრეტითი, წმინდა, უზადო, შეურევნელი გონებითი მოქმედება, აზროვნება.

იგი იმყოფება ადამიანის უკეთილ - შობილესი ძალა, მისი სულის შეუნელებელი ქროლა და ჩქერა, უჭნტარი ელვარება, უაღრესად ტკბილი ნეტარება, გარემოსაგან ლამის მთლად დამოუკიდებელი თვითყოფა, ხელშეუხები, მიუწდომელი, ჟამთა უკუღმართობისა და ძველ - ბედობისაგან ურყევი და უშფოთო სამყოფი, სამარადისო განსასვენებელი. გონება ღვთიური მხარეა ადამიანისა, ღვთიური ნაწილაკი, მისი ნამდვილი მეობა. მხოლოდ **მას** ძალუძს კაცისრულიად კმაჰყოს, მისი არსება მიწიერთა საზღვარს ააცილოს და ღვთაებას დაუახლოოს, დაუნათესაოს, აზიაროს. (X. 7 და 9). ამ გონების შეუწყვეტელ დენისაგან არაა გათიშული არც სიამოვნება და არც სიხარული. მათი ანკარა წყარო და სათავე თვით სათნოებით განსპეტაკებულ სულისა და გონების ქმედობაა, ადამიანს რომ უშრეტ ნეტარებით ავსებს. აი ესენი არიან სვებედნიერების არსებითი შემადგენელი ნაწილები, რომელთა მიღმა სვებედნიერებას ძირფესვიანად ანადგურებს.

მარა სვებედნიერების სისრულე კიდევ სხვა რამეს თხოულობს: სიმწიფეს მოკლებული ჩჩვილი და ყმაწვილი სვებედნიერად არ ითქმის, რადგან მისი სათნო და სათანადო გონებრივი მოქმედება ჯერ კიდევ აუღიებელი თუ არა, გაუფურჩქვნელი მაინცაა. (I. 10. 1100a.). არც აბსტრაქტად წარმავალი სვებედნიერება არის კმასაყოფელი: როგორც ერთი მერცხალი და ერთი დღე ზაფხულს ვერ მოიყვანს, ისე ვერც ერთი დღე და ვერც მოკლე დრო გააბედნიერებს ადამიანს (I. 6. 1009a). არც სოლონია დასაჯერებელი და სვებედნიერად ის არ არის ჩასარიცხი, ვინც ბედნიერად იცხოვრა **და ბედნიერადვე საწუთრო დასცალაო**. ბედნიერად მარტო **ცოცხალი, აწმყოთი კმაყოფილი, სრულწლოვანი** ადამიანია მისაღები, იმისდა მიუხედავად თუ მომავალში მას რა მოელის. მკვდრების ბედნიერად აღიარება არისტოტელს სიხეპრედ მიაჩნია: მკვდარი — გონების მოქმედებითაც მკვდარიაო (I. 11.). მართალია, სვებედნიერს ამ სოფლის სიმუხთლე ვერ გასტეხს და ფერს ვერ აცვლევინებს, მარა არც ის ითქმის ბედნიერად, ვისაც პრიამოსის შავბედი ეწია. ამიტომ სვებედნიერს ამქვეყნიური კეთილდღეობაც ესაჭიროება: სიმდიდრე, სიუხვე, გავლენა, შვენიერება, გვარიშვილობა, ჯანმრთელობა, შვილთასხმა, მეგობრობა, ურომლისოდაც სვებედნიერის ცხოვრება სრული და უნაკლულო არ იქნება (I. 9 - 10); X. 9).

ამ სვებედნიერების გამოკვეთილ სურათს რომ ვეფხისტყაოსანის მიჯნურთა იდეალი დავუპირისპიროთ, ვნახავთ, რომ შოთა რუსთაველი და არისტოტელი გონებრივად ერთმანეთს ეწათესავებიან: რასაც არისტოტელი სვებედნიერს აჩემებს, მას ვეფხისტყაოსანის შესავალი (ტაეპი 24) *) ნამდვილი მიჯნურის სამკაულად აცხადებს. ნამდვილი მიჯნური ხომ ნამდვილად ბედნიერი ადამიანია!

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, მოყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“...

ეთიკის მოკლედ გამოთქმული დებულება პოემაში „წყობილ მარგალიტად“ არის ქცეული და თეორეტიული სწავლა ცხრათვალა მზედ აელვარებული.

ვინაიდან სვებედნიერება უნაკლულო სათნოებრივი მოქმედებაა სულისა, ამიტომ მთელი ჩვენი გულისყური **სათნოებას** უნდა მივაპყრათ. **) (I. 13. გვ. 1102a), რომელიც, რასაკვირველია, არა სხეულის, არამედ სულის ღირსებას და **სისრულეს** გულისხმობს. ეს სისრულე ორგვარია: **დიანოეტიური** და **ეთიკური**, ე. ი. **გონებრივი** და **ზნეობრივი**. პირველის საგანია წმინდა გონებრივი მოქმედება, სულის უმაღლესი წერტი, მისი უმწვერვალესი, მეტყველი ნაწილი; მეორისა-კი — სულის ქვემო, დაბალი, უტყვი და უგუნურ ნაწილის დაუფლება და დაკვალება ჭეტყველი ნაწილის მიერ. პირველის ასპარეზია აზროვნება, მეორისა — ნება.

„აწ განვიხილოთ, თუ რა არის **სათნოება**. რადგან სულში სამგვარი მოვლენა მოიპოვება: ვნება, ძალი და ჯიმრი, — სათნოებაც ერთერთი მათგანი იქნება. **ვნებად** ვიტყვით გულისთქმას, გულისწყრომას, შიშს, გულადობას, შურს, სიხარულს გვაჯს, გულმოწყალებას, ერთთავად ყოველივეს, რასაც განუშორებლად თანსდევს სიამოვნება თუ მწუხარება. **ძალად** ვხადით მას, რაც ჩვენ ზემოდ-ჩამოთვლილ გრძნობებით შეგვსჭვალავს, რაც ჩვენ ძალალითად, გულისწყრომის, მწუხარების თუ გულშემატკივრობის შესაგრძნობ უნარს გვანიჭებს. საბოლოოდ **ჯიმრად** ითქმის ის, რაც მიზეზია მისი, რომ ვნებათა მიზედვით ან სწორად ვიქცევით ან ცუდად; მაგ., გულის - წყრომისას ცუდად ვიქცევით, როცა ის ან ნამეტნავია ან ნაკლები, ხოლო სწორედ, როცა ის მეშვეურობს“. (II. 4). ვნება **თავისთავად** არც ქების საგანია და არც კიცხვისა. ადამიანად. იგი ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებელი მოვლენაა. სათნოება-კი თავის-უფალ ნებას მისდევს და მის კარნახს ემორჩილება. ვნება წუთიერი აღძვრაა გონებისა, — სათნოება და ბიწიერება-კი ხანიერი და ასე თუ ისე მკვიდრი ყოფაა. იგივე ითქმის სულიერ ძალთა თაობაზე. ისინი ბუნებით თანდაყოლილი თვისებანი არიან, — სათნოება და ბიწიერება-კი — არა. სათნოება სხვებისაგან იმითაც სხვაობს, რომ ვინც სათნოებას ერჩის და ზნეობრივ მოქმედობს, მან არამცთუ სწორედ, არამედ გულწმიდად და გულწრფელად უნდა იმოქმედოს, კეთილი ზრახვებით იხელმძღვანელოს. (II. 3).

მ. თარხნიშვილი

---

*) ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1927 წ., რომელსაც **ყველგან** მივდევთ ტაეპების აღნიშვნაში.

) ბერძნული სიტყვა არეტე და ქართული „სათნოება“ ეტიმოლოგიურად ერთმანეთს კარგად უდგებიან. მათი ძირითადი მნიშვნელობა არის — შეფერება, შეგუება, შეტყვება. ხოლო ბერძნული არა მარტო ზნეობრივ უპირატესობას და სისრულეს ასახავს, არამედ ადამიანთა ცხოველთა და ნივთთა ყოველგვარ სისრულეს, სიყოჩაღეს, სიგერგილეს, სიმარჯვეს, კეთილშობილებას, მხნეობას, მამაცობას, სიქველეს, სიგმირეს, ვარგისობას, ჯიშიანობას, შეშვენას, შესაბამს, ყოველნაირ სიკეთეს, სიკარგეს კაცისას, პირუტყვისას, ყანისას. მაშასადამე, მას, რაც ბუნებას, მის **სრულსაყოფელად შეეგვარება და შეეთვისება. ქართული სიტყვა ქრისტიანული წარმოშობისაა და ზნეობას აქცევს უმთავრეს ყურადღებას. ბერძნულად-კი წარმართული ძირ - მოდგმისაა და წინ აყენებს უფრო ლიტონი ბუნების ძალას, ღირსებას და თვისებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუდამოდ გულმოკლული ძმა ლადო არველიძე

მწუხარებით იუწყება, დედის მსგავსად საყვარელის, აღმზრდელის დის, მისთვის ყველაზე უძვირფასესი არსების

მაგდანა არველიძე-შენგელიას

გარდაცვალებას ქ. ხარბინში.

მამული

ქართული დიპლომატია და 1802 წლის ამბები

რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში ჩვენი ხალხი თავიდანვე დიდ წინააღმდეგობას უწევდა ეს წინააღმდეგობა მთელ რიგ აჯანყებებში გაიშალა, რის სათავე 1801 წლიდან მოდის და თითქმის ნახევარი საუკუნე გრძელდება.

ამ აჯანყებათა წყებიდან თვისი არსებით და ორგანიზაციით გამოიყოფა 1802 წლის აჯანყება. სხვანაირად — ეს იყო ქართულ დიპლომატიის შეტევა პეტერბურგის წინააღმდეგ, რასაც ამაგრებდა ელჩების ხელმძღვანელობით საჭურველით გამოსული ქართველობა.

ამ ერთ - ნახევარი საუკუნის წინ მომხდარი ამბები ერთხელ კიდევ ამჟღავნებენ იმ წინააღმდეგობას, რომელშიაც ჩავარდა მაშინდელი ქართული პოლიტიკა და რომლისგანაც მან პირველ ხანებში ისევ ლეგალურის გზით დააპირა თავის დახწევა.

პეტერბურგში დამარცხებული ქართული დიპლომატია შეეცადა ბრძოლა საქართველოში გადაეტანა და მის ზურგში დაერაზმა არა მარტო ქართული საზოგადოებრივი აზრი, არამედ შეიარაღებული ძალაც მოსალოდნელ აჯანყებისათვისაც. დღევანდელ ენაზე ამას ეწოდება — იარაღით ხელში მოლაპარაკების წარმოება დათმობებისათვის...

როგორც ვიცით, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი ქართულ სამეფოს გაუქმებისა და იმპერიასთან შეერთების მთავარ მიზეზად ბაგრატიონთა სამეფო სახლში არსებულ წინააღმდეგობას ასახელებდა. ეს სამეფო სახლი შუა გაყოფილა და შინაგან ბრძოლებს მოუცავს, მაშინ - როდესაც დაუძლურებულ და დაღლილ ქვეყანას მშვიდობა და მოსვენება სჭირია; და ეს მოსვენება მას იმპერიის ჭერ ქვეშ მიენიჭებაო, — აუწყებდა საქართველოს და მთელ ევროპას ეს მანიფესტი.

სინამდვილე კი სულ სხვა სურათს გვიშლის...

მართალია, ბატონიშვილები პირველ ხანებში ურთი ერთს უტევდნენ, მაგრამ არსებითად ისინი ერთ მიზნისათვის იღწვოდნენ — მათ სწადდათ საქართველოს სამეფო როგორმე გადაერჩინათ ახალ, მძიმე მდგომარეობაში ერის სუვერენობის ჩანასახი როგორმე შეენახათ. მოწინააღმდეგე ფრთები სამეფო სახლისა სხვა და სხვა გზით აქეთკენ მიიწევდნენ: დავით ბატონიშვილი, ვითარცა მემკვიდრედ დამტკიცებული პავლე I-ის მიერ, ცდილობდა რუსეთის ავტორიტეტს და მის მხედრობას დაყრდნობოდა. ამ ძალებით მას არა მარტო მეფობის გადარჩენა უნდოდა, არამედ მომძლავრებულ ლეკთა ალაგმვის და მაჰმადიან მეზობლების ტალღათა შეკავების იმედი ჰქონდა. პაპისა და მამის მიერ არჩეული გზა მას ანდერძით მიეღო და ამ გზის გადახვევა არ სურდა.

მეორე ფრთა, რომელსაც დარეჯან დედოფლის მფარველობით, ბატონიშვილი იულონი და მისი ერთგულნი ვახტანგ, ფარნაოზ, ლევან და სხვანი მეთაურობდნენ და რომელთაც სპარსეთის კარზე მინდობილი ალექსანდრე ბატონიშვილი ამხნევებდა, რუსეთთან დაახლოებას და მისი ძალების გამოყენებას ტახტისათვის სახიფათოდ სთვლიდა. რუსეთის გავლენა მხოლოდ ერეკლეს ტრაქტატით უნდა განსაზღვრულიყო და მას არ გასცილებოდა...

საქართველოს სისუსტეს და ბაგრატიონთა აზრების სხვადასხვაობას იმპერია თვისი მიზნებისათვის ვერაგულად იყენებდა და ქართულ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ერეოდა.

როგორც ვნახეთ, სამეფო სახლის ორივე ფრთა საქართველოს სამეფოს გადარჩენისათვის ზრუნავდა, ოღონდ სხვა და სხვა გზით.

რუსეთის სამხედრო და დიპლომატიურმა ძალებმა ბაგრატიონთა ვითომდა წინააღმდეგობაზე მშვენივრად ითამაშეს — თვისი გავლენა კიდევ უფრო გააძლიერეს, სამეფოს ფუნქციები ნელ - ნელა გააუქმეს და ბოლოს „შეერთების მანიფესტით“ ბატონიშვილთა ორივე ფრთა გარიყეს და ტახტიც გააუქმეს.

ამ ბრძოლის დროს საკმაოდ გამოირკვა, რომ დავით ბატონიშვილის ლოიალური გზა უფრო აცდენილი იყო და რომ რუსეთზე მინდობამ ქვეყანა ხიფათს მისცა.

აი, აქედან იწყება დავით ბატონიშვილის დაახლოება დარეჯან დედოფლის და იულონის გზასთან. იმპერიის ნამდვილი წადილი ეხლა დავითისა და მის მიმდევართათვის აშკარა გამხდარიყო და გაწბილებულ მემკვიდრეს ალბათ დიდ სანანებლად გაუხდა, რომ პაპის ერთგული, ბრძენი კანცლერი სოლომონ ლეონიძე რუსთა შთაგონებით გასწირა, მის რჩევას არ დაუჯერა და სამეფო და ტახტი დაჰკარგა. ეხლა ეს სოლომონ ბრძენიც განუდგა მას და ქართული ხრმალის და დროშის გადასარჩენად იმერეთის მეფეს შეაფარა თავი.

ეხლა უკვე ყველასათვის აშკარა იყო, რომ ქართულ ძალების გათიშვა ქვეყანას ღუპავდა... დავითის მომხრენი იულონს და ალექსანდრე ბატონიშვილს უწვდიდნენ ხელს. მაგრამ რუსის ჯარი ქართლ - კახეთში და მის საზღვართან იმდენად მომძლავრებულიყო, რომ საქმის უფრო გამწვავება და აშკარა წინააღმდეგობამდე მიყვანა უფრო დიდ ხიფათში ჩააგდებდა ქვეყანას — ეხლა რუსეთი აღარ შესდგებოდა. ამის გამო საჭირო შეიქმნა ისევ ლეგალურის გზებით და ქართულ დიპლომატიის დახმარებით წამხდარ საქმის გამოსწორება და როგორმე ისევ 1783 წლის ტრაქტატზე დაყრდნობა.

ამ საქმის მეთაურობა გარსევან ჭავჭავაძემ აიღო ხელში და ქართულ საელჩოს ყოფილ წევრთა და პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილთა და წარჩინებულთა დახმარებით (იოანე ბატონიშვილის მეთაურობით) შეეცადა **უკვე გაერთიანებულ ბაგრატიონთა ოჯახის სასარგებლოდ** დიპლომატიური დივერსია მოეხდინა, მიუხედავად 12. 9. მანიფესტისა. ელჩი კარგად ხედავდა, რომ საჭირო იყო ორის მიმართულებით მუშაობა: ერთსა და

იმავ დროს საჭირო იყო ქართულ დიპლომატიის გაცხოველებული მუშაობა პეტერბურგის უმაღლეს წრეებში, ხელმწიფისა და მინისტრთა საბჭოს გარემოცვაში, ხოლო მეორეს მხრივ კი — ქართველი ხალხის გაერთიანება და დარაზმვა ლეგალურ მოთხოვნილებათა ირგვლივ, რასაც „მანიფესტი"-თ ნაუცბათევად გამოტანილი დასკვნები უნდა შეერყია და საკითხის ხელახლა გადასინჯვა მოეთხოვა. ამრიგად, ყველასათვის უნდა აშკარა გამხდარიყო, რომ ქართველ ხალხს და სამეფოს სახლის წევრთ არასდროს, არა თუ არ მოუთხოვნია, არც კი უფიქრია საქართველოს სახელმწიფოს მოსპობაზე და მისი უძველესი დინასტიის გაუქმებაზე; რომ საქართველოში და პეტერბურგის კარზე მოლაპარაკება თავიდანვე სწარმოებდა მხოლოდ „მფარველობა"-ზე და სამეფოს საუკუნოდ შენახვაზე...

ელჩ გარსევან ჭავჭავაძის შთაგონებით ბატონიშვილი იოანე მემკვიდრე დავითს 12 სექტემბერს მანიფესტის ტექსტს უგზავნის საქართველოში მის გამოქვეყნებამდე და ურჩევს: მოაგროვოს ყველა წარჩინებულთაგან ხელწერილი იძის შესახებ, რომ არც განსვენებულ მეფეს, არც ვისმე სხვას, არასოდეს უსურვებია საქართველოს ოუბერნიად გამოცხადება და რომ გენერალ კნორრინგის „დასკვნები" მოჭორილი ამბებია და ხალხი მეფობის აღდგენას ითხოვს. ასეთი პეტიციები უნდა გაეგზავნათ ელჩ გარსევან ჭავჭავაძისათვის საგარეო სამინისტროში წარსადგენად.

ამავე დროს, გარსევანი საიმედო პირთა საშუალებით თვითონაც უგზავნიდა შესაფერ მოწოდებებს სხვა და სხვა გავლენიან პირთ: სარდალ ივ. ორბელიანს, სოლომონ თარხნიშვილს, ალექსანდრე მაყაშვილს, ჯანდიერებს, ქობულაშვილთ, ბოდბელ მიტროპოლიტს და სხვებს, და ჰპირდებოდა წამხდარ საქმის გამობრუნებას, თუ ქართველობა ერთთავად ითხოვდა ბაგრატიონთაგან ერთ - ერთი პირის გამეფებას.

ელჩი გარსევან ჭავჭავაძე ითხოვდა, რომ ამგვარი პეტიციები იმპერატორისათვის წარსადგენად დაეჩქარებინათ და რომ შესაძლო იყო საკითხის ხელახლა შესასწავლად მთავრობას საქართველოში წარეგზავნა ლაშქარაშვილი (ლაშკარეოვ), რომელიც გენერალ კნორრინგის დასკვნებს გააბათილებდა; ელჩი ამ საიდუმლო წერილებს თვის მეუღლეს, მარიამს უგზავნიდა, რომელსაც ევალებოდა სათითაოდ მოლაპარაკებოდა ქართველ წარჩინებულთ.

წყაროებიდან სჩანს, რომ ამ ქალმა რამდენიმე კრება მოახდინა და ხელწერილი ჩამოართვა და ფიციც მიაღებინა ყველას, ვისაც ხალხში სათანადო გავლენა ჰქონდა.

ეს სამზადისი 1802 წლის გაზაფხულზე უფრო გაძლიერდა და საერთო ეროვნული ხასიათი მიიღო.

მთელ ამ ამბებში საყურადღებო ისაა, რომ ქართველობამ გასაოცარი გამჭრიახობა და სიმტკიცე გამოიჩინა: დიდ საფრთხის მოლოდინში, ის გაერთიანდა და მტერს ერთის მოთხოვნით წარუდგა. „განხეთქილება, რაიც ბატონიშვილთ ორ ჯგუფად ჰყოფდა (ერეკლესა და გიორგის ძეთ), ერთბაშად გაჰქრა. ისინი შეთანხმდნენ და საერთოდ თვისი ცდები ყველამ იქეთ მიმართა, რომ როგორმე მათ ოჯახში არ მოშლილიყო სამეფო ხარისხი; და ეხლა მათთვის სულ ერთი იყო — თუ რომელი იმათგანი იქმნებოდა ტახტზედ აყვანილი"-ო, გვაუწყებს ისტორიკოსი ბუტკოვი და ცოტა უფრო ქვევით დასძენს, რომ მანიფესტის გამოცემის დღიდან დაიწყო ქართველებში არეულობაო, რომ ამის შემდეგ

«члены царского дома, по искательству достоинства царского, разными интересами прежде водимые, **с сего времени соединились**, чтоб всеми мерами достигать только того, чтоб достоинство сие удержать в доме своем, **на ком бы оное не возстановилось»...** (Бутков, II. «Материалы».. стр. 533).

აშკარაა, ელჩ გარსევანის მოწოდებას დიდი ყურადღებით შეხვდნენ ჩვენში წარჩინებულნი და თვითეული ბატონიშვილი. ეს გასაოცარი დისციპლინა მაშინდელმა ქართველობამ სხვა მხრივაც გამოიჩინა და თავის ელჩების რჩევა - დარიგებას არ გადაუხვია.

ფრთხილ, დარბაისელ და ჭკვიან გარსევან ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ იმ დიდძალ ჯარს, რაიც იმ ჟამად რუსეთს საქართველოში დაებანაკებინა, ქართველობა იარაღით ვერ გაუმკლავდებოდა. ეს უკიდურესი საშუალება სამერმისოდ უნდა გადაედო ერს და დაეცადა იმ დროისათვის, როცა იმპერიას აშკარა კონფლიქტი მოუვიდოდა ამა თუ იმ მაჰმადიან მეზობელთან. ჯერ-ჯერობით კი საჭირო იყო ლეგალურ საშუალებებით ბრძოლის გაგრძელება და დიპლომატიით და პოლიტიკით საქმის შემობრუნება. სხვანაირად ეს ნიშნავდა იმ ომის განახლებას, რაიც დიდის გააფთრებით სწარმოებდა სახელმწიფო საბჭოში და რაც უიმედო არ იყო მანამ, სანამ ზუბოვებისა და არგუთინსკის ზეგავლენით გენერალმა კნორრინგმა ყალბი ცნობები არ ჩამოიტანა საქართველოდან.

როგორც ვიცით, „არა-ოფიციალურმა კომიტეტმა", კოჩუბეის, ვორონცოვის, ჩარტორიჟსკის და სხვათა მეთაურობით, დიდი წინააღმდეგობა გაუწია გენ. კნორრინგის ყალბ დასკვნებს და 1801 წლის აგვისტოს დრამატიულ სხდომებზე საქართველოს უფლებები და მისი დინასტია არ დასთმო... მაგრამ იმპერატორი მაინც მიენდო გენერალ კნორრინგის დასკვნებს და ზუბოვების შთაგონებით ქართული სამეფოს შენახვა თვით ქართველთათვის თითქოს მავნებლად სცნო.

აი, ამ ყალბ დასკვნების გაბათილება იყო ეხლა საჭირო და გენ. კნორრინგის მოხსენების უტყუარ საბუთებით დამარცხება... ლაშქარაშვილი, გარს. ჭავჭავაძე, ავალიშვილი, ფალავანდიშვილი, იოანე ბატონიშვილი და საერთოდ ყველა ქართველი წარჩინებულები, რომლებიც იმ დროს პეტერბურგში, ან მოსკოვში იმყოფებოდნენ,

დაუღალავად მუშაობდნენ საქართველოს ბედის შესაბრუნებლად... მათის შთაგონებით, როგორც ვსთქვით, საქართველოში ეროვნული ძალები დაირაზმნენ და გარსევანის მიერ წარმოგზავნილ პეტიციაზე ხელის მოწერა იწყეს. ამ პოლიტიკურ მოძრაობას წინ უსწრებდა დიპლომატიური ნაბიჯი საქართველოს ელჩითა.

ნოტა, რომელიც მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ გარს. ჭავჭავაძეს, ავალიშვილს და ფალავანდიშვილს 8 — 11 — 1801 წ. პეტერბურგის მთავრობისათვის წარუდგენიათ, ბევრნაირად არის საყურადღებო და ააშკარავებს რუსეთის ვერაგულ ზახვებსა და მოქმედებას.

საქართველოს ელჩები ამ თვის უკანასკნელ ნოტაში დიდის დამწუხარებით აღნიშნავენ, რომ რუსეთის მინისტრისათვის „უცნობი არაა ის მიზანი, რისთვისაც საქართველოს ელჩები წარმოგზავნა აწ განსვენებულმა მეფე გიორგიმ და საგანგებო ღრამოტებით აღჭურვა იმპერატორისათვის მოსახსენებლად. ჩვენს მისიას აქამდე სინდისიერად ვასრულებდით, ყველაფერში სიმართლით და პატიოსნად ვმოქმედებდით, ვით ეს ჩვენს მოვალეობას შეეფერებოდა; და ამასთან მუდამ ვცდილობდით და **ვცდილობთ ეხლაც, რათა სამეფო საქართველოსი** მოქცეულ იყოს მისი იმპერატ. უმაღლებოსის უდიდესი მფარველობის ქვეშ, ვინაიდან კეთილმოსაგონარი მეფე ჩვენი და თვითონ ჩვენც ვსთვლიდით ამას და ვსთვლით ეხლაც ჩვენს უდიდეს ბედნიერებად და კეთილდღეობად.

ხოლო დღეს კი ვხედავთ, რომ **მიღება** საქართველოსი უკვე გამოცხადებულია, საამისო მანიფესტი უკვე შედგენილი და დამტკიცებულია, ისე რომ ჩვენ არაფერ ამაზე არავისგან ცნობაც კი არ მოგვსვლია: არც საქართველოს მიღებაზე, არც მანიფესტის შედგენაზე...

ჩვენ ვიყავით ამ საქმის წამომწყები, ეხლა კი ისე მოხდა ჩვენი ქვეყნის მიღება, რომ ჩვენი — ამ საკითხის აღმძვრელთა — სახელიც კი არსად არის ნახსენები; **გარეშე ხალხმა და ჩვენ ერთ დროს შევიტყვეთ ეს ამბები.** ნუ გაგვიჯავრდებით და ამით ჩვენ შეურაცყაფილნი გახლავართ და უნდა მოგახსენოთ, რომ **ჩვენი თავი უბედურებად უნდა მივიმჩნიოთ,** რადგან ჩვენ სხვებზე უკეთ ვუწყოდით — რის მთხოვნელიც გახლდით, რასაც ვცდილობდით და ვაწარმოებდით, და ამ დროს სამეფოს ამგვარ მიღებით ორთავ სახელმწიფოში ჩვენ შევიქენით პატივისცემას და ნდობას მოკლებულნი"... (იხილეთ ზემოაღნიშნული ნოტა საქ. ელჩთა, 8 ნოემბერი 1801 წ., „ღრამოტები", II, ნომერი 291).

გასაოცარია, რომ ეს იშვიათის სიდარბაისლით და მოფიქრებით შედგენილი ნოტა, რუსის ყველა მკვლევარ - ისტორიკოსებმა ისე ახსნეს, თითქოს საქართველოს ელჩები თვის გულის წყრომას იმის გამო გამოსთქვამდნენ, რომ საქართველოს „შეერთებისას" ისინი განზე დასტოვეს, დამსახურებისათვის მადლობაც არ უთხრეს და **შესაფერისად არ დააჯილდოვეს,** არც რამე ორდენები **უწყალობესო...**

აღნიშნულ ნოტის უბრალო ანალიზი ამტკიცებს ასეთ დასკვნების შეუფერებლობას და ტენდენციურობას იმ მიზნით, რომ ქართული დიპლომატია და მისი მოღვაწეობა უღირსად იხსენებოდეს.

ამ ნოტის აზრი, რასაკვირველია, სულ სხვაა, ბევრად კეთილშობილი, და უნდა ვსთქვათ, მოხერხებულად ჩამოსხმული, რათა **ისტორიულმა სინამდვილემ ქართველობას არ დაუკარგოს ის სიმართლე, რასაც მისი ელჩები ემსახურებოდნენ.**

ნოტაში გარსევანი და სხვები აღნიშნავენ, რომ მათ **განსაკუთრებულის მიზნით** დაუწყიათ მოლაპარაკება პეტერბურგთან, რომ ამ მოლაპარაკებას უნდა მოჰყოლოდა „ორთავ კერძოთა თანხმობით" განსაზღვრულ პირობის დადება, რის საგანი იყო საქართველოს სამეფოს აყვანა უმაღლეს მფარველობის ქვეშ რუსეთს კი ეს მოლაპარაკება შეუწყვეტია და **მოპირდაპირეთა დაუკითხავად და მათი ცნობის გარეშეც კი** საგანი მოლაპარაკებისა — სამეფო საქართველოსი — გაუუქმებია და შეუერთებია.

ელჩებს, რომლებიც მოლაპარაკებათა გაგრძელებას და დაბოლოებას ელოდებოდნენ, „საქმის დასრულება" **გარეშე ხალხთან ერთად შეუტყვიათ.**

ამნაირად, საქართველოს წარმომადგენელნი მთელი ქვეყნის წინაშე აღიარებენ ამ აქტის ცალმხრივობას, ე. ი. საქართველოზე მომხდარ ძალადატანებას.

ამგვარად, ნოტაში მოცემულია კვალიფიკაცია მანიფესტისა, რომელიც არ არის დაყრდნობილი მოლაპარაკება - შეთანხმებაზე, არამედ მხოლოდ იმპერიის ნებაზე; რომ ის არ შეესაბამება ქართველი ერის და სახელმწიფოს სურვილს, როგორც ეს მანიფესტშია აღნიშნული და ამის გამო, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, კანონიერად არ ჩაითვლება...

იმ პირობებში, მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, ეს ნოტა უეჭველად გაბედული დიპლომატიური ნაბიჯი იყო, რითაც საქართველოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მომხდარ აქტს ძალადობად სთვლიან, მისგან სავსებით იმიჯნებიან, და ერისა და ისტორიის წინაშე აღიარებენ, რომ „საქმე დამთავრებული არაა"...

აი, ამ ნაბიჯს უნდოდა განმტკიცება და სჭიროდა ახალი ცდები, რაიც ეხლა საქართველოში უნდა დაწყებულიყო. ამის შემდეგ, როგორც ვნახეთ, გარ. ჭავჭავაძე და დანარჩენი ელჩები შეუდგნენ პოლიტიკურ საქმიანობას, რასაც დიპლომატიის ნაბიჯი უნდა გაეერმავებინა და განემტკიცებინა.

საქართველო (ქართლ - კახეთი) ახმაურდა და ხალხმა გარსევანის მოწოდებაზე დარაზმვა იწყო. ამას მოჰყვა სხვა და სხვა ადგილას, განსაკუთრებით კახეთში, ხალხის შეკრება, მოწოდებათა საქვეყნოდ წაკითხვა და პეტიციების შედგენა.

ამ პეტიციებში სჩანს, რომ ქართველობა ყველგან ერთსა და იმავეს მოითხოვდა — უსამართლოდ და ნაჩქარევად გადადგმულ ნაბიჯის (მანიფესტის) გაუქმებას და

ძველ მდგომარეობის ესე იგი ქართულ სახელმწიფოს აღდგენას.

მაშინდელ საბუთების განხილვა ამტკიცებს, რომ ხალხის ამგვარ დარაზმვას და გამოსვლებს მართავდა გამოცდილ ხელმძღვანელთა წრე; ეს წრე ქართველ ბატონიშვილებისა და წარჩინებულთაგან შესდგებოდა, რომელსაც, როგორც ვსთქვით, ყოველგვარი უთანხმოება დაევიწყებინა და მომავალ მეფის კანდიდატზეც შეთანხმებულიყო.

ასეთ კანდიდატად ეხლა მემკვიდრე დავითი აღარ გამოდგებოდა, რადგან ის გიორგი მეფის „თხოვნითი პუნქტების" მიმდევარი იყო და რუსთაგან შეკვეცილის უფლებით დამტკიცებული. ამ შეზღუდვებმა და შეგუებამ, გიორგი მეფის დათმობებმა ქვეყანას იმდენი უბედურება მიაყენა... ეს გზა საბოლოოდ უნდა უკუგდებულ იყო. საჭირო იყო უფრო დიდ ამბავთა გაცოცხლება და დიდ ავტორიტეტთა უკან ამოფარება. ასეთი იყო ერეკლე და მისი 1783 წლის ტრაქტატი, რომელიც სამეფოს თითქმის შეუზღუდველ უფლებებით სტოვებდა.

და მთელი ქართველობა ერეკლეს დროშის ირგვლივ დადგა და მეფედ იულონის აღიარება ისურვა. ეს სურვილი მან, პეტიციების სახით, ლეგალურ ფორმებში ჩამოასხა, დაამტკიცა, ხელი მოაწერა, ბეჭედი დაასვა და მისი გაგზავნა რუსეთის იმპერატორთან საგანგებო დელეგატების ხელით ისურვა, რასაკვირველია, ქართველ ელჩებთან ერთად შეთანხმებულად...

რუსეთი ასეთ ამბების განვითარებას გულგრილად ვერ შეხვდებოდა; მან ყრილობები შეთქმულებად მონათლა, პეტიციების შედგენა — ამბოხებისათვის მოწოდებად ჩასთვალა და ხალხს დევნა და დაპატიმრება დაუწყო. ქართული საზოგადოება ამ რეპრესიებს ჯერ დიდის მოთმინებით შეხვდა, — ის თითქოს გაოცებული იყო „მოხელეთა თავგასულობით", ვინაიდან „პეტიციები ვითომ გაუგებრობათა გამორკვევას ემსახურებოდნენ"....

ასეთ დისციპლინასთან რომ გულუბრყვილობასაც ჰქონდა ადგილი, ეს არსებითად არაფერს სცვლის...

ქართველ ხალხს თვისი საქმე იმდენად ალალად მიაჩნდა, რომ საკმაოდ სთვლიდა რუსეთის ხელმწიფისათვის უტყუარი ცნობები მიეწვდინა მომხდარ უსამართლობაზე. ამისი პლასტიური დოკუმენტებია კახელების მოწოდებანი, რომელთაგან ორიოდე უნდა გავიხსენოთ. კახეთის შეთქმულნი სწერდნენ:

„უმოწყალესო ხელმწიფევ! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენისა იმპერატორებისა დიდებულებისასა დაგვაფიცეს, მყის გამოგვიცხადდა მანიფესტით, რომ ვითომც ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე უდიდებულისა თქვენისასა, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობის ქვეშე. . .

ეს ფრანციულთ მსგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა ჩვენგან. ჩვენს ბატონებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა, რომ უარ ვყოთ; ათას ორასი წელი მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მემკვიდრეობენ და ეგრეთვე მრავალი ამათგანი ჩვენი გულისათვის წამებულან ქრისტესათვის და ჩვენთვის სისხლი დაუთხევიათ და ჩვენც ამათ წინ ამოვწყვეტილ-ვართ მრავალნი.

ესე ჩვენი ჰაზრი არ არის, — მაცდურთა კაცთაგან მომხდარია. ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზედ მრავალ - გვარად გარჯილის და ღუაწლ-დადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობაში გვამყოფოთ, და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახუროთ.

ამას ვითხოვთ თქვენის დიდებულებისაგან მუხლ - დადგმით და სულთქმით"...

ამ მოხსენებას ხელს აწერენ თითქმის ყველა წარჩინებულნი კახეთისა და ქიზიყისა (იხილეთ აქტები I. ნომერი 387).

ამ პეტიციებთან ერთად დამსწრენი ხელს აწერდნენ ელჩ გარსევან ჭავჭავაძისადმი მიმართვას, რათა მასაც წარედგინა ეს მოთხვნა ხელმწიფისადმი; თან აცნობებდნენ, რომ ეს მოთხოვნა (სამეფოს აღდგენის შესახებ) ყველას მიერ ფიცით არის განმტკიცებული და ფიცის გატეხა ხომ ქრისტიან ქართველებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათო.

„ჩვენ ერთობით კახეთისა შინა მცხოვრებელთა", —სწერდნენ ისინი ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს, — **„სამღვდელოთა და საეროთა ესე წიგნი და პირობა დავსდევით წინაშე წმიდისა სამებისა, ასე რომ ყოვლად უმოწყალეს ხელმწიფეს რუსეთის იმპერატორს მოვახსენებთ მუხლ - დადგმით და ვედრებით, რომ ჩვენზედ დიდად მოჭირნახულის და მრავალგვარად ჩვენზედ ღვაწლ - დადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოს და ამ ანდერძის წესით მეფე დაგვისვას** და ჩვენის მეფით მათის დიდებულების მფარველობის ქვეშე ვიყვნეთ.

ვინც ამაში უკან განდგეს, წმიდის სამების უარის - მყოფელიც იქმნება, ბაგრატიონთ ოჯახის მუხანათიცა და ჩვენც ერთობით — გარდავახდევინოთ"-ო...

. . (იხილეთ აქტები I. გვერდი 387).

ამრიგად, თანახმად ქართულ საელჩოს ინსტრუქციებისა პეტერბურგიდან, საგანგებოდ სხვა და სხვა ადგილას მოწვეულ სახალხო ყრილობებზე არა მარტო პეტიციებს აწერდნენ დამსწრენი ხელს, არამედ ისინი **მეფესაც ასახელებენ, ძველ ვითარებას აღდგენილად აცხადებენ და ურთი - ერთს ფიცით ეკვრიან**, რომ თუ საქმე გაჭირდა და რუსეთმა „მანიფესტი" არ გააუქმა — ქართველები თავს დასდებენ საკუთარ სამეფოსა და ბაგრატიონთათვის.

ამნაირად, ამ ყრილობებს ორი სახე ჰქონია: გარეგნულად ის ლეგალურ ფორმებში ტარდებოდა და რუსეთის ერთგულებას ღაღადებდა და ქართველ მეფის აღდგენას ითხოვდა იმპერიის უზენაესობის და მფარველობის ქვეშ, მაგრამ არსებითად ის იარაღს ისხამდა და ირაზმებოდა მოსალოდნელ აჯანყებისათვის.

შემდეგ მომხდარ აჯანყების გამო დაპატიმრებულთა

ჩვენებიდან ბევრი რამ საინტერესო ირკვევა. მაგალითად — თავადი რევაზ ბებურიშვილი აჩვენებს, რომ შეთქმულთა კარნახით შედგენილ იქმნა

1) პეტიცია იმპერატორისათვის მისართმევი. ამ პეტიციით ხალხი ითხოვდა უსამართლოდ გაუქმებულ სამეფოს აღდგენას და ბატონიშვილ იულონის მეფედ კურთხევას, რუსეთის მფარველობის ქვეშ. ამ პეტიციებს და სხვა საბუთებს მარიამ ჭავჭავაძისა უგზავნიდა რუსეთში თვის მეუღლეს გარსევანს და ძმას — ავალიშვილს, ელჩის მოადგილეს.

2) იგზავნებოდა აგრეთვე ყველას მიერ ხელმოწერილი მიმართვა ქართულ საელჩოსადმი და სხვ. მაგრამ ამასთან ერთად, შეთქმულნი სხვა, საიდუმლო დოკუმენტებსაც აწერინებდნენ დამსწრეთ ხელს. ეს დოკუმენტები იყო:

3) ფიცით შეკვრა და აღთქმა საიდუმლოების დაცვისა

და 4) მიმართვა ბატონიშვილ იულონისადმი, რომ ის აღიარებულია საქართველოს მეფედ.

და რომ ეს ცნობა რუსეთის ხელმწიფეს წარეგზავნა, ხოლო თუ კი ის უარს იტყოდა იულონის დამტკიცებაზე, **საქართველო გამოსძებნიდა სხვა გზებს და საშუალებებს მის გასამეფებლად...**

ამასთან ბრალდებული აჩვენებს, რომ გლეხობაში მზადდებოდა დიდი აჯანყება და თავადნი: ჯანდიერები, ბებურიშვილები, ანდრონიკაშვილები და ჭავჭავაძეები სოფლიდან სოფელში გადადიოდნენ და ხალხს აფიცებდნენო (იხ. აქტები I. გვერდი 372).

საყურადღებოა, რომ დაახლოებით ამ ხანში სპარსეთის შაჰი ფეჰთ-ალი ქართველ წარჩინებულთ და ყველაზე ადრე იმერეთის მეფეს სოლომონ II-ს მიმართავდა და აუწყებდა, რომ მან, ერეკლე მეფის ანდერძის თანახმად, საქართველოს მეფედ სცნო და უმაღლესად დაამტკიცა იულონ ირაკლის ძე და რომ ის მზადაა თვისის ძლევამოსილის ჯარებით საქართველოში შემოიჭრას, გიაური რუსები განდევნოს და ამოჟლიტოს და ტახტზე იულონი აიყვანოს...

შეთქმულები ამ ცნობებითაც იქმნებოდნენ გამხნევებულნი და, ალბათ, ამითაც აიხსნება მათი „მიმართვების“ მტკიცე ტონი.

ამასთან ერთად, მათ მჭიდრო კავშირი ჰქონიათ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელსაც აწვდიდნენ აჯანყებისათვის სამზადისის ცნობებს.

პოლკოვნიკი გულიაკოვი ატყობინებს მთავარმართებელს, რომ მან დააპატიმრა შეთქმულთა მეთაურნი: დ. ალექსიშვილი, დეკანოზი ხელაშვილი, სვ. ქობულაშვილი და სხვ. ამათთან ერთად მას, ეტყობა, თვალის ასახვევად, დაუპატიმრებია სომეხი ყაზარა ბაირათხამიანი, რომელსაც მთელი ეს შეთქმულება გაუცია.

შეთქმულთა ერთ მეთაურს, სვ. ქობულაშვილს ამ ყაზარასათვის „შიფრიანი“ წერილები გაუტანებია თვის ვაჟთან, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილთან იმყოფებოდა სპარსეთში. აი, ეს წერილები და ყველაფერი, რაც შუაკაცს ყაზარას შეთქმულებმა აცნობეს, მას პოლკოვნიკ გულიაკოვისათვის გადაუცია. აქედან ერკვევა შეთქმულთა კავშირი სპარსეთის კართან და კერძოდ ალექსანდრე ბატონიშვილთან.

ამ შეთქმულებას, გარეგნულად მაინც ლეგალურ ფორმას რომ ატარებდა, რუსეთი ფხიზლად დაუხვდა და დიდის სისასტიკით უპასუხა.

ქართველობას ჯერ კიდევ არ უნდოდა ელჩ გარსევან ჭავჭავაძის რჩევისათვის გადაეხვია და მან ამჯობინა ქართველ რენეგატის, ღენერალ დიმიტრი ორბელიანის დახმარებით, რუსები როგორმე დაეშოშმინებინა და აეხსნა, რომ პეტიციის შედგენით ისინი არავითარ კანონიერებას არ არღვევდნენ. შეთქმულნი კახელები გენერალ დიმიტრი ორბელიანს სწერდნენ: —

„ახლა ჩვენ უკანასკნელს უბედურებაში მივეცით, ასეთი მიზეზები მოგვცეს: ჩვენ ხელმწიფის ერთგულნიც ვართ და დაფიცებულნიცა ახლაც, მეორეთ. პირველად ხელმწიფის ერთგულობაზედ დავიფიცეთ, **მერე ჩვენის მემკვიდრეს ბატონზედ, რომ იულონ მეფეთ გვიჯდეს.** ყოვლად მოწყალემ ხელმწიფემ, — რაც ჩვენგან ენებებოდეს სამსახური, ჩვენს მეფეს უბრძანოს და ჩვენმა მეფემ ჩვენის შეძლებით გვამსახუროს; ხელმწიფეს რომ არზას ვწერდით, იმ ჟამს პადპოლკოვნიკი ჯარით და არტილერიით მოგვიხდა, დაჭერას გვიპირობდა. კინაღამ ერთს უბედურებაში არ მიგვცა. გევედრებით, ეცადნეთ ამ შფოთის დაწყნარებას და რომელი ჩვენი ძმანი დაჭერილნი არიან, ისინიც გვიბოძოს, რომ ხალხი მეტად შემოფთხა ამათ დაჭერაზედ; ჩვენი ვედრება და მოხსენება ეს არის თქვენთანა და ახლა ნება თქვენია. ხელმწიფეს არზას მოვართმევთ და ეცადენით თქვენც, რომ საჩქაროდ მიართონ“-ო. (ივლისი 1802 წ.).

ამავე დროს შეთქმულები უფრო მეტ ძალას იკრებდნენ და რუსთ მტკიცედ ხვდებოდნენ. ლაზარევის, გულიაკოვის და სხვათა თავდასხმებს და დაპატიმრებებს არ შეუშინდნენ და უფრო დიდის მხნეობით მოუწოდებდნენ ხალხს ერეკლეს ანდერძის დასაცავად. აღვნიშნავთ კიდევ ერთ ასეთ მიმართვასაც:

წერილი ქიზიყელთა შიგა კახეთის ხალხისადმი

„მათ ბრწყინვალებას კახეთის თავადთა და გლეხთ ერთობით მოკითხვას მოვახსენებთ. მერე დღეს რომ 25 ივლისია, აქ, კელმენჩურაზედ შევიყარენით, დავიფიცეთ იულონის მეფობაზედ და რომელი კახი დაიჭირონ, იმაზედ სისხლი დავთხიოთ ერთად. ამ ამბავში რომ ვიყავით, მოგვიხტა პოლკოვნიკი ჯარით და არტილერიით; ჩვენც მაგრა დავხვდით — დაბრუნდა ისევ. ახლა თქვენაც მაგრა და მხნედ იყავით გლეხიც და თავადიც.

კიდევ გაცოდინებთ ამბებს, სხვას ყველას ლუარსაბ გიამბობსთ. ეს ამბავი გაღმაც აცოდინეთ ყველას.

ჩვენ ხელმწიფის ერთგულებაზედ დავიფიცეთ და იულონის მეფობაზედ. ყველას ამბავს ეს იოანე და პაატა მოგახსენებსთ. გავაზელნო, ყვარელნო, ენისელთ მოუ-

რავნო, ნოდარიანო, თქვენც თქვენის ძმობისაგან ვერ გახვალთ. ყოვლად სამღვდელოვ ნეკრესელო, შენც ამაზედ მხნედ უნდა იყო, ხალხი გაამხნევო და ფიცით შეკრა ხელმწიფის ერთგულებაზედ და იულონის მეფობაზედ. მაყაშვილებო, ჩოლოყაშვილებო, ბაზიერთხუცისშვილებო, თქვენც ასე ჰქენით. ხელს აწერენ: **ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე, დავით - გარეჯის წინამძღვარი, ერთობით ენდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯანდიერიშვილები, ერთობით ქიზიყის მოხელენი და ქიზიყელნი გწერთ"** (აქტები I. ნომერი 473).

როგორც ამ დოკუმენტიდან და დანარჩენებიდანაც, რომელთაც აქ არ მოვიტანთ, სჩანს — ხალხი, ორგანიზაციულად მომზადებული, საჭურველით ხელში გამოსულა და რუსთა თავდასხმები უკუ უქცევია; დესპანები სხვა და სხვა კუთხეებისაკენ წარუგზავნიათ და მათთვისაც ურჩევიათ ასეთივე ბრძოლებით მოგერიება რუსთა ჯარისა.

სისხლი იღვრებოდა... მრავალთ აპატიმრებდნენ, მაგრამ შეთქმულება მაინც თვის იურიდიულ და პოლიტიკურ დასაყრდენს არ სცილდება: — მას უნდა რუსეთისადმი ერთგულება იულონის ტახტზე აყვანას შეუთანხმოს. ამნაირად, ის ეყრდნობა 1783 წლის ტრაქტატს, ერეკლეს წმიდა სახელს და ანდერძს. ასეთი იყო ქართველ ელჩების რჩევა, ამას ითხოვდა გარსევან ჭავჭავაძე და შეთქმულებმაც მის გზას ბოლომდე არ აუხვიეს.

ამრიგად, ქართულმა დიპლომატიამ თვისი ნათელი საქმე მოხერხებულის ხელმძღვანელობით ჩაატარა საქართველოში მას შემდეგ, რაც პეტერბურგმა მას ტლანქად მიუხურა კარები.

მაგრამ საქართველოში გადმოტანილი აპერაციები რუსთა ჯარებმა და არტილერიამ დაამარცხა. 1802 წლის აჯანყება მან სისხლში ჩაახრჩო.

ესეც აგვისტოში მოხდა, ამ 150 წლის წინად...

აკაკი პაპავა

მშობლიურ ქუხში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლების ღმუილი მოისმის შარაზე,
საქონლის ჯოგები დარბიან ეზოში,
ფერხული გაუბამთ პატარებს ბაგაზე,
მაჭარი აღელდა, ადუღდა მარანში.

მოზვერმა ღრუტუნას ურქინა, გაიგდო,
გულიკო მიმორბის დაკონკილ პერანგით,
დედილომ გოგია მოთითქვა, ხელ იგდო,
შეიქმნა ხმაური მრავალი ჰანგებით.

ურჩებს არ იგუებს მურია, გახელდა,
დიდედამ გაიხმო საჩხუბრად კაპასი,
თამრიკო გოგიას დაებდღვნა, უგვერდა,
ჯოგებში შეიჭრა ნათრევი ნაგაზი.

ქოფაკი გაშმაგდა, დაიწყო ღმუილი,
ფისუნებს აუტყდათ კნავილი საძრახი,
ეზოში ძროხებმა ასტეხეს ზმუილი,
ანთებულ მუგუზალს მოედვა ხანძარი.

ჯიბლიბო მამალმა თავის ტოლს უპწკინა,
უხანომ იმორცხვა, გავარდა დედლებში,
მურია ფისუნას ეძგერა, უკბინა,
უცხო ქარს აუტყდა ქავილი მინდვრებში.

ოქროპირ დაღლილი დაბრუნდა ყანიდან,
დახეულ ჩახით და გაცვეთილ მესტებით,
მურიამ შეჰყეფა, იხტუნა ბანიდან,
ბიჭები მჩხავანებს ეძგერნენ ქვიტებით.

თეთრწვერა ბაბუა ჩანჩალებს ეზოში,
ფარფატებს მოხუცი, ედება ორი-ყორის,
მუგუზალს უკეთებს დანამქრალ ქერაში,
ზარმაცი გოგია გაიცხის, გაჯორეს.

ჯიხურში ამღერდა ბულმოვრია კარდალი,
ქეცები აღმართეს დადიას კოშკივით,
ასტყვდა ჩოგანი ვით გმირი სარდალი,
ნახირში გავარდა ურგები მოზვერი...

მინდია ლაშაური

ივნისი, 1948 წ. რუპოლდინგი (ზემობავარია).

საკანი ნომერი 19

საკანს, რომელშიაც უწინ ვიყავი, ხუთიოდე კაცის გარდა, თითქმის ახალი პატიმრები ავსებდნენ, იმ განსხვავებით, რომ მომეტებული ნაწილი მაღალი სპეციალისტები იყვნენ და ეგრეთ წოდებული „პასუხისმგებელი ამხანაგები", კომუნისტური პარტიის წევრები და უმაღლესი ორგანოების კომისრები, როგორც მაგ., ბათუმის ოლქის კომისართა საბჭოს თავჯდომარე იოსებ ბრეგაძე, ძველი სოციალისტების კავშირის თავჯდომარე მგალობლიშვილი ერთ - ერთი რაიონის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი გორდელაძე, მინერალურ წყალთა კონცესიონერი დავით ქებაძე, თბილისის საალმშენებლო ტრესტის მმართველი ილიკო კიკნაძე, ამიერკავკასიის მთავარი სამხედრო შტაბის, დივიზიის ინტენდანტი გიორგი ცქიტიშვილი, ინჟენერები: გარდაფხაძე, ზურაბიანცი, და მათ შორის, თბილისში, პუშკინის ქუჩა - ზე არსებულ რესტორანის „სიმპატიას" პატრონი იოსებ თანდილაშვილი, რომელმაც ხანჯლით გული გაუპო, მისი ცოლის შეურაცყოფელ კომისარ ღლონტს, დღისით, მთავარ ტელეგრაფის შესასვლელთან.

ჩვენმა შეხვედრამ განცვიფრებაში მოიყვანა ორივე მხარე. ზემოდ ჩამოთვლილთ ყველას კარგად ვიცნობდი. მივესალმეთ და გაკვირვებული ერთმანეთს ვეკითხებოდით:

— შენც? დიდი ხანია? რაზე? შენ, როდის იოსებ?

— ორი თვეა, — მიპასუხა ბრეგაძემ.

— შენ, ილიკო?

— ერთი თვეა. რაზე, არ ვიცი, ძმაო!

— არც შენ იცი?, — შევეკითხე სხვებს, რომელთაგან ერთი და იგივე პასუხი მივიღე, გარდა თანდილაშვილისა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, რომ მისმა ხანჯალმა სიცოცხლეს გამოასალმა კომისარი.

ივლისის ცხელი და სულის შემხუთავი დღეები იდგა. საკანში ყველა თითქმის დედაშობილა იმყოფებოდა, მაგრამ ეს არავის შველოდა. პატარა ფანჯრები, რომელთაც გარედან აკრული ჰქონდა ფიცარი, ძალიან ცოტა ჰაერს გვაძლევდა.

დიდი ხვეწნის შემდეგ მოცემული წყალი, თბილი და აბედივით იყო. ყველას პირი შოშიასავით დაეღო და გამშრალი ენა თითქმის გადმოგდებული ჰქონდა.

— წყალი! წყალი! — გაისმოდა

ყოველი მხრიდან, მაგრამ მეკარე კარებზე ამოჭრილ პატარა ჩუჩრუტანიდან შემოიხედავდა ერთი თვალის გადავლებით, „წყნარად“, დაიძახებდა, და ჩამოუშვებდა გარედან მიკრულ თუნუქის ნაჭერს.

— ოჰ, ღმერთო! სადა ხარ, შე დალოცვილო! რატომ აძლევ ნებას მძლავრს, რომ სუსტი დაჩაგროს! შე უსამართლო, შენა!... ადამიანს დღეს შენი შიში აღარ აქვს... შენ მას დღეს არაფრად მიაჩნიხარ! მოკვდა შენი რწმენა, შენი სიყვარული, რომელიც ბავშობიდან ჩასახული ჰქონდა. დღეს მან უკუაგდო იგი და შეუერთდა მათ, ვინც აშკარად ჰგმობს მას...

— არავითარი ღმერთი არ არსებობს! დაანგრიეთ, დასწვით, გადაყარეთ ადამიანთა მიერ შეთუთხნული სახეები, ხატები; დახურეთ ეკლესიები, გამოიყენეთ საწყობებად, თავლად და ბაკებად... გაკრიჭეთ, გადაასახლეთ სარწმუნოების წინამძღოლნი..... დაუმტვრიე შენს მშობლებს, ოთახის კუთხეში ჩამოკიდებული ხატი; შთააგონე გაუნათლებელს, რომ ასეთი რამ არ არსებობს... კმარა რაც გვატყუეს...

ასე ასწავლიდნენ ბავშებს და განა ძნელი წარმოსადგენია, რომ მაძღარმა მშიერს დაცინვით შეხედოს და ლუკმა - პური არ გაუწოდოს?

განა ძნელი წარმოსადგენია, რომ წყალი არ მოგაწოდოს ადამიანმა, რომელსაც ურჯულოების უმაღლესი სკოლა აქვს დამთავრებული?

ან ციცხლით გაწამოს, დაგდაღოს ისე, როგორც ცხენს ან სხვა პირუტყვს ნიშნავს ადამიანი?

როდემდის შეუძლია - ცოცხალმა ადამიანმა აიტანოს ამდენი შეურაცყოფა და გაუძლოს ამდენ დამცირებას??!

არა! არა! ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია. სჯობს მოვკვდე, არაფერი მესმოდეს და არაფერს ვხედავდე! კმარა! ვეღარ ვუძლებ ამდენ საზიზღრობას, უსამართლობას! ამ დაღვრემილი სახეების ცქერას! ჩვენში სიცილი უკვე კარგა ხანია განტევებულია, — იგი ცრემლმა და სისხლმა შესცვალა ის ასვლებს წმიდა მამაპაპურ მიწას, ხოლო სასუქად ადამიანთა ხორცით მოფინა დედამიწა...

ორშაბათ დილა იყო. მთელი ღამის უძინარი, მეტად ცუდ გუნებაზე ვიყავი. ერთის მხრივ მით, რომ წინა დღით ცოლისაგან მიღებულმა საიდუმლო ბარათმა ვერ გაამართლა ჩემი იმედი, ხოლო მეორე მით, რომ დახუშულმა ჰაერმა პირდაპირ დამქანცა.

მთელი დღე ფიქრებში ვიყავ. თითქმის არავისათვის ხმა არ გამიცია. ვეგდე ძაღლივით ნარზე თვალებ დახუჭული და ვწონავდი სასწორზე დადებულ ჩემს ბედს. არც არავინ მოიყვანეს, რომ ახალი ამბავი რამე მოიტანოს! დღეს სადილის გუნებაზედაც კი არა ვარ. აგერ პატარა მხატვარი, ბათუმიდან ჩამოყვანილი, — მუნჯი, ბალანდას ხვრეპავს... მერმე არ იკითხავთ, რატომ დაიჭირეს იგი? ეს საცოდავი! და რა მუხლი ბრალდებისა აქვს წაყენებული?! — 58_2, 58_6 — ჯაშუშობა, არსებული ხელისუფლების დამხობა, სახელმწიფო ღალატი!! — სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლი დიდ უმრავლეს შემთხვევაში, საიქიოს გზავნის ხალხს. ხოლო ეს მუნჯი მხატვარი ჯერ კიდევ ცოცხალია. მას დიდი ბრალდება აქვს წარდგენილი: შვებულებაში ყოფნის დროს, ერთ დღეს მჯდარა ზღვის ნაპირზე და მისდა საუბედუროდ ნავთსადგურში ყოფილა საბჭოთა კავშირის გემი, რომლის ხატვას იგი შესდგომია. ამისათვის ყურადღება მიუქცევია „რომელიღაც ამხანაგს“ და ... მას შემდეგ წელიწადზე მეტია, რაც აქ ზის ეს უპატრონო მუნჯი, 21 წლის ახალგაზრდა. იგი აქ პატიმრებს ძალიან შველის: ამას ზარგინავაზე ნაკლები მოვალეობა არ აწევს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის, კბენარს ხოცავს. მუნჯი მხატვარი მხოლოდ ერთჯერ არის დაკითხული. მისთვის გამომძიებელს მხოლოდ ერთი საკითხი დაუსვამს:

— რომელი სახელმწიფოსაგან გქონდა დავალებული გემის გადახატვა! — და მუნჯი დღემდე ფიქრობს ამაზე!

მეტის მეტად დავიღალე! რაშია საქმე? ნეტავ რატომ არ მეძახიან დაკითხვაზე? ერთი გამომძიებელი თუ მივლინებაში იყო, მეორემ ხომ მითხრა, რომ ჩემი საქმე მას აბარიაო? იქნება მაშინდელი გამოძახებით მოთავდა ყველაფერი! მან მკითხა, — მე უარი ვუთხარი, — და მორჩა!..

თითქო მთვრალი ვიყო.., თავბრუ მესხმის... სადღაც შორს მივდივარ... ნელნელა გრძნობა მეკარგება..

— ცოტა წყალი! — წავილუღლუღე და ჩამეძინა.. ცოტა ხნის შემდეგ გავახილე თვალი: ოფლში ვარ, სულ სოველი, ნარიც კი სოველია... ავად ხომ არა ვარ? ძალას ვატან ჩემს თავს და მინდა მოვიგონო, თუ რა მოხდა, მაგრამ ამაოდ. მერმე ვილაცამ წამკრა ხელი:

— როგორა ხარ?

— კარგად! რაშია საქმე?

— არა! ისე შეგეკითხე, — მითხრა მან და ლიმონის ნაჭერი მომაწოდა.

— მადლობთ! რად სწუხდებით, მეცა მაქვს.

— ოჰ! რა ცხელა!

— ძალიან, — ვუპასუხე და ლიმონის წვენი გამოვწოვე. — მართლა, რა კარგი რამეა ეს ლიმონი! ბუნებას ყველაფერი აქვს მოცემული ადამიანითვის, ყველაფერი: თავის დროზე და უხვად. თვით ადამიანი არ ვარგა, იგი ვერ უვლის ამ სიმდიდრეს, — პირიქით, ამახინჯებს მას და ამიტომ უკმაყოფილო რჩება!

უკვე კარგად იყო შეღამებული. ბევრს ძილი მოერია. მიწვნენ, რომ ცოტა ხანს მაინც თავისი ნებით ეძინოთ და რომელიმე პატიმრის კომანდით არ გადაბრუნდ - გადმობრუნდნენ; დანარჩენნი, რამოდენიმე ნაწილად დაყოფილნი, აქა-იქ ისხდნენ და საუბრობდნენ.

— სუ! ჩუმად! — დაიძახა ვილაცამ და ყველა გაიტრუნა. მოგვესმა ფეხის ხმა, რომელიც მალე შესწყდა. შემდეგ ვილაცამ გაუყარა გასაღები კარებს, მძიმედ გახსნა, შემოიჭყიტა საკანში და ჩემი გვარი დაიძახა :

— გამომძიებელთან!

მეც ნელა წამოდექ, რათა გამყოლი მეტ ხანს გამეჩერებინა გაღებული კარით, საიდანაც უფრო სუფთა ჰაერმა დაუბერა.

იგივე კაბინეთი!

— ა-ა-ა-ა! გამარჯობათ! რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს! რა მოხდა, რით იყავით ავად? ეხლა როგორა ხართ? — მომაყარა შეკითხვები გამომძიებელმა. — დაბრძანდით! რას იტყვით ახალს? იმედია დღეს უკვე მოვათავებთ ჩვენს საქმეს! დარწმუნებული ვარ, რომ უკვე მოგბეზრდათ ჩვენთან ყოფნა! აბა! მაშ მოვწეროთ! ინებეთ! — და მომაწოდა პაპიროსი.

— მადლობთ, ნუ სწუხდებით!

— ნუ გეშინია, მოწამლული არაა; აი, მეც ვეწევი!

— ტყუილად გგონიათ რო მეშინია! მე თუთუნს ვარ მიჩვეული. პაპიროსი ვერ მაკმაყოფილებს!

— აბა, მაშ გადავიდეთ საქმეზე. მაშასადამე, თქვენ იღებთ თქვენს თავზე წამოყენებულ ბრალდებას! ძალიან კარგი!

— სცდებით. მე ჩემს თავზე არავითარ ბრალდებას არ ვიღებ და არც გვქონია ამაზე ლაპარაკი! თქვენ მარტო დადგენილება წარმომიდგინეთ, რომელზედაც ხელის მოწერას მთხოვდით, და ამით მოთავდა.

— ეხლა რას იტყვით?

— იგივეს.

— მაშ კატეგორიულ უარს აცხადებთ?

— დიახ!

— რომ დაგიმტკიცოთ, რას იტყვით?

— ცრუ მოწმეებით — ცხადია; ან — ვერა!

— როგორ ბედავთ ასეთ შეურაცყოფას! ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ აქ, ამ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ერთ-ერთ უაღრესად სუფთა და კრისტალურ ორგანიზაციაში ცრუ მოწმეებს უყენებენ ხალხს?!

— არა! მე არა მგონია! მე გეუბნებით იმდენად, რამდენადაც ჩემი ამბავი მე უკეთ ვიცი, ვიდრე თქვენ!

— წარმოიდგინეთ, რომ ჩვენც ვიცით! ამაში დარწმუნებული იყავით, რომ ტყუილად ჩვენ ხალხს არ ვაპატიმრებთ. აი, ამ წუთში დაგიმტკიცებთ! — და ელსმენით საკომენდატურო გამოიძახა.

— კაბინეთი ნომერი 25! ამომიყვანეთ პატიმარი ესა და ეს! — გასცა განკარგულება და ორიოდე წუთის შემდეგ ამოიყვანეს ახალგაზრდა, 24 — 26 წლის გ. მახარაძე, რომელიც ერთ დროს საქართველოს კომკავშირის ჯერ საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ხოლო მერმე მისივე მდივანი იყო.

— დაბრძანდით! — უთხრა მას გამომძიებელმა. — იცნობთ“ — უჩვენა ჩემსკენ.

— ვიცნობ!

— თქვენ? — მომმართა მე.

— ვიცნობ, — ვუპასუხე.

— აბა ერთი მოაგონეთ, — უთხრა მას, — როგორ გადმოგცათ სამასი მანეთი, რისთვის და შემდეგ რა გითხრათ!...

და გ. მახარაძე მოჰყვა, რომ ის რამოდენჯერმე მოვიდა ჩემთან სახლში, და ერთ დღეს, როდესაც მე მას უკვე დავუხვდი, მან ამიხსნა მიზეზი მოსვლისა, მომაწოდა ქაღალდი, რომელზედაც ეწერა: პადპისნოი ლისტ დლია ორგანიზაციი ტროცკისტოვ. და რომ მე მას გადავეცი სამასი მანეთი, ხელი მოვაწერე და ვუთხარი: ახლა მეტი არა მაქვს და შემდეგ კიდევ მოგაწვდი-მეთქი

— ცილისწამებაა! — შევყვირე გამომძიებელს. — როგორ არა გრცხვენიან?! რას მიგონებ კაცო! — მივმართე მახარაძეს, და კიდევ რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ ამ დროს გასცა განკარგულება იქვე მდგომ დარაჯს, წაეყვანა უკანვე საკანში მახარაძე და ლაპარაკი შემაწყვეტინა.

— ესაა თქვენი კრისტალი? ასე სწყვეტთ საკითხებს! რატომ არ მომეცით საშუალება მიმეცა მისთვის რამოდენიმე საკითხი?!

— გამორკვეულია. კიდევ უარზე ხართ?

— ყოველთვის! რაც არ ჩამიდენია, იმას ჩემს თავზე ვერ ავიღებ. ეს ყოველივე შეთხუზულია. აი, როგორ იყო.

— არა, არ არის საჭირო! კიდევ გირჩევთ, გამოტყდეთ!

— არასოდეს!

— მაშ კარგი! მიბრძანდით საკანში — და გამყოლი გამოიძახა.

ფუ.უ.უ.უ.უ.უ, რა სუნი დგას ამ საოხრო საკანში... ყველას ეძინა. ჩამოვჯექ ნარზე და ფიქრებმა წამიღო....

შეხედე შენ! აი ესეც შენი სიკეთე! სიკეთე განა ავით უნდა დაფასდეს? რაშია საქმე? რომელ ქვეყანაში ვართ და რა დღეში ვართ? უყურე შენ იმ ძაღლის ლეკვს, რა მითხრა! რა მომიგონა?! რაღა ვქმნა! ვიღუპები! ვაი, ჩემო ცოლშვილო, თქვე უბედურ დღეზე გაჩენილებო! რო იცოდეთ, რას მდებენ ბრალად! ნეტავ, სიზმარი ხომ არ იყო; ეს რა მიჰქარა! ოჰ, ერთი ჩამიგდო ხელში! ძვლებსაც კი დავუფქვავდი!...

ძილი მომერია, ფიქრებში გართულს ჩამძინებოდა.

— ადე მიხა, სად დაწოლილხარ?! ეგღა გაკლია რო გაცივდე! რა გითხრეს? — შემეკითხნენ და მეც ყოველი ვუამბე.

აი, რამდენი სიფრთხილე გმართებს კაცს! ჩემი ბრალია; გაჭირვებულს მარტო წიხლით უნდა გაუმასპინძლდე და არა დახმარებით!...

აქ მსურს მკითხველს გავაცნო საქმის ნამდვილი ვითარება: —

სამსახურის საქმეებით ბათუმში ვიყავ მივლინებული. ერთი კვირა დავრჩი. ჩამოვედი. სახლში ჩემმა ცოლმა ამბავი დამახვედრა, რომ ვიღაც ახალგაზრდა იყო ორჯერ, გიკითხა და გაიგო რო მივლინებაში ხარ, ბოდიში მოიხადა და წავიდაო. ჩემს შეკითხვაზე, გვარიც-კი არ მითხრაო.

— არაფერია! თუ საქმე აქვს კვლავ მომნახავს, — ვუპასუხე დასაწყნარებლად ჩემს ცოლს.

გავიდა ორი კვირა. სამსახურის საათი მოთავდა. სახლში ჩვეულებისამებრ დავურეკე:

— როგორა ხართ? მოვდივარ.

— მოდი, მოდი ჩქარა! — მიპასუხა ცოლმა, — სწორედ ის ახალგაზრდა აქ არის და გიცდის.

მივედი.

— ო,ო,ო! გამარჯობა შენი. საიდან და როგორ? მიკვირს რაზე შეწუხებულხარ!

— მეტად დიდი საათხოვნელი საქმე მაქვს.

— არა ძმაო, ჯერ სადილი და შემდეგ საქმე. აბა, ჩემო სიცოცხლევ, ერთი გაგვიმასპინძლდი!

— მობრძანდით, აგერ დაბრძანდით, — მიიპატიჟა ჩემმა ცოლმა.

ვისადილეთ. ორი ლიტრა გამოვხუხეთ. ავიშალენით.

— აბა ახლა საქმეს შევუდგეთ — და გავიყვანე სტუმარი ჩემს სამუშაო ოთახში.

— დაჯექ. რით შემიძლია გემსახურო? რაშია საქმე? რა გაგიჭირდა?

მახარაძემ თავი ჩაღუნა და რამოდენიმე ცრემლი საწერ მაგიდაზე დაეცა.

— რა იყო, კაცო! რა მოგივიდა, დაწყნარდი!

— გაიგე ჩემი საქმე?

— ხო, ისე გაკვრით!

— სამუშაოდან მომხსნეს, აგერ მესამე თვეა არსად არ მიღებენ. ამ რამოდენიმე დღის წინედ პროვინციაში ვთხოვე გადაყვანა; უარი მითხრეს. პურის ფური აღარა მაქვს; ცოლშვილი მშიერი მყავს; ბავში ავად არის, ჰაერზე უნდა გავიყვანო და აღარ ვიცი რა ვქნა. გთხოვ მიშველო; დამეხმარე. იცოდე, არ დავივიწყებ. ვითომ შენს ძმას დახმარებიხარ, — მითხრა მან და წამოდგა.

— აი ეს ერთი საათი ღა დამრჩა, გაყიდვა ძინდოდა; ორმოც მანეთზე მეტი არავინ მაძლია. შემეცოდა. თუ გიხდა შეხ დაგიტოვებ, მაგრამ ვიცი არ აიღებ. მიშველე, გთხოვ.

— კარგი. თუ ასეა, მოდი ხვალ ჩემთან სამსახურში. — და თან მაგიდის უჯრა გამოვწიე. — აი, გრიგოლ! მეტი არა მაქვს, სამასი მანეთია. მეც საგაზაფხულოდ ვუმზადებდი ბავშებს. გამომართვი. საქმე გამოგისწორდება! მომცემ. რაც შეეხება შენს სამსახურს, ხვალვე დაგნიშნავ ჩემს დაწესებულებაში რაიმე თანამდებობაზე. ნუ გეშინიან. ქვეყანა ხომ ჩალით დაფარული არ არის! გამოირკვევა და აღგადგენენ. ბოდიში, მეტი არა მაქვს, თორემ არ დაგიჭერდი.

— ოხ, რას ამბობ, კაცო! შენ პირდაპირ გამომაცოცხლე. მეყოფა! დიდი მადლობელივარ. მაშ ხვალ მოვიდე?

— უეჭველად! ამ საღამოსვე გადავსინჯავ სიას და მოვიფიქრებ, რა სამუშაო გექნება. აბა, მაშ ასე, ყოჩაღად! რას მობუზულხარ? ნუ გეშინია!

წავიდა. ამის შემდეგ ის აღარც მინახავს. ხოლო სამი თვის შემდეგ მე დამაპატიმრეს.

შუაღამის 2 საათი იქნებოდა, როცა გუშაგმა კარი გახსნა და გამომძიებელთან გამიძახა. გამომძიებელი მეტად კარგ გუნებაზე დამხვდა. შესვლისთანავე მომეგება, ხელი ჩამომართვა და სკამი მომიმარჯვა.

— სხვა, როგორა ხართ? ცივ ბორჯომს ხომ არ მიირთმევთ, — და შემომთავაზა.

— არა, გმადლობთ!

— ცივი წყალი! არც წყალი ლიმონათი?

— არა, ნუ სწუხდებით.

— იქნებ ღვინო ისიამოვნოთ? ვიცი, გიყვართ. არ გეხუმრებით! აი! — გამოაღო მაგიდის ერთი კარი და გამოიღო ერთი ბოთლი ღვინო. — გავხსნა?

— ჩემთვის არა.

— რა ჯიუტი ხართ! აბა მაშ საქმეს შევუდგეთ. რა მოიფიქრეთ? ისევ ძველ აზრს ადგეხართ, თუ გამოცვალეთ?

— წარმოიდგინეთ: ძველს.

— იცით, რომ კიდევ ბევრნი გადებენ ხელს?

— არა, არ ვიცი.

შემდეგ ამოიღო მან ქაღალდი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო აუარებელი გვარები და მომაწოდა.

— ვის იცნობთ აქედან?

წავიკითხე.

— თითქმის ყველას, ორიოდეს გარდა.

— რიგითი რომელი ნომერი და რა გვარია, წაიკითხეთ.

— მეექვსმეტე წილოსანი გრიშა. 34. შავგულიძე სერგო, 61. გოგნიძე ლადო, 79. შუღაროვი გოგი, 112. აკოფოვი საშა.

— დანარჩენი? ყველა თუ ისინი არიან, ვისაც მე ვგულისხმობ.

— მე-86-ს არ იცნობთ?

— გვარი: ჩემია, მაგრამ შეიძლება სხვაა.

— ხელისმოწერა?

— ჰავს, მაგრამ ჩემი არ არის.

— სტყუით! — შემყვირა გამომძიებელმა. როდემდის უნდა მაწვალოთ!

— გთხოვთ, წყნარად! პირიქით, უდანაშაულო კაცს მაწვალებთ! აგერ მეშვიდე თვეა რაც აქა ვარ; ხომ გაიგეთ, დანაშაული არ მიმიძღვის.

— თქვენ ყველა ასე იძახით, ვიდრე სასტიკ ზომებს არ მივიღებთ. ლუკმალუკმა აგკუწავ, დაგხვრეტავ. სთქვი. ამას ხომ ხედავ? — და წამოავლო რევოლვერს ხელი, რომელიც მაგიდაზე ედო.

— ნო მაშინებთ. მაგის მსგავსი ჩემ ბინიდან სამი წაიღეს. წყნარად, თუ არა და საერთოდ ხმას აღარ ამოვიღებ.

—მაშ გამოტყდით! სიაში ყველა ჩამოთვლილი გამოტყდა. სთქვი თორემ ამ ბოთლით გაგიხეთქავ თავს, — წამოავლო ბორჯომის წყლით სავსე ბოთლს და მომიქნია დასარტყმელად.

შეიძლება მას ჩემი შეშინება უნდოდა, მაგრამ მე აქ ვეღარ მოვითმინე, (ვიფიქრე: სულერთია ვკვდები-თქო), სწრაფლ წამოვხტი, მოვუქნიე სკამი, რომელზედაც ვიჯექ. სკამი კედელს მოხვდა, ჩამოაგდო ბელადის სურათი, ჩარჩოში ჩასმული შუშა გატყდა და ეს ყველაფერი მას დაეცა, რადგან სკამის მოქნევის დროს იგი წაიხარა. შეჰქმნა საზარელი ყვირილი, ჩამოიღო ელსმენი და ყვიროდა — მიშველეთ, მომკლა, მოკლა!...

მე გაშტერებული, პირგამშრალი ვიდექ და ჩემს უბედურებაზე ვფიქრობდი.

— მე შენ გაჩვენებ, — მიყვიროდა და თან მლანძღავდა. შემოვარდა ორი ჯარისკაცი თოფით. მტაცეს ხელი.

— აბ, — (და მოჰყვა გინებას) — ეს რა ჩაიდინე, როგორ გამიბედე! შენი მოქმედება უკვე ადასტურებს, რომ კონტრრევოლუციონერი ხარ. სთქვი, გამოტყდი, თორემ გესვრი. გააღე პირი! — და რევოლვერის ლულა პირში ჩამიდო. — სთქვი, თორემ ვისვრი!

მე მას თავი გავუქნიე და როდესაც რევოლვერი გამოიღო, მას კატეგორიულად ვუთხარ: რამდენიც არ უნდა მელაპარაკოთ, მე ხმას არ ამოვიღებ-თქო. ასეც მოხდა. ბევრი ილაპარაკა, მაგრამ მე სრულებით ხმა აღარ ამომიღია.

— მე შენ მოგარჯულებ! — დამემუქრა და განკარგულება გასცა წავეყვანეთ.

ორი ჯარისკაცი მომდევდა. გრძელ კორიდორში გამოვედ - გამოვლილი ჩეკისტები ყვილანი ძე მიყურებდნენ. ერთი ნაცნობიც შემხვდა. შემომხიდა და სწრაფლ მიიბრუნა პირი. ჩემი საკანი გავიარეთ, შევუხვიეთ მარცხნივ და გაჩერდით. მირმე ერთმა ამოიღო გასაღები და კარი გააღო. — შედი! — მიბრძანა მეორემ და ხელი მკრა. საკანში ძალიან ბნელოდა. ვერაფერი გავარჩიე. ხმა ამოვიღე. პასუხი კი არ იყო. დავიწყე ხელით ბოდიალი, მაგრამ ამაოდ. ჩემი ხელი მარჯვნივ და მარცხნივ კედელს ხვდებოდა. ასევე წინიდანაც. ბოლოს დაეასკვენ. რომ ეს საშინელი „ოდინოჩკა“ იყო. რომელიც დიდ დამნაშავეებისათვის ჰქონდათ.

საშინლად მეძინება. სად დავწვე. „ოდინაჩკაში“ მხოლოდ ჩაცუცქვა შეიძლება. ჩავჯექ. მალე დავიღალე. წამოვდექ. საშინელი სუნი დგას. ისევ ჩავჯექ. ძაგრამ ვერ გავძელ. გადავწყვიტე: თავი მოვიკლა, მაგრამ ოით? ვიღაცამ დააბრახუნა. პატარა ფანჯრიდან დამიძახა — მიიღე შენი ულუფა! — და პატარა პურის ნაჭერი და ფინჯანით წყალი მომაწოდა. წყალი გამოვართვი, პური არ მინდა.

— დღეა თუ ღამე? — ხმა არ გამეცა. — გარედ მინდა გასვლა.— არ მიპასუხა. საჩქაროდ დახურა ფანჯარა.

თითქოს მშიოდეს. კვლავ ეს წყალი. ასე განმეორდა ხუთჯერ. ბოლოს როგორც იქნა გაიხსნა კარი.

— გამოდი„ — შემოიძახა ვიღაცამ, მაგრამ ჩამჯდარმა, წამოდგომა ვეღარ მოვახერხე. — მიშველე! — მან გინებით წამომაყენა.

— წამოდი! — და ვეღარ მივდევ. მან მკლავი დამიჭირა, მივყევარ. გავჩერდით. კარზე აწერია: ნომერი 19! ჩემი საკანი! გახსნა. შემაგდო.

— ამას ვის ვხედავთ! — ერთხმად დაიძახა ყველამ. — საიდან? როგორ? სად იყავი? ჩვენ უკვე შენდობით მოგიხსენიეთ! სად იყავ? — მომაყარეს კითხვები.

— დამსვით, დამაძინეთ! შემდეგ, შემდეგ გიამბობთ. ერთი პაპიროზი ან თუთუნი მომაწევინეთ. წყალი მწყურია..

ტუსაღები ერთმანეთს უყურებენ, ვერ გამოურკვევიათ, რაშია საქმე.

გავაბოლე. — უ,უ,უ, რა კარგია! წყალმა სულ გამომაკეთა. ყველა მეკითხის.

— რა დღეა დღეს?

— პარასკევი.

— სად იყავ ამდენ ხანს?

— ოდინოჩკაში.

და მოუთმენელ მომლოდინეთ მოვუყევი ყველაფერი, რაც თავს გადამხდა ორშაბათიდან პარასკევამდე.

გამოვიძინე. მუხლები ძალზე მტკივა. დაზელამაც კი არ მიშველა.

კვირას ალოლმა „პერედაჩა“ შემომიგზავნა. ძწერდა: — „ყოველგვარი იმედი დამეკარგა. როგორ იქნება შენი საქმე, არ ვიცი. არავინ არაფერს მეუბნება. გუშინწინ ღამის სამ საათზე დააპატიმრეს საშა. კოლიამ ბევრი იწვალა, მაგრამ ვერაფერი გაიგო შენი საქმისა.

— უკვე გამომიძახეს. მე ყველათერი გავიგე. ნო წვალობ. მალე გამოვალ. — მიიწერე გასამხნევებლად ჩემ ალოლს. დანარჩენს ვერაფერს მიწერ. მეშინია. ჩემი ამბავი რო გაიგოს, თავს მოიკლავს.

მოძრაობა შეჩერებულია. უკვე ერთი კვირაა, ჩვენს საკანში არავინ მოუყვანიათ. საინტერესოა, კიდევ დამიძახებენ, თუ ამით მოთავდა საქმე! აგერ ერთი თვეა, რაც აღარ მეძახიან. ბრეგაძეს თითქმის ყოველ დღე ეძახის გამომძიებელი. შეხვედრაზეა, ვინ ვის შეხვდება, რა რჯულის და რა ხასიათის. ზოგ პატიმარს ქართველი გამომძიებელი ხვდება, მაგრამ თავსა და ბედს იწყევლის. ისეთ დღეს დაგაყრის, რომ ურჯულო თათარი არ გიზამს იმ საქმეს, რასაც ეს ქრისტიანი. მაგრამ მე მგონია აქ არც ქრისტეა დამნაშავე და არც მაჰმადი, — რეჟიმზეა დამოკიდებული, ჯოჯოხეთურ წესწყობილებაში სხვაგვარად არც შე იძლება!

დღეს ერთი ჩემი ნაცნობი, გვარად ხახანოვი, შემოაგდეს საკანში. ყველას სძინავს. ჩვენ ისევ ჩუმად ვლაპარაკობთ. ბევრი ახალი და საინტერესო ამბავი მიამბო. საქართველოს კომპარტიის ცეკაში დიდი კინკლაობა ყოფილა. დაბეზღება დაბეზღებაზე მიდის მოსკოვში. ასევეა სახკომსაბჭოშიც.

მამულია, მელაძე, სუხიშვილი, გერმანე მგალობლიშვილი, ორახელაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, ერქომაიშვილი, პეტრე აღნიაშვილი, ელიავა, მიხა, ფილიპე, ყურულოვი, თოდრია, ბუდუ, ოდილავაძე, ტიტე ლორთქიფანიძე, შავერდოვი, წითლაძე... ყველა ამათი და სხვა აუარებელი პარტიული და სხვა ტრესტების და სამმართველოების დირექტორების საქმე ძაფზე ჰკიდიაო.

თენგიზ ელენტს, გვაზავას, იაშვილს და ბათუმის ოლქის კომიტეტის მდივანს გეორქოვს თვითმკვლელობით გაუთავებიათ თავისი კარიერა.

ასეთივე მდგომარეობა ყოფილა აზერბეიჯანში და სასომხეთოს ცეკაში. თვით მოსკოვშიაც აურზაურია. ძალლი პატრონს ვეღარ სცნობს. ხალხის მამას თავისი ცოლი ალილუევა მოუკლავს; სერგო ორჯონიკიძის ვოროშილოვისათვის სილა უტკეცნია; ტუხაჩევსკი გადაუყენებიათ; კამენევი კი ბოდიშს იხდის; ზინოვიევი შეწყნარებას თხოულობს; კიროვი საჩქაროდ ლენინგრადში გაუგზავნიათ და სხვა მრავალი...

ხმა ისმის. გავიტრუნეთ. კარი გაიღო.

— პატიმარი მ...., — და პასუხი გავეცი.

— გამომძიებელთან! — მიბრძანა და გავყევ.

— დაჯექით! — მკვახედ მითხრა გამომძიებელმა და დაბღვერილმა შემომხედა.

— ილაპარაკებთ?

— წყნარად, კი.

— მაშ ყური უგდეთ. თქვენ და სხვებს, რიცხვით 116 კაცს, ბრალად გედებათ ტროცკისტული, მავნებლური - დივერსიული ორგანიზაციაში მონაწილეობა, რაც გამოიხატება სხვა და სხვა ქვეყნებიდან მიღებულ დირექტივების თანახმად, არსებულ ხელის უფლების ძირისგამოთხრით, ხელის შეწყობით; ისეთი მოქმედებით, რამაც შესაძლებელია ხალხში უკმაყოფილება გამოიწვიოს; კოოპერაციებში და სხვა სამომხმარებლო დაწესებულებებში რიგების დაარსება და კუდების შექმნა; საქონლის არა წესიერად განაწილება, შეწყვეტა, ფასების გადიდება; მუშათა და გლეხთა აბუჩად აგდება; დაუდევრობა, ცუდი ხარისხის საქონელის გამოშვება; თვითღირებულების აწევა და მრავალი კიდევ სხვა, რამაც ავტორიტეტი შეულახა არსებულ ხელისუფლებას. ამის გამო ყველას დახვრეტა მოელის. გაიგეთ?

ამას შემდეგ გამომძიებელმა გამოაღო უჯრა, ამოიღო ერთი პატარა ქაღალდი და დაიდო წინ.

— მართალია, თქვენ მეტისმეტად მაწყენინეთ სამსახურის აღსრულების და დაკითხვის დროს, ოფიციალური დაწესებულების თანამშრომელს სკამი მესროლეთ, რის გამო შემეძლო იმ წუთში მომეკალით და პასუხსაც კი არ ვაგებდი, მაგრამ მაინც შემეცოდე, შემეცოდა თქვენი ოჯახი და თქვენი შვილები. ამიტომ ვიშუამდგომლე კოლეგიის წინაშე, რომ, ვინაიდან თქვენ შედარებით მცირე დანაშაული მიგიძღვით ამ საქმის ირგვლივ, რომ თქვენ მარტო მატერიალურად უჭირდით მხარს და შეცდომაში ხართ შეყვანილი, სიცოცხლე შეგინარჩუნონ და გაგანთავისუფლონ, მხოლოდ ერთი პატარა პირობით,—თუ აი, ამ ქაღალდს მოაწერთ ხელს!, — და უჯრიდან ამოღებული ქაღალდი ჩემს წინ დადო.

— პოდპისკა — ამოიკითხა ოწინარეს ყოვლისა ჩემმა თვალებმა. მერმე იწერა: მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი მოქალაქე .... ვაძლევ ამა ხელწერილს საქართველოს შინსახკომს მასზედ, რომ მოვალეობას ვიღებ ვიმუშაო საიდუმლო თანამშრომელად ამა და ამ სახელით და სხვა.

— არა! — გავუქნიე თავი გამომძიებელს. — მე ამის ცოდნა არ შემწევს; ამისათვის საჭიროა სპეციალური ხალხი. მე უვარგისი თანამშრომელი ვიქნები ასეთი დაწესებულებისათვის. არ შემიძლია გავაკეთო ის, რაც ჩემთვის მიუღებელია.

— არა უჭირს-რა! თუ რამე გაგიჭირდებათ, მე და სხვებიც აქ ვართ. გასწავლით. შენ მარტო ტელეფონი უნდა დაგვირეკო, რომ ამა და ამ ადგილას ეს და ის პიროვნება მიგაჩნიათ საეჭვოდ. ამას გარდა, მიიღებთ დავალებას: ადევნე თვალყური მოქალაქე ამას და ამას: რას აკეთებს, სად დადის, როგორ დადის, რას სჭამს, რამდენს, რამდენს ხარჯავს, ვისთან ხარ ჯავს და სხვა. ხშირად მოგიხდებათ თეატრში ყოფნა. იქ თქვენ ყურადღება უნდა მიაქციოთ, რამე ისეთი არ წარმოსთქვას მსახიობმა, რაც ჩვენს პრინციპებს არღვევს, კლასიურად მიუღებელი პირები არ გამოჩდენ სცენაზე; უნდა გამოარკვიოთ მათი წარსული, აწმყო; გაიგოთ, სად ცხოვრობს, როდის და რით მიდის შინ; მის სახლში ხალხი თუ იკრიბება, გაიგოთ ეს თუ საჭიროა იქნება მისი ცოლის, ან დედის დაკითხვით, და ხელწერილობითი გაფრთხილებით, რომ მას არ ეტყვიან; ზოგჯერ სინემაში შეივლით და სურათს ნახავთ; როგორია, ვისი დადგმაა, რა შთაბეჭდილებაა; ეკრანზე ბელადის გამოჩენას როგორ შეხვდა ხალხი. ხშირი სტუმარი უნდა იქნეთ სხვა და სხვა ტრესტისა და კოოპერატივისა, სადაც რიგებია გამართული; პურისა და ნავთის დუქნებთან, ტრამვაის გაჩერებასთან, მეყასბეებთან და სხვა და სხვა. უნდა ყურ უგდოთ, რიგებში რას ლაპარაკობენ ან რას ჭორაობენ, რას იძახიან მთავრობაზე და სხვა. ყურადღება უნდა მიაქციოთ აგრეთვე მილიციის თანამშრომლებს , თუ დგანან თავიანთ ადგილებზე, სამუშაო საათებს თუ წესიერად ასრულებენ, ქრთამი და სხვა. საუკეთესო მეთოდია სკოლებთან კავშირის გაბმა. გაიცანით რამოდენიმე მოწაფე, დაუახლოვდით, ერთად გაიარეთ, დაპატიჟეთ, მერმე დაუწყეთ გამოკითხვა — როგორ სწავლობს, როგორ ასწავლიან, შინ მამა როდის მოდის, რაზე ელაპარაკება დედას, ვის აქებენ, ვის ლანძღავენ და სხვა და სხვა.... აბა, რას ფიქრობთ? — შემეკითხა იგი, — სიკვდილს ხომ ეს სჯობია?

— შეიძლება ჯობია, მაგრამ მე მაინც სიკვდილს ვარჩევ. დეე, ჩემს შვილებს დახვრეტილი მამა ჰყავდეთ, ვიდრე მამა ჯაშუში!

აქ გამომძიებელი წამოხტა და კიდევ ყვირილი დამიწყო — მაშ ჩვენ ჯაშუშები ვყოფილვართ?!

— არა! მე ჩემს თავზე ვიძახი! — ვუგზავნო.

ორშაბათს საღამოს ხუთ საათზე გამომიძახეს, ბარგიანად, და ეგრეთ წოდებული „შავი ყორანით“ ანუ საპატიმრო მანქანით ორთაჭალის ციხეში გადამიყვანეს.

სწორედ მითხრა პატიმარმა, ციხეგზულმა წერეთელმა: ციხე სჯობნებია იმ ჯოჯოხეთს. მართალია, არც ეს არის სამოთხე, მაგრამ რა შედარებაა! აქ ძილში კამანდით მაინც არ იცვლი მხარს. ამას გარდა მეტი შეღავათებია. მესამე დღესვე უკვე ჩემი მეუღლე ვნახე. საწყალი, რას დამსგავსებია! ეტყობა, ამას ჩემზე ნაკლები ტანჯვა არ გადაუტანია: გამხდარა. თვალები ჩასცვივნია, თითქო დაპატარავებულა კიდეც! სტირის — ვაწყნარებ: — რას იზამ, ჩემო კარგო, ცხოვრებაში ყოველივე მოსალოდნელია! — მიამბობს იგი თავის გაჭირვებას. რა ვქმნა, რით ვუშველო?!

დღეში ორჯერ ეზოში გავდივართ, თითო საათით. რაც შეეხება ხალხის გაყვანას და დახვრეტას, — აქ თითქოს ეს საქმე უკეთესად არის დაყენებული. ამისათვის განსაკუთრებული საკანი არსებობს, რომელსაც უწოდებენ „სასიკვდილო საკანი“! ამ სასიკვდილო საკანში იმყოფებიან ისინი, ვისაც სასამართლოს მიერ აქვთ მისჯილი უმაღლესი სასჯელი. ამ საკანიდან თითქმის ყოველ ღამე მოისმის ყვირილი, როდესაც გაჰყავთ დასახვრეტად. აქ დახვრეტას ასრულებს გრიშა კურასპედიანი (ციხის უფროსი) და დახვრეტა ხდება იქვე, ციხის გარეთ, მინდორზე. აი, სწორედ წუხელ გაიყვანეს დასახვრეტად ირაკლი ერისთავი. მის დახვრეტას დღეს თითქმის მთელი ციხე გლოვობს...

უკვე ექვსი თვეა ორთაჭალის ციხეში ვიმყოფები. აქ ძალიან ბევრი ხალხია. ციხის ზედამხედველებიც კი გაკვირვებული არიან: ასეთი რაოდენობა მათ ჯერ არ ახსოვთ!

საკონცენტრაციო ბანაკებში გადამსახლებელი კომისია დღე და ღამე მუშაობს; ათ დღეში ერთი ეტაპი გადის, რიცხვით არა ნაკლებ 1200 — 1500 მამაკაცისა და დედაკაცისა. ციხის საავადმყოფო გაჭედილია სნეულ პატიმრებით. დედაკაცთა განყოფილებაში ადგილი აღარ არის. გადაცემათა მიღებას ვერ ასწრობენ. ციხის სარდაფებში მოთავსებული არიან „ჯიგნები“ ანუ უპატრონო ბავშვები 16 წლამდე. დღე არ არის, რომ ერთი - ორი მკვდარი ბავში არ გამოათრიონ. შიმშილით იხოცებიან. ამ რამოდენიმე დღის წინად „კაშტანა“ (ციხის ძაღლია) შესჭამეს. ასევე ხელიდან სტაცებენ გადაცემათა დამტარებლებს საჭმელს და სხვა. გამოსავალი აღარა აქვთ.

ციხის მეორე უზარმაზარ კორპუსს, რომელშიაც მოთავსებული იყვნენ ციხის ადმინისტრაცია და ჯარი საყარაულო ნაწილისა, სცლიან და ფანჯრებს რკინის ჩარჩოებს უკეთებენ. კარებებს რკინას აკრავენ, დიდ ოთახებს საკანებად ჰყოფენ! ემატება მეორე დიდი ციხე: იქნებ ახლა მაინც მოთავსდეს ეს აუარებელი ხალხი!

„საბჭოთა კავშირმა დაჰგმო რუსეთის თვითმპყრობელობის კანონი. აუარებელი ციხე დაიკეტა და მუზეუმებად გადაიქცა! — ყვიროდნენ კომუნისტები და გაზეთები სავსე იყო წერილებით. მოსდეს მთელი დედამიწის ზურგს ამბავი ,რომ „ქალაქ თბილისში ისტორიული მეტეხი დაკეტეს და მუზეუმად გადააქციეს“-.! ხოლო მის მაგიერ რომ ორი ვეებერთელა ციხე ააშენეს, ამაზე გატრუნვილი იყვნენ.

ამ მუზეუმში ბევრი რამ საინტერესო სანახავია. ოთახი, სადაც იჯდა ხალხის მამა; აქვე გვერდზე რკინის ჯაჭვი - ბორკილი, რომელსაც აწერია, რომ იგი სოსო - კობას ნაზ ფეხებსა და ხელებს ბოჭავდა; აი, მეორე - მესამე - მეოთხე და სხვა საკნები. აქ იჯდა ტერორისტი „დავახეთქე“ „კამო“, მიხა ჩოდრიშვილი, ვანო სტურუა, ჭიპრია, სილოვანი, კიდევ მიხა ცხაკაია, ანდრო ფირცხალავა, სერგო ორჯონიკიძე, თომა, პავლე, სერიოჟა და სხვა მრავალი, რომელნიც შემდეგ თვით სოსო - კობამ შთანთქა!

იმ ბრალდების შესახებ, რომლის გამო შინსახკომში თითქმის რვა თვე ვიჯექ და ახლა აქ, ციხეში ვაგრძელებ ყოფნას, გავიცანი და შევხვდი თითქმის ყველას, რომელთაც იგივე ედებოდათ ბრალად, რაც მე.

არავინ არ სთვლიდა თავის თავს ბრალდებულად. თვით ჩვენი ცილისმწამებელი მახარაძე ციხეში არ იჯდა; იგი სადღაც სხვაგან ჰყავდათ გადამალული. ამ 116 კაცისაგან შემდგარი უჯრედის ნაწილი ისეთ პირებს წარმოადგენდნენ, რომელთაც არასოდეს -არასოდეს, არამც თუ ტროცკის, არამედ თვით ლენინის პარტიასთანაც კი გვერდში არ გაუვლიათ! აქ იყვნენ სომხები, რამოდენიმე აზერბაიჯანელი, ოსი, თბილისელი რუსები და მალაკნები, ხოლო უმეტეს ნაწილს ქართველობა წარმოადგენდა. თვით დამსმენელ მახარაძეს ბევრი არ იცნობს. საიდან შეთხზა ამ ძაღლის ლეკვმა ეს ამბავი, ან ვისი კარნახით, ბევრისათვის გაუგებარი და საოცარი იყო; უმეტესმა ნაწილმა კი, ეხადია, იცოდა და მათ შორის მეც.

საკმარისია იცხოვროთ საბჭოთა კავშირში და ამასთანავე მუშაობდეთ ბოლშევიკებთან, (ოტად თუ ბევრად, ასე საშუალო თანამდებობაზე, რომ თქვენთვის იქაური, დაახლოებით ასეთი ამბები არ გაკვირვებდეს. ამას, რასაც გიამბობთ, გაგაკვირვებთ, ისე პაწაწუნა ამბავია, რომ თუ მეტად კარგი და ჯანმრთელი მხედველობა არა აქვს კაცს, ვერ დაინახავს. ეს ჩვენთვის შეუძლებელი და დაუშვებელი ამბავია, მათთვის კი — სრულიად ნორმალური. არაფერი არ არის აქ გასაკვირი. პროლეტარიატის ბელადმა წარმოსთქვა: „უნდა ვიცადოთ სულ მოკლე ხანში დავეწიოთ და გავასწროთ ამერიკას და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს“-ო — „ჩვენი მრეწველობა გასაოცარ შედეგებს უნდა იძლიოდესო“; — „მთავრობამ ტკბილი და საამური ცხოვრება შეგიქმნათ. ხოლო ხალხმა იგი დაუღალავი შრომით უნდა დააფასოს. გამოიჩინეთ მეტი ენტუზიაზმი, შეჭმენით დამკვრელი ბრიგადები, გამართეთ შეჯიბრება, ასწიეთ და გააორკეცეთ შრომის ნაყოფიერება“ და სხვა ამგვარი. ერთი - ორი დააჯილდოვეს კიდეც. ხალხი გაზეთებში კითხულობს: — 26 კომუნარების სახელობის ქარხნის დირექცია, დღეს, (ეხის ძირის კურორტზე გზავნის ორ მუშას-დამკვრელს, რომელმაც უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში დაკისრებული სამუშაო 180 % შესრულეს... — ან —ამიერ - კავკასიის რკინისგზების, ჩვენი დიდი მასწავლებლის, ბელადის, გენიოსის, საყვარელ და ძვირფას ხელმძღვანელის, ამხ. სტალინის სახელობის სახელოსნოს მუშებმა ხუთწლედის გეგმა ორ წელიწადში შეასრულეს, რის გამო გუშინ განსაკუთრებული რონოდით 45 კაცი მთავრობამ მოსკოვს გაგზავნა, რათა იქ ინახულონ ბელადი და მას მოახსენონ მისი სახელობის სახელოსნოთა მიღწევის შესახებ... — და მრავალი ასეთი.

ორი - სამი კვირის შემდეგ კვლავ მეორდება: — გუშინ მოსკოვიდან დაბრუნდა მთავარი სახელოსნოს 45 მუშა, რომელიც თვით ბელადმა ინახულა და უსურვა მეტი გამარჯვება. მუშები დაჯილდოვებულ იქმნენ პირადად ხალხთა მამის მიერ! რონოდა, რომლითაც იმგზავრეს მუშებმა გაჭედილი იყო აუარებელი სხვა და სხვა საჩუქარით: მოტოციკლეტები, ველოსიპედები, პატეფონი, ოქროს საათი, (რომელსაც შინსახკომის საშუალებით მალე უკან გადაუგზავნიან!), კოსტუმები, ჭურჭლეული (ესეც კარგია, თუ მასზე რაიმე დასაწყობი გამოჩნდება!) და სხვა... ამას გარდა ბევრის მკერდს ორდენი ამშვენებს, რომელიც თვით მამამ მიაკრა! ... (ხოლო ორდერს კი ალბათ შინსახკომი მიაკრავს)

აქედან იწყება უბედურება...

გიგამ ვერ შეასრულა გეგმა, ტარასიმ წუნდებული საქონელი გამოუშვა, მიტომ სამუშაოზე დაიგვიანა, ზურაბმა ხორცის დამზადება ვერ შეასრულა, რადგან მისმა ღორმა გოჭები ცოტა დაჰყარა; ელისაბედმა რძის დამზადება ვერ მოახერხა, რადგან ძროხა გაუბერწდა, ვანომ — ღვინის დამზადება, რადგან ვენახი დაესიტყვა, ლიზამ — კვერცხის, რადგან ქათმები არ უდებენ; გიორგიმ სხვას ფული შეუყალაპა და სხვა და სხვა ასე.

ამგვარადვეა სხვა დარგებში, როგორც პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში, ისევე ტრანსპორტისა და კოოპერატივის დარგში.

ამხანაგო! რატომ მოხსენება არ ჩაატარეთ! უცხო ელემენტები მიგიღიათ პარტიაში! უპარტიო კაცთან ღვინო დაგიღევია! სამსახურში დაგიგვიანებია! სწორედ არ დაგიგეგმავს! ბინზინი გადაგიხარჯავს! კომსომოლი სამუშაოდან მოგიხსნია! მიუღებელი პირი სამუშაოზე მიგიღია! — მატარებელმა დაიგვიანა, კონდუქტორი მგზავრს უხეშად მოეპყრო, მუშებს დროზე პასუხი არ გასცეს, საქონელზე გასაყიდი ფასები არ ყოფილა ნაჩვენები და ასე მრავალი სხვა...

ყველა დარგის სპეციალისტი მიღებულია მხედველობაში: არავინ გამორჩება: ექიმი, მწერალი, მეცნიერი, მსახიობი, ვექილი და სხვა, — ყველას თავისი დარგის მიხედვით აქვს წაყენებული ბრალდება.

— რატომ გამოუწერეთ ავადმყოფს ქათმის ხორცი? ტყუილია, ის სიმუელი ანტია და არა ავადმყოფი! კბილი რად ამოსთხარეთ?...

— ლექციაში ნაკლებად გყავთ მოხსენებული ბელადი! ასეთი გამოკვლევით შორს ვერ წავალთ! ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფოს მოთხოვნილებას! თემა მიუღებელია! დამახინჯებულია რევოლუციის ბელადის როლი...

— ადრე შეგიწყვეტიათ! ნაკლები სიფხიზლე გამოიჩინეთ! თქვენ რატომ დაიკავეთ გამფლანგველი! მუხლი სწორად არ შეუფარდეთ! რატომ უმაღლესი სასჯელი არ მოითხოვეთ!...

აი ასეთი ხალხით ავსებენ ციხეებსა და მატარებლების რონოდებს, რომელნიც მისრიალებენ ტაშკენტისაკენ, ციმბირისაკენ, სხვა და სხვა მხარეს, არხებისა და გზების მშენებლობაზე...

ჩვენმა პროკურორმა, რომელიც სპეციალურად მოსკოვიდან იყო მოვლინებული თბილისს, (გვარად კატანიანი იყო — სომეხი) სულ მოკლე ხანში მოათავა კვლევა-ძიება, უფრო კი დაიყრდნო შინსახკომის გამოკვლევის აქტებს და ორი კვირის საჩვენებელი პროცესის შემდეგ, 96 კაცს, და მათ შორის მეც, სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი მიანიჭა ესე იგი სიკვდილით დასჯა, ხოლო 20 კაცს ათი წლით გადასახლება საკონცენტრაციონ ბანაკებში. ყველას მთელი ქონება, რასაკვირველია, ჩამოერთვა...

დამსწრე საზოგადოება, რომელიც სასამართლოს იმ ვეებერთელა დარბაზს ავსებდა ყოველ დღე, პროცესის მთელი ხანის განმავლობაში, დიდი აღფრთოვანებითა და ოვაციით შეხვდა ამ განაჩენს...

პროკურორი კატანიანის დიდი სიტყვა, რომელიც დამსწრეთ მალამოდ ედებოდათ, იმას ამტკიცებდა, რომ ყოველგვარი უბედურება, რაც ხალხმა გადაიტანა: სიღატაკე ,სიტიტვლე, შიმშილი და სიკვდილი, სულ ჩვენი ბრალი იყო; რომ ჩვენი მავნებლური, დივერსიული და ბიუროკრატიული მოქმედებით ხელს ვუშლიდით სოციალიზმის მშენებლობას და კომუნიზმის საძირკველთა ჩაყრას. „მეტი სიფხიზლე! თვითეული პატიოსანი მშრომელის მოვალეობას შეადგენს ასეთ პირებს ყურადღება მიაქციონ და დაუყონებლივ ამჟღავნონ ისინი“... ასე და ასრულა პროკურორმა თავისი საბოლოო სიტყვა და მას მქუხარე ტაში მოჰყვა...

დღის ოთხი საათი იყო, როცა სასამართლოდან გამოგვიყვანეს. ქუჩები მთლად შეკრულია. გარედ სდგას ეხენოსანთა მილიციის ასეული და ჩვენ გველის. არავის აჭაჭანებენ ახლოს. სახლების ფანჯრები დახურულია. სასამართლოს შიგნით უბედურება ტრიალებს. ჭირისუფლები სტირიან, ბლავიან, ზოგი გულწასული გდია, მშველელი არავინ არის...

— ვაიმე შვილო... ვაიმე მამა... ძმაო... — ყვირიან, ეკვიან, წივიან მახლობლები... — გვიშველეთ ხალხო.... — მეც მომკალით! — გაჭკივის ერთი ახალგაზრდა ქალი... — მამიკო, გენაცვალე, რა უნდათ შენგან! — შენ დამნაშავე არა ხარ... — სად არის სამართალი.... და თავპირდასისხლიანებულნი უკან ტუსაღებს მოსდევენ...

ქუჩაში ოთხ - ოთხად დაგვამწკრივეს და ეხენოსანმა მილიციამ თოფები მოიმარჯვა და ასე ვიარეთ ორთაჭალის ციხემდე. ხოლო იქ კი სასიკვდილო საკნებში მოგვათავსეს...

იმ წამსვე ელვა - დიპეშა გავუგზა-

ვნეთ სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე კალინინს, რომლითაც სიცოცხლის ჩუქებას ვთხოვულობდით...

თუ ვინმეს თვით არ გამოუცდია, ისე წარმოუდგენელია, თუ რა ძნელი გადასატანია ამ სასიკვდილო საკანში ყოფნა...

იმ ღამეს არავის სძინებია... ყველა იატაკზე ვისხედით... ისეთი სიჩუმე სუფევდა, თითქო აქ არავინ იმყოფებაო... ყველას თითქო ენა წაერთვა... ან რაღა იყო სალაპარაკო...

ციხის მორიგი ზედამხედველი მეტად ფხიზლად იყო, დადიოდა გრძელ დერეფანში და ხშირად ახველებდა.

გათენებულა! ქუჩიდან ტრამვაის მოძრაობის ხმა შემოისმა... აგერ სადღაც ქარხნის საყვირი გაჰკივის, ეძახის მუშებს, რომელთაც ალბათ ჯერ რიგიანადაც არ გამოუძინიათ... და მშიერი კუჭით მუშაობას უნდა შეუდგენ. შიგნით ციხემაც გამოიღვიძა... დერეფნებში ზედამხედველები ხმაურობენ, მორიგეებს სცვლიან. აგერ ჩვენი საკანიც გახსნეს, დაგვთვალეს და ისევ ჩუმად გავიდნენ... მერმე ცხელი წყალი და პური შემოგვიტანეს...

— თუ შეიძლება პაპიროსი ვიყიდოთ? — სთხოვეს ზედამხედველს და ფული გადასცეს.

კვლავ სიჩუმე! რამდენი ხანი გავიდა! ნიტავ თუ მოვიდა პასუხი დეპეშაზე! რომ მოსულიყო, ხომ გვაცნობებდენ! — უპასუხა მეორემ. — ალბათ ეარი გვეთქვა, თორემ უკვე დრო არის. გუშინ საღამოს შვიდ საათზე გა იგზავნა, ეხლა ათი საათია! — დაუმატა მესამემ.

კარები გაიღო, პაპიროსი შემოიტანეს.

— ძმაო! ჩვენს შესახებ ახალი ხომ არაფერია? —

— თუ იქნება, გეტყვიან! — გაჯავრებული კილოთი გაგვცა პასუხი დარაჯმა ოსმა და კარი გაიკეტა...

კვლავ მოისმა ხმაურობა... ვიღაც ყვირის, ყვირილს ლანძღვა მოჰყვა... კიდევ ყვირილი... — როგორ თუ არ იცი? — მოგვესმა, და ყვირილი შესწყდა. აგერ ციხის ზარი რეკავს. სადილი იწყება...

ჯერ კიდევ არაფერი ამბავია... ყველა შფოთავს... — იქნებ დაიკარგა დეპეშა — ან იქნებ არ გააგზავნეს....! — არა მგონია! ასეა თუ ისე, მაინც მოვალე არიან, გვაცნობონ. — მოვალე, თუ არა, მე ვიცი, შენც ყურებზე ხახვი არ დააჭრა! არ გეტყვიან, ი ვსიო! უჩივლებ თუ? ძალა მაგათ ხელშია! ხო ხედავ, როგორც უნდათ, ისე გატრიალებენ, ისე სწყვეტენ, და ისე გსჯიან!

— მერე სამართალი?

— რის სამართალი?! რომელ სამართალზე მეუბნები?!? ასეთი არ არსებობს....

— სამართალი არ არსებობს, არ ყოფილა და არც იქნება!...

— აი, ამ საკანში 27 კაცი ვართ, რომელსაც ერთსა და იგივე დანაშაულს გვდებენ ბრალად! ამის გამო დახვრეტა გვაქვს მისჯილი. აბა, სთქვას რომელიმემ, თუ ის დამნაშავეა იმ საქმეში, რასაც ბრალად გვდებენ!

— ასეთი არ არის.

— მაშ რაშია საქმე? თუ სამართალი არსებობს, ჩვენ აქ რა გვინდა?! რად ველით სიკვდილს... რად ვტანჯავთ ოჯახს, შვილს, ცოლს, დედას, მამას, სხვებს... რატომ თავისუფალი არა ვართ!?!ამ უსამართლობით გაუბედურებული და შიშით შეპყრობილი შენი ძმა სასამართლოს განაჩენს „ვაშას“ ძახილით შეხვდა! და განა მთავრობამ არ იცის, რომ ჩვენ დანაშაული არ მიგვიძღვის?!, მაგრამ რა ჰქმნას? რით დაუმტკიცოს ხალხს, რო დღევანდელი მისი ცხოვრების პირობები უკეთესი იქნებოდა? — აი, ასეთები გვიშლიან ხელსო! ... და ხალხიც ჩვენზე განაჩენს შეეგება...

მერმე თქვენ გგონიათ, ამით ამოიწურება? არა! ეს ერთი მოქმედებათაგანია. მერმე კვლავ აიხდება ფარდა, გამოჩნდება შეცვლილი სცენა და ძომქძედნი პირები. იპამპულებენ და დამთავრდება. ასევე ეყრებიან ხვალ აქ ისინი, რომელნიც დღეს ჩვენს განაჩენს აღტაცებით შეხვდნენ. — მაშ მთავრობა ხომ არ წარსდგება ხალხის წინაშე! „გვაწამეთ! თქვენი „საამური ცხოვრების“ მიზეზნი ჩვენა ვართო!“.

ხმაურობაა... ჩვენს კარს გასაღები გაუყარეს... გააღეს. შემოვიდა ციხის უფროსი გრიშა კურასპედიანი, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ იგი გამოუძინარი და ნაქეიფარია. მას მოჰყვა ციხის ორი ზედამხედველი... შეეკრთით... რაშია საქმე? ნუ თუ ჩვენს დასახვრეტად მოვიდნენ?! მაგრამ ეს შეუძლებელია, ეხლა ხომ დღეა, დღეკი ხალხს არ ხვრეტენ. მაშ რაშია საქმე?! იგი ყველას სათითაოდ ჩააცქერდა... ჩაიცინა... მერმე ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და კითხვა დაიწყო: —

— სვიმონ ზანდუკელი, ივანე მონტინი, რუბენ ბალუსტიანი და მ. (ამოიკითხა ჩემი გვარი). სრულიად საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავჯდომარემ, ამხანაგმა კალინინმა, ზემოხსენებულ პირებს უმაღლესი სასჯელი შეუცვალა ათი წლის გადასახლებით, ხოლო დანარჩენთა მიმართ უზენეს სასამართლოს დადგენილება ძალაში რჩება-ო...

— გაიყვანეთ შეწყნარებულნი! — გასცა ბრძანება კურასპედიანმა და საკანი მაგრა გამოკეტეს...

შემდეგ დაგვიძახეს ციხის უფროსის კაბინეთში და ხელი მოვაწერეთ აღნიშნულ ცნობაზე...

... იმ ღამეს ყველა დახვრეტილ იქმნა...

სამი დღე გლოვობდა ციხე ამ ამბავს, ხოლო გარედ, ციხის კარებთან, ჭირისუფალნი იდგნენ...

ამ რიგად წყეულმა მახარაძემ შინსახკომის დავალებით 92 კაცი სიკვდილით დასაჯა, მათ შორის, თავისი თავიც, — გადარჩა მხოლოდ 24 კაცი, გადასახლებული ციმბირისა და თურქესტანის საკონცენტრაციო ბანაკში...

ორი თვის შემდეგ ბაქოსაკენ მიჰქროდა საბარგო მატარებელი, რომლის რონოდებში გამოკეტილი იყვნენ ათას ოთხასი პატიმარი ჩემიანად.

ბაქოში საბარგო - საპირუტყვო გემზე გადაგვტვირთეს და იქიდან კრასნოვოდსკში ამოვყავი თავი.

მიდის და მიეჩქარება ჩვენი მატარებელი ცხელი ტაშკენტისაკენ...

თითოეულ რონოდაში 40 კაცი ვიმყოფებით. რონოდის თითოეულ კედელზე ორ სართულიანი ნარები გაკეთებული და სამ - მწკრივად ვწევართ. პარაშის მაგიერ რონოდაში იატაკია ამოჭრილი...

დილით, თუ მატარებელი სადმე გაჩერდა, გვაძლევენ ერთ ვედრო წყალს და შუადღისას ოთხას გრამ, ტალახივით შავს პურს; საღამოთი თითო კაცზე ერთ გამხმარ „ტარანას“, რომელსაც თითქმის არავინ სჭამს. წყალი არაა, — ვის ეტარანება!

მესამე დღეს მატარებელი გაჩერდა დანიშნულ სადგურზე და დაგვიწყეს გადმოყვანა.

ამ სადგურიდან 25 კილომეტრის დაშორებით ვეებერთელა საკონცენტრაციო ბანაკია, რომელსაც უზბეკურად „ზერავშან“-ს უწოდებენ ანუ რუსულად — „დალინა სმერტი“...

აქ არის ბამბის პლანტაციები.

ოთხ - ოთხად დამწკრივებულნი, ბანაკამდე ხუთი საათი მივდივართ. მე მწკრივის ბოლოში მოვხვდი; სახეზე სქელი ტალახი მადევს, რადგან გაოფლიანებულ პირზე მიწის მტვერი მეყრება, მტვერი, რომელიც კუჭებამდე გვწვდება. როგორც იქმნა მივედით, ჭუჭყიანი და მშიერ - მწყურვალნი.

პირს ძლივს-ღა ვაღებთ; ნესტოები გამოტენილია მტვერით; სუნთქვა ძნელდება... შეგვრეკეს სადღაც, საქონ-

ლის ბაკში, რომელსაც მაღალი მავთულიანი ღობე აქვს შემოკრული. ცოტა მოშორებით ხალხის დიდი ბრბო მოსჩანს ეს ჩვენზე წინ მიყვანილი ხალხის მტრები არიან! კვლავ გაგვჩხრიკეს.

ბანაკი წარმოადგენს დიდ ტიტველ ადგილს აუარებელი ბარაკებით.

თუ გსურს, შესაძლებელია ბანაკში იქონიო: ლეიბი, ბალიში, საბანი, ხეწარი... ლაგერში ამას არ იძლევიან. სამაგიეროდ არიგებენ საცვალს, შარვალს, ხალათს, და თუ აქვთ ტყავის ფეხსაცმელთ, თუ არა, ჩალის ქალამნებს. გეძლევა ერთი ხის კოვზი და რაიმე ჭურჭელი ბალანდისათვის, ხშირად კონსერვების ყუთი. ათ მანეთზე მეტი ფულის ქონება აკრძალულია, — თუ ამოგაჩნდა, წაგართმევენ. ზედმეტი უნდა ჩააბარო და მერმე წვრილ-წვრილად მიიღებ, — ხშირად კი ვერაფერსაც... არ შეიძლება იქონიო: დანა, მაკრატელი, სამართებელი, და სხვა ამ გვარი, რომელიც შეიძლება მოხმარებულ იქმნას, ვით ცივი იარაღი. თუთუნი — რამდენიც გნებავს!

ბინა არის გრძელი ბარაკი, სადაც 300 ან 400 კაცი ეტევა; დასაძინებლად — ორ-სართულიანი საწოლი, — ხშირად მთლიანი ნარი. ბანაკში არის აბანო და აუზი, თუ ახლოს მდინარე გადის. გაწყობილია დუქანი, სადაც იყიდება ძაფი, ნემსი, ღილი და სხვა ამგვარი წვრილმანი. არსებობს სადალაქო. ამასთანავე არის კლუბი, რომელსაც ამშვენებს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ბელადთა სურათები.... კლუბში მოიპოვება ადგილობრივი გაზეთი და ძველი, სამი - ოთხი წლის ჟურნალები. აქვე საჩვენებელ ადგილზე დაკიდულია დიდი დაფა, რომელსაც აწერია: „სოცშეჯიბრის დაფა". დაფა გაყოფილია ორად, ერთი ნაწილი შავადაა შეღებილი, ხოლო მეორე — წითლად. ამ დაფაზე ყოველ-დღიურად აღნიშნავენ, ვინ რამდენი % შეასრულა მუშაობისა; ვინ დამკვრელია (მუშაობაა ნაგულისხმევი!), და ვინ ჩამორჩენილი. დამკვრელთ აღნიშნავენ წითელ დაფაზე; ჩამორჩენილთ კი — შავზე. იქვე მიწერილია: „იმედია, შავ დაფაზე აღნიშნულნი, ხვალ წითელზე იქნებიან!". . .

ლაგერში არსებობს ამბულატორია, სამი საწოლით! ეს საწოლები მიჩნეულია მუდმივ ავადმყოფთათვის, ესეიგი, სასიკვდილოთათვის.

ლაგერი შემოკრულია მაღალი ეკლიანი, მავთულიანი ღობით. ამ ღობის გარედ ოთხ კუთხეზე გაკეთებულია მაღალი ე. წ. „ვიშკა", სადაც ზის ვუშაგი და უთვალთვალებს, რომ არავინ გაიპაროს. იქვე დაბმული არიან დიდი ძაღლები. მავთულთან მისვლა ათი მეტრის მანძილზე აკრძალულია, თორემ გაუფრთხილებლად გესვრიან და მოგკლავენ. ლაგერი სარგებლობს მხოლოდ ერთი კარით, სადაც ორი ყარაული სდგას.

მუშაობა იწყება ზამთარში ექვს საათზე, ზაფხულში — 4½ საათზე.

პატიმარი მოვალეა, ზარის დარეკვაზე, საჩქაროდ ადგეს, რათა სასჯელი არ მიიღოს. ათი წუთის განმავლობაში მზად უნდა იყოს და იდგეს რიგში საუზმის მისაღებად. საუზმე თავდება თუ არა, საჩქაროდ უნდა გაქანდე კარისაკენ, სადაც ბრიგადის უფროსი ელოდება სამუშაოზე წასაყვანად. სამუშაოზე გადის 50 კაცი ერთად, რომელსაც მიჰყვება ერთი ძაღლი და ორი თოფიანი ყარაული...

ვინაიდან სამუშაო ადგილები ძალიან დაშორებულია ლაგერიდან და სადილად მუშებს არ აბრუნებენ, ამიტომ პატიმარმა თან უნდა იქონიოს რამე საჭმელი, საუზმიდან გადარჩენილი, რათა სამუშაოზე წანაყრდეს, ერთ საათიან დასვენებაზე.

მუშაობა იწყება გათენებისას და გრძელდება დაბინდებამდე.

ღამე, ბანაკში დაბრუნების შემდეგ, პატიმარი რიგში დგება და იღებს საჭმელს ტალონით, რომელსაც მას ბრიგადირი აძლევს, იმ რაოდენობით, რა მდენი დავალებაც შეასრულა მან პროცენტულად. ულუფა შესდგება სამასი გრამ პურიდან ცხრაას გრამამდე. სამას გრამ პურს იღებს ის, რომელსაც მუშაობაზე უარი განუცხადებია. ამგვარი ხალხი ძალიან ცოტაა, და ისინი ყოველთვის ლაგერის „კუტუზკაში" გდიან, და თუ გასძლო, და ხანგრძლივად მუშაობაზე უარი განაცხადა, მაშინ, როგორც გამოუსწორებელს, სხვა გზას უჩვენებენ...

სამუშაოს შესრულება 80%-მდე — 600 გრამი პური. 100 %-მდე — 700 გრამი პური; ასზე ზევით — 900 გრამი პური. ასევეა ბალანდა, ჩაი და სხ. ერთი ჩამჩა, ორი ჩამჩა და ამგვარად.

ლაგერს ჰყავს თავისი ადმინისტრაცია, რომელიც პატიმრებისაგან შესდგება, გარდა ასე წოდებულ მესამე ნაწილისა (ბანაკის შინსახკომი!), რომელზედაც დამოკიდებულია პატიმარის ბედი, რომ სასჯელი არ გაუგრძელონ, ხელახალი მუხლი არ მიაკრან

კვირა — დასვენების დღეა. პატიმარი ამ დღესაც ჩვეულებრივ დგება. და იწყება შინაური მუშაობა — ალაგებენ და ასუფთავებენ ბარაკს და მერმე ბანაობენ. ამას მოსდევს სადილი, შესაძლებელია ჩვეულებრივზე უკეთესი და მერმე პატიმარი თავისუფალია საღამომდე. საღამოს მათ გაზეთს წაუკითხავენ და თავდება დღე.

არის მცირე რიცხვი პატიმართა, რომელსაც მიცემული აქვთ ნებართვა თავისუფლად იმოძრაონ, იაროონ, მაგრამ ამათი თავისუფალი მოძრაობა მეტად შეზღუდულია, ვინაიდან წასასვლელი ადგილი მას არსად აქვს. გარშემო იგივეს ნახავს, რასაც ლაგერში ხედავს. ასე ამ წესით, თითოული ცოცხალი ადამიანი ატარებს თავის დღეებს ამ სამოთხეში არა ნაკლებ სამი წლიდან ათ წლამდე.

შუა აზიის ლაგერები, რომელთა ცენტრი მოთავსებულია ქალაქ ტაშკენტში, ფრუნზეს ქუჩაზე, დიდი სამმართველოა, რომელსაც აკრავს ვეებერთელა დაფა, წარწერით: — „შუა აზიის გამასწორებელ ბანაკთა სამმართველო". მას აქვს 11 სალაგერო განყოფილება, ხოლო თითოულ განყოფილებას ოთხი სალაგერო პუნკტი, რომელნიც გაფანტული არიან თურქესტანის სხვა და სხვა ადგილში.

ტაშკენტის ლაგერები განსაკუთრებით აწარმოებენ მიწისა და საქონლის მეურნეობას: ბამბა, მელორეობა, მეცხვარეობა და სხვა. მათ აქვთ აგრეთვე რამოდენიმე საკონსერვო ქარხანა და სამკერვალო ცეხი. აქ მუშაობენ ტუსაღი დედაკაცები, რომელნი პატიმართათვის საცვლებს და სხ. კერავენ.

1935 წელს ტაშკენტის ლაგერებში მოთავსებული იყო 1. 800. 000 მამა და დედაკაცი. ამ რიცხვში შედის შუა აზიის დიდი ლაგერი მშენებლობისა „ჩირჩიკსტროი". მარტო ამ ელექტრო სადგურმა და „ზერავშანის" მეურნეობამ ყოველ-დღიურად შეიწირა არა ნაკლებ ასი კაცისა. უდავოა, ასეთივე მდგომარეობა იყო შუა აზიის დანარჩენ ცხრა განყოფილებაშიც, რომელნიც „ზერავშანს" არ ჩამოუვარდებიან თავისი ციებიანი ადგილებით...

ასეთივე წესები და მდგომარეობაა იმ ლაგერებში, სადაც აღმშენებლობა მიმდინარეობს. მაგალითად: ავტომაგისტრალი 700 კილომეტრის სიგრძით, მოსკოვიდან მინსკამდე. ამავე 1935 წელს ამ გზის მთელ სიგრძეზე გაფანტულ ლაგერებში ირიცხებოდა 1. 600. 000 მამაკაცი და დედაკაცი.

არხი მოსკვა - ვოლგა ანუ როგორც მას ხალხი უწოდებს: „კროვ ნაროდა", სიგრძით 127 კილომეტრი, გაყვანილი არის მოსკოვიდან ქალაქ კალინინამდე. მშენებლობის მთელ პერიოდში აქ გაიარა 4. 700. 000 პატიმარმა. ამ რიცხვის სამმა მეოთხედმა თავისი ძვლები ამ არხს გადაულოცა...

სამარის, ანუ როგორც ახლა უწოდებენ, კუიბიშევის ჰიდრომშენებლობაზე იყო 1. 200. 000 პატიმარი.

ბელომორ - ბალტიის არხზე — 4. 200. 000 კაცი! ამ არხის დამთავრებისას გადაყვანილ იქმნენ სხვა ლაგერებში 470. 000 სული; განთავისუფლებულ იქმნენ 100. 000 სული, ხოლო 3. 630. 000 კაცის ბედი დღესაც გამოუკვლეველ მდგომარეობაშია!

„კემ“ — ეს არის უდიდესი და უფრო სახელოვანი ლაგერი. ეს ისეთი „მშვენიერია“, რომ იქ ჩასული იშვიათად უკან ბრუნდება. ამ ლაგერის მთავარ სამმართველოს (ცნობით (სექტემბერი 1940 წ.) გავლილია აქ სულ 9. 700. 450 სული! ხოლო ირიცხება სახეზე — 1. 706. 000. დანარჩენმა თქვენი ჭირი წაიღო!

სახელოვანი ცივი ციმბირის სხვა და სხვა ლაგერში (1940 წლის სექტემბერის ანგარიშით) გავლილია 11. 070. 000. ირიცხება სახეზე ე. ი. ჯერჯერობით სუნთქავდნენ 2. 300. 000 დაახლოვებით. დანარჩენმა, რვა მილიონზე მეტმა განუტევა თავისი მრავალტანჯული სული... ხოლო თუ ვინმე შემთხვევით გადაურჩა ამ ჯოჯოხეთს, და განთავისუფლებული უკან დაბრუნდა, მას მოაქვს ჭლექი, ცინგა და სხვა მძიმე სენი,..

1941 წლის ივნისის თვის 20-ს, ე. ი. გერმანიასთან ომის დაწყებამდე, საბჭოთა კავშირს ჰყავდა 21 მილიონზე მეტი პატიმარი სხვა და სხვა ლაგერში ანუ დაახლოებით 13% ს. ს. ს. რ-ის მოსახლეობისა! ამ რიცხვში არ შედიან პატარა ლაგერები ისეთი პატიმრებით, რომელთ მისჯილი აქვთ სამ წელზე ნაკლები. ასეთები მუშაობენ პატარა მშენებლობაზე მაგალითად: საქართველოში: სანდარის აეროდრომიის მშენებლობაზე, ქუთაისში — გუმბრის მშენებლობა, თბილისში — ახლად გაყვანილ გზატკეცილზე მტკვრის მარჯვენა მხარეზე; ხრამში — პიდროელექტროსადგურზე, ბორჯომ - ახალციხე რკინისგზის გაყვანაზე და სხვა.

სომხეთში — გზის მშენებლობაზე: ლენინაკანი — ერევანი, ულუხანლუ-შახტახტის გზატკეცილი და მრავალი სხვა.

აზერბაიჯანში — ნავთის ახალი ჭების გათხრაზე, ბაქო - ბალაჯარის გზატკეცილზე და სხვა, ხოლო თვითონ რუსეთისა და უკრაინის და სხვა ადგილთა ამბებს ვინ მოსთვლის! ...

ასე ამ რიგად, დიდი გაჭირვებით და დიდი ვაივაგლახით, ზოგჯერ კარგად, და ხშირად ავადმყოფობით, გავატარე ექვსი წელიწადი და ცხრა თვე ამ აუტანელ პირობებში და მუშაობაში.....

დანარჩენი ვადა ჩამეთვალა მუშაობაში და 1939 წელს განთავისუფლებულ ვიყავ პატიმრობიდან, საქართველოს ქალაქებში — თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, — და სხვა დიდ ქალაქებში ცხოვრების აკრძალვით. უნდა მეცხოვრა სადმე მიყრუებულ ადგილზე, და თუ თბილისში ჩასვლა დამჭირდებოდა, განსაკუთრებული ნებართვა უნდა მიმეღო.... ვიტანჯებოდი, იტანჯებოდა საწყალი ჩემი ოჯახი....

მომენატრნენ შვილები, რომელნიც თითქმის უმამოდ დაიზარდნენ... მომენატრა თბილი სახლი და სუფთა საწოლი... განა ცოცხალ ადამიანს ყველაფერი ეს უნდა ენატრებოდეს? მერმე რისთვის? რა დავაშავე? ან რა დააშავეს მათ, რომელნიც ჩემს გვერდით მწოლარე, ხშირად ვიღარ ამდგარან და ბევრის გამოტანა და დასაფლავება მე წილად მრგებია!?! ამაზე პასუხს დღის კიდევ სხვა მილიონები ელოდებიან, რომელნიც საბჭოთა ლაგერებში სულსა ლაფავენ და „საბჭოთა სამოთხეში“ კი არ ცხოვრობენ, არამედ იტანჯებიან...

აი, ის ოქროს მთები, რომელთაც ჰპირდებოდნენ მუშებსა და გლეხებს კომუნისტური პარტიის ბილადები...

მე ვერ გავკადნიერდი და კრებულ „მამული“-ს დიდი ადგილი ვერ მოვთხოვე ჩემი სრული მოგონებისათვის, რომელიც მძიმე ტვირთად მაწევს, და ამიტომ იგი მოკლედ და ნაწყვეტ - ნაწყვეტად დავბეჭდე. თუ ომერთი შემეწია, ვგონებ, იგი ვრცლად წიგნში მოვათავსო, რომლის გამოცემის განზრახვა თანა მდევს, სახსოვრად შვილებისა, შვილისშვილებისა, მომავალი თაობებისათვის.

მ. თბილისელი

ათი წლის

თავზე

ჩვენ წინ ძევს პოლონური თვიური ჟურნალის „კულტურა“ უკანასკნელი ნომერი (5/6 1952 წ.), რომელიც გამოიცემა პარიზში. ამ კრებულის მუდმივი მკითხველი ვარ, რადგან ზედმიწევნით და საუცხოოდ არის შედგენილი. პოლონურ გამოცემათა შორის მას ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს ემიგრაციაში. გარდა ამისა, ჩემთვის როგორც ქართველისათვის, ამ ჟურნალისადმი მიმზიდველობას იწვევს რედაქციისა და მისი თანამშრომლების საქართველოს საკითხისადმი საზოგადოდ, და კერძოდ მისი ძველი და ახალი კულტურისადმი განსაკუთრებული სიყვარულით მიდგომა.

ერთ დროს ვარშავაში შემთხვევა მომეცა გავცნობოდი ამ ჟურნალის დღევანდელ რედაქტორს (ი. გედროიც), იმ ხანად ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნიჭიერ ჟურნალისტს და ჩვენს ერთგულ მეგობარს. აგრეთვე მის დღევანდელ ზოგ თანამშრომელს, მათ შორის აწ სახელგანთქმულ მგოსანს და პუბლიცისტს, „ვეფხისტყაოსანის“ მთარგმნელს — იოსებ ლობოდოვსკის (ცხოვრობს მადრიდში. „ვეფხისტყაოსანის“ ნახევარი ჯერ კიდევ პოლონეთში ჰქონდა ნათარგმნი; დაასრულა მისი თარგმანი მადრიდში), რომლის ოდა რუსთაველზე მოთავსებულია ჟურნალის ერთერთ ნომერში. გარდა ამისა, ბ. ლობოდოვსკი თავის საპოლიტიკო თუ სამწერლობო კამათში, შოთას ბრძნულ აზრებს ხშირად იხსენიებს.

აღნიშნულ ნომერში, სხვათა შორის, ერთი წერილია მოთავსებული („ერთი ყრილობის გამო“), რომლის დამწერი არიან ცნობილი პუბლიცისტები: ვ. დოლენგა და ი. ტოკარსკი.

წერილი ეხება გასული წლის დამლევს ინგლისში, ოქსფორდს მოწვეულ პატროლოგიის ანუ წმიდა მამათა მეცნიერების მკვლევართა ყრილობას. ყრილობას დაესწრო სამასზე მეტი მეცნიერი, მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

წერილში აღწერილია ყრილობის ამბავი და ის საკითხები, რომელსაც ყრილობა არჩევდა.

ამ წერილის კითხვის დროს თვალწინ წარმომიდგა ერთი სურათი ვარშავის უნივერსიტეტის ერთი დარბაზიდან..... კათედრაზე იდგა და მალიდან გადმოჰყურებდა აუარებელ მსმენელთ, ვარშავის უნივერსიტეტში ახლად მიწვეული პატროლოგიის პროფესორი, ჩვენი წამებული თანამემამულე, არქიმანდრიტი დოქტორ გრიგოლ ფერაძე. ამ დღის იყო მისი პირველი საჯაშნო ლექცია.

.მსმენელთა რიგებს ავსებდნენ, გარდა სტუდენტებისა: რექტორი უნივერსიტეტისა, დეკანები, პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიტროპოლიტი მთელი თავისი სამმართველოთი, წარმომადგენლები სამინისტროებისა: საგარეო, საშინაო, განათლების: გენერალური შტაბის, და ქართველობა ამ სტრიქონთა დამწერის მითაურობით, როგორც ქართული კომიტეტის თავმჯდომარისა.

ლექცია, საგნით დაინტერესებულ-

თათვის, მეტად შინაარსიანი აღმოჩნდა, და ამ მხრივ განსვენებულმა სავსებით გაიმარჯვა. ჩვენ, ქართველები კი ვშიშობდით: ასე მოკლე დროში (ორიოდე თვეში) როგორ დასძლევს პოლონურ ენასო, და რა რიგ სახტად დავრჩით, როდესაც წლობით პოლონეთში ნაცხოვრებ ჩვენ თანამემამულეებთან შედარებით, სწორი და დალაგებული პოლონურით ჩაატარა მან ლექცია. ლექციის სრული შინაარსის მოთხრობას დღეს ვეღარც შევძლებ, მაგრამ მეხსიერებაში შემრჩა შემდეგი: — ჩამოთვალა რა ბერძნულ - ლათინურთან ერთად ახლო აღმოსავლეთის ძველი და ახალი ენები, და მიუთითა რა პატროლოგიისათვის ამ ენათა ცოდნის აუცილებლობა, პროფ. გ. ფერაძემ განსაკუთრებული ყურადღების ღირსად გახადა ძველი ქართული და სომხური ენა და წყაროები, საიდანაც მოჩუხჩუხებს ნაკადული ძველი ქრისტიანული კულტურისა.. აგრეთვე ხაზი გაუსვა იმასაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პატროლოგიას ისტორიულ, არქეოლოგიურ და სხვა კვლევა - ძიებისათვის. ვინაიდან, უნდა გამოვტყდე, ამ საგანზე, ესეიგი, პატრისტიკაზე ზერელე წარმოდგენა მქონდა, ვფიქრობდი: — ჩვენი მოძღვარი შემთხვევით სარგებლობს გამოიყენოს ეს მაღალი კათედრა და უთითებს რა პატროლოგიისათვის ქართული წყაროების მნიშვნელობას, ცდილობს აღამაღლოს საქართველოს ძველი კულტურა და მოაგონოს მსმენელებს მისი წარსული....

დავუბრუნდეთ ეხლა „კულტურა-“ში მოთავსებულ წერილს.

„პატრისტიკა, — სწერენ დასახელებული ავტორნი, — ზედმიწევნით ცოცხალი მეცნიერებაა: „დღიურ მოდად მიჩნეული!, როგორც სწერდა ინგლისური გაზეთის ერთი თანამშრომელი... გარდა ეკლესიის მამათა ცხოვრება - მოღვაწეობის შესწავლისა, ეს არის მეცნიერება პირველყოფილ ქრისტიანული კულტურის შესახებ... საქმენი და მეცნიერებანი ეკლესიის მამათა, ლიტერატურა და კულტურა ეკლესიის პირველ საუკუნეებში (გარდა ახალი აღთქმისა) — მეორე საუკუნედან მოყოლებული ვიდრე მეხუთემდე — ეს არის პატრისტიკა ანუ პატროლოგია. პატროლოგიისადმი და ინტერესება და ლტოლვა არ არის ახალი მოვლენა, ხოლო დღეს ის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გახდა... უნდა მივიღოთ მხედველობაში, თუ რა დიდი ცოდნა-გამოცდილებაა საჭირო სერიოზული პატროლოგისათვის... არა მარტო ისტორიულ - ფილოლოგიური ცოდნა ანტიურ ენათა, ბერძნულისათვის სხვა და სხვა კოლოკავით და მისი ლიტერატურული სხვა ობებით, და აგრეთვე ლათინურისა, არამედ ბევრი აღმოსავლური ენისა, როგორც მაგალითად ძველი სომხურისა და **ძველი ქართულისა**, სხვა და სხვა სირიულისა, ქალდეურისა, ძველი ეთიოპურისა, — რადგან წმიდა მამათა დატოვებულ ნაშრომთაგან ბევრს რამეს ვეღარ ვპოულობთ ორიგინალში, და ვხვდებით მათ ძველ თარგმანებში... არა მარტო პატროლოგია მთელი რიგი ტექნიკური მიღწევებით, არამედ ძველი დიპლომატიკა, პალეოგრაფია, ცოდნა ხელნაწერისა და ლიტერატურული ტრანსმისიისა.... არქეოლოგია... გარდა ამისა ძიება ანტიურ რელიგიათა ისტორიისა, სხვა და სხვა ფილოსოფიური მიმდინარეობანი...

ეს მეცნიერება არსებითად უაღრესად საერთაშორისოა, ხოლო არაოდეს დღემდე მისი წარმომადგენლები ერთად არ შეყრილან და პირველად აქ, ინგლისში მოიყარეს თავი...

... და გული მიკვდება, რომ ამ პატროლოგთა ამ პირველ ყრილობას ვეღარ დაესწრო ისეთი ღირსეული, ზედმიწევნით ნიჭიერი, ახალგაზრდა მეცნიერი, ენერგიით სავსე მოღვაწე პრ. დრ. გრიგოლ ფერაძე, რომელიც ასე უღმრთოდ დაიღუპა დაბეზღების გამო.... მისი დაღუპვის ათი წლის თავზე ამ ორიოდე სიტყვით მინდა მისი სახელი გავიხსენო და ქართველობას მოვაგონო ჩვენი ახალგაზრდა მოძღვარი და მეცნიერი.

ერთხელ განსვენებულმა დამირეკა და მთხოვა მასთან მივსულიყავი. შევუსწარი იმ დროს, როცა მოხარშულ ქართოფილს კანს აცლიდა. მას სულ ცოტა კარაქს აცხებდა — ეს იყო მისი საუზმეც, სადილიც და ვახშამიც.

— მამაო! როგორ შეიძლება ამით თავი გაიტანო?

— მაინცდამაინც ჭამას არ მივსდევ. თუ იქნება, ვჭამ, თუ არა და ამითაც გავიტან თავს.

გრიგოლ ფერაძემ მომითხრო თავისი თავგადასავალი....

სხვათა შორის ჩამოიღო წიგნებით სავსე თაროდან ერთ - ერთი ლოცვანი. გადაფურცლა და მეუბნება:

— შენ რა დაგიმალო, აი ჩემი დოვლათი, შავი დღისათვის გადადებული.

მან დათვალა ოცდახუთი დოლარი და ლოცვანი თავის ალაგას შესდო....

.... სავსე დოლარებით!... თვალ - მარგალიტებით!... „მღვდელს დოლარები აღმოაჩნდა!“ — ყოველ შარა გზაზე გაჰკივოდნენ და გაჰყვიროდნენ ავნი სულნი და მავნენი...

აი, მკითხველო, ეს დოლარები გახლდა განსვენებულის ბინაზე გესტაპოს მიერ „აღმოჩენილი“!...

— ჩემო კოტე, — მითხრა განსვენებულმა, — შენ გაჩვენე საქართველოსათვის უდიდესი ღირებულების ისტორიული განძეულობა. მე რომ სიმდიდრის შეძენა მდომოდა, გარწმუნებ, რომელიმე დიდი სახელმწიფოს მუზეუმი ბევრ ფულს გაიღებდა ამისათვის და მდიდარიც ვიქნებოდი! მქონდა ასეთი წინადადებაც, მაგრამ მე ამას არ მივსდევ. ეს არაფერია, რომ ასეთ ნივთიერ მდგომარეობაში ვარ. როგორმე თავს გავიტან, რადგან მიტროპოლიტმა უკვე სამდივნო ჩამაბარა. უბედურება ის არის, რომ საქართველოსათვის ასეთი დიდი განძეულობაა... და ერთმა ბომბამ რომ შთანთქას?....

თვითონაც და მისი განძი ბომბასა და ცეცხლს გადაურჩა... ხოლო ორივე კი ადამინთა ავაზაკობის მსხვერპლი გახდა...

კ. იმნაძე

20. 8. 1952. ინგლისი.

სვიმონ ფერეთელი

აქაც კარგი კაცი იყო,
იქ ნათელი დაადგესო
(არსენას ლექსიდან)

ჩვენში ერთი თავადი მახსოვს — გიორგი ახვლედიანი. იმის სოფელს ცაგერა ერქვა. მეტად ლამაზი, კორტოხზე გადმომდგარი, მაგრამ გვარიანად მიუვალი იყო. გიორგი კარგი შესახედაობის, მხიარული, მოქეიფე და მომღერალი იყო. იმასთან მუდამ ბევრი სტუმრები მიდიოდნენ; გლეხებში მღეროდა და ვინც კარგად იმღერებდა, ზოგჯერ ყანას აძლევდა. ამ ნიადაგზე საკმაოდ გაღარიბდა. გრამოფონი რომ შემოვიდა, ამბობდნენ: —

ამას რომ გიორგისათვის მოესწრო, სიღარიბეს გადარჩებოდაო! — მე რო მოვკვდები, ცაგერას კაცი აღარ მოვაო, — იტყოდა ხოლმე გიორგი.

თათარხან დადეშკელიანი მათხოვარ სვანებს თავს უყრიდა, წინადადებას აძლევდა: მათხოვრობას თავი დანებეთ, რასაც ამით შოობთ, ჩემგან მიიღეთო! კვირა დღეებში ამ მათხორებს აჭმევდა, არაყს ასმევდა, შემდეგ მათ შორის ჩადგებოდა, მღეროდა და ფერხულს ცეკვავდა. — მე რომ მოკვდები, თქვენთან ვინღა იცეკვებსო! — ხუმრობდა.

როცა სვიმონ წერეთელთან ვიყავი, მუდამ ვიგონებდი ხოლმე ამ გიორგის და თათარხანს. ვფიქრობდი, სვიმონის დაკარგვა გვარიანად დაობლებდა ლევილს, სადაც ის ცხოვრობდა. ემიგრანტულ სიძნელესა და სიმძიმეში როგორც სიამის, ისე წყენისა და გულისტკივილის დროს, არა ერთის სული და გული იწევდა სვიმონისაკენ. ის საუცხოოდ ახერხებდა როგორც მხიარულებაში აყოლას, ისე ჭირში ნუგეშისცემას და ყველა კმაყოფილი ბრუნდებოდა მისგან.

მუშაობა არ შეეძლო და პირადი მდგომარეობა მისი გვარიანად უმწეო იყო. არასოდეს არ მინახავს იგი ამაზე მწუხარი. ვფიქრობდი, რაში იყო მისი ძალა?

მშობელი ქვეყნისათვის უსწორო და სამართლიან ბრძოლაში დამარცხება მძიმე ტანჯვის ჯვარია. მაგრამ ამ ტანჯვის ჯვარს ახლავს მორალური სიმაღლე და ბრწყინვალება, ასე მგონია, სვიმონ წერეთელს ეს ესმოდა; აქედან იღებდა მხნეობას, მოფერების გრძნობას და სიკეთეს, რომელიც მას ამშვენებდა. გონიერი ანგარიშის დროს ღირსეული დამარცხება უღირს გამარჯვებაში არ გაიცვლება. შულავერის ქართველებიდან თუ ვინმეს გონება სწორად ჰქონდა, იმას მეტად დაამძიმებდა თავისი გამარჯვება.

ზოგისაგან გაიგონებ, თითქოს ქართული ემიგრაცია დაშლილია. გამოიგონებენ დამშლელ და მიუღებელ ამბებს და საქმეებს, და თუ უკან არ გამოეკიდე, და ოსანა არ უმღერე, დაშლილიც ხარ და მოშლილიც.

წესიერი ცხოვრება სვიმონ წერეთელს მთელმა ემიგრაციამ დაუფასა და სიყვარულით გადაუხადა. სრულიად უბრალო ხალხმა გახსნა ჭისები და სანაქებო სიუხვე და დაუნანებლობა გამოიჩინა. ყველას თითქოს გულიდან სწყდებოდა არსენაზე ნათქვამი სიტყვები:

აქაც კარგი კაცი იყო,
იქ ნათელი დაადგესო

განსვენებული უკანასკნელად ძალიან ძნელი მოსავლელი იყო. თავდავიწყებით, სიამით და სიყვარულით მოუარეს ნამეტი გოგუაძემ და ისიდორე ქარსელაძემ, და საფლავის კარს პატრონად მიჰყვნენ. ლევილში დაიხოცნენ ზოგი ჩემი ამხანაგები. კიდევ იყვნენ იქ მადლიანი პირები: ბერიშვილის ქალი, კახელაძის მეუღლე და ილიკო ებრალიძე. ფარავნასავით თავს ევლებოდნენ მათ, ვინც კი ავად გახდებოდა, — ყველას უვლიდნენ და ეფერებოდნენ. და ვაი რომ ეხლა თვითონ ესენი საფლავის სიცივეში არიან. ემიგრანტულ დაკარგვაში სულთმობრძავისათვის თავზე დამდგარი მზრუნველის დანახვა ალბათ დიდი ნუგეშია. ამას მშვენიერად გამოხატავს ლერმონტოვის სიტყვები:

„და წარმოვიდგენ, რომ ნათესავი,
ან მოძმე ჩემი მადგია თავზე,
და სიკვდილის წინ სიმწარის ოფლსა
სიფრთხილით მწმენდავს პირისახეზე“

რ. ყიფიანი

† დავით კლიმიაშვილი

კიდევ ერთი მსხვერპლი მიემატა ქართულ ემიგრაციაში გარდაცვლილთა სიას. ვერც დათა კლიმიაშვილის გულმა გაუძლო ამდენი ხნის ხეტიალს და ძვირფას სამშობლოში დაბრუნების სულ მუდამ ნატვრას.

და განა ღირსი არ იყო იგი ერთხელ მაინც გადაევლო მას თვალი თავის საყვარელს, მდიდარს ბუნებით და ხალხით სოფელ რუისისათვის, სადაც ის დაიბადა? არ უნდა ენახა ერთხელ მაინც კიდევ ის ძველი და ძვირფასი თბილისის ქართული გიმნაზია, რომელიც მან დაამთავრა და სადაც თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გაატარა?, ის კერა- ქართ. გიმნაზია, რომელიც ყოველი ქართველის გულში დღესაც ცოცხალია, ვით მამულიშვილობისა და ქართული კულტურის აკვანი! და აი, სწორედ, მისმა სოფელმა რუისმა და ქართულმა გიმნაზიამ დათას შეუნარჩუნა ის მტკიცე და ურყევი სიყვარული ყველაფერი ქართულისა და საქართველოს წარსულისა, რომელიც ყოველ მის კერძო წერილში ღაღადებდა. ეს იყო ნამდვილი სიამოვნება: მისი წერილების კითხვა არა მარტო ჩემთვის!

რა სიყვარულით და მოხდენილი ჰუმორით იყო სავსე მისი მოგონებანი ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა შესახებ! არ იყო დავიწყებული არც ჩვენი დიდი მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი, არც ალექსანდრე მდივანი, ალ. მიქაბერიძე, სეით იაშვილი, და რაც მის მოგონებათა მთავარს შეადგენდა — პეტრე მირიანაშვილი, — როგორი მიხსიერება და რა გადმოცემა! და ვისაც ახსოვს ყველა ესენი, რა სიამოვნებით და სიამაყით მოიგონებენ მათ ქართველობას, კაცობას და იმ ღვაწლს, რომელიც მათ ქართველ ახალგაზრდობის აღზრდაში გამოიჩინეს! და ყველაფერს ამას სწერს განსვენებული დათა ლამაზად და მშვენიერი ქართულით, იმის მიუხედავად რომ 30 წელიწადი პოლონეთის ჯარში გაატარა!

განსვენებულს დარჩა მეუღლე, პოლონელი ქალი და ასული, რომელიც მას უსაზღვროდ უყვარდა. იგი იყო დიდი სტუმართმოყვარე და პარიზიდან ლონდონს მისულნი მასთან ბინადრობდნენ ხოლმე და ამ სტუმარ ქართველებს მისი ცოლშვილი ისე უხვდებოდა, ვით თვითონ პირადად. და რა გახარებული იყო, როცა ლონდონიდან პარიზს ჩასული მისი გოგონა რომ პარიზელმა ქართველებმა პატივით მიიღეს....

დათა კლიმიაშვილი თავის სამშობლოში იყო ქართული ჯარის ოფიცერი და მან მამაცურად და თავდაუზოგავად საქართველოსათვის ყველა შეტაკებაში და ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო...

1921 წელს მთავრობასთან ერთად გამოიხიზნა და მასთან ერთად იყო მისი დედაშვილი და განუყრელი მეგობარი მიხეილ რუსიშვილიც, რომელიც აგრეთვე პოლონურ ჯარში მსახურებდა ეს უანასკნელი დაიღუპა კატინში, სადაც ბოლშევიკებმა 15000 პოლონელი ვერაგულად სიცოცხლეს გამოასალმეს.... და აი, ბედის სიმუხთლე! ეს ორი მეგობარი უცხოეთის მიწას მიებარა!

დავით კლიმიაშვილი,, ძლივს 50 წ. გადაცილებული, სიცოცხლით სავსე,

მხიარული და ენამახვილი, დასნეულდა გულით და მან ველარ აიტანა ნისლიანი ლონდონი, და ნაადრევად, და მოულოდნელად გარდაიცვალა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისი დაკარგვა არა ერთ ქართველს, ვინც კი მას ცოტად თუ ბევრად იცნობდა, მწუხარების ცრემლს მოჰგვრის...

დიმიტრი ანანიაშვილი

ლასას

შფოთით, როგორც ქარიშხალი
მიდიოდენ შენი დღენი.
შენთან ყოფნა ყველას სურდა,
იყავ მხნე და დამამშვენი.
სიყვარულის წყარო იყავ,
მხიარული, ტკბილი, სადა.
შენს ხსოვნაზე არა ერთი
დაიძახებს: სად ხარ, სადა?
მქადაგებლად დადიოდი,
მოხუც გელას თითქოს ჰგავდი,
ვისაც ბედი არ სწყალობდა,
მასთან იყავ, მას იცავდი.
Oბილისს გლოვით შორდებოდი,
ევლებოდი რომ ნახავდი,
ზოგჯერ იმის მახარობლათ
მთა-წმიდაზე ზარს რეკავდი! *)
მუდამ ერთის გეშინოდა,
კანკალებდა შენი გული,
არ გინდოდა ყოფილიყავ
დაკარგულად დამარხული!
შენ გინდოდა შენ სამშობლოს
დაეძლია ტანჯვის ჯვარი,
მთრთოლავ ხელით მთა-წმიდაზე
ჩამოგეკრა კიდევ ზარი!
შენ გინდოდა მშობელ მიწას
დაეფარა შენი ძვლები,
თავს ამაყად დაგდგომოდენ
მოდარაჯეთ ჩვენი მთები!
შენ გინდოდა ყიყინის ქვეშ
ყოფილიყავ ცივი მკვდარი,
ჩვენებურ წყლებს ითქვა შენთვის
გოდება და გლოვის ზარი!...
მაგრამ ასე არ ასრულდა,
მოხდა რისი შიშიც გაკლავდა,
შენი ტურფა სამშობლოდან
ლოენი შორეს გაგითავდა.
დრო და ბედმა უსამართლოთ
გაყიალეს როგორც გერი,
მაგრამ მაინც მოუსრეელათ
ლამაზ მსხვერპლად დაიმტვერი.

რალფი

---

*) სასიამო ამბების დროს ლასა მგელაძე გარბოდა და მთა-წმიდაზე ზარს რეკდა. დამოუკიდებლობის გამოცხადებისას მაშინვე მთა-წმიდას მიაშურა და ზარის რეკა დაიწყო.

არგენტინის ახალშენის ცხოვრება

1952 წლის ივლისს მოხდა არგენტინაში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების, სახელად „წმიდა გიორგი“ საგანგებო კრება, რომელსაც წევრთა გარდა დაესწრნენ გარეშე პირნიც. კრების თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი გიორგი ნაკაშიძე. გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნ ვ. ნოზაძის მოხსენების შემდეგ, მაწ სთხოვა კრებას ახალი გამგეობა აერჩია. შემთხვევით დამსწრე არა წევრებმა მოითხოვეს არჩევანში მონაწილეობის მიღება და რადგან, წესდების მიხედვით, ბ-ნ ვ. ნოზაძემ ამაზე უარი განაცხადა, მაშინ ზოგიერთის მოთხოვნით, კრების თავჯდომარე ბ-ნ გ. ნაკაშიძე თვით კრებას შეეკითხა ამ საკითხის შესახებ. კრებამ უმრავლესობით გადასწყვიტა, რომ არა წევრთ უფლება არა აქვთ,— არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ამ დადგენილებით უკმაყოფილო ზოგმა წევრმა კრება მიატოვა.

კრებამ მადლობა გამოუცხადა გამგეობასა და მის თავჯდომარეს ბ-ნ ვ. ნოზაძეს წარსულში მუშაობისათვის.

ახალ თავჯდომარედ ერთხმად იქმნა არჩეული ქ-ნი თამარ პაპავა. გამგეობაში აირჩიეს შემდეგი პირნი: — ლევან ჯაფარიძე (თავჯდომარის მოადგილედ), დიმიტრი ანანიაშვილი. ხ. ელიავა, გ. გალაშვილი, ი. შალელაშვილი და კარლო გვარჯალაძე. ხოლო სარევიზიო კომისიაში — პ. დგებუაძე, ა. გორგოშიძე და მ. ნადაშვილი.

ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ კრებას მადლობა გამოუცხადა ნდობისათვის და მოუწოდა ყველას ერთსულოვანი მუშაობისაკენ ახალშენის საკეთილდღეოდ.

× ქართველმა ხელოვანმა, რომელიც მოგვობაში ანუ „ფოკუსების კეთებაში“ ევროპაში სახელ მოპოვებულია და ამ ჟამად არგენტინის სხვა და სხვა თეატრში გამოდის, ქართული საზოგადოებისათვისაც გამართა ერთი წარმოდგენა. ბატონი გიორგი მაჩხანელი გამოვიდა ჩვენს წინ, თავისი მეუღლის დახმარებით, და გვიჩვენა მრავალი საინტერესო „ფოკუსი“. გაკვირვებული ვუცქერდით მის ხელოვნებას და საზოგადოებაც მას უხვად ტაშით აჯილდოებდა. ვუსურვებთ ამ არაჩვეულებრივ ქართველ ხელოვანს წარმატებასა და გამარჯვებას.

× 2 აგვისტოს 1952 წ. არგენტინის პრეზიდენტის მეუღლის, ევა პერონის გარდაცვალების გამო ქართულმა საზოგადოებამ მოაწყო საგანგებო, სამგლოვიარო სხდომა. თავმჯდომარე ქ. თამარ პაპავამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც აქვე იბეჭდება, ესპანურადაც.

× ქართული საზოგადოების ახალი გამგეობა ენერგიულად შეუდგა კულტურულ, ეროვნულ საქმიანობას და პირველ რიგში მოაწყო მოხსენებანი.

პირველი მოხსენება წაიკითხა ბ-ნ ვ. ნოზაძემ „ნაპოლეონი და საქართველო“. მოხსენება აგებული იყო საყურადღებო წყაროებზე და ახასიათებდა მაშინდელი ქართული ემიგრაციის ცდას ნაპოლეონის პოლიტიკასთან და კავშირებით — გადაეცათ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის საკითხი მაშინდელ დიდ ამბებთან ევროპაში და რუსეთში. ნაპოლეონი დიდის ინტერესით ეკიდებოდა საქართველოს საკითხს და ქართველ მამულიშვილთ ეს იმედებს ანიჭებდა, მაგრამ ტილზიტის ზავის შემდეგ ნაპოლეონმა არსებითად შესცვალა თავისი აღმოსავლური პოლიტიკა, რის გამო საქართველოს საკითხიც მივიწყებულ იქმნა და ქართულმა ემიგრაციამაც მწარე დამარცხება განიცადა.

შემდეგი მოხსენებანი წაიკითხა ქემიის დოქტორმა ინჟენერმა ბ-ნ ლეო ჭეიშვილმა შემდეგ თემაზე: „მატერია და მისი შინაგანი სტრუქტურა“. მოხსნებებმა (ორჯერ) დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან იგი ატომის საკითხსაც ეხებოდა. მას აზრად აქვს ამ თემაზე ასეთი სახალხო მოხსენებანი განაგრძოს.

× 1924 წლის საქართველოს აჯანყების მოსაგონარად დაინიშნა ქართული საზოგად. საგანგებო სხდომა, რომელზედაც თავჯდომარე ქ-ნ თამარ პაპავამ წაიკითხა თავისი მოგონება აჯანყებაზე და მოიგონა აჯანყებათა მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო ქაქუცასთან თავისი შეხვედრის ოთხი ამბავი: 1) პირველად იგი შეხვდა ქაქუცას საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის გამო გამართულ ზეიმზე, როცა ქაქუცა სხვა ქართველ მხედრებთან ერთად ანთებული გულით და დიდი აღტაცებით შეეგება სამშობლოს აღდგომას, და მისთვის თავდადება მან დამსწრეთ მოსთხოვა. 2). მეორე შეხვედრა ქაქუცასთან მოხდა მის შეფიცულებთან ერთად გაჭრის შემდეგ, ალავერდობას — როცა ამ დიდ, ისტორიულ დღეობაზე შეკრებილ უამრავ ხალხში გაისმა: „ქაქუცა მოდის თავისი შეფიცულებით“-ო! და როცა ამ შეფიცულებმა გაშლილი ქართული დროშით ჯარობაში ცხენები შემოაჭენეს; ყველას ურუანტელმა დაუარა და ვიღაცას მო-

წოდებაზე მთელმა ხალხმა ქუდი მოიხდა და როგორც ერთმა კაცმა დაიჩოქა. აქაც გაუტეხელი გმირი ფიცსა სდებდა და ყველა ქართველისაგანაც ამასვე მოითხოვდა, ითხოვდა ბრძოლას ბოლშევიკ - ოკუპანტების წინააღმდეგ.

3).მესამე შეხვედრა მოხდა პარიზში, როცა ქაქუცა დაღლილ, ფრთამოტეხილ არწივსა ჰგავდა... ჩაცვევნილი თვალები, ნაადრევი ნაოჭები, გაცრეცილი, ნაღვლიანი სახე და ხშირი ხველა ააშკარავებდა, რომ მისი სიცოცხლე მის ხრმალთან ერთად გარდატყდა... ნამდვილი ქაქუცა, მისი სული ჯერ კიდევ ხევსურეთის მთებში ნავარდობდა, ხოლო თვითონ კი, მისი სხეული პარიზის კაფეებში ნაღველითა და სნეულებით დნებოდა... 4). მეოთხე შეხვედრა... ეს უკვე მისი საფლავის ხილვა იყო... მიტოვებულის, დარღვეულის ხის მოაჯირით და გადატეხილის უბრალო ჯვარით. ცრემლებით დიდ ხანს ესაუბრა ქ-ნი თამარ მას წარსულ დიდებაზე საქართველოჲსა და ქაქუცას სამსახურზე ერის წინაშე. ამ მოგონებამ დამსწრე საზოგადოებაზე ღრმად შთაბეჭდილება დასტოვა და ბევრს ცრემლი მოჰგვარა....

შემდეგ ბ-ნ ვ. ნოზაძემ საზოგადოებას მოახსენა, რომ გმირ ქაქუცას საფლავს კარგა ხანია უკვე ამშვენებს სიმბოლიური, ლამაზი ძეგლი გარდატეხილი სვეტით და ქართული წარწერით:

„გარდატყდა სიცოცხლე შენი
გაგრძელდნენ საქმენნი შენნი“

ეს ძეგლი მას ქართველმა ქალმა დაუდგა და ეს ქალია სწორედ თამარ პაპავა-ო.

შემდეგ თავისი მოგონების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა თავჯდომარის ამხანაგმა ბ-ნ ლევან ჯაფარიძემ; მან ზედმიწევნითი სინამდვილით დაუხასიათა დამსწრეთ აგვისტოს დღეები თბილისში, სადაც მომხსენებელი იმხანად იმყოფებოდა... აჯანყება ჯერ არ დაწყებულიყო, მაგრამ მიი სული უკვე ტრიალებდა თბილისში, მისი მოლოდინი აჩრდილივით თან დასდევდა ყოველს და ელექტრონის ძალით ავსებდა თვითეულის ენერგიას... ყველგან უცნაური დაძაბვა მეფობდა, მეხი უნდა გავარდნილიყო.... მომხსენებელმა აგვიწერა განსაკუთრებით მაშინდელი ახალგაზრდობის გამოსვლები, როს ქართველი ჭაბუკნი მკერდს უშვერდნენ თავგასულ ჩეკისტთა ტყვიას. მან აგვიწერა გედ. სვანიძის, გია აბაშიძის, მაღრაძის, კიკელიძის, ასათიანის და სხვათა გმირული აღსასრული. ყველამ დიდი ყურადღებით მოისმინა ეს ჩვენი ბრძოლის ისტორიის სახელოვანი ფურცლები და მის მსხვერპლთ ფეხზე ადგომით პატივი სცა.

ბ-ნ ვ. ნოზაძემ აღნიშნა პოლიტიკური ემიგრაციის განწყობილება აჯანყების საკითხისადმი თვით აჯანყებამდე და მის შემდეგ; მოუთხრო დამსწრეთ, თუ აჯანყებამ რა დიდი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაში, და მოიგონა ის გამოძახილი, რომელი მას ევროპის სახელმწიფო, საქალაქო, საერთაშორისო და პარტიულ დაწესებულებებში, ყრილობებზე მოჰყვა და თანაგრძნობას უცხადებდნენ ქართ. გმირულ ხალხს, ოღონდ ამ ლამაზმა სიტყვებმა სისხლისაგან დაცლილ გმირულ ხალხს ვერ უშველა...

ქართული გუნდი ბუენოს აირესში

პუსი და მზიკუნა ჭეიშვილის ასული

× 22 ნოემბერს 1952 წ. ქართულმა საზოგადოებამ მოაწყო პირველი ქართული სალამო ბუენოს აირესში, რომელიც პრესისა და საზოგადოებრივი აზრის ერთსულოვანი განცხადებით — ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ლიტოველთა კლუბის ყველა ოთახი და დარბაზი გაჭედილი იყო და მრავალი მსურველი უადგილობის გამო იძულებული იყო უკან გაბრუნებულიყო. საღამოს დაესწრნენ, გარდა თვით ქართველებისა და ჩვენი მეზობლებისა, უკრაინელების და ყაზახობის წარმომადგენელნი, გერმანელები, არგენტინელები, რუსები, ლიტოველები, ლატიშები, ესტონელები, პოლონელები და სხვანი. საერთოდ წარმოდგენილი იყო საუკეთესო საზოგადოება.

ციალა ჯაფარიძის ასული და ბ-ნი გივი გელაშვილი

საღამო გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ, ქ-ნ თამარ პაპავამ, რომლის სიტყვა ბ-ნმა დ. გრაუმ ესპანურ ენაზე გადაუთარგმნა დამსწრეთ. ქ-ნ თ. პაპავამ მოკლედ აღნიშნა ქართველი ერის ღვაწლი და დამსახურება უძველესი დროიდან ქრისტიანულ და ჰუმანური კულტურის დაცვაში ევროპის სადარაჯოზე. რა სიამოვნებით განახვევდით თქვენ ზოგ ფრაგმენტებს ჩვენი მდიდარის ფოლკლორისას — განაცხადა მან — მაგრამ საუბედუროდ ჩვენ ვართ მხოლოდ ძლივს ერთი ასეული მთელს არგენტინაში და ამ ღარიბი ძალებით ჩვენ ამ სიდიადის ოდნავი აღნიშვნაც კი არ ძალგვიძსო. მაგრამ მიუხედავად ხანგრძლივი ლტოლვილობისა, ჩვენ მაინც შეგვინახავს ქართული, მოსიყვარულეგული და ჩვენ გვწადია ამ სავსე გულით მივეგებოთ ძვირფას სტუმრებსო

ამის შემდეგ დაიწყო პროგრამა, რომელიც გახსნა ჩოხაში მორთულმა გუნდმა ბ-ნ გაბო გოგელაშვილის ლოტბარობით. გუნდმა შეასრულა რამოდენიმე ქართული სიმღერა, რაც დამსწრეთ ძალიან მოეწონათ. პროგრამის დანარჩენ ნაწილებიდან აღსანიშნავია ქ-ნ ლაქსის სიმღერები სხვა და სხვა ენაზე, და მათ შორის ქართულზეც, რამაც მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა. ქ-ნი ალვერი უკრავდა როიალზე.

შემდეგ გაიმართა მშვენიერი ლეკური ციალა ჯაფარიძის ასულისა და ბ-ნ გივი გელაშვილის შესრულებით; მათ დამსწრე საზოგადოებამ ნამდვილი ოვაცია გაუწიეს. ასევე დააჯილდოვეს ივივე გელაშვილი და მზია ჭეიშვილისა. აგრეთვე დიდად იქმნა მოწონებული ლეკური ხანდაზმულთა — ძველებმაც გაიხსენეს ძველებური ლეკური...

შემდეგ თვისი ნომრები ეროვნული ცეკვისა აჩვენეს ლატვიელებმა, რის შემდეგ ქართულმა ტრიომ (ციალა ჯაფარიძის ასული ბბ. გაბო გოგელაშვილი და კარლო კანტალიანი) შვენივრად შეასრულა რამოდენიმე ქართული სიმღერა. მაგრამ ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს ქართულ ჩოხებში გამოწყობილმა პაწია გოგონებმა: პუსი და მზიკუნა ჭეიშვილის ასულმა, რომელთაც მართლაც ჩინებულად შეასრულეს მთიული ცეკვა; ტაში არ ცხრებოდა და მათ ეს მომხიბლველად და წარმტაცად შესრულებული ცეკვა კიდევ გაამეორებინეს.

პაუზის დროს გაიმართა „ქართული ხონჩა“. ეროვნული სამოსელით მორთულმა გოგონებმა და ვაჟებმა დამსწრეთ ჩამოურიგეს ხონჩით ნაირი ტკბილეულობა და გოზინაყი ხოლო სურიდან ჩამოსხმული ღვინო ყანწით მიაწოდეს ყველას. ამ სურათმა დიდი აღტაცება გამოიწვია.

დარბაზი ნაირნაირად იყო მორთული ფარდაგებით და ნოხებით, და მოწყობილი ფარნებით, რომელნიც უხვად ანათებდნენ. ჩვენებური ცეკვებისათვის უკრავდა ქამანჩა დაირით. დამსწრენი მიტად გამხიარულდნენ და გაიმართა მართლა საამო ლხინი, რომელიც დილის 5 საათამდე გაგრძელდა და ბევრი კიდევ გათენებამდე დარჩა სალხინოდ....

× 27 დეკემბერს 1952 წ. ქართულმა საზოგადოებამ გამართა ბავშთათვის შობის ხე. გაჩაღებული იყო მშვენივრად მორთული შობის ხე, რომლის წინ გოგონებმა: პუსი, მზიკუნა და გულნარა ჭეიშვილის ასულებმა შეასრულეს „ალილო“. ამას მოჰყვა საბავშო პროგრამა: ლექსები — შობის ხის ნაამბობი, გაგრძელდა ყოფნა უცხო მხარეში, ჩვენი ნატვრა და სხვა. დამსწრე საზოგადოება ტაშით აჯილდოებდა ლექსთა წამკითხველ პატარა გოგონებს. შვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა არგენტინელმა გოგონამ, ქართველ გოგონათა მეგობარმა, რომელმაც მათგან ქართული ენა შეისწავლა და ქართულად ლექსიც კი წარმოსთქვა. ეს გახლდათ ბეატრის ბერტოლა, რომელიც ტაშით დიდად დააჯილდოვეს.

შემდეგ ბავშებს გაუნაწილეს ნაირი საჩუქრები; ისინი მხიარული და მოცინარი სახეებით იღებდნენ საჩუქრებს, რაც მათთვის წინასწარ იყო გამზადებული. ამას შემდეგ ყველა ბავში და მათი დედმამა მიიპატიჟეს ჩაიზე და პატარანი დიდად შეექცეოდნენ ნაირ ნამცხვარსა და ტკბილეულობას. ხოლო თავის საჩუქრებს მაგრად გულში იხუტებდნენ...

უფრო მოგვიანებით, გაიშალა მაგიდა უფროსებისათვის. — აქ ესენი ერთმანეთს ულოცავდნენ შობა-ახალ წელიწადს.. იყო სიმღერა, ცეკვა და არ დაჰკლებია მგრძნობიარე სიტყვები. თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს ნადიმი უფრო მითაა შესანიშნავი, რომ სწორედ დღეს დაუბრუნდნენ სათვისტომოს მისი ზოგი გამდგარი წევრიო. იყო პატარა გაუგებრობა, ზოგი უკმაყოფილება, მაგრამ ყველაფერს ამას დღეს ბოლო მოეღო-ო... ლხინი გაგრძელდა ძველებურად, ჩვენებურად.... დიდ ხანს დიდი მხიარულებით.

× 26 მაისის დღეობა ქართულმა საზოგადოებამ ბუენოს აირესში დიდი ზეიმით გადაიხადა.

საქართველოს პრეზიდენტის ნოე ეორდანიას სულის მოსახსენებლად ქ. ბუენოს აირესში მღვდელმა ნიკოლოზ ზაბახიძემ გარდაიხადა პანაშვიდი.

ამ ახლო მომავალში ქართული საზოგადოების გამგეობა მოიწვევს სამგლოვიარო სხდომას, გარდაცვალებული პრეზიდენტის ხსოვნის აღსანიშნავად. ამ სხდომას დაესწრებიან დაჩაგრულ ერთა წარმომადგენელნი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო, ნება მომეცით თქვენი პატივცემული კრებულის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ყველა მათ, ვინაც ხელი შეუწყვეს არგენტინაში პირველ ქართული საღამოს ასე ჩინებულად ჩატარებას. ბევრმა ჩვენმა მეგობარმა და წევრმა გულწრფელად და უანგაროდ იმუშავეს ამ საქმისათვის, რომელსაც ამ შორეულ უცხოეთში ჩვენი კულტურული სახე უნდა გამოეჩინა. განსაკუთრებით მინდა ქართული საზოგადოების გამგეობის სახელით ჩვენი გულითადი მადლობა მივუძღვნათ: — ქ-ნ ევგენია გოდერიძისას, ქ-ნ მარიკა ჯაფარიძისას, ქ-ნ ი. გელაშვილისას; ქ-ნ ევგენია ანდრონიკაშვილისას; და შემოწირულებათათვის: ქ-ნ ნაკაშიძისას და თარხნიშვილ - მოურავისა. ბბ. მიხეილ გოდერიძეს, ვანო შერვაშიძეს, ლ. ჯაფარიძეს, გ. გოგელაშვილს, მიხეილ დიასამიძეს, ხუტუ ილიავას საერთოდ ყველას, რომელთაც არც დრო და არც ენერგია არ დაიშურეს და დიდი უანგარო შრომა გასწიეს. აგრეთვე ჩვენი დიდი მადლობა ბ. ივანე მატინიანს უხვი შემოწირულებისათვის.

პატივისცემით, ქართული საზოგადოების თავჯდომარე არგენტინაში

თამარ პაპავა..

წერილი მადრიდიდან

მადრიდში მართლმადიდებლური ეკლესიის დღესასწაულის (მოციქულ ანდრია პ.წ.) წირვის დროს აღყვანილ იქმნა მამა რაფიელ ინგილო დეკანოზის ხარისხში მიტროპოლიტ ათინაგორის (მსოფლიო პატრიარქის ექსარხოსის) მიერ, რომელიც ამ მიზნით საგანგებოდ ლონდონიდან მადრიდს მივიდა. მამა რაფიელის დაწინაურება ყოველ ჭეშმარიტ ქართველს დიდად გაახარებს... მას საქართველოშიაც და ემიგრაციაშიც კარგად იცნობენ. იგი

იყო ქართულ პარლამენტში საეკლესიო კომისიის წევრი და უფრო ადრეც საკათალიკოსო საბჭოს წევრი — არის ცნობილი პუბლიცისტი და განსაკუთრებით ბევრსა სწერდა და იღვწოდა ქართული ეკლესიის უფლებათა დასაცავად და მისი ავტოკეფალიისათვის.

ემიგრაციაში ყოფნისას, ჯერ კიდევ პირველ წლებში, მან ქართული ლეგაციის საშუალებით მიიღო ცნობა, რომ იგი დანიშნული იყო წამებული კათალიკოსის ამბროსის მიერ - სრულიად საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის გამძღოლად უცხოეთში. საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ იგი მიავლინა რომს, ვითარცა მთავრობის რწმუნებული. იქ მამა რაფიელი ბევრს იღწვოდა, სწერდა და ჰქადაგებდა საქართველოს შესახებ; და მას ბევრი მეგობარიც შეესძინა. ომის შემდეგ ბ-ნი რაფიელ ინგილო გადაიყვანეს ქალაქ მადრიდში, სადაც ის მღვდლად დაინიშნა.

სამღვდელო მსახურებასთან ერთად მამა რაფიელს ერთი წუთითაც არ შეუჩერებია ეროვნული და კულტურული მუშაობა ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

უცნობი

წერილი ჰოლივუდიდან



ბ-ნი გიორგი მაჩხანელი და მისი მეღლე, — ცნობილი მაგი, „ფოკუსთა“ მქმნელი

ყველას მოეხსენება, ჰოლივუდი ხელოვნებისა და კერძოდ სინემატოგრაფიის ცენტრია, სადაც მსოფლიოს გამოჩენილი მსახიობნი-მნათობნი ეტანებიან... სამწუხაროდ, ქართველს ჯერ აქ ეს ბედი არ მოსწრებია... მაგრამ ჰოლივუდი არის აგრეთვე სპორტის ცენტრიც და აი, მის ასპარეზზე დიდ შეჯიბრში ქართველი კაცი გამოჩნდა და თავისი ჭიდაობით ყველა მოხიბლა. ეს გახლდათ კოლია ქვარიანი, რომელიც აქ ნიუ იორკიდან გვეწვია. ბავშობიდან ჭიდაობა ძალიან მიყვარდა და არა ერთხელ მიგრძვნია აღფრთოვანებული აღელვება კარგ ფალავანთა დატაკების დროს, ჩვენს საყვარელ სამშობლოში.

ჭიდაობა ძველთაგანვე მთავარი ეროვნული სპორტი იყო ქართულ ცხოვრებაში და ეს ვარჯიში საუკუნოებით არის ნაწრთობი და შემონახული ჩვენში. ძველად მკლავი თავის დამცველი იარაღი იყო და ქართველი ერის ბრძოლა მის მაგარ მკლავზე იყო დამყარებული. ქართველის მძლავრ ხელში მომწყვდეული ფოლადის, ბასრ ხრმალს ერთი შემოკვრით და დაუზოგველად შუაზედ უნდა გაეპო შემოსეული ურიცხვი მტერი. გულ - მაგარი და გაბედული ქართველი, მის ჯანს და სიძლიერეს ვერავითარ სხვა სპორტში ვერ გამოსახავდა, თუ არ ჭიდაობაში და ალბათ ამიტომ იყო, რომ ამ რაინდულ ვარჯიშს საუკუნოებით მისდევდნენ ჩვენში და ჭიდაობა ქართული ეროვნული სპორტის ვვირგვინად გადაიქცა.

კოლია ქვარიანმა ჯერ კიდევ გიმნაზიის მეხუთე კლასიდან დაიწყო ჭიდაობა. მრთელად აგებული მისი სხეული, ძვალ - მაგარი მკლავები! მისი ცხვირის განიერი ნესტოები უხვად ძლიერად მსუნთქავი! მისი განიერი მკერდი და აჩქეფებული გული დატაკებისათვის... სრულიად ბუნებრივია, მისი ძალა სწორედ რომ ჭიდაობაში უნდა გაშლილიყო! კ. ქვარიანი გიმნაზიის დამთავრებისას, უკვე მდევის შეხედულებისა იყო და ჯერ კიდევ ყმაწვილი, თითქმის ჩემპიონად ითვლებოდა, ისეთი სახელოვანი რუსისა და უცხო მოჭიდავენი დაამარცხა. კოლია ქვარიანის თავისებური ხერხები - ტექნიკა და ფანდები დიდ აღტაცებას იწვევდა, ხოლო სიჭაბუკე და სახელი ქართველ ახალგაზრდობას იტაცებდა და ჩვენც ბევრი ვბაძავდით მას. ეხლა იგი ჰოლივუდში ვიხილე.

„ოლიმპის ოდიტორიუმი“, იქ, სა-

დაც კოლია ქვარიანი ჭიდაობდა, გავსებული იყო სპორტის მოყვარულთა მიერ (ეს შენობა ათი ათას დამსწრეს იტევს). პროგრამის მესამე რიგში იყო ჩვენი თანამემამულე. მალე მისი დრო მოვიდა — ახოვანი, მძიმე წონის კოლია ქვარიანი ელვის სისწრაფით ეძგერა ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს, ჰუნგარელ სანდორ დძაბოს, რომელიც კარგად და ღირსეულად დაუხვდა მას. დრო განსაზღვრულია 30 წუთით და ეს ორივე მოჭიდავე ლომებით ერთმანეთს ებრძვიან. კოლია ქვარიანი, რასაკვირველია, ის აღარ არის, რაც სიჭაბუკეში იყო. წელთა სვლას მისი ფოლადივით მაგარი და მტკიცე მკლავები და მუხლები ცოტა „შეუბერებია", თუმა მისი სული კვლავ უტეხია და სიფიცხე გასაოცარი... დრომ დაჰკრა... და მოჭიდავენი თანაბრად გააშველეს:—ორივე დაუმარცხებელი დარჩა... ამის შემდეგ მე იგი ჩემთან მივიწვიე, სხვა ქართველებთან ერთად...

სანდრო ნებლო

მამა ფილიპე DE REGIS იუბილეის გამო

კრებულისა „მამული" მეოთხე ნომერში აღნიშნული იყო არხიმანდრიტ ფილიპე დე რეჟის 25 წლის საეკლესიო მოღვაწეობა საღვთისმსახურო ხარისხში. ვეჭმუნავ, რომ ეს თარიღი გამომრჩა მე, სხვა ქართველთა შორის უფრო დაახლოებული რომ ვარ მასთან წელთა განმავლობაში. გეცოდინებათ, რომ მე ბედმა მარგუნა ოცი წლით რომში მიკედლება, ჩვენი მთავრობის სურვილით, ვითარცა მისი რწმუნებული იტალიაში. ეს იმ ხანას ეკუთვნის, როცა პარიზის ქართულმა საელჩომ მიიღო საიდუმლო უწყება წამებული კათალიკოსი ამბროსისა ჩემი დანიშვნისათვის „სრულიად საქართველოჲს ავტოკეფალ ეკლესიის გამძღოლად საზღვარგარეიდ". ეს გარემოებაც ჩვენმა მთავრობამ საბაბად მიიჩნია ჩემი რომს გამგზავრებისათვის.

მამა ფილიპე ჩემს იქ ყოფნისას განწესდა ცნობილი „რუსსიკუმ"-ის რედქტორად. ამ დაწესებულების ხელმძღვანელობა მიკუთვნებული აქვთ „აღმოსავლური წესის" იეზუიტებს, რომელთა რიგებში დიდი პატივით შემოსილი არის ჩვენი იუბილიარი. ჩადგა მამა ფილიპე სათავეში, და „რუსსიკუმ"-იც გამოიცვალა, აღმაღლდა და სახელი მოიხვეჭა თავისიანებშიაც და გარემდგომებშიაც. ამისი აღწერა შორს წაგვიყვანდა და არც ძალმიძს. ჩემი სურვილია მხოლოდ, დაგვიანებით მაინც ვაუწყო ქართულ საზოგადოებას ზოგი რამ შესახებ ამ შესანიშნავი პიროვნებისა, და დამატებითი ცნობებით შეძლებისამებრ დავასრულო „მამულ"-ში ამონაკითხი მისალმებანი.

კათოლიკური ბერობა დაყოფილია სხვადასხვა ორდენებად და ამისდამიხედვით დავალებებითა და ფუნქციებით ერთი მეორესაგან განსხვავდება. იეზუიტები, როგორც ამ სიტყვის მნიშვნელობა გვაჩვენებს, „ქრისტეს სახელის საზოგადოებას" ეკუთვნიან. ისტორიულ მსვლელობაში ამ ორდენმა შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა კათოლიკური ეკლესიის საზოგადო სოფლხედვის ჩამოყალიბებაში და ამ ეკლესიის პრესტიჟის დაცვასა და განმტკიცებაში. იეზუიტების წრეში შემსვლელმა უნდა გაიაროს მრავალი განსამზადებელი საფეხური და მხოლოდ სპეციალი გამოცდის შემდეგ ენიჭება წევრობა. ორდენი კარ ჩაკეტილია და მიუდგომელი. ურყევი დისციპლინით შეგუებულნი მისი წევრები შეიძლება მეთანაბრონ პირაბმულ დიპლომატებს... მამა ფილიპე დე რეჟის ამ ორდენის წევრია ახალგაზრდობიდანვე. ორდენში შესვლა მას გაუადვილა, პირად თვისებათა გარეშე, მისმა არისტოკრატიულმა შთამომავლობამ. წელთა განმავლობაში დაკვირვებამა და მასთან არა ერთიანგზის საუბარმა ჩემში დაჰბადა ის ჰაზრი, რომ მამა ფილიპეს სულისკვეთება და კერძოდ მის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის განთვისებულ მისტიურ ძიებათა შეცნაურება მას უფრო აახლოებს ბენედიქტელებთან. გარნა ესეც სხვა თემაა...

„მამულის" მისდამი მისალმებამ ზედმეტად დამარწმუნა, რომ მამა ფილიპეს დამსახურებულად „გამოუტაცნია" ქართველებისაგან პატივისცემაცა და სიყვარულიც: ერთი ნაწილი ახლადგადმოხვეწილი ჩვენი თანამემამულეთა (შიგაშიგ „ძველებიც" ერევნენ) ომის ტალღამ გადმოსტყორცნა იტალიაში, მისი დიდი უმრავლესობა რომში. ეს იყო შეშფოთებული დრო, როცა რუსი - კომუნისტები თავისიან იტალიელებით მუქარითა, დევნით და ათასნაირი კრიმინალი საშუალებით სულს უმწარებდნენ ისედაც სასიმიხდილ ეგრეთწოდებულ „დი - პი"-ებს, ძრწოლა და უსახლკარობა რომ ამჯობინეს ჩეკისტებისაგან დაპყრობილ სამშობლოში უკანქცევას. ვინ იყო მოსარჩლე და გამკითხავი? მე — თქვენი მონამორჩილი — აგვისტოს 1943-დან 1945 წ. მარტამდე მძიმე ავადმყოფობისა გამო მიბმული ვიყავ კლინიკაში. მერმე, როცა ხანდახან შევძლებდი ყავარჯენით ქალაქში გამოსვლას, და როცა ქართველებმა ამირჩიეს კოლონიის თავჯდომარედ, აქაიქ მივიხედ - მოვიხედე, მაგრამ ვერსად ვპოვე ის პირები, რომლებთანაც მიმართება მქონდა წინა წლებში, თვინიერ ჩვენი სიძის ფრანზონისა,... შევჩივლე და შევავედრე კონცენტრაციულ ბანაკებში (უმეტესად რიმინში და ლიპარიში) ამომწყვდეული ქართველები, რომელთა ხელთგდებას ლამობდა საბჭოთა „საკონტროლო კომისია". აღელდა ფრანზონი და კრემლმორეულმა მიპასუხა: — იცით, რომ დროებითი ზავის ძალით მუხრუჭმოდებული ვართ და ფილაჯონი; დაივიწყეთ, რომ მესაუბრებით სამინისტროს გენერალურ დირექტორს! ჩემი მეგობრული რჩევაა, აცნობეთ ყველას — რომ სხვა ხსნა არ არის, გარდა გაპარვისა და სოფლად მიმალვისა...

ამავე ხანებში დიდის ვაივაგლახით დავამტკიცებინე შინაგან საქმეთა სამინისტროში ქართული კოლონიის წესდება და ბეჭედი. მაიძულეს ზოგიერთი შემზღუდველი პუნქტების ჩართვა (არიან პირქუში ქართველები ძველი ემიგრაციიდან, დღესაც ჰარამზადულად ჩემს თაოსნობას რომ მიაწერენ ამ პუნქტების შეტანას)...

აი, ამ უკუღმართად წადრეკილ დროს მშველელად და მხსნელად გამოჩნდა მამა ფილიპე. ის-ის იყო დაბრუნებული საფრანგეთიდან, აჰხედ - დაჰხედავს ბედშავი ხალხის სასოწარკვეთილ მდგომარეობას და წარბშეუხრელად გადასწყვიტავს მათ გამოქომაგებას. მისი ყურადღება მიიქცია ვია ტასსო-ზე იმ სახლმა, რომელშიაც ომის დროს „გესტაპო" იყო და რომელშიც ეხლა შეხიზნეს ყველა თოხუმის გადმოხვეწილები და მათ შორის მომეტებული ნაწილი ქართველებისა. ადვილი წარმოსადგენია ბოლშევიკებისაგან თავდახწეულ, გაშიშვლებულ და უმწეო ადამიანთა სულიერი განცდა, რომლებთანაც ხშირად მიძვრებოდნენ ზემოაღნიშნულ „საკონტროლო კომისიის" აგენტები, ეპატიჟებოდნენ და ჰპირდებოდნენ გა-

მარჯვებულსა და შესხვაფერებულ „დემოკრატიულ სამშობლო"ში", ძვირფას ხადიმებს. სხვაგან კი „მიპატიჟებას", მოკავშირეთა რეგვენული დახმარებით, სისხლის დენაც დაერთო!...

ილაჯგაწყვეტილი ხალხის უფრო გაბედულად დახმარებისათვის მამა ფილიპემ ვატიკანის მეშვეობით სათანადო მანდატი მიიღო. დაიწყო დაუღალავი, თავგამოდებული, მოყვასისადმი ქრისტიანული გრძნობით ასულდგმულებული, შეუსვენებელი მუშაობა და გარჯა ადამიანისა, რომელსაც როგორც „რუსსიკუმის" რექტორს, ყოველი საათი გამოთვლილი ჰქონდა. მოჰკრავდა თუ არა ყურს, რომ რაღაც ხიფათი ემუქრება, ან შეემთხვა ვისმეს, თავისი გახუნებული ანაფორით მოაჯდებოდა დანჯღრეულ „ბისიკლეტს" და გაჰკრავდა, სადაც საჭირო იყო — ვატიკანში, სამინისტროებში, მოკავშირეთა შტაბებში.... თვით „რუსსიკუმი"-ს შენობაში დღემუდამ ეახლებოდა მას 20, 40, თუ მეტი არა, მამა- და დედაკაცი. თვითეულად ილებდა, და არა ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე გამოსულიყო მისი ოთახიდან მომდურებული: რჩევისა და დარიგების გარდა, მთხოვნელი გამოდიოდა ჯიბეში ფულითა და იღლიაში სანოვაგით... მამა ფილიპე პირადად და მისი დავალებით „რუსსიკუმ"-ის სხვა თანამშრომლები არა ერთხელ გამგზავრებულან შორეულ „ლაგერებში", სადაც დამწყვდეულებისადმი ხიფათი უმწვერვალესობას აღწევდა. ამერიკელებისა და ინგლისელების სამხედრო შტაბის წევრებს ხშირად მოუსმენიათ მამა ფილიპეს საყვედური იმის გამო, რომ ისინი კაციჭამია ბოლშევიკებს აჭყვნენ...

ორიოდე სიტყვა პრო დომო სუა: — კლინიკაში მივიღე განკარგულება ჩემი დანიშვნისა მღვდლად ესპანეთში. ამავე დროს გამოვკეთდი და საავადმყოფო უნდა დამეტოვებინა. ვაივაგლახ გადატანილს რომში აღარა მქონდა ადგილსამყოფელი და ვიყავი უსახსროდ. შეიტყო თუ არა მამა ფილიპემ ხელდასხმისათვის პარიზს გასამგზავრებლად განმზადებული ადამიანის მდგომარეობა, გაექანა ვატიკანში და აღმოსავლურ კონგრეგაციას ნებართვა გამოსთხოვა ჩემს საცხოვრებელად „რუსსიკუმ"-ში, სადაც მისი სტუმართმოყვარეობითა და ნამდვილი ძმური მოპყრობით ექვსი თვე გავატარე. ამავე კონგრეგაციისაგან მან გამოიტანა სამგზავრო ფული ჩემთვის.

დასასრულ საჭიროდა ვსთვლი ერთი რამ კიდევ აღვნიშნო: მიუხედავად მრავალი სიძნელისა და სიდუხჭირისა, რომ"ში თავმოყრილი ქართველობა მაინც „იხტიბარს" არ იტეხდა. არსებობდა ასე თუ ისე შეთახხმებული კოლონია თავისი ხელმძღვანელი ორგანოებით. ვიწვევდით საერთო კრებებს კოლონიის საქმეთათვის, ან ამა თუ იმ ქართული თარიღის — შვებისა იქნებოდა თუ გლოვისა — აღსანიშნავად. პირველ ხანებში ერთს კათოლიკურ ინსტიტუტში ვიკრიბებოდით; მერმე აღმოჩნდა დაბრკოლება: გამოირკვა რომ ბოლშევიკებს, რა-კი ვერ დაიყოლიეს ახალი ემიგრანტები „შინწასასხმელად", მკაცრი პროტესტი განეცხადებინათ „ბანდიტების შეთქმულობის კრებების" ნებადართვისა გამო. რა უნდა გვექმნა? ვისთვის უნდა მიგვემართა? ისევ მამა ფილიპე! ხალისით გვითმობდა „რუსსიკუმ"-ის სადარბაზო ოთახს; კერძოდ კი მთხოვა, უხმაუროდ ჩატარებულიყო კრებები: გაეცნო ქართულ „ტემპერამენტს"! ერთი აყალმაყალი კრების შემდეგ მაინც ბოდიში უნდა მომეხადა მის წინაშე...

პარადოქსად უნდა მივიღოთ მამა ფილიპეს კეთილი გრძნობები ქართველებისადმი: არგენტინაში მივლინებამდე ის იყო „რუსსიკუმ"-ის რექტორი, დაწესებულებისა, რომელიც ამზადებს სასულიერო მსახურთ რუსებისათვის. რა ჰპოვა მამა ფილიპემ ჩვენში ყურადსაღები და პატივსაცემი? ეს უსათუოდ ინახება მისი მდიდარი გულის წიაღში. ზოგიერთი ქართველისაგან მას რომში უმადურობაც და წყენაც ჰრგებია! გვაპატიოს! ახსოვდეს კი, რომ შემდგომ მის დამსახურებულ იუბილეს ქართველები, ვისაც ომერთი მოკერძებს განთავისუფლებულ სამშობლოში დაბრუნებას, ისევე თბილად მივესალმებიან, როგორც დღეს — შორეულ არგენტინაში!

მადრიდი, 1952 წ. **რ. ინგილო**

„მამული"-ს მადლობა

კრებულისა მამული" გამომცემლობა ულრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოდ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და სათანადო თანხის შემოწირვით შესაძლებელი გახადეს მისი გამოცემა —

ზურაბ ჩხოტუა	700
გაუტეხელი	300
აღ. პაპუაშვილი	150
ჯონდო ჩომახიძე	100
ა. პ.	100

მხილებანი

ჩემს არქივში აღმოჩნდა 1910 წლის ქართული გაზეთი: „დროება", 11 აპრილისა (1910 წ.).

მეტად საინტერესოა ძველი ქართული გაზეთის გადაკითხვა და ერთი წამით 40 წლის უკან გადახედვა: — ეს დეპეშები, ეს განცხადებანი, ეს „ახალი" ამბავნი მაშინდელი და წერილნი! რა აწუხებდათ მაშინ? რაზე სწერდნენ? რის შესახებ დავობდნენ? და აი, აქ სწორედ ამ გაზეთში „დროება" წავიკითხე წერილი იმ ზნეობრივ-პოლიტიკური საკითხის შესახებ, რომელიც კრებულმა „მამული" აღძრა.

აქ უცვლელად ვბეჭდავთ გაზეთისა „დროება" წერილს. და ჩვენი მკითხველი დაინახავს, რომ 1910 წ. 11 აპრილის „დროება"-ს ის უთქვამს, რა საც დღეს „მამული" ამბობს...

ვ. ნ

დღიური

ნუ განიკითხავთ, რათა არა განგიკითხონ

ნუ განიკითხავ, რათა არა განგიკითხონ, — ეს ერთი იმ ცნებათაგანია, რომელიც მაცხოვარმა დაუტოვა კაცობრიობას საცხოვნებლად, მაგრამ რომელიც გარყვნილი და გადამახინჯებული, საბოროტო იარაღია დღევანდელ ცხოვრებაში. არა - განკითხვა და შებრალება პირბადეა მაცდურისა და უკეთურის და თავშესაფარი არა საზოგადოებრივობისა და საძაგლობისათვის. ნუ განმიკითხავ, ამბობს მტერი, რომელსაც ხელებიც კი არ გაუბანია ადამიანის სისხლისაგან; ნუ განმიკითხავ, ამბობს ორგული და დამბეზღებელი, რომელსაც საკუთარის ერთის დღის კმაყოფილებისათვის შეუწირავს მოძმეთა მრავალის წლით დატანჯვა; ნუ განმიკითხავთ, ამბობს ყაჩაღი და მძარცველი, რომლის თითოეული ლუკმა სხვისის გაღატაკებით არის მოპოვებული. ნუ განმიკითხავთ, ამბობს სულმდაბალი, რომელიც ჯერ არ გახრწნილა ზნეობრივად, მაგრამ ისეთს ნიადაგზე შემდგარა, რომ დღეს თუ ხვალ დაექანება სისწრაფით ფსკერისაკენ. ნუ განვიკითხავთ, გაიძახიან ხმა მაღლა არა უკეთურნი, ხოლო გულსუსტნი, საყოველთაო შებრალების მქადაგებელნი და საზოგადოების დამაუძლურებელნი, დამშლელნი - დამარღვეველნი.

ესეთი განუკითხველობა როგორც მტრისა ისე მოყვარისა საუცხოვო დამახასიათებელია ჩვენი დღევანდელ საზოგადოებისა. იესოს დიდი მოძღვრე-

ბა ჩვენთვის ის კი არ არის, რომ ტვირთი შევუმსუბუქოთ უზომოდ დატანჯულსა და ნაწამებს ადამიანს, არამედ ის საშუალებაა, რომლითაც ხელს ვუწყობთ საზოგადოების მავნე წევრების ზრდასა და გაძლიერებას. მართალია, ხანდახან დიდს სასტიკობას ვიჩენთ და დაუმსახურებლადაც ვსჯით ადამიანს, მაგრამ საერთოდ ჩვენი ახლანდელი ცხოვრება აგებულია იმ უნორმო, ზნეობრივ კანონს მოკლებულს, ამორალურ საფუძველზე, რომელიც დიდის საზოგადოებრივობის გამომხატველი კი არ არის, არამედ სრული უსამართლობისა და ამასთანავე გადაგვარებისა. არ განკითხვას ვემყარებით ბოროტსა და კეთილში და ეს არ არის შემოქმედება ცხოვრებაში, არ არის აშენება და შეკვრა ნამდვილი სამართლიანი საზოგადოებისა.

როცა ერი იმყოფება ჩვენისთანა პოლიტიკურ - ეროვნულ მდგომარეობაში, როცა ჩვენი სოციალური ურთიერთობა მოითხოვს სრულს გარდაქმნას, როცა მოქალაქობრივ მოვალეობის შეგნება ეგოდენ სუსტია ჩვენში, როცა ირგვლივ გაუტანლობა, სიყალბე და სიცრუეა გაბატონებული, როცა პატიოსანი და კეთილშობილი ერთია და უპირო ათიათასი, მაშინ არ-განკითხვაზე ლაპარაკი, შებრალების და მიტევების ქადაგება ბოროტებაა, ერის დამლუპველი. ამ ყოფაში არ-განკითხვა, არ-დასჯა ხომ იმას ამყარებს, რომ ვინც როგორ უნდა მოიქცეს, იგი პასუხს არ მიიღებს ჩვენგან? ამ ყოფაში შებრალება ხომ გაჩუმებაა მტრის გალესილ მახვილის წინაშე? პატიება ხომ არ დანახვაა დამნაშავის ხელით დანთხეულ სისხლისა? ეს ხომ ისაა: დეე, ისმოდეს დაჩაგრულის კვნესა და მოთქმა; დეე, სდიოდეს გამოულეველი ცრემლი ფეხით გათელილ პიროვნებას; იყოს დღემუდამ შიმშილი, სიბნელე და სასოწარკვეთილება!

შებრალება და პატიება ეს ხომ იმას ნიშნავს — ნუ დაისჯება დამნაშავე, მაგრამ ნუ მოიხსნება მონიბს მისი ხელით დადებული უღელი; ნუ ვიქმნებით სასტიკნი ერთისათვის, ხოლო ნუ ვიქნებით შემბრალებელნი იმ მრავალ ობლისა, ლატაკისა, დევნილისა, რომელთაც აწამებს ეს ერთი! არ დასჯა დანაშაულისა — ამით ხომ იმას ვამბობთ: დეე, იყოს დანაშაული, იყოს გარყვნილება, ღალატი, ორპირობა, ანგარობა — ამით საზოგადოებას რა ევნება, ამით ერს არ მოელის განსაცდელი! ნუ მოვთხოვთ სასტიკს პასუხისმგებლობას დამნაშავესა და ნუ დაატყდება რისხვა საზოგადოებისა გამცემელს — ამით ხომ იმას ვქადაგებთ: გამრავლდით ორგულნო, უკეთურნო, ქვეყნის მტრებო, დამბეზღებელნო! თქვენ არ მოგელით განკითხვა ჩვენგან, ჩვენ ყოვლის შემბრალებელნი ვართ!..

შემბრალებელნი ვართ, არა პასუხის მთხოვნელნი იმიტომ, რომ უმოქმედონი ვართ, არაფრის გამკეთებელნი, იმიტომ, რომ შებრალება პასივობაა, ადვილი საქმეა და ამასთანავე ისეთი, რომელიც ჩვენც გვანთავისუფლებს ყოველის პასუხის მგებლობისაგან. ამ პასივობისა და უმოქმედობაზე ვამყარებთ მთელს ჩვენს არსებობას და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი საზოგადოება განუვითარებელია, ერი უძლური, ადამიანი პიროვნება - დაკარგული...

არა, ეს გზა დასაგმობია, უკუგადასაგდები! სულით აღდგენა, განწმენდა და განახლება — აი, რა უნდა განვლოთ, თუ გვინდა, რომ მოვიახლოვოთ პოლიტიკური და სოციალური განახლება! სულით სუსტნი, რომელთაც არ მოიპოვებათ მაღალი და მტკიცე ზნეობრივი რწმენანი, ვერასოდეს ვერ განაახლებენ ერს, ვერ მიაღწევენ აღთქმულს ქვეყანას. ხოლო ძლიერი ადამიანები არ იბადებიან იქ, სადაც არ არის სასტიკი შეუბრალებელი პასუხისმგებლობა, სადაც ყოველს უზნეო მოქმედებას არა აქვს თავისი გამოცხადებული სახელი, სადაც ყოველი დამნაშავე, საზოგადოების მავნე წევრი არ არის დასჯილი ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი საქციელი.

ცხოვრება მძიმე ტვირთია და დედამიწა ყვავილებით არაა მოთენილი და სათამაშოდ გაჩენილი. შებრალება და განურჩეველი სიყვარული ღვთაების უფლება და მოვალეობაა, ჩვენთვის კი ბოროტმოქმედებაა და შეუწყნარებელია. სამოთხეში სხვა საზომია საუკეთესო ურთიერთობის დასამყარებლად, ამ ქვეყნად კი სასტიკი პასუხის მგებლობა ყოველ ადამიანისა ყოველი ნაბიჯისათვის. ყოველს უნდა მიეზღოს ის, რაც მან დაიმსახურა. მით უფრო გარდაუვალია ეს მსოფლიო კანონი ჩვენისთანა ერისათვის, რომელსაც გარშემო მრავალი მტერი არტყია და შიგნით მოუწყობელი, დაულაგებელი და არეულ - დარეულია.

არა, მხოლოდ სასტიკობა და სასჯელი შეუბრალებელი — სხვა გზა არ არის ჩვენთვის!

გაზეთი „დროება“ 11 აპრილისა 1910 წ. ნომერი 81

ჩვენი დავა

3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცი, რით დავიმსახურე „მამული“-ს წყრომა, რომ ასე მოულოდნელად პირს კლიტე დამადეთ... მაშინ, როცა ბნელ საქმეთა მკეთებელთა ვინაობის გამოტანას მოელოდნენ, — თქვენ მომწერეთ: — დროებით „მხილებანი“ გადადეთ და გვსურს საზოგადოების მსჯავრს, მიუდგომელ სასამართლოს დავუცადოთო!

კარგი და პატივისანი! მაგრამ მე როგორლაც სკეპტიკურად ვუყურებ ამ თქვენს წინადადებას! აბა, რომელი გამცემი და ჯაშუში, დამბეზღებელი და მკვლელი გამოცხადდება საზოგადოებრივ სასამართლოს წინაშე და იტყვის— „მაშ, დაბრძანდით და სამართალი ჰქმენით, ესა და ეს ჩამიდენია, ჩემი ტყეილებით და დასმენით ესა და ეს კაცი დამიღუპავს... მინდა დღეს პასუხი ვაგო: აჰა, თქვენი ხრმალი და ჩემი კისერი“-ო! — ასეთი პირი, მით უმეტეს, საზოგადოებრივ სასამართლოში თქვენ არ გამოგყვებათ. აქ, მისი ნაწვალები სინიდისი და გესტაპოს მიერ განაწამები აჩრდილები, მას ისეთ დიდ ქენჯნას მიაყენებენ, ვით მეფისტოს ჯვარის დანახვა.

ისინი თავის საქმეს ხომ მუდამ ბნელში და ფარულად აკეთებდნენ და „ფაქტებსა და მასალებს“ მაშინვე ანადგურებდნენ, სპობდნენ, და თუ ეს „ფაქტიური მასალა“ თვით ადამიანი იყო, იმის გაქრობის წინაშეც არ დამდგარან — რათა ბოროტ, სატანისებურ საქმეთა მოწამენი მომავალში საზოგადოებამ არ გამხდარიყვნენ...

ამიტომ ისეთ საზოგადოებრივ და სინიდისის სასამართლოს, თქვენ რომ გწადიათ, ისინი გაურბიან ვით მეფისტო ჯვარს...

მათ, თუ კუდზე ფეხი დაადგეს და საქმე გაუჭირდათ, იციან სხვა გზები „თავის გასამართლებლად“... ოფიციალური სასამართლო ურჩევნიათ მათ, სადაც საქმეში ნაკლებ ჩახედული მოსამართლე მხოლოდ ფაქტიურ მასალას და წერილობით საბუთებს ეყრდნობა; სადაც წარსდგებიან ჯამიტლაკია მოწმეები, ალაქლაქდებიან ცრუ პენტელები და დამქაშები...

ეს არის ჩემი აზრი, მაგრამ არ აგიხირდებით, და უცადეთ თქვენ რამდენიც გნებავთ, ოღონდ მე პირზე კლიტეს ნუ დამადებთ...

☺

„მიყვარს საქართველო და მძულს ეხლანდელი ქართველი“, — სიტყვები ჭკვიანი ქართველისა. ეხლანდელი ქართ-

ველი რომ ძალიანა მძულს, ამ-ით ვამტკიცებ, რომ საქართველო ძალიან მიყვარს“...

ილია ჭავჭავაძე

— შენ, ჩემო კარგო დიდთავა, იცნობ ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებს? — შენ ყოველთვის მიმტკიცებდი, რომ სოციალდემოკრატებს ილია ჭავჭავაძე სძულთო! და როდესაც ილიას წაკითხვა მომინდა, შევანძრიე მთელი ქარრთული კოლონია და მთელს პარიზში არ აღმოჩნდა არც ერთი ნაციონალისტი, რომელსაც ილიას თხზულებათა კრებული ჰქონოდა! რას იტყვი, ჰა?! მერმე მისი შესანიშნავი „ივერიის“ ნაცვლად რომ აქ საკოდავსა და უბადრუკ „ივერიას“ უკიმდნენ სხვა და სხვა სახელის დამატებით! ხო! არც ერთ ნაციონალ - დემოკრატს ილიას კრებული არ გააჩნდა, და იცი, ვისთან აღმოჩნდა ილიას თხუზულებათა კრებული? სოციალდემოკრატ ნოე ჯინჯაძესთან! ჰა! როგორ მოგწონს ესა?

— ნოე ჯინჯაძე განათლების მინისტრი იყო და მას უნდა ჰქონოდა!

—რას ლაპარაკობ, დიდთავა, რას?! მაშ ნოეს ყაზბეგიც უნდა მოვთხოვოთ და ბესიკიც! შენი არ მიკვირს?! მას ეს ილია ჰქონდა ალბათ იმიტომ, რომ ეს მწერალი პოლიტიკური მოღვაწეც იყო, და ეროვნულიც, და მერმე როგორი?! მაგრამ დავანებოთ ამას თავი! ერთ - ერთი ნაკნობის საშუალებით, მაშ, მივიღე ილია სრული კრებული. და დავიწყე კითხვა, მივსდევდი მის მადლიან კალამს და ვნახე ისეთი ადგილი მის ნაწერში, რომელმაც შემაძრწუნა — შევშინდი, ჩემო დიდთავა, ძალიან შევშინდი, როდესაც ეს წავიკითხე. მძულს ეხლანდელი ქართველიო! და ამით ვამტკიცებ, რომ საქართველო ძალიან მიყვარსო! მას შემდეგ ვფიქრობ, თავიდან არ მშორდება ეს მისი საშინელი და მწარე ნათქვამი და ვერ გამიგო მე იგი! და იცი, როდის მიხვდი, თუ რას ამბობდა ილია? იცი როდის ჩავწვდი მე მის აზრსა და გულის ტკივილს? ომის დროს და ლიბერაციის ხანაში, როდესაც ვიხილე ზოგ ქართველთ უმსგავსობა და უზნეობა — ის დაუსახელებელი „ჭკვიანი ქართველი“ და ილია რომ პარიზში ლიბერაციის დღეებს მოსწრებოდნენ, მათ რომ დაენახათ, რას შვრებოდნენ ომის დროს ეგრეთ წოდებული ზოგნი საზოგადო მოღვაწენი და ლიბერაციის დროს ფრანგთა თუ ბოლშევიკთა წინაშე ისინი, — მაშინ განა მარტო ამას იტყოდნენ!? მაშინ მათ ხომ თავი უნდა მოეკლათ?! შენ იცი რა ხდებოდა ვარშავაში, რა ხდებოდა ბერლინში, შინა ხარ მოწმე იმისა, თუ რა ხდებოდა პარიზში! შენ....

— თუ ძმა ხარ! გეყოფა რაც ერთხელ ალიაქოთი ასტეხე. დაანებე თავი ამ დიდად მტკივნეულ ამბავს, ქვა მიაგდე ამ სამარცხვინო ამბავს, ნუ გაჰქექავ, თორემ ავყოლდებით, დავიხრჩობით ამ საძაგლობაში! ნუ...

— ნუ დაიწყებ, თუ ძმა ხარ, დიდთავა, გლახა ჭრიაშვილივით ისევ თავიდან ერთსა და იმავეს ღეჭვას! განა რაც აქ ხდებოდა, ისე უნდა ჩატარდეს, რომ ერთი კრინტიც კი არ უნდა დაიძრეს?! განა რაც აქ სისაძაგლე დატრიალდა, მაშ ეს არ უნდა აღინიშნოს, თითქო არათერი მომხდარიყოს! თითქოს ყველათერი წესიერი ყოფილიყოს და საქებურიც?! გახსოვს რა სთქვა ერთმა ჩვენმა ძველმა პოეტმა? —

„მე არ ვჰფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს,
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს;
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო, აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს“....

— არა, არა! ძალიან გთხოვ ეხლა, ამ ჟამად ნურაფერს ამბობ, გადასდევი! აი, საქართველოში მოვთხოვოთ ყველას პასუხი....

— რაო? საქართველოში!? კიდეც რომ დავბრუნდეთ, — ვის ეცლება მა არამზადებისათვის?! მაგ კრიმინალებისათვის?! მაბეზღართათვის? ვინ გამოუდგება მაგათ? იქნებ შენ?

— არა, მე მაგის თავი არა მაქვს! ეს ისეთი ხალხია, რომელსაც „ომრთისა არ ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხვენოდა“. და მეც გაგახსენებ დავით გურამიშვილის ლექსს: —

„ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ ინება,
ბევრი ავი გამოჩნდების, ჩვენი — მაზედ მერცხვინება...
მტერს შაესმის, ეამების, მოყვარეს კი იწყინება,
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება“...

— კარგი! მე ისე ჩამოვაგდე დღეს სიტყვა ამის შესახებ, თორემ მე ეხლა სხვა რამ მაინტერესებს და ვაკაკურად უნდა მიპასუხო ამ სხვა რამეზე.

—საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა, მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ....

— აი, ვილაპარაკოთ ამაზე. იცი, ამ 5 წლის წინად რა მომწერა ერთმა ქართველმა? რუზველტმა და ჩორჩილმა სოსო ბიდაურზე შესვეს და ევროპაში შემოაჭინეს! ეხლა ტრუმანი და ჩორჩილი მისდგომიან ქვემოდან და ეხვეწებიან — ბიდაურიდან ჩამოდი და ვირზე ჩიჯექიო! რა სულელი ვინმე ნახეს სოსო, რომ ბიდაური ვირზე გასცვალოსო!

— რა მშვენიერი ნათქვამია, კაცო! ეხსნა შიდა საქართველოსაკენ!...

— ხო, ასე მომწერა! ეხლა ძალით ჩამოგდებაზეა საქმე მიმდგარი! თუმცა ყველა ზავზე გაჰკივის, მაგრამ ყველა კბილებამდე იარაღდება და მერმე როგორი საშინელი იარაღით? ამის დიდი მზადება, როგორც პოლიტიკური, ისე საომარი, ისე ზნეობრივი და სულიერი! საბჭოთა კავშირის ემიგრაციებსაც ფრთა შეესხათ, იმედები დაებადათ; და მათ შორის, ქართული ემიგრაციაც ატორტმანდა, ამოძრავდა

— და დაიწყო კრებობია, კომიტეტობია, მისვლა - მოსვლა, ლაპარაკი, ლაპარაკი, ხვეწნა, ჭორი, მუქარა, კომბინაციები... ამის ისტორია რად გინდა — ეს ისედაც იცი!

— ხო და, დაარსდა ერთი კომიტეტი! მას ეროვნული კომიტეტი დაერქვა!

— მერე დაარსდა მეორე კომიტეტი და მას ეროვნული საბჭო დაერქვა!

— ერთიც ერის წარმომადგენლობაზე ლაპარაკობს და მეორეც! იცი შენ, რა აქვთ მას გასაყოფი? აი, სწორედ ეს საკითხი მაწვალებს მე და იქნებ გამირკვიო!

— ამას, სწორედ ამას გთხოვდი მე თვითონ! მაგრამ, იცი, სწორედ ეხლა გამახსენდა ერთი ისტორიული ამბავი. არ ვიცი, შენ გახსოვს თუ არა, მე მაინც მოგითხრობ: —

ზუსტი თარიღი არ მახსოვს, ოღონ ეს მოხდა მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. იმერეთის მეფე, ქართლის მეფე და მესხთა მეთაურნი თავისი ლაშქარით იდგნენ შემოსეულ თურქთა წინააღმდეგ. ომი დღეს თუ ხვალ უნდა დაწყებულიყო. ქართველთა შეერთებული ძალა, ეხლანდელი სიტყვით რომა ვსთქვათ, შტაბის გადაწყვეტილებით, მტერს თავს უნდა დასხმოდა. და იცი იქ რა მოხდა? დაიწყო დავა იმის შესახებ, თუ ბრძოლაში პირველი ვინ უნდა გასულიყო! მესხები ამტკიცებდნენ: — პირველობა ჩვენ გვეკუთვნის, ძველად მეწინავე მებრძოლი ყოველთვის ჩვენ ვყოფილვართ და ეხლა ჩვენ უნდა დავიწყოთ ომიო! — არც მეფე ქართლისა და არც იმერეთის მეფე ამ საბუთს არ იზიარებდა, და როგორც ამას ისინი საჭიროდ სთვლიდნენ, ისე დაიწყეს შეტევა მტერზე. და იცი მერმე რა მოხდა? გაგულისებული მესხები განზე გადგნენ, ბრძოლაში სრულებით მონაწილეობა არ მიიღეს, და ამით შემცირებული ქართლელნი და იმერელნი დამარცხდნენ; ოსმალებმა მთელი მესხეთი დაიკავეს. ამ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ბასიანზე სახოსტაში მოხდა, მესხეთი დაღუპვის გზაზე შესდგა და ოსმალეთს თავისუფალი კარი გაეხსნა შიდა საქართველოსაკენ!...

— ვა! ეგ ამბავი მე აღარ მახსოვდა!

— ხო და, ამ პირველობის დაჩემებამ, ამ „მეწინავეობამ“ მაშინ საქართველო დაღუპა. საჭირო იყო მტრის მოგერება, მტკიცე მთლიანი ფრონტის შექმნა, — და იქ დავობდნენ, — მე უნდა ვიყო პირველი! უნდოდა მოგერება, მტკიცე მთლიანი ფრონტის შექმნა, — და იქ დავობდნენ, — მე უნდა ვიყო პირველი! მე უნდა ვიყო მეწინავეი! ზვიადობას, ყოყლოჩინობას, თავმოვარეობას, მამლაყინწობას, კუდაბზიკობას, ქარაფშუტულ პატივმოყვარეობას, გაუმართლებელ ამბიციებს და სხვას ამგვარ ამპარტავნობას ქართული საქმე ხშირად გაუფუჭებია! ემიგრაციაშიც ასეთი ამბავი არა ერთჯერ მომხდარა და ხდება დღესაც...

— შენ ლაპარაკობ კომიტეტების შესახებ?

— დიაჰ სწორედ! მაშ ამიხსენი, რა აქვთ ამ კომიტეტებს გასაყოფი?

— ეროვნული კომიტეტი ამტკიცებს: ჩვენ ვართ ქართველი ერის ნამდვილი წარმომადგენელი და ვიკავთ საქართველოს დამოუკიდებლობასო! ეროვნული საბჭო კი ამტკიცებს: ნამდვილი წარმომადგენელი ერისა არის ჩვენი ორგანიზაცია; ჩვენ ვიკავთ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ამასთანავე საჭიროდ ვთვლით, საბჭოთა კავშირის ხალხთა ემიგრაციასთან საერთო მუშაობასო! ამ მუშაობას ეხმარება ამერიკული კომიტეტი, და ჩვენთვის, ქართველთათვის, ამ კომიტეტის გზით ამერიკელებთან დაახლოება, მეტად საჭირო და სასარგებლო არისო! გაიგე?

— ვერა! ვერ გავიგე! არ მესმის: რატომ ერთად არ არის ეს ორი კომიტეტი. ჯერ ერთი ამიხსენი: ემიგრაცია თეორიულ ბრძოლას აწარმოებს, თუ პრაქტიკულს? ოცდაათ წელზე მეტია ჩვენ დამოუკიდებლობაზე ვწერთ ქართულად (და ძალიან ნაკლებ სხვა ენებზე!) და გავყვირით ქართულად (და ძალიან ხრინწიანად სხვა ენებზე!) და არავის ჩვენთვის ყურადღება არასოდეს მოუქცევია! დაიწყო ჰიტლერგერმანიის ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და არავინ ქართველებს და მოუკიდებლობას არ დაჰპირებია, — ამის მიუხედავად ჩვენ ამ ომში მონაწილეობა მივიღეთ და მხურვალედაც. რატომ? მხოლოდ იმიტომ, საბჭოთა კავშირი უნდა დანგრეულიყო, ბოლშევიზმი უნდა მოსპობილიყო! ამაზე დიდი ამოცანა: — როგორიცა არის საბჭოთა კავშირის დანგრევა და ბოლშევიზმის მოსპობა სხვა არ არსებობს! ეს უნდა იყოს ყველა იმიგრაციის აღფა და ომეგა, თავი და ბოლო, მისი პრაქტიკული მუშაობა, იარაღით ბრძოლაგინობს და ამ ხნის განმავლობაში უცხოეთში ათი წიგნაკი არ დაგვიბეჭდავს საქართველოს შესახებ! რამდენმა კაცმა იცის, მაგალითად, ამერიკაში: რა არის ჯორჯია? ეს მათ, — თუ კი ამ სიტყვას გაიგონებენ, — თავისი საბრეთი შტატი ჯორჯია ჰგონიათ! ეხლა მაინც ქართველებმა უნდა მოიპოვონ სახსარი და შეუდგენ ქართული საკითხის პროპაგანდას. ქართული საკითხის პროპაგანდა „მამაოჩვენოსავით“ მუდმივი გამეორება კი არ არის დამოუკიდებლობის შესახებ! არამედ გაცნობა უცხოელთათვის საქართველოს ისტორიისა, მწერლობისა, კულტურისა! ეს ისტორია, ეს მწერლობა, ეს კულტურა თვითონ ღაღადებს საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ამერიკული კომიტეტით უნდა ვისარგებლოთ ამერიკულ პოლიტიკურ წრეებთან მისასვლელად, დასაახლოებელად, ქართული საკითხის გასაცნობად. ესაა პრაქტიკული მუშაობა, ესაა საქმიანობა, ესაა გარჯა! თორემ ვიძახოთ: (და ისიც ქართულად!): დამოუკიდებლობას მოვითხოვთ და აგრითვე ქართულ ენაზე პამფლეტები ვწეროთ, — ის მუშაობა არაა, არამედ ბიდილოში ჩხირის ჩხუკუნი! ამას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. რას იტყვი შენ?

— ეს მართალია, ოღონდ ეროვნულ კომიტეტს ჰგონია, რომ ეროვნული საბჭო დამოუკიდებლობის პრინციპს არ იცავს...

— წარმოვიდგინოთ ეს ასეა. მაშასადამე, ქართველთა ერთი ნაწილი რუსებთან ერთად იმუშავებს. მეორე ნაწილმა კი რა უნდა ჰქმნას? მანაც იმუშავოს თავისი მიმართულებით და არა თავზე დაისხას პირველს და ბიჭბოჭორად ლანძღოს! ყველამ იქ უნდა იმუშაოს, ისაც სად შეუძლია, ის სად მიუწვდება. ვინ სად თავის ასპარეზს მოიპოვებს. ამას გადაადებოლებს ის საშინელი მდგომარეობა, რომ მეორეც ქართველი ხალხი იმყოფება. რას გვეტყვიან ეს ქართველები? ჩვენ აქ სისხლისაგან ვიცავებოდით ჩვენ აქ სულს ვბილით ვიჭირდით და თქვენ კი იქ ერთმანეთს ათრიეოდით ოა აწეოკებდით თორმულების გამოო არ გვეტყვიან? ჩვენთვის ანთანაისუფლება ბოლშევიზმისაგან საჭირო იყო ვით ჰაერი, და თქვენ კი იქ ორმულებისათვის ერთმანეთს თაესპირს ამტვრევდითო! არ გვეტყვიან ამას?!

— კი, გვეტყვიან!

— მაშ, რა დასკვნას მიიღებდით?

— ნუ აეჩქარებით, მოვიფიქროთ, მოვისაზროთ, როგორც იტყოდა ხოლმე განსვენებული სპირიდონ კედია.

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია! არა?!

— თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარისა ქებულსა!

— სამწუხაროდ, ქართველები მხოლოდ აჩქარებულია ხალხია! ისევ სახოსტაზე მესხთა ამბავი მახსენდება!

— თუ გინდა მეც გაგახსენებ დავით ჯურამიშვილის ნათქვამს:
„ძმამ ძმას გარდუჭირა სახრე, მტერთ
კობალი თავში დასცხეს...
„უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ
ეს ნაყოფი გამოიღო:
მოგვითხარა ქართლ - კახეთი,
ძირ ფესვიან ამოიღო“...

პ. პარიზელი

პარიზი, სექტემბერი, 1952 წ.

(ეს წერილი, სიგრძის გამო, აქ შევწყვიტეთ. რედ.)

ერთი ბრალდების გამო

მაუნხენში დაიბეჭდა უსახელო წერილი - ბრალდება ბ-ნ ალშიბაიათა წინააღმდეგ. მე არ ვეხები ამ უსახელო ფურცელში წარმოდგენილ ბრალდებათ ბ-ნ ალშიბაიას და დანარჩენთა შესახებ. ჩემი სურვილია აღვნიშნო ერთი ბრალდების უსაფუძვლობა ბ-ნ გივი გაბლიანის შესახებ, რომელსაც მე პირადად კარგად ვიცნობ.

ბრალდებათა ავტორი ბ-ნ გივი გაბლიანის შესახებ შემდეგს სწერს:

„1942 წელს მიტტენვალდეში (ბავარია) იდგა ერთი ქართული ბატალიონი; მისი მეთაური იყო წითლების ყოფილი კაპიტან ალექსანდრე წიკლაური. ამავე ბატალიონში ირიცხებოდა ალშიბაიების სიძე დოქტორ გივი გაბლიანი. საჭირო იყო სიძის, გაბლიანის მეთაურად დაწინაურება, ამიტომ ალშიბაიამ მოისყიდა ერთი შეუგნებელი გლეხი ჯარისკაცი, და ყალბი დასაბუთებით, თითქო წიკლაური აწყობდა შეთქმულებას გერმანელების წინააღმდეგო, წიკლაური დაახვრეტინა“-ო.

თავიდან ბოლომდე (გარდა ფაქტისა წიკლაურის დახვრეტის შესახებ) ეს ამბავი მოჭორილია.: —

მიტტენვალდეში მყოფი ქართული ბატალიონის უფროსი იყო პროფესორი, ობერლეიტენანტი დრ. ობერლენდერი, რომელიც დღესაც ცოცხალია.

რასაკვირველია, ალ. წიკლაური ქართული ბატალიონის უფროსი არ ყოფილა.

ბატალიონში ბოლშევიკური შეთქმულობა მოხდა 1942 წ. და გასცა იგი ჯარისკაცმა ზურგაშვილმა.

ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ბ-ნი გიგი გაბლიანი ბატალიონში მხოლოდ სამი თვის მოსული იყო.

შეთქმულნი გერმანულმა სამხედრო სასამართლომ გაასამართლა და თორმეტ ჯარისკაცს, და მათ შორის, ალ. წიკლაურსაც სიკვდილით სასჯელი მიუსაჯა.

ბ-ნი გიგი გაბლიანი, სხვებთან ერთად, ამ პროცესზე მხოლოდ მოწამე იყო.

ბ-ნ გ. გაბლიანს ამის გამო არავითარი წარჩინება არ მიუღია.

ბ-ნი გივი გაბლიანი იმ დროს ალშიბაიებს სრულებით არ იცნობდა.

ბ-ნ გ. გაბლიანი მათი სიძე გახდა მხოლოდ 1945 წ. ბერლინში, სადაც იგი 1943 წლის ბოლოდან იმყოფებოდა, როგორც ქართული შტაბის წევრი (ე. წ. ფერბინდუნგსშტაბ).

ბ-ნ გივი გაბლიანს ჩვენ ვიცნობთ ჯერ კიდევ ტყვეთა ბანაკში, სადაც იგი, ქართული პატრიოტიზმით აღგზნებული, თავისათვის საფრთხით, იცავდა ქართველ ტყვეებს გერმანული ეხეში მოპყრობის წინააღმდეგ; მან იქ მრავალი ტყვე სიკვდილს გადაარჩინა.

ბ-ნ გივი გაბლიანს ვიცნობთ ფრონტზე, სადაც იგი ვით მამაცი და ღირსეული ქართველი იბრძოდა.

ბ-ნ გ. გაბლიანს ვიცნობთ „ქართულ შტაბში“ საპასუხისმგებლო ადგილზე, რომელიც მას თვითონ, სხვათა შორის, არ უნდოდა, მაგრამ უარი ვერ უთხრა ავტორიტეტიან პირებს და ეს საპასუხისმგებლო თანამდებობა იკისრა. და აქ მთელი მისი მუშაობა იყო თავდადებული და სათნო, მიმართული საქართველოს უფლებათა და ქართული ჯარის დაცვისაკენ.

ბ-ნ გივი გაბლიანს ვიცნობთ გერმანიის დანგრევის შემდეგაც, — ისევ სპეტაკ და უმწიკვლო მამულიშვილად.

ამისი მოწამეა და ყველაფერი ეს კარგად იცის აგრეთვე ბ-ნმა ვიკტორ ნოზაძემ, რომელიც იმედია ჩემს ნათქვამს დაადასტურებს.

არამც თუ უსახელო ფურცელის დამწერს, არამედ ყველას მოეთხოვება, ქართველი მებრძოლის პიროვნებას პატივით მოეპყრას და უდანაშაულოდ არ გასვაროს.

გაბო გოგელაშვილი

არაფერს ვამბობ ფურცელში წარმოდგენილ ბრალდებათა შესახებ, ხოლო რაც ბ-ნ გივი გაბლიანს შეეხება, ვადასტურებ, რომ ბ-ნ გაბო გოგელაშვილის აქ ნათქვამი ბ-ნ გივი გაბლიანის შესახებ — სრული სიმართლეა.

ვ. ნოზაძე

წიგნთა განხილვა

Dr. Vajtang Zizichvili — La pintura de los iconos y la ideología cristiana de los tiempos primitivds. Madrid, 1951.

ბ. დრ. ვახტანგ ციციშვილი გულმოდგინედ განაგრძობს თავის მადლიან მოღვაწეობას ხელოვნების ისტორიის დარგში. დასახელებული შრომა დაბეჭდილია ესთეტიურ იდეათა კრებულში, ნომერი 36, და წარმოადგენს ნარკვევს პირველყოფილ ქრისტიანობაში ხატისა და იდეოლოგიის შესახებ. მკვლევარი სურათოვანი საბუთებით ამტკიცებს, რომ ქრისტიანული ხატის წინარი ხატი არის მუმიის სურათები ეგვიპტურ - ელლინური ხელოვნების დროიდან და აღნიშნავს, თუ როგორ განვითარდა იგი. ნარკვევი არის მეტად საინტერესო მასწავლებელი.

Wachtang Dchobadze - Zizichvili — Los esmaltes del icono de Jajuli. Madrid.

აღნიშნული ნარკვევი გამოქვეყნებულია ესპანური ხელოვნების არქივში (ნომ. 97) და იგი ქართული ძვირფასი ხახულის ხატის მინანქრებს ანუ ემალებს ეხება. ეს არის განსაკუთრებული ნარკვევი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ხახულის ხატის მინანქრები ასწეროს და მათი შექმნის დრო დაადგინოს. ავტორის დამტკიცებით, ხახულის ხატის ზოგი მინანქარი მეორე და მეცხრე საუკუნისაა, ხოლო უახლოესი კი მეთორმეტე საუკუნისა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ზოგი მინანქარი რუსთა მიერ მოპარულ იქმნა მეცხრამეტე საუკუნეში, და შეცვლილი ახალი, თანამედროვე მინანქრებით. ქურდიც დასახელებულია — ეს გახლავთ ქუთაისის გუბერნატორი — ლევაშოვი (აქ აღვნიშნავთ, რომ ამ დიდი ქურდის სახელობის ქუჩა რევოლუციამდე ქუთაისში არსებობდა!)

ეს მოპარული უძვირფასესი ნივთი, როგორც გვაცნობებს მკვლევარი, ხელიდან ხელში გადასულა და ბოლოს ბოტკინის კოლექციაში მოხვედრილა, ხოლო 1932 წელს იგი საქართველოსათვის დაუბრუნებიათ და ამ ჟამად მეტეხის მუზეუმში სუფევსო.

მკვლევარი ვახტანგ ციციშვილი - ჯო ბაძე ხახულის ხატის მინანქრებს 12 ჯგუფად ჰყოფს და აღნუსხვის მიხედვით მათ ცალკეულად აღწერს. ნარკვევი შემკულია სურათებით და ტყუილად არ არის აღნიშნული, რომ დაბეჭდვა შესრულებულია გონსალესის მიერო, ისე შვენივრად არის იგი დასტამბული.

მინანქართა აღწერის შემდეგ, რომელთა რიცხვი, ავტორის გამოკვლევით არის არა 94, როგორც ფიქრობდა კონდაკოვი; არა 75. როგორც ეგონა დურანს, და არა ასამდე, როგორც წარმოედგინა ბურგერს, არამედ 148 ანუ: 82 სახე და 66 სამკაულითი სურათი, რომელთაგან ზოგი ერთმანეთზია გადაბმული, — ავტორი არდგენს ნამუშევარის სადაურობის საკითხს, და ამბობს, რომ ბევრი მათგანი (და ჩამოთვლის მათ) არის წმიდა ქართული ხელოვნების ნაყოფი, დანარჩენი კი ბიზანტიურია. ეს ნარკვევი მეტად მნიშვნელოვანია ქართული ხელოვნების ისტორიისათვის.

დიმ.

Khariton Chavichvili — Patrie, Prisons, Exil. Préface d'Albert Malche. Paris, 1946.

პირველი შემთხვევაა, რომ უცხო ენაზე (და ქართულზეც ბევრი არ გაგვაჩნია!) იბეჭდება ქართველი მოღვაწის მოგონებანი. ბ-ნი ხარიტონ შავიშვილი, დაუღალავი მებრძოლი ქართული საქმისათვის, თავის მოგონებებს იწყებს ყმაწვილობიდან, როდესაც იგი ბათუმში მოხვდება და თავის ძმასთან ერთად სარევოლუციო მუშაობაში ჩაებმება. აქ თვალ წინ იშლება რევოლუციური ახალგაზრდობის მუშაობა, ბრძოლა, გაფიცვათა მოწყობა ბათუმში, ქადაგების წამოწყება გურიაში, და 1903 წლის ამბები ბათუმში. აქ ჩვენ ვხვდებით, შემდეგ ხანაში უკვე ცნობილ პირთა სახელებს: ნოე ჟორდანია, ისიდორე, ნოე რამიშვილი, რაფაელ ჩიხლაძე და სხვანი. შემდეგ მოთხრობილია რუსეთ - იაპონიის ომის მიერ გამოწვეული ამბები და ბოლშევიზმ -მენშევიზმის ისტორია, როგორც იგი ბათუმის რევოლუციურ წრეებში გამოისახა. აქ პირველად სოსო=კობა=სტალინს ვხვდებით. შემდეგ აღწერილია ბათუმის ამბები, სომეხ - თათართა ურთიერთობის შესახებ და მერმე იწყება ჭიათურის ეპოპეა და ქუთაისის ამბავნი. აქ, ქუთაისში ჩვენს ავტორს ატუსაღებენ, — და მოთხრობილია მისი დაკითხვა, ქუთაისის ციხის, მეტეხის ამბავი და მერმე „გზა მშვიდობისა“ ციმბირისაკენ! აქ გადასახლებულთა ცხოვრება, მოსკოვისაკენ გამოპარვა და მერმე უცხოეთში გაპარვა...

მოსკოვში დამალვის დროიდან ბ-ნ ხარიტონ შავიშვილს მოხსენებული აქვს მეტად საინტერესო შეხვედრა ერთ - ერთ რესტორან - სარდაფში. ეს მოგონება მას ასე აქვს გადმოცემული:

— შევეხეჩე ერთ გენერალს, რომლის დანახვამ შემაშინა. გამგემ (რესტორანისა „კახეთია“) წამჩურჩულა — თავადი ორბელიანია. და ამან უცბად მომმართა წმიდა ქართულით: — ჩემო ძვირფასო შვილო (ქართველნი განა არა ვართ ყოველთვის მამანი და შვილნი?), რა დასთესე ისეთი, რომ ამდენი ტანჯვანი დაიმსახურე?! ჩვენი ხალხის ყველა საუკეთესო შვილები იღუპებიან ციხეში ან ციმბირს გადასახლებაში! მე თქვენ გეუბნებით, მე, რომელიც მეფის ჯარში ვიმყოფები: რუსული იმპერიალიზმი ჯერ კიდევ იმდენად დიდად ძლიერია, რომ არ შეგვიძლია მისი გადაყირავება, — თუ არა მეც ხომ თქვენთან ერთად ვიქნებოდი ჩვენი ძვირფასი საქართველოს განსათავისუფლებლად-ო!

ასე უთქვამს ბ-ნ შავიშვილისათვის გენერალ ორბელიანს, რაზედაც ჩვენს რევოლუციონერს უპასუხებია, რომ მთელი ახალგაზრდა რუსეთი იბრძვის თავისუფლებისათვის და მათთან ერთად ჩვენცო! ამაზედ გენერალ ორბელიანს თავაზიანად მიუგია: —

— ახალგაზრდა რუსეთი იმაზე მეტად არა ღირს, რაც ძველი რუსეთი: ამას ზოგი ტრადიცია მაინც აქვს, და იმას კი (ახალგაზრდა რუსეთს) აქვს მხოლოდ ავანტურული ამბიცია. პატარა საქართველოს არ შეუძლია თავის თავს იგივე ფუფუნება მიანიჭოს, ვით რუსეთი თავის თავ აძლევს, რადგან იგი არი ვეებერთელა: ამას შეუძლია მილიონები ადამიანთა დაჰკარგოს და ამით მისი მომავალი არ დაზიანდება, მაგრამ თუ ჩვენ მთელს ჩვენს საუკეთესო ახალგაზრდობას შევსწირავთ საერთო მიზნებისათვის — უზარმაზარი რუსეთის წინაალმდეგ ბრძოლაში, რა დარჩება ქართველი ხალხისაგან და რა იქნება მისი მომავალი? —

არ შეიძლება აქ არ გაგახსენდეთ — 1932 წლის შეთქმულების წინა ხანაში გენერალ აფხაზისა და გრიგოლ ორბელიანის საუბარი! მაგრამ დავუბრუნდეთ იმას, თუ რა იფიქრა ბ-ნ ხ. შავიშვილმა გენერალ ორბელიანის ნათქვამის შესახებ; იგი სწერს —

— ვგრძნობ, ეს არის საქართველოს ისტორია, რომელიც ლაპარაკობს ამ ვაჟკაცი (ბრავ) მამულიშვილის პირით, რომელსაც სურს ჩვენი ეროვნული ძალები დაზოგოს, მაშინ როცა ჩვენ მას არა ვზოგავთო!

ოღონდ ბ-ნ ხარიტონ შავიშვილს გენერალ ორბელიანთან საუბარი აღარ გაუგრძელებია: — არც ჩემი მდგომარეობა და არც ჩემი მომზადება ნებას არ მაძლევდა იმ წუთში საუბარი გამეგრძელებინაო.

შემდეგ ბ-ნ ხ. შავიშვილს გაუგია, რომ გენერალს როცა შეუტყვია ციმბირიდან გამოქცეულის იმ სარდაფ - რესტორნაში ყოფნა, იქ განზრახ მისულა საბაასოდ და ამას გარდა მისთვის დასახმარებლად ხუთი მანეთიც დაუტოვებია.

შემდეგ ბ-ნი ხ. შავიშვილი აგვიწერ თავის გაპარვას უცხოეთში მისვლას ჟენევაში, და იქ უკვე არა რევოლუციური მუშაობა გახდა მისი სიცოცხლის მიზანი, არამედ ბრძოლა დაპყრობილი სამშობლოს თავისუფლებისათვის. იმედია, ამ ახალ ფურცლებსაც თავისი მოგონებიდან ბ-ნი ხ. შავიშვილი არ დაგვიკარგავს.

მოძველი

ზ. გურული — მოგონება. გამომცემელი ვალიკო ჩუბინიძე. პარიზი, 1951 წ.

სურვილი მქონდა ამ წიგნაკთან დაკავშირებით აღმეწერა მაშინდელი ცხოვრება და მოგონება იმ პირთა შესახებ, რომელნიც აქ დასახელებული არიან, მაგრამ უდროობისა გამო ეს ვერ მოვახერხე და ამიტომ იძულებული ვარ ეს წერილი ამ წიგნაკით შემოვფარგლო.

ზაქარია გურული ერთი იმ პიროვნებათაგანია ახალ საქართველოში, რომელიც მქმედი მოღვაწე იყო და თავისი ორნატი გაავლო და დასტოვა ქართულ ცხოვრებაში.

ზაქარია გურულის ეს მოგონება მოკლედ და სხარტულად არის დაწერილი სულ სხვა მიზნისათვის (სოციალისტური ენციკლოპედიისათვის), თორემ მისი ცხოვრება იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განუყრელი ნაწილი 1903 წლიდან უკანასკნელამდე, ბოლშევიკების დროსაც.

ამ მცირე მოგონებაში მოკლედ და მკაფიოდ აღწერილია სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება ჭიათურაში, 1903 წლის გამოსვლანი, 1905 წლის ამბები, წითელი რაზმის შექმნა, ბრძოლა მეფის რუსეთთან, ტენგინსკის პოლკის განიარაღება, რევოლუციის დამარცხება, რაზმების და შლა და არალეგალური მუშაობის დაწყება. შემდეგ მოთხრობილია ჭიათურაში მუშათა გაფიცვების შესახებ, მერმე დატუსაღების ამბავი, ქუთაისის ციხე და ამ ციხეში ხვრელის გაყვანა და გაპარვა. ამ ამბებთან დაკავშირებით ზაქარია გურული სწერს: —

„აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემო-

ება, რომ ჩვენში, როგორც უცხოელთა მპყრობელობაში მყოფ ერში, მაღალი წოდებაც კი, როგორც მთელი, რეაქციონური არ იყო. მართალია, მეოცე საუკუნის დასაწყისში ის ღია ბრძოლას არ აწარმოებდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაგრამ სამაგიეროდ არამც თუ ხელს არ უშლიდა სოციალდემოკრატიული პარტიის ბრძოლას, არამედ თანაუგრძნობდა კიდეც. აქედან ზოგი მისი ელემენტები ხელსაც უწყობდა ჩვენს ბრძოლას: გვაძლევდენ ბინას, დევნილებისათვის, გვეხმარებოდენ დატუსაღებულთა გამოსახსნელად და სხვა. ჭიათურა - საჩხერეში ასეთ დახმარებას გვიწევენ სიმონ და გიორგი (ძმები) წერეთლების ოჯახები, ელისაბედ წერეთელი, ანეპოდისტე მაჩაბელი და სხვა. მრეწველებზე და ვაჭრებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ესენი არამც თუ პარტიას, გადიცვასაც კი ეხმარებოდენ მატერიალურად. რამდენადაც ვიცი, ასე იყო სხვა ქალაქებშიდაც"-ო. — დაასკვნის ავტორი.

შემდეგ აღწერილია პარტიული მუშაობა ბაქოში; იქ მისი დაჭერა, გადასახლება; გამოპარვა. 1914 წლის ომი. კვლავ დაჭერა. გადასახლება. გამოპარვა. ისევ დაჭერა და ციმბირს გადასახლება.

მეექვსე თავიდან უკვე იწყება ახალი ამბავი: სახალხო გვარდიის შედგენა, და აქ სულ მოკლედ, ძუნწად აღწერილია ეს ამბავი. შემდეგ ზაქარია გურული ისევ ძველ ამბებს უბრუნდება და მეშვიდე თავიდან მოგონებაა ბიქტორ კაპანაძეზე, რომელიც ჭიათურის მუშათა შორის ერთი ნათელი პიროვნებათაგანი და ცნობილი რევოლუციონერი იყო. მეშვიდე თავი ეკუთვნის ათრასიონ მერკვილაძეს, — სახალხო მებრძოლს, შემდეგში რომ ყაჩაღად იქმნა მონათლული, — და აღწერილია მოკლედ მთელი ეს ტრაგიული ამბავი...

დიდად მნიშვნელოვანია სოციალური და ეროვნულ - პოლიტიკური საზრისით მეცხრე თავი: ქართლის შავი და წითელი რაზმები.

განსვენებული ზაქარია გურული თავიდანვე შემდეგს აღნიშნავს: —

— „1905 წლის აგრარული მოძრაობა ჩვენში დიამეტრალურად განსხვავდებოდა რუსეთის ასეთივე მოძრაობიდან. მაშინ როცა რუსეთში ამან მიიღო სტიქიურ - ვილური ფორმა — მემამულეთა ავლადიდების დაწვა - აწიოკება და კულტურულ მამულების განადგურება, რასაც თან სდევდა ეგზეკუციები და გლეხთა ხოცვა - ჟლეტა, — ჩვენში აგრარული მოძრაობა თავიდანვე ჩადგა ქალაქურ კულტურულ კალაპოტში — ორგანიზაცია, გაფიცვა, ბოიკოტი. შედეგათ — გლეხთა რწმუნებულებისა და მემამულეთა შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებები. ამის მიზეზი იყო ჯერ ის, რომ სოციალდემოკრატიული პარტია ამ დროს ჩვენში უკვე დიდი ავტორიტეტიანი პარტიაა და საერთოდ ქალაქის მუშები ჯერ კიდევ 1902 წლიდან გავიდენ სოფლათ სამუშაოთ და 1905 წლისათვის უმეტესობა მაზრებში (იყო და) პარტიას უკვე დიდი გავლენა ჰქონდა, რის გამო მოძრაობა თავიდანვე თავის ხელში აიღო. მერე ჩვენი თავადაზნაურობა დაწყებულ მოძრაობას მტრულად არ შეხვედრია, პირიქით, მის ერთ მხარეს — პოლიტიკურ ნაწილს, — ის როგორც დაპყრობილი ერის უმაღლესი წოდება უყოყმანოდ მიესალმა და ხელსაც უწყობდა, ხოლო პოლიტიკური მხარე მაშინდელი მოძრაობისა, სოფლად ისეროგორც ქალაქათ, ხერხემალი იყო საერთოდ მოძრაობის. ამას უნდა მიემატოს ისიც, რომ ძვენი მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობის უმრავლესობა იმ დროს (1905 წ.) მიწით უკვე გაღარიბებული იყო, მემამულეს აღარ წარმოადგენდა. მხოლოდ მამულის შემოსავალით მაშინ ამ წოდების ერთი მეათედი-ღა თუ ცხოვრობდა. ყველა ამის გამო იყო, რომ საქართველო სავსებით აცდა რუსულ გზას აგრარულ მოძრაობაში. გამონაკლის შეადგენდა ზემო ქართლის ერთი ნაწილი, სურამის ქედზე მიკრული, ქართლის პატარა ნაწილი, ისტორიული სოფლის — ატოცის ირგვლივ"-ო.

სრული სიმართლეა! ოღონდ არა ჰქონდა აქ მნიშვნელობა ქართულ კულტურასა და ძველებურ მამაშვილურ განწყობილებას, ნათელ - მირონობას და ისტორიულად წოდებათა ურთიერთ გადაბმულობას? — მგონი, კი!.

აქ ზაქარია გურული უფრო დაწვრილებით (თუმცა აქაც ძუნწად!) მოგვითხრობს ატოცის ამბებს და გვაცნობებს, რომ თავადაზნაურთ აზრადაც არ მოსვლიათ ეგრეედ წოდებული „შავი რაზმების" შედგენა გლეხთა წინააღმდეგ საბრძოლელად.

როდისაც ჭიათურელ სოციალდემოკრატებს გაუგიათ, რომ სოფელ ავლევში უნდა შეკრებილიყვნენ თავად აზნაურნი, სტამბოლს გარდახვეწილა ბაში განსვენებულ გიორგი ამილახვარის და ზუბიკო აბდუშელიშვილის მეთაურობით, მაშინვე ზომები მიუღია, ამას ცუდი შედეგი არ მოჰყვისო და თვითონ ზაქარია გურულს მიუწერია მათთვის და ურჩევია, რათა მათ გლეხებთან მოლაპარაკებით გადაეგებინათ საქმე, როგორც ეს მოხდა ზემო იმერეთში. პასუხი ზაქარია გურულს დაუყოვნებლივ მიუღია. ზუბიკო აბდუშელიშვილი სწერდა ჭიათურის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციას შემდეგს:

„ჩვენ შავ რაზმს კი არა, ეროვნულ ლაშქარს ვაწყობთ და მომავალი ჩვენია. ჩვენ ბოლო საქართველო შემოგვიერთდება. ჩვენი ლაშქარი ჯერ ჯერობით წესრიგს აღადგენს საქართველოს სოფლებში, ხოლო მოვა დრო, დაჭკრავს საათი და საქართველოს თავისუფალს ნახავთო". ასეთი ყოფილა თავადაზნაურთა პასუხი სოფელ ავლევიდან. ეს ამბავი მეც გამიგონია, ძაგრამ, საბუნებოროდ, ზაქარია გურული ამ ამბავზე ფართოდ არა სწერს, ხოლო ჯერ სხვა არავინ გამოჩენილა, ვისაც ეს ამბავი დაწვრილებით აღეწერა

ზაქარია გურული ამბობს, ამ რაზმს (მგონი სამი ასეული იყოო) თავისი დროშები ჰქონდათ ამოქარგული ასოებით — „სჯობს სიკოკხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი"-ო. და განაგრძობს: — „ამილახვარ - აბდუშელიშვილის წინასწარი ტრაბახი — ტრაბახი, მთელი საქართველო ჩვენ შემოგვიერთდებაო, ტრაბახობადვე დარჩა, ხოლო მათი მოწოდება გლეხებისადმი — ეროვნულ ლაშქარში ჩაეწერეთო — დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა: არც ერთი გლეხი ამ რაზმში არ ჩაწერილა; მით უმეტეს არავინ ჩაეწერებოდა გლეხებიდან ამ რაზმში. მას შემდეგ, რაც რაზმი მოწყობისათანავე, სააშკარაოზე გამოვიდა"-ო, დასძენს ზაქარია გურული.

თუ ზაქარია გურული სისწორით ამ ამბავს გადმოგვცემს, რომ რაზმის იდეალი იყო საქართველოს განთავისუფლება, ხოლო მისი პრაქტიკული მოქმედება გამოიხატა ადგილობრივ გლეხთა მოძრაობის დაშოშმინებით, - და როცა რუსეთის მთავრობამ დაინახა, რომ ეს რაზმი გლეხებს ვერ „აწყნარებდა", მაშინ მას ყაზახთა რაზმები მიუმატეს, — აშკარაა, და გასაგებიც, რომ მას უკვე აღარავინ მიეკედლებოდა. პირიქით, ქართულ რაზმებს „მიზანიც" გაუფუჭდათ და გლეხებთანაც ურთიერთობა გაუმწვავდათ.

ეს გამწვავება, ცხადია, უფრო ძლიერი გახდა მას შემდეგ, რაც სოციალდემოკრატებმა თავისი წითელი რაზმი შექმნეს და პირველთ შავი რაზმები

† გრიგოლ ფხალაძე

დაარქვეს. რასაკვირველია დაიწყო ამ ორ რაზმის შორის (არა ომი!) პატარ-პატარა შეტაკება და აქ ზაქარია გურული მიუკერძოებლად და სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს ამბავი არ აღაფრთოვანებდა „ქართველ პატრიოტს“ ზურაბ აბდუშელიშვილსო!

ზაქარია გურული ამბობს: — „მე მჯერა, რომ მას დიდი ფანტასტიური სურათები უტრიალებდა თავში ამ რაზმის დაარსების დროს“-ო! ესე იგი გიორგი ამილახვარი, ზუბიკო აბდუშელიშვილი და მათი მიმდევნონი ოცნებობდნენ მაშინ საქართველოს განთავისუფლებაზეო და ეს ოცნება ფანტასტიური იყოო! ვერ გაგვიგია: რატომ? თუ 1905 წლის დიდ არეულობას რევოლუცია მოჰყვებოდა და რუსეთი დაიშლებოდა, — საქართველოს ამ შემთხვევაში შეიძლო განთავისუფლება და ეს ოცნება ფანტასტიური არ იქნებოდა ასევე შეიძლება ითქვას, რომ არა ნაკლებად ფანტასტიური იყო თვით რევოლუციონერთა ოცნება, რომ ისინი რუსეთის თვითმპყრობელობას დაანგრევდენ!

ეს „ფანტაზია“ გიორგი ამილახვარისა და ზუბიკო აბდუშელიშვიუისა ხომ თვით ზაქარია გურულმა და მისმა მეგობრებმა სინამდვილედ აქციეს, როდესაც რუსეთის იმპერია დაილეწა და მათ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ხოლო ამილახვარნი და მისთანანი მათთან ერთად ამ დამოუკიდებლობას იცავდნენ, ისე ვითარცა თვით ზაქარია გურული, რომელსაც სიკვდილამდე ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია! მაგრამ დავუბრუნდეთ მოგონებას და განვაგრძოთ.

სინამდვილეში რა მოხდა? როცა რაზმის მოქმედება, ყაზახთა ჩარევის გამო, გლეხთა დაშოშმინება და ღალის აკრებით განისაზღვრა, მაშინ სწორედ „ფანტასტიური იდეალის“ მოტრფიალე ზუბიკო აბდუშელიშვილმა რაზმს თავი მიანება, ხოლო გიორგი ამილახვარი კი მთელი თავისი რაზმით ამ საქმეს ჩამოშორდაო, როგორც მოგვითხრობს თვით ზაქარია გურული.

ოღონდ დანარჩენი წევრნი რაზმთა შერჩენილან და მათ წითელ რაზმთან მცირე შეტაკებანი ჰქონიათ. მაგრამ მალე ზაქარია გურულს მიუღია ზომები მშვიდობის ჩამოსაგდებად და ამისათვისაც სულ მოკლე დროში მიუღწევია. რევოლუციონერთა წარმომადგენლები შეხვედრიან თავადაზნაურთა წარმომადგენლებს და საქმე მორიგებით გაუთავებიათ!

აქ აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ხაზიც. ზ. გურული ამბობს:

— „ორივე მხარე კმაყოფილი დაიშალა (თავადთა და გლეხთა წარმომადგენლების კრება მოხდა ჯ. ამერაჯიბთან). ყველაზე უფრო გახარებული იყვნენ მემამულეთა ქალები, რომლებსაც არა ერთი უბედური დღედაღამე გაუტარებიათ ამ ზაფხულო“-ო!

ზაქარია გურულს შეეძლო აქ ეთქვა, რომ გლეხთა ქალებიც ასევე კმაყოფილი იქნებოდნენ და არამც თუ დედაკაცები არამედ მამაკაცებიც, როგორც ამას თვითონვე აღნიშნავს, ეს არის ქართული ისტორია და ქართული კულტურა, რომელიც სამოქალაქო ომს არ იცნობს.

როგორც ხედავთ, ზაქარია გურულის ეს მცირე მოგონებანი მეტად მნიშვნელოვანი არიან ქართული ცხოვრების უკანასკნელი ხანის ისტორიისათვის და სამწუხაროა, რომ ავტორს არ შეეძლო თავისი მოგონება უფრო ფართოდ და დაწვრილებით დაეწერა, — ამას იგი ვერ შესძლებდა, რადგან იგი ამ მოგონების წერის დროს ბოლშევიკთა მიერ შეპყრობილი ციხეში იჯდა.

ზაქარია გურულის მოგონებათა გარდა, ამ წიგნაკში განსვენებულ გრიგოლ ფხალაძის, ჩემი დეიდის ქმარის, მოგონებაც არის. გრიგოლ ფხალაძე, გურული და ბიძა - ჩემი გიორგი გაფრინდაშვილი ახლობელნი იყვნენ; ვიცი მათი თავგადასავალი და მოღვაწეობა და ვწუხვარ, რომ გრიგოლ ფხალაძის მოგონება არის სრულიად მოკლე, რომელიც თითქმის ყველა მარტოდ პარტიულ ამბებს ეხება, თუმცა მას შეეძლო ქართული ცხოვრების ფართო სურათი დაეხატა, რომელზე თვითონაც დიდად გამოჩნდებოდა.

ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, როდესაც უნდა იწერებოდეს ქართულ მხარეთა ისტორიებიც; და ამ ხრივ საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია, თავისი პოლიტიკური, სამხედრო თუ კულტურის თავგადასავალით. ზემო იმერეთს თავისი შესანიშნავი ისტორია აქვს ძველს წარსულშიც და ახალ ხანებშიც, — ოღონდ მას შესწავლა ესაჭიროება, და საამისო მოღვაწენი მცირე არიან, თუმცა სამკალი დიდია. განსვენებული გრიგოლ ფხალაძე და მსგავსნი ქმნიდნენ ადგილობრივ ისტორიას, რომელიც მთელი თავისი მიმართულებით საერთო ქართულ ისტორიასთან იყო გადაჯაჭვული და სწორედ ეს სხვა და სხვა კუთხე ჩვენი მხარისა იყო ის დასაყრდენი წერტები, სადაც მთლიანი ახალი საქართველო იზრდებოდა და თბილისის გარშემო ირაზმებოდა, — საქართველოს

ამ სულიერ და ხორციელ გაერთიანებაში გიორგი გაფრინდაშვილი, გრიგოლ ფხალაძე და ყველა სხვა, მათი მსგავსი დიდ როლს თამაშობდნენ და მათი ცხოვრება საქართველოსათვის მოღვაწეობა იყო: ადგილობრივ, საკუთარ კუთხეში, ერთობილი ქვეყნისათვის... ამიტომ არც მათი ღვაწლი უნდა შთანთქას დავიწყების უფსკრულმა...

ამ მოგონებათ დართული აქვს წერილები „ზაქარია გურულის მოგონების გამოქვეყნების გამო“ ბ-ნ ჭ. ასათიანისა და „სამი მეგობარის ხსოვნას“ ბ-ნ შ. აბდუშელიშვილისა, — ორივე წერილი მჭლე.

მართლაც რომ მადლობა ეკუთვნის ბ-ნ ვალიკო ჩუბინიძეს ამ მოგონებათა გამოქვეყნებისათვის. რამდენი ასეთი სხვა მოგონება დაიკარგა და დროა უკვე, ეს ძვირფასი ისტორიული მასალა, რომელსაც ყოველი მოგონება წარმოადგენს, უცხოეთში მაინც იბეჭდებოდეს და უკვალოდ არ განიბნევოდეს...

თამარ პაპავა — დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. — ..— რვეული: იმერეთის დედოფალი მარიამ. 2) გურია და დედოფალი სოფიო. ბუენოს აირეს, 1953 წ.

ქალბატონმა თამარ პაპავამ საახალწლო საჩუქარი გვიძღვნა. ეს არის მისი ახალი წიგნი, რომელიც ორ დედოფალს შეეხება და მათ ცხოვრება - ბრძოლას აღწერს. ორივე დედოფალის ცხოვრება მჭიდროდ გადაბმული არის იმ ბრძოლებთან, რომელსაც მათი ქვეყანა, — იმერეთი და გურია, — რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავის უფლებათა დასაცავად ეწეოდა.

მას შემდეგ რაც რუსეთმა ქართლ - კახეთის სამეფო მოსპო და იქ მტკიცედ დაემკვიდრა, რასაკვირველია, განწირული იყო წინასწარ იმერეთის და გურიის ბედიც, — და ეს კარგად ესმოდათ ამ ქვეყანათა ხელმძღვანელ პირებს, ოღონდ ესენი მაინც ყოველ ზომას ხმარობდნენ, რათა თავი დაეცვათ, — ეს ბუნებრივი მისწრაფებაა ცოცხალი არსებისათვის.

ქალბატონი თამარ პაპავა, თავის მოკლე აღწერილობაში, ნაბიჯ - ნაბიჯ მისდევს თითოული ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას, და ამ დიდბუნებოვან დედაკაცთა სახეს ნათლად, ღირსეულად და სიყვარულით გვიხატავს.

თამარ პაპავა

ბრძოლა ოჯახისათვის; ბრძოლა ქმარისათვის; ბრძოლა ტახტისათვისა და სამშობლოსათვის აქ ერთმანეთში გადაბმულია მჭიდროდ და ერთ მთლიან ფრონტს წარმოადგენს, რომელსაც ეს ჩვენი დედოფლები ვაჟკაცურად იცავენ... გარნა რას უშველის ვაჟკაცობა და დიდბუნებობა წინასწარ განწირულ ბრძოლას? ჭკუა და გამჭრიახობა წაგებულ საქმეს? რად გამოდგება მტკიცე ნებისყოფა და მოვიგე წადილი ისტორიულად დამარცხებულ მოვლენაში? — ოღონდ მაინც მკერდზე ხელთ არ იკრებენ, მოქმედებენ, იბრძვიან, — და ასეთ წაგებულ ბრძოლაში არის უდიდესი ღვაწლი, უდიდესი დამსახურება — ვინაიდან წაგებული ბრძოლითაც იბადებიან ისტორიული პიროვნებანი, — დაღუპულ მოქმედებითაც გამოიკვეთებიან მებრძოლთა დიდი სახენი, — ამ დამარცხებითაც გამოიბრძმედებიან დიდი ნებისყოფანი, — და ასე, ამგვარად იქმნება ისტორია, იწერება ხალხთა და პიროვნებათა თავგადასავალი, რომელიც მომავალ თაობათათვის მასწავლებელია და საწინდარი გამარჯვებისათვის...

მისწრაფებითა და მოქმედებით, სისხლითა და სიკვდილით დაწერილ ამ ისტორიას სჭირდება შესწავლა, გამოკვლევა, გამოტანა, გაცნობა, — და ამ საქმეს ღირსეულად ემსახურება ქალბატონი თამარ პაპავა, რომელიც ქართველ დედაკაცთა ისტორიას სწავლობს და გვასწავლის; და არა მარტო გვასწავლის, არამედ გვაყვარებს კიდეც ქართული ისტორიის დოემდე მიმალულ, ჩვენთვის უცნობ ამ დიდ დედაკაცთა დიდ სახეებს, რომელთაც იგი, თავისივე მორცხვი თქმით, პატარა ჩარჩოებში ათავსებს, — არამც თუ ხოლო გვასწავლის და გვაყვარებს, არამედ ისტორიულ განკითხვასაც ახდენს და თავის დასკვნებს გვაწოდებს, — ეს დასკვნაც სწორია და სამართლიანი, როგორც მკითხველი ქვემორე სტრიქონთაგან თვითონვე გაიგებს.

ვ. ნ.

ქალბატონი თამარ პაპავა ასრულებს თუ არა გურიის დედოფალის მოკლე ისტორიას, წარსულ ამბავთა ისტორიას განიხილავს და ამბობს შემდეგს: —

ასე დამთავრდა ბრძოლა გურიის ავტონომიურ უფლებათა შესანარჩუნებლად.

დიდმა იმპერიამ აქაც თავის ჩვეულის გზით გაიარა: ჯერ „მფარველობის აღთქმანი“ და „ხელშეკრულებანი“ სახელმწიფოებრივ უფლებისა და მმართველ დინასტიის საუკუნოდ შენახვისათვის და საჭურველით ხელში მათი დაცვისათვის.

შემდეგ ამ სამეფოში თუ სამთავროში საკმაო რუსის ჯარის დაბანაკება, შიგ პოლიტიკურად და ეკონომიურად ფეხის მომაგრება და შემდეგ ხალხის მოწინავეთა წინააღმდეგ შეტევა, მათი პოლიტიკური დევნისა და ეკონომიურ განიარაღებისათვის.

ამის შემდეგ, ადმინისტრატიულ განკარგულებებით რუსული ტლანქი მოქმედება ყოველგვარ შინაარს აცლიდა „ტრაქტატის“ მუხლებს და გენერალ პავლე ციციანოვიდან დაწყებული კულიაბკებით გათავებული მოხელეები, პეტერბურგის საიდუმლო ინსტრუქციების თანახმად, ავტონომიურ უფლებებს ფეხ-ქვეშ სთელავდნენ; მის დამცველთ ქვეყნის და ხელმწიფის მოღალატედ აცხადებდნენ და შორეულ რუსეთს ასახლებდნენ; ბოლოს, უმეთაუროდ დაშთენილ ქვეყანას, უბრალო ღუბერნიად, ან პროვინციად აცხადებდნენ...

ასე მოხდა ქართლ - კახეთში, შემდეგ იმერეთში, გურიაში და უფრო გვიან — სამეგრელოში, სვანეთში და აფხაზეთში.

მაგრამ ქართველობა, ცალკეული სამეფო - სამთავ-

როები თავისას არ იშლიდნენ, ძალადობას ქედს არ უხრიდნენ და თავის სამართლიან უფლებებს თავდადებით იცავდნენ; მისთვის ყოველ დევნას და წამებას იტანდნენ, მაგრამ ერის უფლებას ფუფუნება - განცხრომისათვის არ სთმობდნენ. ამ ბრძოლას და მის წმიდა საქმეს ღირსეული დასი უძღოდა ძველ ბაგრატიონთა, გურიელთა, დადიანთა და შერვაშიძე-დადეშკელიანთა.

ამიტომ ინახავდა ერი სიყვარულით და სასოებით მათ სახელსა და ანდერძს, რასაც ერთხელ ქვეყნის მკვდრეთით აღდგომა უნდა მოჰყოლოდა. ამ თავდადებულთა გუნდს ეკუთვნოდა პატარა გურიის ალალი საქმისათვის განწირული, უკანასკნელი დედოფალი სოფიო.

გურიის დედოფალი სოფიო თუმცა კარგად ხედავდა, რომ ქართლ-კახეთის და იმერეთის დაცემის შემდეგ პატარა გურია რუსეთის იმპერიის დაწოლას ვერ გაუძლებდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ერს მარტო ტლანქი ძალა ვერ ანადგურებს და მისი მხნეობა და სულიერი სიმტკიცე საძირკველია მომავალი აღორძინებისათვის ჩაყრილი.

და გურიის ხალხიც არ დანებდა ძლიერ მტერს და შეეცადა ჯერ იურიდიული სამართლიანობის საფუძველზე მიეცა ბრძოლა და შემდეგ უკვე იარაღით გამკლავებოდა ძლიერ მტერს, რისთვისაც ხშირად გარეშე მოკავშირესაც ეძებდა...

ის შეუდრეკელი წინააღმდეგობა, რაც სოფიო დედოფალმა ავტონომიის დაცვის გარშემო აწარმოვა, უბრალო ჯიუტობა კი არ იყო „ინსტრუქციების“ ირგვლივ შექმნილი, არამედ იმ ბრძოლათა გაგრძელება, რასაც ქართლ-კახეთი და შემდეგ იმერეთი ეწეოდა. ყველა ეს წინააღმდეგობანი ქმნიან იმ ეროვნულ სულს, რომელსაც ილია ჭავჭავაძის მადლიანის თქმით — „ჩვენი ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა ჩაუდგამთ“...

ჩვენს წინა თაობებს ეკლიან გზაზე სვლას, ჭეშმარიტად, უადვილებდა ის შეგნება, რომ „ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედ მოსულ უბედურებას და განსაცდელს და იგი გულ გაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა“... (ილია).

როგორც ვნახეთ, ამ ეროვნულ ტრადიციას არ უღალატა პატარა გურიის დედოფალმა სოფიომ და ამიტომაც დასტოვა მან ღირსეული და ნათელი სახელი...

ბუენოს აირეს, 1952 წ.

იმერეთის უკანასკნელი ამბები და დედოფალი მარიამ

(დასასრული)

მარიამის ოდიშში გადასვლაზე შემდეგს ვკითხულობთ დავით ბატონიშვილის ისტორიაში: —

1810 წ. როცა სოლომონი დაბრუნდა ახალციხედან და მიიმხრო იმერნი, — ღენერალ ორბელიანმა შეუსია რუსის ჯარი და იძლივა მეფე და წარვიდა ხანის მთით ახალციხის და გამოუტეევა მუნათ გზით მეუღლე თვისი, დედოფალი მარიამ და დაჲ თვისი მაია, რომელნიცა მივიდნენ ოდიშს, სამშობლოს თვისსა, სახლსა დადიანისა ხოლო ტორმასოვმან სთხოვა დადიანსა ცოლი მეფისა, დედოფალი მარიამ და გარდაიყვანოს ტფილისს, მეფის დით მაიათი და მუნით ორნივე წარგზავნეს რუსეთად და პატიმარ ჰყვეს ვორონეჟსა ქალაქსა შინა (დ. ბატ, გვ. 92).

ამავე საგანზე ნიკო დადიანი სწერს: —

„უღონო იქმნა მეფე... და წარვიდა კვალად ახალციხეს და მეუღლე თვისი მარიამ დედოფალი წარგზავნა დადიანისა ლეონისა თანა, ვინაითგან იყო მამის დაჲ მისი. გარნა მოითხოვეს იგი რუსთა, რათა წარგზავნოს რუსეთად, თუმცა ამისთვის დიდათ სწუხდა მთავარი დადიანი ლეონ და დედა მისი, საქართველოს მეფის ასული ნინო დედოფალი, გარნა ვერ წინააღუდგა ბრძანებასა იმპერატორისასა და მწყალობელის თვისის ხელმწიფისა და წარიყვანა რუსეთად დედოფალი მარიამ“... (ისტ. ნ. დადიანისა, გვ. 42).

ტორმასოვიც აღარ უსვენებდა სიმონიჩს: — ჩქარა ჩამომიყვანეთ თბილისს დედოფალიო, და რა-კი მან ვერ შესძლო მთავრისას დაყოლიება, ეხლა თვით მოჰკიდა ხელი საქმეს მთავარმართებელმა და დედოფალ ნინოსთან მიწერმოწერას გულმოდგინეთ შეუდგა.

18 — 10 — 1810 ტორმასოვი სამეგრელოს დედოფალს სწერდა: —

„შევიტყვე რა, რომ იმერეთის დედოფალი მარიამ თქვენთან იმყოფება და ვიცი რა თქვენი ერთგულება ხელმწიფისადმი, მჯერა, რომ თქვენ ეს ჩაიდინეთ: 1) ნათესავისადმი სტუმართმოყვარეობით და 2) რათა მოგესპოთ მისთვის შესაძლებლობა გარეულიყო მისი ქმრის ღალატშიო. რა-კი მისთვის კეთილი გსურთ, გთხოვთ ურჩიოთ — დაადგეს მისთვის ერთად-ერთ საბედნიერო გზას: ეხლავ ნებით გამოსწიოს ჩემთან, სადაც დედოფლურ პატივში ვიყოლიებ, ვიდრე ხელმწიფის შესაფერ წყალობას მიიღებდეს; ვაცხადებ, რომ მას არაფერი შეხვდება და **ყოველგვარ მფარველობასა და პატივს, რაც მის ხარისხს შეშვენის, არ მოვაკლებო.** ყოველი განდგომა და წინააღმდეგობა მას მხოლოდ ზიანს მიუტანს, რადგან იძულებული ვიქნები ძალით გამოვიყვანო და არ მინდა თქვენს ოჯახს და მდგომარეობას ასეთი უსიამოვნება მივაყენო; დიდათ შეუფერებელი რამ იქნება ეს თქვენთვის. ამასთან გაუწყებთ, რომ მაქვს ხელმწიფის ბრძანება, რომ სადაც არ უნდა იყოს ის, უნდა ძალით გამოვიყვანო, თუ არ დამნებდა და თვით არ წამომყვა“-ო.

ტორმასოვი ასეთივე წერილით მიმართავს თვითონ მარიამს: — მასაც ფიცს აძლევს, ყველაფერს ჰპირდება და სთხოვს, ძალადატანებამდე ნუ მიმიყვანო. — მესამე წერილით ის მიმართავს მალხაზის ცოლს ახალციხეში და ურჩევს დაბრუნდეს და თან მასაც დიდ წყალობას ჰპირდება. — აი, ამ წერილებს უგზავნის ტორმასოვი სიმონიჩს და სთხოვს: გადაუგზავნოს ისინი დანიშნულებისამებრ, და თან დასძენს, რომ შთააგონოს მარიამს, რათა ნებაყოფლობით ჩავიდეს თბილისს. მაგრამ თუ დედოფალი ამ რჩევას არ მიიღებსო, მაშინ მან ძალა უნდა იხმაროს, მაგრამ ამ შემთხვევისათვის ჯარი „დიდი მოხერხებით უნდა გააგზავნოთ, ვითომ პროვიანტის გამოსატანად და საიდუმლოება უნდა იცოდეს მხოლოდ ოფიცერმა: იმან უნდა გადასცეს ჩემი წერილი დედოფალს და თუ არ წამოყვება, ძალა იხმაროს“; ყველა ბატონიშვილი, დედოფალი, მალხაზ ანდრონიკაშვილი, ცოლი მისი მარიამ, დარეჯან ბატონიშვილი და სხვები თბილისს მოიყვანეთო (აქტები, 4).

დედოფალმა, ეტყობა, ამჯობინა საყვარელ რძლისა და მთავრის ოჯახისათვის ამგვარი უსიამოვნება და ხიფათი აეცდინა და მასპინძლები უხერხულებიდან ეხსნა: — ის ნებას დაჰყვა ტორმასოვს, ენდო სიმონოვიჩის პატიოსან სიტყვას, რომ ღირსეულად მოეპყრობოდენ; გამოეთხოვა საყვარელ ოდიშს, მასპინძლებს და გამოსწია.

2 ნოემბერს 1810 წ. ტორმასოვი თბილისის კომენდანტს, სომეხ ახვერდოვს სწერდა, რომ, სიმონოვიჩის ცნობით, მალე საიმედო „კონვოის“ ხლებით თბილისს გამოიგზავნებიან: დედოფალი მარიამ, მისი დაჲ მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე — მაია (აქედან სჩანს, რომ ეს ქალიც მთავარმართებელის ნებას დაჰყოლია და ახალციხედან დაბრუნებულა), ბატონიშვილი დარეჯანი, ასული სოლომონ დიდისა და სხვანი. ყველა ამათთვის გთხოვთ დაამზადოთ თბილისში საცხოვრებელი ბინები და თან გევალებათ სასტიკ თვალყურის დევნაში იყოლიოთ ყველაო.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, ახვერდოვი მართლაც, ატყობინებდა მთავარმართებელს, რომ იმერეთის დედოფალი მარიამ და სხვანი 16 — 11 — 810 წ. თბილისს ჩამოვიდნენო. მარიამი და დაჲ მეფისა მოვათავსე ბაგდანოვის სახლში, დანარჩენი კი სხვა ბინებშიო. ამათ ამალაში არის 79 სული და ვცდილობ მათი რიცხვი შევამციროო. დარაჯებიც ყველას მივუყენე. დედოფალს თვიურად 100 მანეთი დავუნიშნე. ამის გამო მან გამომიგზავნა ბებუთაშვილი და შემომითვალა, რომ ეს თანხა მისთვის **ფრიად მცირეა** და რომ თქვენ მას აღუთქვით თანხა, და პატივი, **რაიც მის მაღალ ხარისხს შეეფერებაო.** ამაზე ვუპასუხე, რომ ამ კითხვას მე თვითონ ვერ გადავწყვეტ-თქო. ამას გარდა, რადგან მას ნივთები აქ თან არ მოჰყოლია, მივეცი ბრძანება, რომ იმ ქონებიდან, რაიც დარჩა გაქცეულ მეფის შემდეგ (ნოხები, საბნები და სხვა) დედოფალს მიეცესო.

დედოფალი მარიამი, როცა შეატყო, რომ ტორმასოვმა აქაც ფიცი გასტეხა, აღშფოთდა და 16—12—1810 ტორმასოვს მიმართა. დედოფალი სწერდა — თქვენს ფიცსა და დაპირებას დავყევი და მყისვე თბილისს ჩამოველ. არავითარი დანაშაული მე არ მიმიძღვის ხელმწიფის წინაშე, გარდა იმისა, რომ ვარ მეუღლე იმერეთის მეფისა. ეხლა არ მესმის, რად მეპყრობიან ასე შეუფერებლად და უდიერად. თქვენთან სამი თხოვნა მაქვს: 1) დღემდე თქვენ არ ისურვეთ ჩემი მიღება, 2) რად დამინიშნეთ თვიურად 100 მანეთი, რაიც ჩემთვის კი არა, უკანასკნელი ადამიანისათვისაც მცირედია, — თქვენ კი აღმითქვით, მივიღებდი ყოველგვარ პატივსა, 3) ოდიშში წასვლის წინ ქუთაისში დავსტოვე ზოგი ჩემი პირადი ნივთები და აგრეთვე ჩემი მოახლენი, ეხლა კი ყოველი ესეც ჩამომართვეს და სრულიად მარტო და უსახსროდ დავრჩი, — ვითხოვ პასუხსო. ამის პასუხი ის იყო, რომ დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ღენერალ დელპაკოს ატყობინებდა ტორმასოვი (22 — 12 — 1810 წ.), რომ ხუთ დღეში აქედან ვორონეჟს იგზავნებიან (ამ საშინელ ზამთარში დარიალზე მოგზაურობა დედოფალს არ გადაუდვეს და ასე მისი გადასახლება დაჩქარეს), დედოფალი მარიამი და მისი დაჲ ანდრონიკაშვილის მეღლეო, — უკანასკნელი მისი შვილითო, — და გთხოვთ: მიიღოთ ზომები მათი მოზდოკამდე გასაცილებლადო.

დედოფალისა და სხვათა გადასახლების შესახებ 29 — 12 — 1810 წ. ტორმასოვი მინისტრს რუმიანცევს მოახსენებდა: „როგორც 16—12-ს გწერდით, გადმოვიყვანე დედოფალი მარიამი და ბატონიშვილები თბილისს. დედოფალ მარიამს და მეფის დას, მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლეს, როგორც ისეთ პირთ, რომელნიც იმერეთის აჯანყების გაძლიერებას ხელს უწყობდნენ, რუსეთს ვაგზავნი და დროებით საცხოვრებელად ვორონეჟს ვუნიშნავ, ვიდრე იქ ხელმწიფის საბოლოო გადაწყვეტილება მიუვათო. ამათზე დამატებით უნდა გაუწყოთ, რომ დედოფალი მარიამი, როცა სოლომონ მეფე, თურქთა და ლეკთა ნაწილებით, აჯანყების მოსაწყობად იმერეთს შემოიჭრა, მეფესთან იყო და ეხმარებოდა მას, სწერდა სხვა და სხვა იმერელ თავადებს მოწოდებებს, რომლითაც სცდილობდა მათ გადმობირებას სოლომონის სასარგებლოდო. ეს წერილები, დახოცილ აჯანყებულთ რომ აღმოაჩნდათ, ეხლაც ჩემთან ინახება. ამ ბრძოლებში დედოფალი მუდამ და ყველგან მეფის ახლდა და ბოლოს სოლომონის უკანასკნელ საფარს, ხანის ხეობას მიაშურა მეფესთან ერთად და მან არ დასტოვა ეს ადგილი, ვიდრე მეფე აქაც არ დამარცხდა და მხლებლებითურთ ახალციხეს არ გადაიჭრაო. მაშინ დედოფალმა, რა-კი ველარ შეძლო, რომ მეფეს თან გაჰყოლოდა ახალციხესაკენ, მოახერხა საიდუმლო გზებით სამეგრელოს გასვლა და იქ დედოფლის ოჯახს შეაფარა თავი, როგორც მიცვალებული მთავრის გრიგოლ დადიანის დამ. რაც შეეხება სოლომონის დას, მალხაზ ანდრონიკაშვილის ცოლს, ესეც ამავე წესით ყველაფერში ეხმარებოდა ქმარს, მალხაზს, რომელიც დიდი ერთგულია სოლომონისა. ის არამც თუ მუდამ ქმართან, მალხაზთან იმყოფებოდა ყველა არეულობა - შეტაკებათა დროს, არამედ თან გაჰყვა მას ახალციხეს, მაგრამ მალე გადაიფიქრა და უკან დაბრუნდა. ორივე ამათ თბილისში მივუჩინე ბინა და დავუნიშნე დედოფალს 100 მანეთი და მაია ანდრონიკაშვილისას 50 მან. თვიურად, თუმცა ეს თანხა მცირეა, მაგრამ მე ვერ მივუმატე რამეო. რაც გამგზავრებას შეეხება, ვიდრე ყველაფერი მზად არა მქონდა, ვერ გავამგზავრე, — ეხლა კი მათ განვუცხადე გამგზავრება და ისინი დამთანმხდნენო. იმერეთის საბოლოო დასამშვიდებლად უცილო იყო მათი საჩქაროდ გადმოგზავნა, რადგან, თუმცა აქ ზვირვის ქვეშ იყვნენ, — მაგრამ მაინც მოახერხებდნენ დაკარგული გზების პოვნას, ხალხის აღრევას და მეფესთან კავშირის გაბმასო. რაც შეეხება მოხუც დარეჯანს, — შევიწყნარე მისი თხოვნა და ჯერჯერობით თბილისში დავტოვე, რადგამ ამ დიდ სიცივეში ვერ შესძლებდა ასეთ ძნელ მოგზაურობასო (იხ. აქტები, 4).

დედოფალი და მისი მული, სოლომონ მეფის დაჲ ამრიგად საჩქაროდ რუსეთს გადაასახლეს და ვორონეჟში პატიმრად ჰყვეს. შესწყდა მათი ახლო კავშირი სამშობლოსთან და ახალციხესთან, საიდანაც ორივე მებრძოლი და ღირსეული ქალები ახალ იმედებს მოელოდნენ და ფიქრობდნენ, რომ სოლომონ მეფე და მისი სარდალი მალხაზი, ბრძენ სოლომონ ლეონიძის დახმარებით, კვლავ შეიძენდნენ რომელიმე ძლიერ მოკავშირეს, ახალის ძალებით დაესხმოდნენ იმერეთში მდგომ რუსის ჯარებს და ქვეყანას უშველიდნენ. ამ დღეს ელოდნენ ისინი, მაგრამ რუსეთი აჩქარებდა მათ გადასახლებას და გული დამშვიდებით არ ჰქონდათ, ვიდრე დედოფალს ჯერ კიდევ საქართველოს მიწაზე ედგა ფეხი.

მართლაც, რეზიდენტები საიმედო ცნობებს ვერ აწვდიდნენ რუსებს სოლომონ მეფის შესახებ. სიმონოვიჩი 22 — 12 — 1810 წ. ტორმასოვსა სწერდა, რომ ყოველი კუთხე ახალციხის ახლო თვითონ მოვიარე და შევიტყე, რომ მეფე **არტაანიდან** ისევ დაბრუნდა და გაგზავნა კონსტანტინოპოლს ელჩებად სვ. აგიაშვილი და ქაიხოსრო წერეთელი, ხოლო **ნაპოლეონთან** კი პატრი ნიკოლა, როსტომ ნიჟარაძე და კიდევ ერთი რწმუნებული, — მეფე

ნაპოლეონს მფარველობასა და დაცვას სთხოვსო. ეხლა სოლომონ მეფეს უკვე ბევრი მომხრენი ჰყავს და ალბათ გაისათ დიდის ძალებით კვლავ შემოგვიტევსო, დასძენს ღენერალი. რაც შეეხება ზურაბ წერეთელს, ისიც გადაუდგა რუსებს და თავისი შვილის სვიმონის საშუალებით მეფესთან კავშირშიაო. (იხ. აქტები, იქვე).

სოლომონის ეს გეგმა იმ ჟამად შავმა ჭირმა და სიმშილმა ჩაშალა, იმერეთში რომ მძვინვარებდა, ხოლო შემდეგ წლებში კი ნაპოლეონის დამარცხებამ, ალექსანდრე ბატონიშვილის (1812 წლის) ამბოხების ჩაქრობამ და ოსმალეთისა და სპარსეთის გაუტანლობამ. საბრალო მეფეს იმედები დაემსხვრა და ამან მოუსწრაფა სიცოცხლე ჯერ კიდევ ახალგაზრდას და მხნეს... საყვარელი მეუღლის, ამ ერთგულ და მშვენიერ მარიამის ნახვის მონატრულმა მეფემ ერთხელ კიდევ სცადა და დირბის არქიმანდრიტის ხელით მთავარმართებელს მისწერა და სთხოვა — მეუღლისათვის ნება დაერთოთ ჩასულიყო მასთან ახალციხეს, თან იმერეთში ზოგიერთ დაშთენილ ნივთების გამოტნევასაც სთხოვდა, — მაგრამ ყველა ამაზე, რა თქმა უნდა, მეფეს უარი უთხრეს... უმძიმესი მწუხარება ლტოლვილ მეფეს თავს დაატყდა, როცა მისი დასაყრდენი, მრჩეველი და ბრძენი სოლომონ ლეონიძე გარდაეცვალა...

როგორც ცხოვრობდა დედოფალი ვორონეჟში, ჩვენ სამწუხაროდ, არ ვიცით, მაგრამ საკმაოა ითქვას, რომ ის იქ, ბატონიშვილ დავითის ცნობითაც, პატიმრად იმყოფებოდა. მისი ერთად-ერთი წადილი იყო — როგორმე საყვარელი მეფისათვის ცნობა მიეწვდინა, რომ მხნედ ყოფილიყო, და რომ მისი ხილვის იმედით ცოცხლობდა.

როცა დედოფალმა შეიტყო, რომ ტორმასოვის შემცვლელი **პაულიჩი** თბილისს მიდიოდა, მან მოახერხა მისი ნახვა და ახალ მთავარმართებელს წერილი გადასცა მეფისათვის ახალციხეში გადასაგზავნად. ამ წერილში დედოფალი თავის მეუღლეს ურჩევდა: უკან დაბრუნებულიყო; ამით დედოფალს უნდოდა მეფისათვის როგორმე ხმა მიეწვდინა. პაულიჩმა ამ წერილს თავისიც ზედ მიაყოლა, ურჩია მეფეს რუსეთთან შერიგება და პატივება დაჰპირდა. მეფემ ამაზე პაულიჩს უპასუხა, რომ მზად ვარ დავბრუნდე, თუ კი **უსამართლოდ წართმეულ ტახტს დამიბრუნებთო.** ეს ისეთი პასუხი იყო, რომელიც ოირსეულ მეფეს შეეფერებოდა და რომელსაც სოლომონმა ერთხელაც არ უოალატა (იხ. აქტ. ,5).

მაგრამ თვითონ მეფეს ღალატა უკუღმართმა დრომ, საკუთარმა ჯანმა, და იმერეთის, მის ერთგულ მხლებლების და ყველაზე ადრე საყვარელ დედოფლისათვის მოულოდნელად ის უცხოეთში და ლტოლვილობაში, 42 წლისა აღესრულა... ეს თავზარდამცემი ამბავი დედოფალმა ვორონეჟში ყოფნისას შეიტყო.

16 — 5 — 1815 წ. მთავარმართებელი რტიშჩევი დედოფალ მარიამს ატყობინებს, რომ 7 იანვარს 1815 წ. მეფე სოლომონი გარდაიცვალა **ტრაპეზუნდში** გულის დალის დაავადებით, სიმსივნით და სამძიმარს უთვლის მას, და თან აცნობებს, რომ თქვენი დიდი ხნის თხოვნა პეტერბურგს გადასახლების შესახებ ეხლა იმედი მაქვს დაკმაყოფილებული იქნება და გზის თანხაც მოგეცემათო. იგი ამასვე სწერს სოლომონის დას, მალხაზის ცოლს; იმასაც სამძიმარს უთვლის ძმის გარდაცვალებისა გამო და იმედს აძლევს, რომ ეხლა მაინც მიიღებთ ნებას პეტერბურგში იცხოვროთო და გზის ხარჯებიც გადახდილი იქნებაო. ამავე ამბავს ატყობინებს მთავარმართებელი რტიშჩევი სამინისტროს პეტერბურგში, და თან დასძენს, რომ ვორონეჟში გაჭირვებით მცხოვრები ორი მარიამი... დიდი ხანია ითხოვს ნებას პეტერბურგს გადაყვანისასო და ეხლა, როდესაც სოლომონი მოკვდა, შეიძლება ეს თხოვნა შევიწყნაროთო; მით უმეტეს, რომ მათ ამ ხუთი წლის განმარტოებულის ცხოვრებით, თავმდაბლობითა და სამაგალითო მოთმინებით დიდი ნდობა დაიმსახურესო; გთხოვთ აპატივოთ მათ, და გზის ფულად მისცეთ პირველს — 6.000 მან. და მეორეს — 4.000, რადგან დღემდე ძალიან ცოტას იღებდნენ და ვიცი დანამდვილებით, ვალები დაედვათო.

თავისი მეუღლის გარდაცვალების შესახებ საშინელი ცნობის მიღებამ დედოფალს ყოველი ნუგეში და სიცოცხლის ძალა გამოაცალა. ეხლა მისთვის ერთბაშად დაიხშო ყოველივე და დაშთა მხოლოდ ერთად - ერთი მიზანი — საჩქაროდ მისულიყო იქ, სადაც მისი საყვარელი ქმრის და მეფის ძვირფასი ცხედარი განისვენებდა. მის საფლავთან მუხლი მოეყარა და ყველაფერი, რაც გულში დაგროვილი ჰქონდა და აქამდე სწვავდა, მოთქმით, სამეგრელოს უდიდეს ოჯახთა ძველი წესით, ამოეტირა... შემდეგ კი ეს ძვირფასი ცხედარი გელათს წაესვენებინა და დაეფლო იქ, სადაც საქართველოს ბატონნი და მეფენი უშფოთველსა და მარადიულ ყოფას მისცემოდნენ, და სადაც განისვენებდა საყვარელი მეფის სახელოვანი ბიძა, დიდებული მეფე იმერთა, სოლომონ პირველი. ეს უკანასკნელი, მისი დიდი დამსახურებისათვის, როგორც ცნობილია, დაკრძალული იქმნა გელათის მთავარი ტაძრის შიგნით, რაც გელათის მონასტრის გრძელ ისტორიაში იშვიათი მაგალითი ყოფილა.... ასე თიქრობდა პატიმრად ყოფილი დედოფალი და თავისი ზრახვა და ტკივილები პეტერბურგს აცნობა და სთხოვა, ხოლო ამავე დროს ქუთაისში ღენერალ სვიმონოვიჩს ცალკე თხოვნით მიმართა. მოვიტანოთ აქ ეს შესანიშნავი წერილი-გოდება, რომლის, სამწუხაროდ, მხოლოდ ცუდი რუსული თარგმანი მოვიპოვეთ. ამ წერილის ზოგი ადგილი ჩვენ შემოკლებით ვთარგმნეთ. წერილი მარიამისა ღენერალ სვიმონოვიჩისადმი, 1815 წ.:

„ო, რა თავზარდამცემი ამბავი მეუწყა; რისხვის ანგელოსი დაუცხრომელის შურის ძიებით ჩემი მდევნელი და ბასრი მახვილით ჩემის გულის მჭრელი — ასე მოულოდნელად მისპობს ყოველ ბედნიერებას და უბედურს სულს ჩემსას აოავსებს განუწყვეტლივ ოხვრითა და გოდებითა, როცა მე თვითონ უნდა აღვიარო დაკარგვა ჩემის მეფისა და ბატონისა. ოხ, რა გაუგონარსა და უცნობ რამეს წარმოსთქვამს ჩემი ბაგე დღეს, რა გვარად იცვალა გონება ჩემი, რომელიც ამაყობდა თვისის ბედით, რადგან იხარებდა სიცოცხლით ჩემის ბატონის მეფისა და მოელოდა მის ხელში სულის დალევასა. ეხლა კი ყოველს სიხარულს მოკლებული, სასოწარკვეთილობის მორევს მიცემული, და სასიკვდილო უკუნით მოცული, ასე დამსაჯა შეუბრალებელის მრისხანებით შემომქმედმა, რომელმაც მიმიღო სინათლე ჩემის ყოფისა და მომაკლო უძვირფასესი განძი ისე, რომ არ დამიტოვა ქვეყნად არავითარი სიხალისე, რადგან დაშთენილი ვარ უმიმკვიდროდ... გონება დაკარგული და უმწეო მიცვიმივარ ცრემლთა ტალღებს, რომელნიც სწვავენ ჩემს არსებას... პოროფირისა და გვირგვინის ნაცვლად, შემოსილი ვარ ძონძებით და მწუხარების ბასრი ისრები ჩხვლეტენ ჩემს გულს და ოლმობელი მახვილი ჭკოდავს ჩემს არსებას... მაგრამ ამ მრავალ გვარ ჩემს მწუხარებას უფრო აოემატება და ყველაზე უფრო შეაძრწუნებს სულს ის, რომ არ ვუწყი სად და რა გვარად განისვენებს მისი უმაღლესი მეფური ეთილშობილებით შემკული ცხედარი, უპატრონოდ უცხო ტომის ხალხში, შეუფერებლად მისი მაღალი ოირსებისა და მე ვეღარ მოვესწარ იმ ბედნიერებას, რომ ვემსახურო მას: რის გამო ძრწოლა შემიპყრობს და გააფთრებულმა მინდა სული

ჩემი ხორცთა გავყარო, რათა ვეღირსო მასთან შეერთებასა“.....

ამის შემდეგ დედოფალი მიმართავს სვიმონოვიჩს თხოვნით — იშუამდგომლოს მთავარმართებელის წინაშე, რათა აღუსრულონ მას ერთი და უკანასკნელი სათხოვარი: მას სწადია „დასაფლავებისათვის საყვარელ ქმრის და ბატონის ცხედრისა, იმ მეფისა, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, რომელიც მხოლოდ თავისი ქვეყნის სიყვარულისათვის აღესრულა და დაშთენილ იქმნა აგრე უპატრონოდ, აი , ამ ძვირფასის ნეშთის, ჩემის საკუთარის ხარჯით გადმოსვენებისათვის გელათში დასაკძალავად, დამრთონ ნება, ჩამოვიდე ჩემს სამშობლოში. ამის გარეშე მე დღეს არაფერი მწადიან, არც თუ სახელი, არც დიდება და არც პატივი, და იქამდე თვით სიცოცხლეც კი არა. დამერწმუნეთ, რომ არა სამშობლოს ნახვისათვის და მისი სიყვარულისათვის და არც სხვა რაიმე მოსაზრებით ვითხოვ მე ამას, რადგან მთელი ჩემი სიცოცხლე მიმაჩნია უკვე მარტოოდენ უქმად და აჩრდილად..... გთხოვთ შემიწყნაროთ და დამეხმაროთ ამ ჩემის ვედრების

ხატი შეწირული მეფე სოლომონ II-ის დაჲს ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ანდრონიკაშვილის მიერ.

„ᲭᲘ ძᲔᲚ ცხოველᲡ მყოფელო და წმიდანო მოწამენო შევამკე მე იმერთა მეფის სოლომონისა დამ ბატონიშვილმა მარიამ რათა მრჩობლსავეში ნაცხოვრებასა მფარველ მექმნა ძითა და აᲡულითა“.

აღსრულებისათვის გარეშე ამისა არ არსებოს ჩემთვის რაიმე ნუგეში და არ ძალუძს ადამიანს მანუგეშოს მე რითიმე; გარეშე ამ წადილის აღსრულებისა — ამ ერთადერთ წადილისა, რათა „გავხდე ღირსი შევეხო მის ძვირფას ცხედარს და ვემსახურო მას ბოლომდე, რაიც ჩემი უმაღლესი მოვალეობა არის. შეიწყალეთ სისხლის ცრემლების დამთხვევი და მუხლმოყრით მავედრებელი, რომელიც აქამდე მოითხოვდა პატივს, ვითარცა გვირგვინოსანი დედოფალი, ეხლა კი დამკარგველი საყვარელი ბატონისა თვისისა, რომლის გულისათვისცა სიხარულად მივიღებდი ყოველსა სასჯელსა, ხოლო ეხლა ეს ყოველივე ჩემთვის ფუჭი გამხდარა.... ეხლა თქვენის წერილიდან ვტყობილობ, რომ ნება მომეცემა გადავსახლდე საცხოვრებლად პეტერბურგში; თქვენ ის გსურთ სთხოვოთ მთავარმართებელს, მაგრამ ეს დღეს ჩემთვის არარაა, თუ წინასწარ არ მომეცემა ნებართვა ჩემის სათხოვარის შესრულებისა. შემდეგ ჩემთვის სულ ერთია, სადაც ენებოს ხელმწიფეს, იქ მიბრძანოს ცხოვრება... ამავე თხოვნით მივმართე უკვე ბ-ნ მინისტრს და თუ ამის დაკმაყოფილება ვერ მივიღე, მაშინ ჩემის საცოდავობით აღვავსებ მთელი რუსეთის საზოგადოებას, მოვისპობ რა საკუთარი ხელით ჩემს სიცოცხლეს“.....

ეს თხოვნა დედოფლისა, რომელიც აქტებში დათარიღებული არაა, დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით ივლისში ან აგვისტოში 1815 წლისა. დედოფალი დიდხანს ელოდა პასუხს, მაგრამ მთავრობა საქმეს არ აჩქარებდა

და დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, მიიღო მან უმაღლესი რჩევა, რომ ამ ხანად უმჯობესია გადასახლდეს საცხოვრებლად (მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლესთან და ვაჟთან ერთად) მოსკოვში, სადაც უკვე „არგა ხანია იმყოფებიან მრავალნი წევრნი სამეფო ოჯახისა ქართლ - კახეთიდან და აგრეთვე იმერეთიდანაც. პეტერბურგი ამ რიგად ნაწილობრივ დაეთანხმა მთავარმართებელს რტიშჩევს; დედოფლის ზემოთმოტანილი თხოვნის შესახებ, ის 2 — 5 — 1816 წელს სამინისტროს საგანგებო შეკითხვაზე უპასუხებდა, რომ „სამშობლოში დაბრუნება იმერეთის დედოფალ მარიამისა ... და მისი დარჩენა ისეთ ქვეყანაში, სადაც ის დედოფლად იყო და ინაწილებდა მეფესთან ერთად მართვა-გამგეობას; იმ ქვეყანაში, რომელიც ამ ჟამად ექვემდებარება ერთადერთ ძალას რუსეთის კანონებისას, იქ დედოფლის დაბრუნება უნდა ჩაითვალოს არა თუ შეუფერებლად, არამედ სახიფათოდაც, რადგან, რაც არ უნდა მარტრობაში და თავდაჭერილობაში იმყოფებოდეს იქ დედოფალი, ვერ ასცდებით სხვა და სხვა სახის

პრეტენზიებს და ,ერთგვარ დაბკოლებებს მართველობის საქმეშიო. ამის გამო და რადგან დედოფალმა ბევრი მწუხარება და ვაება გადაიტანა სამშობლოდან გაძევებისა, ღირსების ჩამორთმევისა და აგრეთვე ხანგრძლივი დატყვევებისა გამო („ზატოჩენიე“) ვარონეჟში და ყველა იმ გაჭირვებათა გამო, რაიც მას ამ ხანებში დააწვა, ჭეშმარიტად მისი ბედი უნდა სავალალოდ ჩავთვალოთ და უნდა ეთხოვოს ხელმწიფე - იმპერატორს: დართოს ნება გადავიდეს საცხოვრებლად პეტერბურგს და მასთან ერთად აგრეთვე მეორე მარიამსაც, მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლეს და დაენიშნოს პენსიები შესაფერი ხარისხისაო.

პეტერბურგის მთავრობამ რტიშჩევის რჩევა მოიწონა, მაგრამ არც თუ მთლიანად, და დედოფალს არა პეტერბურგში, არამედ ჯერჯერობით მოსკოვში ცხოვრების ნება დართეს, სადაც იგი იძულებული შეიქმნა 1817 წ. გადასახლებულიყო.

სამინისტრო ამის შესახებ ახალ მთავარ-მართებელს, ერმოლოვს ატყობინებდა, რომ მინისტრთა საბჭომ გაარჩია დედოფალ მარიამის და მაია ანდრონიკაშვილის თხოვნები და დაასკვნა, რომ მათი პეტერბურგს გადმოსახლება დიდი ხარჯების გამომწვევი იქნება და ამიტომ დედოფალ მარიამს მიუჩინეს ბინა მოსკოვში, ხოლო სოლომონ მეფის დას, მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლეს, ნება მისცეს სამშობლოში დაბრუნებისა, რადგან რტიშჩევის ცნობით, მალხაზ ანდრონიკაშვილმა მოინანია და ოსმალეთიდან დაბრუნდა; წინანდელ მთავარ-მართებელის აზ-

რითაც, მაიას საქართველოში ცხოვრება არავითარ ხიფათს აღარ წარმოადგენსო... ვაჟი მალხაზისა კი პეტერბურგში დასტოვეს სამხედრო სასწავლებელში აღსაზრდელად. ამ რიგად, დედოფალი ვორონეჟში სულ მარტო დარჩა და ისევ მოსკოვს წასვლა არჩია. ჩამორთმეული ქონების ნაცვლად მას დაუნიშნეს 20.000 მანეთი წლიურად.

როგორც სჩანს, დედოფალმა ამჯობინა მოსკოვში გადასვლა, რათა ვორონეჟის ტყვეობიდან ბოლოს მაინც თავი ეხსნა და იქაურ ბატონიშვილთა დახმარებით იქნებ ბოლოს ნება მიეღო სოლომონის საფლავის ხილვისა.

როდის დართეს ნება დედოფალს, რომ პეტერბურგს გადასახლებულიყო, ამის პასუხს იძლევა პეტერბურგის მთავრობის „კავკასკი კომიტეტის" ჟურნალიდან ამონაწერი 1862 წლისა. აქ ჩვენ ვკითხულობთ: — „რაც შეეხება დედოფალ მარიამს, რომელიც ეხმარებოდა ქმარს 1810 წლის აჯანყებაში და შემდეგ, როცა მეფე ახალციხეს გაიქცა, ის სამეგრელოში დაიმალა; შემდეგ გაგზავნილ იქმნა ვორონეჟში 1811 წ. და როცა მეფე ტრაპეზუნდში მიიცვალა, დედოფალს ნება მიეცა გადასახლებულიყო 1817 წ. მოსკოვს, ხოლო 1818 წელს ნება მიეცა პეტერბურგში ცხოვრებისა. ვორონეჟში ყოფნისას მას წლიურად ეძლეოდა 6.000 მანეთი და ბინა. მოსკოვში ყოფნისას (ერთი წელი) მას დაენიშნა 20.000 მან., როგორც ეს ეძლეოდა ქართლ-კახეთის დედოფალს, ხოლო პეტერბურგში კი დაენიშნა 10. 000 მან., როგორც იმერეთის მეორე დედოფალს — ანას, და ეკიპაჟისათვის — 3.000 მან. წლიურად და სხვა"... (იხ. აქტები, 12). ამ რიგად, წყაროები მარტო დედოფალ მარიამს ასახელებენ. რაც შეეხება სოლომონ მეფის დას მაიას, მან, სჩანს, ნებართვით ისარგებლა და საქართველოში დაბრუნდა, სადაც ღრმად მოხუცებულობაში (86 წლისა) თბილისში მიიცვალა და დაასაფლავეს ანჩისხატის ტაძარში 13 ოქტომბერს 1854 წელს (იხ. აქტ. 12). ამისი შვილი იყო ცნობილი ენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი.

დავუბრუნდეთ ისევ მარიამ დედოფალის ამბებს.

როგორც სჩანს, დედოფალს პეტერბურგში ჩასვლისას სწადდა გამგზავრებულიყო ტრაპეზუნდში და იქ დაშთენილ სოლომონ მეფის ერთგულთა დახმარებით მოეგვარებინა მეფის გელათში გადასვენების საქმე. ეს გახდა, როგორც ვიცით, დედოფლის სიცოცხლის ერთად-ერთი შინაარსი მას შემდეგ, რაც მან სამშობლოსთან და გვირგვინთან ერთად თავისი უკანასკნელი იმედი და სიყვარული, ძვირფასი მეუღლე და მეფე, ლტოლვილობაში დაჰკარგა. მაგრამ მისი წადილი, სამწუხაროდ, ვერ შეუსრულდა და დედოფალმა უსიხარულოდ გაატარა თითქმის 25 წელიწადი პეტერბურგში.; და ვერ იქმნა, ვერც მოხუცებულობაში ეღირსა საქართველოში დაბრუნების ნებართვას. ისე როგორც ქართლ-კახეთის დედოფალი მარიამი და საერთოდ ყველა წევრნი სამეფო ოჯახისა, იმერეთის უკანასკნელი დედოფალი მუდამ იჭვისა და ზვერვის ქვეშ იმყოფებოდა და მიწერმოწერის საშუალება წართმეული ჰქონდა. ამის გამო მან დაგვიანებით შეიტყო სოლომონ მეფის გარდაცვალება, და ისიც მხოლოდ ოფიციალურად, მთავრობისაგან. ნამდვილად კი დედოფალს კერძო წერილით ადრევე და რამოდენიმეჯერ აცნობეს ეს ამბავი. სხვათა შორის, ტრაპეზუნდიდანაც; მაგრამ ამ წერილს და ცნობებს დედოფლამდე არ მიუღწევია. ამ მხრივ დიდად საინტერესოა მკვლევარ სარგის კაკაბაძის მიერ აღმოჩენილი ერთი დოკუმენტი, რომლითაც სოლომონ მეფის მოძღვარი, იესე ყანჩაველი დედოფალ მარიამს სოლომონ მეფის გარდაცვალების ამბავსა სწერს და რომელიც 1817 წ. თარიღს ატარებს. ამ წერილიდან ვტყობილობთ ზოგ საყურადღებო ამბავს წამებული მეფის შესახებ. კარის მღვდელი დედოფალსა სწერს: —

„მათ უმაღლესობას დედოფალს, დადიანის ასულს, მარიამს მიერთვას იმერეთიდამ რუსეთს, სადაც ბრძანდებოდეს; ქრისტეს მიერ ლოცვას და კურთხევას და თქვენს უმაღლესობის ტახტის კოცნას მოვახსენებ. შემდეგ ვინაიდან ბატონი ჩემი მეფე სოლომონ გარდაიცვალა და ჩემის აურიცხველის ცოდვისაგან დაბნელებული შევიქენი და უნუგეშო ყოვლითურთ. მერმედ თქვენ წიგნი მოგართვით, და ყოველივე ამბავი გამოვაცხადე და მოგართვი ერთი **ტრაპიზონიდან** და ერთი **იმერეთიდან**. არაოდეს პასუხი არ მებოძა და არ ვიცი მიგერთვა თუ არა; ეგებ არ მიგერთავთ და ეხლა მოგახსენებ ამბავს ჩვენი ცოდვის კითხვისას"-ო.

როგორც ვსთქვით, ეს წერილები დედოფლამდე არ მისულან; სამაგიეროდ დედოფლის ერთი წერილი რუსეთიდან (ვორონეჟიდან) 1813 წ. მეფეს თვისი ფოთში ყოფნისას მიუღია. როგორც ცნობილია, პეტერბურგი მხოლოდ ისეთ წერილებს უშვებდა, რომლითაც გამდგართ ურჩევდნენ უკან დაბრუნებას და რუსეთთან შერიგებას. დედოფალსაც ასეთი წერილი მიუწერია სოლომონ მეფისათვის იმ იმედით, რომ მეფე ამ გზით მაინც შეიტყობდა მარიამის ვორონეჟში ტყვეობის ამბავს. ეს იყო მაშინდელი კავშირის ერთად-ერთი ლეგალური საშუალება.

მოძღვარი ყანჩაველი დედოფალს ატყობინებდა:

„ოდეს თქვენი წერილი მიერთვა ბატონს, ფოთს ბრძანდებოდა და ავათ იმყოფებოდა. თქვენი წერილი მიერთვა აპრილის იბ, რომ ყ~დ მოწყალე ხელმწიფეს გაურიგდიო. აქ გირჩევნია ისევ თათარში ყოფნასო ბევრათო, მაგრამ მაშინ ავად ბრძანდებოდა და ტრაპიზონს წაბრძანდა. იქ ექიმი გახლდათ, მაგრამ ვერა ქმნა რა იმ წყეულის ჭირისაგან. რაც ერთი „ბზუკვა" იყო მარჯვენა ძუძუს ქუეით. ბრძანებდა: ეს არ მომარჩენსო და მოახსენებდენ თავადნი, ნუ ბრძანებთ — კარგად ბრძანდებიო, ცხენზე ჯდომა შეგიძლიანთო და ეგრე რად ბრძანებო... მაგრამ მე ასე ვგონებ, რომ იცოდა ნახევარი წლით მიხუდა თავის განსაცდელსო. მიბრძანებდა ნიადაგ, რომ მე არ მოვრჩებიო... დანაწერი მიბოძა, თუ რომ თქვენა ჰქონდა. ათი თეთრი იყო და ათი ქესაც თუ რამ საქონელი იყო ოცი ქესა ყურუშის ქესა" და სხვა.

ამის შემდეგ მოძღვარი დედოფალს აუწყებს, თუ როგორ გაარიგა ეს ფული, რომლიდანაც მან დიდი ნაწილი მოახმარა მეფის დასაფლავებას და მის ძეგლს, და ეკლესიებს დაურიგა მეფის სულის მოსახსენებლად ისე, რომ „მეორედ მოსვლამდი მოსახსენებელი დავდევი"-ო. დანარჩენი თანხით მოაჭედინა სახარება ხინათელ ოსტატს, რომელიც საგანგებოდ მოეყვანა, „ერთი ხელი შესამოსელი დავსდევი ბატონის საფლავზედ"-ო, განაგრძობს თავის მოხსენებას იესე ყანჩაველი, „და სამასი მარჩილი სამთავნო იმ წმიდის გრიგოლის ეკლესიაზედ, რომელზედაც ბატონი მარხია... დიახ სასოებით მიღებული აქუთ ბატონი, ისე რომ ხატის მსგავსათ ემთხვიონ ბატონის საფლავს... რაც გახდა ის ოცი ქესიდან იმ საკვირველ ღარიბებს მივართვი. ეე... ღვთის მოწყალებით ასე დაიმარხა, რომ როგორც ეკადრებოდა". შემდეგ იგი დედოფალს აუწყებს — რომ ერთი საგანგებო ძვირფასი ხატი დაუტოვებია მეფეს, რომელიც დედოფლისა ყოფილა, მაგრამ მოძღვარს აქამდე სანდო პირი ვერ უშოვნია, რომ ის დედოფალს გადაუგზავნოს, და დიდად სწუხს ამის გამო, და ბოლოს დასძენს, — უდაბნოში უნდა წავიდე და იქ დავასრულო ჩემი ცხოვრებაო. აქამდის მინდოდა ეს

წადილი შემესრულებინა, მაგრამ მეგონა, რომ მიხმობ-დით და თქვენს ამბავს ვუყურე. ეხლა კი აქ ნათლის მცე-მლის უდაბნოში უნდა გიახლოთ, მეფის სულის სალო-ცველად, რადგან კურთხეული ბატონი ჩემი, მეფე სო-ლომონ გარდაიცვალა, ამ სოფლად არაფერი კეთილი და არაფერი დიდება არ მინდა და ღმერთმა ნურც მომცეს, ბატონო“-ო. (იხ. ს. კაკაბაძის მასალები და წერილები).

როგორც აქტებიდან ვტყობილობთ, ცნობა მეფის უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვალების შესახებ (მეფე სოლომონს 42 წ. შეუსრულდა) დედოფალმა ვო-რონეჟში ივლისში ან აგვისტოში მიიღო, ხოლო მეფე კი 1815 წ. 7 თებერვალს გარდაიცვალა. ამ დროს მეფის ამა-ლა შესდგებოდა 60 ერთგული იმერისაგან, რომელთაც მეფე ბოლომდის ინახავდა და თვიურად ჯამაგირად 500 ყურუშს უხდიდა (მაშინდელი კურსით — 115 მანეთს).

დედოფლის პეტერბურგში ყოფნის შესახებ, სამწუ-ხაროდ, არავითარი ცნობები არა გვაქვს. უნდა ვიფიქ-როთ რომ ის, როგორც დედოფლები დარეჯან და მარი-ამი, დიდს ტანჯვასა და წამებას განიცდიდნენ, რომ იმისი საშუალებაც კი არ დაუტოვა მტერმა, რომ საკუთარ ქვე-ყანაში დაემთავრებინათ განაწამები ცხოვრება და საყვა-რელი ქმრების, ტანჯულ მეფეების გვერდით მოესვენე-ბინათ თავისი ძვლები.

იმედისა და უიმედობის ბრძოლებში მიდიოდნენ მა-თი უკანასკნელი წლები და სამშობლოზე მძიმე სევდით დასერილ გულს ქართული წიგნების კითხვით და ქართუ-ლი კულტურული საქმისათვის სამსახურით იქარვებდნენ. ჩვენ სხვა ადგილას უკვე მოგახსენეთ ამაზე, ქართლ-კა-ხეთის უკანასკნელ დედოფალ მარიამზე მოთხრობილ ამ-ბებში. არა ნაკლებ მეცადინეობას იჩენდა იმერეთის დე-დედოფალიც. ის უკანასკნელს იკლებდა, რათა ქართული სულის კერა არ ჩამქრალიყო. პროფესორ ცაგარლის „სვე-დენია“-ში ვკითხულობთ დედოფლის წერილს ნიკოლოზ ჩუბინაშვილისადმი, საიდანაც ვტყობილობთ, რომ დედო-ფალს მისთვის გადაუგზავნია დანიშნული თანხა თექვს-მეტი თუმანი და აღუთქვამს, რომ მომავალში მის ძმის შვილს, დავითსაც ასეთსავე დახმარებას გაუწევს ყოველ-თვიურად.“ „მე თუნდა“, სწერს დედოფალი, „თქვენთ-ვის მრავლობით მემეტება, მაგრამ მდგომარეობა მაყე-ნებს, ამისთვის ვიცი ჩემგან მრავლობით მიიღებთ, რად-გან გული კაცისა იგრძნობს: თუ ვითარ ვის რა სურს; გარდა ამისა ჩემს პატიოსნებას დაენდვეთ, რათა მე თქვენ გწყალობდეთ, ან თუ ცოცხალი ვიქნები, თქვენს ძმის - წულს ყოველ თვეშიდ, რასაც თქვენ გაძლევ, ისე მოუკ-ლებელი ექნება ჩემგან; ამას არ დავივიწყებ...“ და სხვ.

— „იმერეთის დედოფალი მარიამ“.

დედოფალი ვეღარ მოესწრო ვერც სამშობლოს ხი-ლვას და ვერც საყვარელი ქმრის გადმოსვენებას, ისე და-ლია შორეულ პეტერბურგში სული. მისი ბედი იმ მხრივ უფრო მწვავე იყო, რომ მისი ცხედარი პეტერბურგში დაიკრძალა და მას არც ის წადილი ასრულებია, რომ სა-მშობლოში წაესვენებინათ, როგორც ეს ქართლ-კახეთის დედოფალ მარიამს წილადა ხვდა.

იმერეთის დედოფალი, როგორც პროფ. ცაგარელი გვაუწყებს, გარდაიცვალა 18 მარტს 1841 წელს პეტერ-ბურგში.

დედოფლის დასაფლავების ცერემონიაზე ჩვენ წარ-მოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ იმ მიწერილობიდან, რა-საც გრ. პეროვსკი 8—6—1850 წ. ვორონეჟიდან უგზავნი-და, როცა ატყობინებდა, რომ ხელმწიფის ბრძანებაა, დე-დოფალი ქართლ-კახეთისა იმგვარადვე დასაფლავდეს, რო-გორც დამტკიცებულ იქნა 1841 წ. იმერეთის დედოფლის მარიამ კაციას ასულის დაკრძალვისათვისო. (იხ. აქტები 10, გვ. 113). ხოლო ქართლ-კახეთის დედოფლის მარი-ამის დასაფლავების დიდი ცერემონიალი და სამგლოვი-არო პროცესია დაწვრილებით სხვა ადგილას გვაქვს მო-ყვანილია და აქ აღარ გავიმეორებთ.

მარი ბროსეს ცნობით, იმერეთის დედოფალი მარი-ამი დაკრძალულ იქმნა პეტერბურგში, ნევის საკრებუ-ლოს ტაძარში. მთავრობამ მას დიდი საზეიმო დასაფლა-ვება გაუმართაო (ისტ. 2. ნაწ. 1).

იმერეთის დიდი სურვილი სოლომონ მეფემ ტრაპე-ზონდის მიწას მიაბარა, ხოლო მწარე გოდება და ცრემ-ლები, ბატონის საფლავს რომ უნდა დასცემოდა, იმერთა უკანასკნელმა დედოფალმა მრავალ წელთა მანძილზე პეტერბურგის ნისლიან ქარს გაატანა...

თამარ პაპავა

ჰამბურგი, 1944 წ.

თურქეთი 1921 წელს

(გაგრძელება)

3 იანვარი 1921 წ.

შევქეთ - ბეისთან ერთად ქალაქში ვიყავით სასყიდელზე. სადილის შემ-დეგ მისიის შემადგენლობით, ემუხვარის გამოკლებით, წავედით ქა-რხანაში, სადაც თამბაქოს ამზადებენ. თამბაქო აქ სახელმწიფო მონოპოლია არის, რომელიც გადაცემულია საა-ქციო საზოგადოებაზე, გაზიდვის სრუ-ლი უფლებით. სხვა წვრილ საზოგა-დოებებს შეუძლიათ ივაჭრონ თამბა-ქოთი მხოლოდ თურქეთის ფარგლებ-ში. ელჩ სვიმონ მდივანს სურს შუამ-დგომლობა აღძრას, გამოგზავნონ ვინ-მე საქართველოდან, თამბაქოს საქმის აქ შესასწავლად, რომელიც აქ საუც-ხოვოდ არის დაყენებული. ამ ქარხა-ნაში დღიურად აკეთებენ ერთ მილი-ონამდე პაპიროსს. მრავალ განყოფი-ლებაში მუშაობენ მხოლოდ და მხო-ლოდ ბავშები. ჰაერი თამბაქოს მტვე-რითაა გაჟღენთილი. მუშაობენ მექა-ნიკურად, შემაძრწუნებელი სიჩქა-რით, თითებსაც კი არ უყურებენ. თი-თოული მოძრაობა გამოანგარიშებულ-ია. სამუშაო დღე — 12 საათი! მძი-მე შთაბეჭდილებაა. ამ ბავშთა დიდი უმრავლესობა დაღუპულია. უწინ დი-დები მუშაობდნენ, მაგრამ ისინი ომ-ში გაიწვიეს და შესცვალეს ბავშებით. მართალია, მათ კარგ ქირას აძლევენ, ვიდრე თბილისში, მაგრამ ღირს, რად-გან მუშაობენ უკეთესადაც. ამ ჟამად თამბაქოს გაზიდვა აკრძალულია, არც კონსტანტინოპოლს აძლევენ, რადგან მას ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. კარგი პაპიროსის დამზადებას სჭირ-დება დაახლოვებით ათი დღე. ეს იცო და ბექირ - ბეიმ და ამიტომ დეპეშით შეუკვეთა თავის დროზე თავისათვის და ჩვენთვისათვისაც დიდი მარაგი.

ბექირ - სამი - ბეი შვილია თავის დროზე განთქმული გენერალი კუნ-დუხოვისა, რომელიც კავკასიიდან თურქეთს გადასახლდა. მან განათლე-ბა საფრანგეთში მიიღო. ერთ ხანს იმ-ყოფებოდა თურქულ საელჩოში პე-ტერბურგს, მერმე გუბერნატორად ტრიპოლისში და ტრაპეზუნდში. იგი სავსებით კულტურული კაცია, რაც თურქეთში მგონი იშვიათია. მისმა

შვილმა, შევქით-ბეიმ დაასრულა აგრონომიული აკადემია უნგრეთში...

საღამოს 7 საათზე ზეიმია ქალაქის თვითმართველობაში. ქალაქის საბჭო გაბრდღიალებულია. არიან ადგილობრივი და საზოგადოების წარმომადგენლები. საჭმელი მაინც და მაინც გემრიელი არაა, მაგრამ ათი თავია. უკრაინ სასულე ორკესტრი. ნავახშმევს ჩავიდით დარბაზში, სადაც კიდევ ნახევარი საათი დავრჩით.

ვახშმის დროს და შემდეგაც, სამოქალაქო გუბერნატორი, ქალაქის მოურავი, ბექირ - სამი - ბეი და სვიმონ მდივანი წარმოსთქვამდნენ ხოლმე სიტყვებს, რომელთა შინარსი შემდეგია:

გუბერნატორი და მოურავი ქართულ მისიას მიესალმნენ ბექირ-ბეი ბოლშევიზმს აკრიტიკებდა. ჩემს გვერდით იჯდა თურქეთის საგარეო სამინისტროს ერთი განყოფილების მართველი და-მან მითხრა: ეს პირველი სიტყვაა, რომლითაც ბოლშევიზმს ასე აგინებენო! ს. მდივანი ამბობდა, საქართველოსა და თურქეთს შორის უნდა დამყარდნენ კეთილ - მეზობლური ურთიერთობანი, ვინაიდან ჩვენ გვყავ საერთო მტერი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან — ბოლშევიკები და ევროპიელი იმპერიალისტებიო! საქართველოს არა აქვს იმდენი ძალა, რამდენიც თურქეთს თავისი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, მაგრამ გვაქვს დიდი გამოცდილება, ჩვენ ვიცით რას ნიშნავს დაიმორჩილო უცხო ხელისუფლებას, რადგან ჩვენ ვიყავით რუსეთის ულელ ქვეშ. თურქეთის ძალა ისაა, რომ ჯარი და ხალხი არ წარმოადგენს ორ სხვა და სხვა ელემენტს, არამედ შეკავშირებული არიან. თურქეთისა და საქართველოს საქმეა არა მარტო საკუთარი თავის გადარჩენა, არამედ მესამის გადარჩენაც, და სვიმონ მდივანი ზედმეტად სთვლი და, ეს მესამე დაესახელებინა (იგი იყო აზერბაიჯანი და ჩრდილო კავკასია).

ელჩმა სვიმონ მდივანმა იცის ფრანგული ენა, მაგრამ არც ისე ,რომ გრძელი სიტყვები წარმოსთქვას; ამიტომ ლაპარაკობს ქართულად; არისტო ჭუმბაძე სთარგმნის ფრანგულად. ვინმე თურქი, და უფრო ხშირად თვით ბექირ-სამი-ბეი კი, თურქულად. ამის გამო, ცხადია, სიტყვები ზიანდება; და ეს სამწუხაროა, რადგან სვ. მდივანი კარგად ლაპარაკობს.

ვახშამის შემდეგ სიტყვა განათლებას შეეხო. სვ. მდივანი ამტკიცებს, — ჩვენ ჯერ ბევრი უნდა ვისწავლოთ ევროპისაგანო, რაზეც ბექირ-ბეი უპასუხებს — ჩვენ თუ ,ცოდნა არა გვაქვს სამაგიეროდ გვაქვს ბევრი ნიჭი, რომელიც ევროპიელებს აკლიათო!...

4 იანვარი

გენერალი ერისთავი, შევქეთ-ბეი, ემუხვარი და მე, მსახურთა თანხლებით, ,ცხენებით სასეირნოდ წაველით. ვინახულეთ მარულას ადგილი და ჯებირის ნაშთი, რომელიც, მგონი, რომაელთა მიერ უნდა იყოს აგებული.

აქ საშინელი სიძვირეა. თბილისში ჩვენ ამ მხრივ მივეჩვიეთ და აღარაფერი გვაკვირვებს, მაგრამ აქ იგი მაინც რაღაც საზოპაროა!

დღეს ბექირ-ბეიმ სვიმონ მდივანს უთხრა: მისიის შემადგენლობაში ზია ბეგის ყოფნა არა სასიამოვნო იქნება ანგორის მთავრობისათვისო. საქმე ისეა, რომ ზია ბეგს (აჭარელია) წერილი მოუთავსებია ბათუმის გაზეთში — „სამუსულმანო საქართველო“ —, რომლითაც იგი ქამალისტურ მოძრაობას კრიტიკულად განიხილავდა. ზია-ბეგი ჯერ კიდევ ბათუმშია, საიდანაც მან ჩვენი ავტომობილები უნდა გამოგზავნოს. სვ. მდივანმა მას მისწერა, შენ თვითონ ნუ წამოხვალო.

5 იანვარი

დღეს ვიყავით სკოლების დასათვალიერებლად. ვიყავით ლიცეიში, საჭრო სასწავლებელში და ქალთა გიმნაზიაში. მოწაფეები კითხულობდნენ ლექსებს, იყვანდნენ ამოცანებს და სხ. როცა ლიცეიდან ვბრუნდებოდით, მოწაფეები გააწყვეს დერეფანში, სადაც მათ რაღაც იმღერეს, რომლითაც სულთან'ს აქებდნენ. ბექირ-ბეიმ უთხრა მათ, — ეს სიმღერა ისე უნდა გაიგოთ, რომ ქებას ვეუბნებით არა ეხლანდელ სულთანს, არამედ თვით პრინ(ციპ)ს! შევქეთ - ბეის სიტყვით, ქემალისტები ეხლანდელი სულთანის წინააღმდეგი არიან, და კონსტანტინოპოლს თუ დავიკავებთ, ტახტზე მის მემკვიდრეს ავიყვანთო.

ლიცეის ბინა ლარიბია, კედლების მაგიერ უბრალო ფიცრებით გადატიხრული ოთახებია, და ყველაფერი ისმის, თუ რა კითდება მეორე კლასში. დირექტორია — მოლა. მოწაფეთა რიცხვი მცირეა. ზოგ კლასში ზის მხოლოდ ორი მოწაფე. სკამები ძველია. შავი დაფა გახუნებული და ფერდაკარგული.. მასწავლებელთ საწყალის შეხედულება აქვთ.

ჩვენ თან გვახლავს სკოლათა ინსპექტორი, რომელიც ფრანგულად საკმაო სწრაფად ლაპარაკობს, — პედანტური, როგორც ყველა მასწავლებელი, და ცოტად კულტურული ,როგორც ყველა თურქი.

—ლიცეიდან წაველით საქალებო სკოლაში. ყველა მასწავლებელ ქალს აცვია ევროპიულად, მაგრამ სახე დაფარებული აქვთ. დავათვალიერეთ კიდევ სავაჭრო სასწავლებელი და დავბრუნდით შინ.

6 იანვარი

ბექირ-ბეის ანგორისაკენ მიეჩქარება და მეტი დარჩენა აღარ შეუძლია. მივემგზავრებით მასთან ერთად ამერიკული ავტომობილებით, რადგან არ ვიცით, როდის მოვა ჩვენი. გავაგზავნეთ რამოდენიმე დეპეშა, მაგრამ არც ერთზე პასუხი არაა.

დუდაროვი იყო დღეს აბანოში და ეაასა თურმე მექისეს. მან უთხრა, — მოველი ბოლშევიკებსო! მე ღარიბი კაცი ვარ და ბოლშევიკებისაგან მივიღებ ყველაფერს, რაც მჭირდებაო!

აქ არის რამოდენიმე რუსის ლტოლვილი. ერთი მათგანი ყოფილი ოფიცერია და მსახურებს ამერიკელებთან შოფერად. მისი სიტყვით, უბრალო ხალხი გულგრილად უცქერის ქემალისტურ მოძრაობას და ბოლშევიზმსაც. მას აინტერესებს მხოლოდ ყოველდღიური საკითხები ,ცხოვრებისა და ,ვვებისაო. რუსებს გარდა არიან კიდევ ჩრდილოკავკასიელნი, რომელთაც საცხოვრებლად არაფერი არ გააჩნიათ. ტრაპეზუნში შეგვხვდა კოცევი, მაგრამ იგი სხვებსავით არაა. მას ბევრი ფული უნდა ჰქონდეს.

4 იანვარს ბოლშევიკური მისია გაემგზავრა ანგორას. მხოლოდ ერთი თავისი წევრი დასტოვეს სამსუნში.

ჩვენ წავალთ შემოვლით, რადგან პირდაპირი გზა ავტომობილისათვის უვარგისია.

7 იანვარი

ხვალ, დილის 7 სათზე გავდივართ. ერთი საბარგო ავტომობილია, მეორე — ნახევრადსაბარგო. მთელი დღე ვალაგებთ და ვემზადებით. სანოვაგე ურმებით გავაგზავნეთ, — პირდაპირი გზით. ბექირ-ბეი ანგორადან დეპეშას მოელის. შევქეთის სიტყვიდან სჩანს, რომ მისი საქმე მაინც-და-მაინც კარგად არაა. მისი აქ არყოფნის დროს გამაგრებულა მისი მოწინააღმდეგე პარტია, რომელიც ბოლშევიკებთან მჭიდრო კავშირის მომხრეა და, მან აღარ იცის, თუ მას როგორ შეხვდებიან.

8 იანვარი

დიდი დავიდარაბის შემდეგ, როგორც იქმნა დავიძერით, შვიდის ნაცვლად ათის ნახევარზე. დაახლოებით ერთი კილომეტრი გავცილდით ქალაქს, და შიდმართში ავტომობილები ველარ ავიდნენ და უკანვე დავბრუნდით.

დ. შალიკაშვილი